თამარ ლომთაძე

თანამედროვე ქართული სოციოლექტები

გამომცემლობა „მერიდიანი"
თბილისი - 2010

„Volkswagen-Stiftung“-ის პროექტი „ენობრივის სიტუაცია თანამედროვე საქართველოში“

The Project of „Volkswagen-Stiftung“:
„Language Situation in Present day Georgia“

წიგნში განხილულია სოციოლექტების ზოგადი პრობლემატიკა: სოციალური დიალექტოლოგიის განვითარება, დიალექტის რაობა სოციალურ დიალექტოლოგიაში, სოციოლექტებში შემავალ ერთეულთა დეფინიციები, სოციოლექტების სტრუქტურა და სემანტიკა, ეთნოსოციოლექტი.

წარმოდგენილი მონოგრაფია საინტერესო უნდა იყოს სხვადასხვა დარგის, უწინარეს ყოვლისა კი – ჰუმანიტარული პროფილის სპეციალისტებისათვის.

რედაქტორი პროფესორი **მანანა თანდაშვილი**

რეცენზენტები პროფესორი **გიორგი გოგოლაშვილი**
პროფესორი **მიხეილ ქურდიანი**

© თამარ ლომთაძე

© გამომცემლობა „მერიდიანი“, 2010

ISBN 978-9941-10-199-1

უაკ (UDC) 811.353.1'276.1
ლ-814

წინასიტყვაობა

საქართველოში დღესდღეობით მცირე მასალა არსებობს ქართული ენის იმ ლექსიკურ თავისებურებათა გათვალისწინებით, რომლებიც დაკავშირებულია ენობრივი კოლექტივის დანაწევრებასთან ასაკის, სოციალური ჯგუფების, ცალკეულ ჯგუფთა მოსაქმეობის, სქესის მიხედვით. არადა, სწორედ ამ მასალაში ჩანს ყველაზე ხელშესახებად ენისა და საზოგადოების მჭიდრო კავშირი.

წიგნში შეეცადეთ, გაგვეანალიზებინა სოციოლექტების ლინგვისტური პრობლემატიკა. ნაშრომს თან ერთვის სოციოლექტიზმების სიტყვარი და ბიბლიოგრაფია, რომელშიც მეტ-ნაკლები სისრულით ასახულია ქართული და მსოფლიო ენათმეცნიერების შრომები სოციალურ დიალექტოლოგიაში.

მონოგრაფია მზადდებოდა 2006-2009 წლებში Volkswagen-Stiftung-ის მიერ დაფინანსებული პროექტის "სოციოლინგვისტური სიტუაცია თანამედროვე საქართველოში" ფარგლებში.

შესავალი

სოციოლექტების შესწავლა მიზნად ისახავს, ძირითადად, მისი ორი ურთიერთშეპირობებული ნაწილის კვლევას. პირველი: სოციოლექტების შინაგანი არსის კვლევა (მისი ფორმობრივ და ფუნქციურ სისტემათა კანონსომიერების დადგენა: კერძოდ, სოციოლექტების ენობრივი სტრუქტურა, მისი წარმოქმნის ეთნიკურ-ისტორიული და ტერიტორიულ-სოციალური საფუძველი და ენობრივი შეპირობებულობა) და მეორე, გამოყენებითი სფეროს კვლევა. კერძოდ, სოციოლექტი, როგორც სალიტერატურო ენის გამდიდრების (სოგჯერ გაღარიბების) წყარო, როგორც ენის ისტორიის შესწავლის ერთ-ერთი წყარო და ა.შ.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ენა სხვადასხვა სახის დიფერენციაციას განიცდის სხვადასხვა ეპოქაში. საერთაშორისო ურთიერთობების, საკაცობრიო ცივილიზაციის ფართოდ განვითარებამ, სალიტერატურო ენის ზეგავლენამ ქართულ ტერიტორიულ დიალექტებზე, მკვეთრად გამოხატულ თავისებურებათა ნიველირების ტენდენცია გამოავლინა, მაგრამ იმავდროულად, იმძლავრა სოციალურ და პროფესიულ დიალექტებად დანაწევრების ტენდენციამ. ამიტომ სოციოლექტების კვლევამ ჩვენს ეპოქაში არნახული მასშტაბები შეიძინა.

კომპიუტერიზაციის გლობალურმა პროცესებმა, რომელიც თანამედროვე ცივილიზებული ერის აუცილებელ ატრიბუტად იქცა, დღის წესრიგში დააყენა ეროვნული ენების სპეციალური კორპუსის შექმნა, რათა მოხდეს მათი ელექტრონული დამუშავება. მონაცემთა სოციოლინგვისტური ანალიზი კი მოგვცემს მნიშვნელოვანი დასკვნების გაკეთების საშუალებას. კორპუსის ერთერთი შემადგენელი ნაწილი სოციალური დიალექტებია, ამიტომ აუცილებელია სოციოლექტიზმების სიტყვარის შედგენა, მათი ფონეტიკური, გრამატიკული და ლექსიკური ანალიზი. აგრეთვე საკომუნიკაციო აქტის მონაწილეთა სოციალური, ფსიქოლოგიური და კოგნიტიური მახასიათებლების იდენტიფიკაცია.

ჩვენი შრომის მიზანია, თანამედროვე ქართული სოციოლექტების ლინგვისტური პრობლემატიკის შესწავლა და სოციოლექტიზმების სიტყვარის შედგენა.

სოციოლექტების შესწავლის ისტორიიდან

სოციალური დიალექტოლოგიის ისტორიიდან

XX საუკუნის 50-იანი წლებიდან მსოფლიოში ენათმეცნიერების რამდენიმე ახალი დარგი ჩამოყალიბდა. მათ შორისაა სოციალური დიალექტოლოგია, რომელიც განვითარდა ტრადიციული დიალექტოლოგიისაგან და მისი მეთოდები შეესაბამება ჰეტეროგენულ, მუდმივად ცვლად ურბანულ საზოგადოებას. კვლევის საგანი, ძირითადად, არაერთგვაროვანი დიდი თუ მცირე ჯგუფების ენობრივი ცვალებადობის მექანიზმის აღმოჩენაა. სოციალური დიალექტოლოგიის განვითარება დაკავშირებულია უ. ლაბოვის სახელთან, კერძოდ მის შრომებთან ნიუ-იორკის ინგლისურ ენასთან დაკავშირებით.

ტერმინისათვის: როგორც სახელწოდება გვიჩვენებს, ენათმეცნიერების ამ დარგის ძირითადი მიზანი, ამოსავალი დებულებანი და კვლევის მეთოდები დაკავშირებულია სოციოლინგვისტიკასთან. სხვადასხვა ავტორთან გეხვდება განსხვავებული ტერმინის გამოყენება. რა თქმა უნდა, ყველაზე გაერცელებული სოციალური დიალექტოლოგიაა, თუმცა დასტურდება აგრეთვე "სახეცვლილების ლინგვისტიკა" (მატჰაიერი, 1980), "თანაფარდობითი სოციალური ლინგვისტიკა" (აუერტერი, 1982), "სოციოლინგვისტიკა ეიჯრო გაგებით" (დიტმარი, 1982) და სხვა.

ამჟამად სოციალურ დიალექტოლოგიაში მიღწეული შედეგები წარმოდგენილია ლაბოვის (1972, 1977, 1981), ჩამბერსისა და თრაჯილის (1980), დიტმარის, შლიბენ-ლანჟესა და შლობინსკის (1982), რომაინეს (1980), ლავანდერას (1971, 1981), ფაზოლდის (1984), სანკოფის (1980) და სხვათა შრომებში.

სოციალური დიალექტოლოგია სოციოლინგვისტიკის შემადგენელი ნაწილია. სოციოლინგვისტიკა საენათმეცნიერო დისციპლინაა, რომელიც შეისწავლის ენას სოციოგადოებრივ კონტექსტში, მის ურთიერთობას სოციოგადოებრივ ფაქტებთან, მის სოციალურ და სიტუაციურ ვარირებას, ენობრივ სიტუაციას, ენობრივ პოლიტიკას და ა. შ.

სოციოლინგვისტიკაში გამოიყოფა ორი დიდი სფერო: მაკროსოციოლინგვისტიკა და მიკროსოციოლინგვისტიკა.

მიკროსოციოლინგვისტიკის ინტერესის სფეროში შედის შედარებით მცირე ჯგუფების ენობრივი ქცევის შესწავლა, ინტერაქციული სოციოლინგვისტიკის, დისკურსისა და საუბრის ანა-

ლის საკითხები; იგი ძალიან ახლოს დგას ე.წ. ენის სოციოლინგვისტიკასთან.

მაკროსოციოლინგვისტიკა არის სოციოლინგვისტიკის ნაწილი, რომლის ინტერესის სფეროში შედის შედარებით დიდი ჯგუფების ენობრივი ქცევის შესწავლა, ენობრივი სიტუაცია, ორენოვნება, მრავალენოვნება, დიგლოსია, პოლიგლოსია, სოციალური დიალექტოლოგია; იგი ძალიან ახლოს დგას ენის სოციოლოგიასთან და ე.წ. სახოგადოების სოციოლინგვისტიკასთან.

სოციალური დიალექტოლოგიის საგანია – სოციოლინგვისტური სტრუქტურის აღწერა ერთ ენობრივ სახოგადოებაში. იგი ახდენს იმ ენობრივი ვარიაციების, სოციალური ატრიბუტების, ენობრივი ნორმების კოორდინირებას, რომლებიც ამ ენობრივ სახოგადოებაში დომინირებენ.

ისტორიულად სოციალური დიალექტოლოგიის განვითარება დაკავშირებულია სოციალური პრობლემების გადაწყვეტასთან, რომელიც წარმოიშვა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ აშშში მსარდი ურბანიზაციის შედეგად. სოციალური დიალექტოლოგია აწარმოებს კულტურული და ენობრივი ქცევის დეტალურ კვლევას. რა თქმა უნდა, პრიორიტეტი ენის კვლევას ენიჭება, რადგან ენა ერის ისტორიის, სულის, კულტურის მაჩვენებელი და გამომხატველია. მასში ყველაზე სწრაფად და ნათლად აისახება სახოგადოებრივ-სოციალური ცვალებადობები.

დიალექტის ცნება სოციალურ დიალექტოლოგიაში

სოციალურ დიალექტოლოგიაში დიალექტი განიხილება, როგორც ლინგვისტური ვარიანტი, რომელიც შეიცავს სტერეოტიპულ თავისებურებებს; მას ახასიათებს "დაბალი" პრესტიჟულობა, ნაკლებ კოდიფიცირებულობა და გეოგრაფიულად შემოსაზღვრულ არეალში გავრცელებულობა.

სოციალური დიალექტი განიმარტება როგორც ამა თუ იმ სახოგადოებრივი ფენისათვის ნიშანდობლივი სუბვარიანტი მეტყველებისა, შეპირობებული სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური, რწმენითი ფაქტორებით, ანუ: ამა თუ იმ სოციალური ფენის მსოფლგაგებითა და სულისკვეთებით (მაკდევიდი, 1975).

ლ. ბლუმფილდი შენიშნავდა, რომ ენა არის სახოგადოებრივი მოქცევის ფორმა, ამიტომ იგი შესწავლილი უნდა იქნეს სოციოლოგიური თვალსაზრისით, რაც გულისხმობს იმის განსაზღვრას, თუ როგორი სახითაა წარმოდგენილი მეტყველება სხვადასხვა სოციალურ ფენაში, როგორ ვლინდება კერძო პიროვნე-

ბის მეტყველებაში საზოგადოებრივი ურთიერთობანი, როგორ ახდენენ ზეგავლენას სოციალური ფაქტორები ენის განვითარებასა და მის ფუნქციონირებაზე. კვლევის ობიექტებია სოციალური დიალექტი და იდიოლექტი. აქედან გამომდინარე, სოციალურ დიალექტოლოგიას სოციოლოგიის ნაწილადაც კი მიიჩნევენ.

სოციალური დიალექტების შესწავლის ისტორიიდან

მიუხედავად იმისა, რომ ქართულ დიალექტოლოგიას სერიოზული და ნაყოფიერი ტრადიცია აქვს, ეს, უპირველეს ყოვლისა, ეხება, ძირითადად, ტერიტორიულ დიალექტებს. რაც შეეხება სოციოლექტების კვლევას, ამ მხრივ, საქართველოში მხოლოდ ერთეული ნაშრომები არსებობს. არ არის გამორიცხული, რომ ამ ფაქტს გარკვეული კანონზომიერებაც ჰქონდეს, რადგან საბჭოთა პერიოდში სოციალური დიალექტების საკითხი თითქმის არ იდგა სამეცნიერო კვლევის დღის წესრიგში მათი საზოგადოებრივი მარგინალიზაციის გამო.

თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა ენათმეცნიერთა ნაწილი ტერიტორიული დიალექტების შესწავლისას სოციალურ დიფერენციაციას გვერდს ვერ უვლიდნენ. ენის შესწავლის თვალსაზრისით, განსაკუთრებით ფასეული ამა თუ იმ კონკრეტული გამონათქვამის სოციალური კონტექსტი რომ იყო, საბჭოთა მკვლევრებმაც მიუთითეს. სწორედ ამიტომ მოსაუბრის სოციალურ მდგომარეობას, დაბადების ადგილს, ასაკს და ა.შ. მაშინვე მიექცა ყურადღება. მაგალითად, 1974 წელს გამოცემულ ქართული ენის ლექსიკოლოგიის სახელმძღვანელოში ბ. ფონხუა მიუთითებს, რომ სამეტყველო ჩვევების ეთნოგრაფიული და სოციალური კვლევა სხვადასხვა სამეტყველო ჯგუფებში, ქართული ლექსიკის სხვადასხვაგვარ დანაწევრებას მოგვცემს, რომელიც ქართული ენობრივი კოლექტივის ამა თუ იმ ცალკეული ქვეჯგუფის მეტყველებას ახასიათებს: ქართულად მეტყველი მოსახლეობის ტერიტორიულ განლაგებას ასახავს, ან ქართულად მეტყველთა ასაკობრივი თავისებურების უკუფენას წარმოადგენს, ან კიდევ, ამა თუ იმ სამეტყველო ჯგუფის მოსაქმეობას შეესაბამება და სხვა. სამწუხაროდ, ჯერჯერობით მეტად მცირე მასალა გვაქვს ქართული ენის იმ ლექსიკურ თავისებურებათა გასათვალისწინებლად, რომლებიც დაკავშირებულია ენობრივი კოლექტივის დანაწევრებასთან სქესისა და ასაკის მიხედვით (ფონხუა, 974, 185-207).

დიალექტს სწავლობს დიალექტოლოგია. უნდა განვასხვავოთ კერძო დიალექტოლოგია და დიალექტოლოგია ზოგადი ენათმეცნიერების თვალსაზრისით. ეს უკანასკნელი განიხილავს დიალექტთა ზოგად, თეორიულ საკითხებს. სოციალურ დიალექტებში იგულისხმება ამა თუ იმ საზოგადოებრივი კლასის, ამა თუ იმ საზოგადოებრივი ჯგუფის, გარკვეული პროფესიის, გარკვეული სპეციალობის პირთა მეტყველების თავისებურებანი. მეტყველების თავისებურებათა მქონებლობა არის ტერიტორიული და სოციალური დიალექტების საერთო ნიშანი, რის გამოც ისინი დიალექტებად იწოდებიან (ჩიქობავა, 1952). აქვე და აგრეთვე II რესპუბლიკურ დიალექტოლოგიურ სესიაზე არნ. ჩიქობავა განიხილავს სოციალური და ტერიტორიული დიალექტების განმასხვავებელ ნიშნებს. ჟარგონისა და პროფესიული დიალექტების რაობას (ჩიქობავა, 1980). ამავე პერიოდში დიალექტოლოგიის პრობლემებზე მუშაობდნენ ა. შანიძე, ვ. თოფურია, მ. ჯანაშვილი და სხვები, მაგრამ, სამწუხაროდ, სოციალური დიალექტების რაობაზე მათთან ვერც ზოგად მონახაზს ვხვდებით.

რუსულ დიალექტოლოგიაში, სოციალური დიალექტების შესწავლის თვალსაზრისით, უკეთესი მდგომარეობა გვაქვს, ვიდრე ქართულში. ენის დიალექტოლოგიური შესწავლის დროს აუცილებელია სოციალური დიალექტების მონაცემთა გათვალისწინებაც. ამ უკანასკნელთა ძირითად გამომრჩევ ნიშან-თვისებად მიიჩნევა თავისებური ლექსიკისა და ფრაზეოლოგიის მქონებლობა. არსებითად სოციალურ დიალექტებს განეკუთვნება ის ნაირსახეობანიც, რომლებიც ზოგჯერ ქალებისა და მამაკაცების მეტყველებაში შეინიშნება. დიალექტის შესწავლის დროს ყურადღება უნდა მიექცეს აგრეთვე მიგრაციის ფაქტებს, რადგან ამან შესაძლოა არსებითი ზეგავლენა იქონიოს ამა თუ იმ დიალექტის ლინგვისტურ იერ-სახეზე – ეს შეხედულებები სწორედ რუსულ დიალექტოლოგიაშია მოცემული.

დიალექტების დახასიათებისას სოციალური ფაქტორის გათვალისწინება აუცილებელი წინაპირობაა მათი ყოველმხრივი და სრულყოფილი შესწავლისათვის. დავას არ იწვევს ის, რომ სოციალური ფაქტორები არსებითად ზემოქმედებენ დიალექტურ დიფერენციაციაზე.

ამრიგად, მიუხედავად სოციალური დიალექტების საზოგადოებრივი მარგინალიზაციისა, საბჭოთა ენათმეცნიერებაში თითქმის ყველა საკვანძო საკითხზე გვხვდება მითითება. კვლევების რაოდენობა შედარებით მცირეა, რაც ამგვარი საკითხების არაპრესტიჟულობით უნდა აიხსნას.

საკუთრივ სოციალური დიალექტების რაობაზე საბჭოთა საენათმეცნიერო ლიტერატურაში ყურადღება გამახვილდა XX ს-ის 20-30-იანი წლებიდან, რასაც გარკვეული ბიძგი მისცა ნ. მარის თეორიამ ენის კლასობრიობის შესახებ. იაფეტური მოძღვრება ენის შესახებ, ორგანულად არის დაკავშირებული მატერიალური კულტურის ისტორიასთან. მაშასადამე, მეურნეობასა და ეკონომიკასთან. ასეთივე კავშირი აქვს მას საზოგადოებრივ ფორმათა ისტორიასთან, მაშასადამე სოციოლოგიასთან (მარი, 1934). ასე რომ, მარი არსებითად უპირისპირებს ერთმანეთს სალიტერატურო ენასა და დიალექტურ მეტყველებას როგორც ერთი ენის სოციალურად დაპირისპირებულ ორ განშტოებას. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მან შემოიტანა სოციალურობის ნიშანი ტერიტორიული დიალექტების დახასიათებისას (ჯორბენაძე, 1989, 126).

თითქმის ამავე პერიოდში ბ. ლარინი მიუთითებდა, რომ ცოტაა ან თითქმის არ არის მასალა სალიტერატურო ენის გარდა "ქალაქის კილოს" შესახებ. ეს კი ხელს უშლის სოციოლოგიური ლინგვისტიკის განვითარებას. სწორედ ამ პრობლემას უკავშირდება მისი ორი მნიშვნელოვანი წერილი "ქალაქის ლინგვისტური დახასიათება" და "ქალაქის ლინგვისტური შესწავლა" (ლარინი, 1977, 175).

სოციალური დიალექტები, რომლებიც წარმოიქმნა სოციალური ჯგუფების კლასობრივი დიფერენციაციის შედეგად, სრულად არ არიან თანაბარუფლებიანი და მათი ურთიერთობა არ იფარგლება მექანიკური თანაარსებობით — წერს ვ. ჟირმუნსკი. ისინი დაკავშირებულნი არიან რთული ურთიერთსემოქმედების იერარქიული თანადაქვემდებარების საფუძველზე და იმავდროულად ურთიერთშორის ბრძოლითაც, რაც განპირობებულია ამა თუ იმ ეპოქისა და ქვეყნის სოციალური განვითარების ზოგადი მიმართულებით. ამ ურთიერთობისას ეროვნული ენა გვევლინება სოციალურ ნორმად, რომელიც გაბატონებულია ყველა სხვა სოციალურ დიალექტზე. რომელიმე სოციალური კლასის ეკონომიკურად და პოლიტიკურად გაბატონებას შედეგად მოსდევს მისი გაბატონება იდეოლოგიურ სფეროშიც. გაბატონებული კლასის ასეთი კულტურული ჰეგემონია, თავის მხრივ, შეაპირობებს ენობრივ ჰეგემონიას (ჟირმუნსკი, 1964).

პოსტ-საბჭოურ ეპოქაში მომხდარმა სოციო-პოლიტიკურმა ცვლილებებმა უფრო თვალსაჩინო გახადა სოციალური დიალექტები და გაზარდა მათი ხვედრითი წილი საზოგადოებრივი ცხოვრების ბევრ სფეროში. საქართველოშიც ჩნდება ამ ერთეულებისადმი მიძღვნილი ნაშრომები. მაგალითად, ზოგადი მონა-

ხასიათია მოცემული ბ. ჯორბენაძისა და კ. ლერნერის გამოკვლევებში. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სოციალურ დიალექტებზე ბ. ჯორბენაძის შეხედულებები. 1989 წელს გამოცემულ "ქართულ დიალექტოლოგიაში" იგი, ერთი მხრივ, განიხილავს სოციალური დიალექტოლოგიის საზღვარგარეთულ მიღწევებს, ხოლო მეორე მხრივ, ქართულ სოციალურ დიალექტებსაც ამახვილებს ყურადღებას.

ენა ის თვალსაწიერია, რომლითაც სამყაროს შეცნობა იწყება. ყველა პრობლემის ძირფესვი, რომელსაც ლინგვისტი ხვდება ენის განსაზღვრისას, არის თვით ენის ძნელი და გაორებული ბუნება. ერთი მისი შინაგანი, იმანენტური რაობა, შეპირობებული ფორმობრივ და სემანტიკური სისტემებითა და სტრუქტურებით, მეორე ენის დანიშნულებითი გამოყენებითი რაობა (არგეილი, 1987, 85).

ამიტომაც, სოციოლინგვისტები იძულებული არიან მოძებნონ ვარიაციები და ახალი განმარტებები, რადგან უარს ამბობენ იმ განსაზღვრებაზე, რომ ენა არის მონოლითური, ჰომოგენური ობიექტი. ისინი ენას განსაზღვრავენ, როგორც ჰეტეროგენულ დინამიურ სისტემას.

ლ. ბლუმფილდი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ენობრივ მოვლენათა გავრცელება დამოკიდებულია სოციალურ ფაქტორებზე, რომელთა შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ურთიერთობის ინტენსივობა და სხვადასხვა სოციალური ჯგუფის საზოგადოებრივი პრესტიჟი (ბლუმფილდი, 1968).

ენა არის საზოგადოებრივი მოქცევის ფორმა. ამიტომაც იგი შესწავლილი უნდა იქნეს სოციოლოგიური თვალსაზრისით, რაც გულისხმობს არა მხოლოდ იმის განსაზღვრას, თუ როგორი სახითაა წარმოდგენილი მეტყველება სხვადასხვა სოციალურ ჯგუფში (სოციალურ კონტექსტში), არამედ იმის გარკვევასაც, თუ როგორ ელინდება კერძო პიროვნების მეტყველებაში საზოგადოებრივი ურთიერთობანი, როგორ ახდენენ ზეგავლენას სოციალური ფაქტორები ენის განვითარებასა და მის ფუნქციონირებაზე. ამიტომ, კვლევის ობიექტებია სოციალური დიალექტი და იდიოლექტი, ანუ ცენტრალური ადგილი უჭირავს პრობლემას ენისა და ამ ენის მფლობელი პიროვნების ურთიერთდამოკიდებულების შესახებ. ე.ი. ენის შესწავლის პროცესში აქტიურად აღმოჩნდა ჩართული პიროვნებაც (მფლობელი ენისა), შესწავლის საგანი გახდა მისი დამოკიდებულება ენისადმი, საზოგადოებრივი მოქცევა მისივე მეტყველების საშუალებით.

მოვლენათა საზოგადოებრივი შეფასება უშუალოდ აისახება ენაში, მაგრამ იმავდროულად ენაში მექანიკურად კი არ აი-

რეკლება ესა თუ ის ფაქტი ყოფიერებისა, არამედ ხდება მისი გაცნობიერება გარკვეული სასოგადოებრივი მსოფლხედვის საფუძველზე.

პოლიტიკური წყობის რევოლუციური გადახალისება უშუალო ზეგავლენას ახდენს სოციალურ დიალექტებზე.

საქართველოში მიმდინარე ეკონომიკურმა, პოლიტიკურმა და სოციალურმა პროცესებმა დიდი გავლენა მოახდინა სასოგადოებაზე. ამიტომ სოციალური დიალექტების პრობლემა თავისთავად ფასეული გახდა სამეცნიერო თვალსაზრისითაც; ამას ემატება ისიც, რომ ცენზურის არტახებისაგან განთავისუფლებულმა მწერლებმა მეტი ადგილი დაუთმეს სუბსტანდარტულ ენობრივ რეალიებს თავიანთ ნაწარმოებებში.

ენით უტყუარად იგრძნობა და წარმოჩნდება სასოგადოებაში არსებული სოციალური პროცესები (ლაბოვი, 1975).

რასაკვირველია, სოციალური ფაქტორები უშუალო ზეგავლენას ვერ მოახდენენ ენაზე. ისინი ზემოქმედებენ ადამიანის ცნობიერებაზე, ხოლო ცნობიერება ენაზე, ამიტომაც აღნიშნავდა ჯ. ფიშერი, რომ ხიდი ენასა და სოციალურ სტრუქტურას შორის შეიძლება დაიძებნოს ფსიქოლოგიაში (ფიშერი, 1975).

სოციალურ დიალექტებში შემოდის:

1) მეტყველების ასაკობრივი ფაქტორით შეპირობებული დიფერენციაციაც. ახალგაზრდობა ნებსით თუ უნებლიეთ ცდილობს დაუპირისპირდეს უფროს და თავის მომდევნო თაობას არა მხოლოდ ქცევით, არამედ მეტყველებითაც (ჯორბენაძე, 1989, 42).

2) პროფესიული დიალექტები: პროფესიის მიხედვით სასოგადოების ამგვარი განაწილება საფუძველს უქმნის სპეციფიკური პროფესიული ნიშნების გამომუშავებას, დაწყებულს სულიერი წყობით და დამთავრებულს სასოგადოებაში მოქცევით, რაც მეტყველებაშიც იჩენს თავს. უძველესი პროფესიული დიფერენციაცია სქესის მიხედვით ხდებოდა. მამაკაცსა და ქალს თავთავისი მოვალეობა ეკისრებოდა სასოგადოებაში. მამაკაცისა და ქალის მეტყველების დიალექტური დიფერენცირება აქედან უნდა იღებდეს სათავეს (შორი, 1926), შემდეგ კი, სადაც შემორჩა, სოციალური დიალექტების იერი მიიღო.

3) ჟარგონი, არგო და სლენგი, რომლებიც ასევე, ძირითადად, ლექსიკითა და ფრაზეოლოგიით სხვაობენ.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ძნელი არ არის იმის მიხვედრა, თუ როგორი ფართო ცნებაა სოციალური დიალექტი, რომლის შესატყვისად თანამედროვე ლინგვისტიკაში დამკვიდრდა ტერმინი "სოციოლექტი".

სოციოლექტის დეფინიციისათვის

სოციოლექტი (სოციალური დიალექტი) არის ენის ვარიანტი (სახესხვაობა), ლექტი, რომლითაც სარგებლობს ადამიანთა ესა თუ ის სოციალური ჯგუფი. იგი მოიცავს ისეთ ლექტებს, როგორებიცაა ჟარგონი, არგო, პროფესიული ენები, სლენგი, დარგობრივი ლექსიკა და სხვა.

საენათმეცნიერო ლიტერატურაში სოციოლექტის რამდენიმე განმარტებაა ცნობილი. საილუსტრაციოდ რამდენიმე მათგანს მოვიტანთ:

სოციოლექტი, ე. ი. სოციალური ჯგუფის ენა, პროფესიული ენა, ჟარგონი, რომლის სპეციფიკაც ვლინდება, პირველ რიგში, ფონოლოგიურ და სემანტიკურ დონეებზე (ჩემოდანოვი, 1975, 16).

სოციოლექტი – ნაირსახეობა ან ლექტი, რომელიც, როგორც ფიქრობენ დაკავშირებულია მოსაუბრის სოციალურ და არაგეოგრაფიულ ფონთან, ასე რომ, სოციალური კლასის დიალექტი წარმოადგენს სოციოლექტს (თრაჯილი, 2003).

სოციოლექტი ფართო მნიშვნელობით განიმარტება, როგორც ლინგვისტური გამოყენების სოციალური ჟანრის სახე. მოცემული განსაზღვრება მოიცავს გაზეთის სტატიის ენას, ამინდზე საუბრის ენას, აკადემიურ პროზას, რეცეპტი მსარეულის წიგნში და ა. შ. (სტოკველი, 2005, 7).

სოციოლექტი – ერთ-ერთი სოციალური ჯგუფის ენობრივი თავისებურებების ერთობლიობა. რათა ყოველი ვარიანტი ან ენა სოციოლექტად არ ჩაითვალოს, ჯგუფი სხვანაირადაც უნდა შედგეს (ჩამოყალიბდეს, აიგოს), ვიდრე მარტო ენობრივად. მაგ. საერთო ჰობის, საერთო სამუშაო ადგილის მიხედვით. სოციოლექტზეა საუბარი აგრეთვე სოციალური დაჯგუფებების შემთხვევაშიც და არა მარტო აქტუალურ ჯგუფებთან კავშირში. სოციოლექტები განსხვავდებიან მხოლოდ განსაზღვრული ენის ფორმის გამოყენების სიხშირით, რომელთა აღწერაც ცვალებადობის (Variablenrejeln) წესებით ხდება (გლუკი, 2005).

მოსკოვში გამოცემულ სოციოლინგვისტურ ლექსიკონში მითითებულია, რომ სოციალური დიალექტი (სოციოლექტი, სოციალური ჟარგონი, ენის სოციალური ვარიანტი) არის ენის ნაირსახეობა, რომელიც ხასიათდება განსაზღვრული სოციალურ, ასაკობრივ ჯგუფებში გამოყენებით. ტერმინი გამოიყენება, როგორც ზოგადი სახელწოდება ადამიანთა სოციალურ განკერძოებაზე დაფუძნებული სხვადასხვა ენობრივი წარმონაქმნისათვის.

გარდა აღნიშნულისა, ტერმინი სოციალური დიალექტი შეიძლება გავიგოთ როგორც ძალიან ვიწრო (იგივეა რაც არგო), ასევე ფართო მნიშვნელობით; უკანასკნელ შემთხვევაში ის შეიცავს ენის არსებობის ძირითად ფორმებს (ტერიტორიული დიალექტები, ლიტერატურული ენა და სხვა), რომლებიც განიხილება როგორც ენის სოციალური დონეები. აღნიშნული ტერმინის საყოველთაოდ მიღებული მნიშვნელობიდან გამომდინარე, სოციალური დიალექტი არის ენობრივ (უწინარეს ყოვლისა ლექსიკური და ფრაზეოლოგიური) თავისებურებათა ერთობლიობა, რომლებიც დამახასიათებელია რომელიმე სოციალური (პროფესიული, წოდებრივი, ასაკობრივი და ა.შ.) ჯგუფისათვის მოცემული ეროვნული ენის ფარგლებში. შესაბამისად, სოციალურ დიალექტში შედის ენის ისეთი ნაირსახეობა, როგორიცაა:

1) პროფესიული ჟარგონები

2) სხვადასხვა ჯგუფური ჟარგონები.

ნებისმიერი სოციალური დიალექტი არ წარმოადგენს მთლიან კომუნიკაციურ სისტემას, ის ხასიათდება სპეციფიკური სახელწოდებით (სიტყვის, სიტყვაშენაერთისა) და სინტაქსური კონსტრუქციებით; ამავე დროს ენის გრამატიკული კატეგორიები, სინტაქსი მთლიანად რჩება ზოგადეროვნული, არასპეციფიური. არსებობს სოციალური დიალექტის ისეთი ტიპები, რომლებიც ქრება, ან პირიქით, აქტიურად ფუნქციონირებს (ამ უკანასკნელს განეკუთვნება მაგალითად, ახალგაზრდული ჟარგონი, ნარკომანების ჟარგონი და სხვა).

ზოგ განმარტებაში სოციალური დიალექტის ფუნქციაა წინა ხაზზე წამოწეული. მაგალითად, ბონდალეტოვი აღნიშნავს, რომ სოციალური დიალექტების დანიშნულებაა, დააკავშირონ განსაზღვრულ სოციალურ თუ პროფესიულ დაჯგუფებაში შემავალი პირები, გააერთიანონ წევრები ერთ კორპორაციაში, რომელსაც თავისი ინტერესები პროფესიონალური, სოციალურ-წოდებრივი, ასაკობრივი, კულტურულ-ესთეტიკური და მისთ. გააჩნიათ (ბონდალეტოვი, 1987, 68).

თუ კარგად დავაკვირდებით ზემოაღნიშნულ განმარტებებს, შევნიშნავთ სხვაობას სოციალურ დიალექტსა და სოციოლექტს შორის. მიუხედავად ამისა ზოგჯერ ისინი სინონიმებადაც კი გამოიყენება. ძირითადი სხვაობა ის არის, რომ სოციალურ დიალექტებში იგულისხმება არასტანდარტული, სალიტერატურო ენაში ჯერ კიდევ დაუმკვიდრებელი სიტყვები და გამოთქმები, ხოლო სოციოლექტი სხვადასხვა დარგის ტექნოლექტებსაც აერთიანებს.

რა ადგილი უჭირავს სოციოლექტებს საერთო სალიტერატურო ენასთან მიმართებით?

სოციოლექტის განმარტებიდან გამომდინარე, სოციოლექტთა უმეტესობა ამა თუ იმ სოციალური ჯგუფის კუთვნილი სიტყვებია: ჟარგონიზმები, არგოტიზმები, სლენგი, პროფესიონალიზმები. ამათ გარდა სოციოლექტებში ერთიანდება ტექნოლექტებიც (ტექნოლექტი – ამა თუ იმ დარგისათვის დამახასიათებელი სპეციალიზებული ტერმინოლოგიური ლექსიკა) და ზოგჯერ დარგობრივი ლექსიკაც.

რა ადგილი უჭირავს სოციოლექტებს საერთო-სალიტერატურო ენასთან მიმართებით? ალბათ, არასწორი იქნებოდა სოციოლექტების ავტონომიურად და იზოლირებულად მიჩნევა საერთო სალიტერატურო ენის ლექსიკისაგან. იგი უფრო სალიტერატურო ენის ქვესისტემას წარმოადგენს, რადგან თვითონაც სარგებლობს სალიტერატურო ენის ლექსიკით და თავადაც ასაზრდოებს საერთო ლექსიკურ ფონდს.

ამა თუ იმ სოციალური წრის წარმომადგენელთა მეტყველებაში დამოწმებული ტერმინები, რომლებსაც მიუხედავად გავრცელებულობისა, ჯერ კიდევ არ მოუპოვებიათ ოფიციალური სტატუსი, სოციოლექტთა ჯგუფში უნდა გავაერთიანოთ. ასეთებია, უმეტესად, თანამედროვე ტექნოლოგიებთან, პოლიტიკოსებთან, ჟურნალისტებთან გავრცელებული ტერმინები. თანამედროვე ქართულში ხდება უცხოური ტერმინოლოგიის მოჭარბება იმ შემთხვევაშიც, როცა გვაქვს შესაბამისი ქართული ტერმინები. ხდება ახალი უცხოური ტერმინების უაპელაციო გადმოტანა – ქართული ენის ბუნების გაუთვალისწინებლად (გოგოლაშვილი, 2009, 92). ეს იმის მაჩვენებელია, რომ ასეთ ტერმინებს ჯერ კიდევ მოუწევთ გადახედვა, გაქართულება და სხვა. არ არის გამორიცხული ზოგი მათგანი კიდეც დამკვიდრდეს, მაგრამ ჯერჯერობით ოფიციალური სტატუსი არ მოუპოვებიათ. ამიტომ სოციოლექტები კეთენ როგორც დიალექტურ ლექსიკას (როგორც ტერიტორიულს, ასევე სოციალურს), ასევე სალიტერატუროს (ტერმინოლოგიას).

სოციოლექტები ხშირად კარგავენ ვიწრო ჯგუფურის კუთვნილებას და საერთო სალიტერატურო ფონდში გადადიან.

მაგალითად, დამნაშავეთა მეტყველებაში გავრცელებული არგოტიზმები *კანონიერი ქურდი, ქურდული სამყარო*, თანდათან გავრცელდა სხვადასხვა ჯგუფში, ე. ი. იქცა ჟარგონად, საიდა-

ნაც სლენგის გავლით სალიტერატურო ენაშიც კი შეაღწია. ეს სიტყვები ჩვეულებრივ, არგოტული და ჟარგონული მნიშვნელობით, რა თქმა უნდა, არცერთ ლექსიკონში არ იყო დადასტურებული. 2007 წლის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში კი ეს ლექსიკური ერთეულები უკვე იურიდიული ტერმინებია:

"მუხლი 223 (1) ქურდული სამყაროს წევრობა, კანონიერი ქურდობა

1. *ქურდული სამყაროს წევრობა,-*

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან რვა წლამდე, ჯარიმით ან უამისოდ.

2. *კანონიერი ქურდობა,-*

ისჯება თავისუფლების აღკვეთით შვიდიდან ათ წლამდე, ჯარიმით ან უამისოდ.

(საქართველოს 2005 წლის 20 დეკემბრის კანონი №2355 – სსმ I, 2005წ., №57, მუხ. 439; საქართველოს 2006 წლის 28 აპრილის კანონი №2937 – სსმ I, 2006წ., №14, მუხ. 90).

ეს არის ერთ-ერთი ნიმუში იმისა, თუ როგორ შედის და მკვიდრდება არგოტიზმი, ჟარგონიზმი და სლენგური ლექსიკა სალიტერატურო (ამ შემთხვევაში იურიდიულ ტერმინოლოგიაში) ენაში. აქვე შეიძლება დავასახელოთ უამრავი პოლიტიკური, ეკონომიკური, კომპიუტერული და სხვა სოციოლექტიზმი, რომლებიც თანამედროვე ქართულში ოფიციალურ ტერმინებად იქცნენ.

ზოგი სოციოლექტიზმი თავისი ფორმალური სტრუქტურით არ განსხვავდება ბუნებრივი ენის სხვა დანარჩენი ლექსიკური ერთეულებისაგან. ამიტომ ერთი და იგივე ლექსიკური ერთეული შეიძლება ენაში არსებობდეს როგორც სოციოლექტი და როგორც ჩვეულებრივი სიტყვა. მაგალითად, *კერავს, ლიმონი, ასწორებს, ტეხავს...*

სოციოლექტებში შემავალ ერთეულთა დეფინიციისათვის

სოციოლექტი მოიცავს ისეთ ლექტებს, როგორებიცაა, ჟარგონი, არგო, სლენგი, პროფესიული ენები, დარგობრივი ლექსიკა და სხვა.

მიუხედავად იმისა, რომ არც ერთი მათგანი ენის ისტორიაში ახალი მოვლენა არ არის და საკმაო რაოდენობის სამეცნიერო კვლევაც არსებობს, ერთიანი, საყოველთაოდ მიღებული განმარტება ამ ერთეულებისა მაინც არა გვაქვს. ისინი წარმოადგენენ სხვადასხვა დისციპლინის შესწავლის ობიექტს და ყოველი დარგი ისწრაფის გამოყოს მასში მისი თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ნიშნები, თუმცა ისიც გასათვალისწინებელია, რომ მრავალასპექტიანი ობიექტის ერთ განსაზღვრაში გაერთიანება პრინციპულად მიუღებელი და ლოგიკურად გაუმართლებელია.

ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში დღესაც გაურკვეველია ტერმინი ჟარგონი, არგო, სლენგი, პროფესიონალიზმი მხოლოდ ნეგატიური "ენის" აღსანიშნავად უნდა გამოვიყენოთ, თუ ნეიტრალური, სპეციალური, პროფესიული ლექსიკური ერთეულებიც უნდა გავაერთიანოთ ამ ცნებების ქვეშ. დაუდგენელია საზღვრებიც ამ ერთეულებს შორის. ამიტომ სოციოლექტების პრობლემატიკის კვლევა, პირველ რიგში, სწორედ მასში შემავალ ერთეულთა დეფინიციის გარკვევას გულისხმობს.

ჟარგონის დეფინიციისათვის

სოციოლექტებში შემავალ ერთეულთა შორის ჟარგონს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. ეს ტერმინი დამნაშავეთა სამყაროს წარმომადგენელთა მეტყველების აღსანიშნავად პირველად გეხვდება საფრანგეთში XIII-XIV საუკუნეებში: ფრ. jargon, პროვ. gergon (XIII ს.), იტ. gergone (XIV ს.), gergo (XVI ს.) და სხვა.

საბჭოთა ენათმეცნიერებაში ჟარგონი უმეტესად ნეგატიურ მოვლენად განიხილებოდა. ტერმინები "ჟარგონი," არგო", "სლენგი", "პროფესიონალიზმი", "ანტიენა" ხშირად არ იყო გამიჯნული და თითოეული მათგანის დეფინიცია ზოგჯერ ემთხვეოდა ერთმანეთს (იხ.: ჩიქობავა, 1952, 68; ჯორბენაძე, 1989; ოჟეგოვი, 1991; ახმანოვა, 1966; კასატკინი, 1991, ფილინი, 1979, 82). შესამჩნევია ისიც, რომ საფრანგეთში ტერმინი არგო უფროა გავრცელებული

და არგოს განმარტებაში ჟარგონის ელემენტებიც ჩართულია, ამერიკაში – სლენგი უფრო ფართო გავრცელებისაა, რუსეთსა და საქართველოში – ჟარგონი და ა. შ.

საილუსტრაციოდ შეიძლება მოვიტანოთ იმ პერიოდში გამოცემული ლიტერატურიდან რამდენიმე განმარტება ამ ერთეულისა. მაგალითად, არნოლდ ჩიქობავა ჟარგონს აშკარად ნეგატიურ მოვლენად მიიჩნევს: "ჟარგონი – ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით ესაა ქურდების, პროფესიული მათხოვრების, მოხეტიალე მეწვრილმანეთა პირობითი „ენა" (ფრანგ. argot „ქურდების ენა", ფრანგ. jargon „დამახინჯებული ენა"). ამდენად ჟარგონი თავდაპირველად ქურდებისა და წვრილი მეწარმეების ენას ეწოდებოდა" (ჩიქობავა, 1952, 68).

ასევე, ბესარიონ ჯორბენაძის "ქართული დიალექტოლოგიის" პირველ ნაწილში, სადაც სოციალურ დიალექტებზე საკმაოდ საფუძვლიანი მსჯელობა არის მოცემული, ჟარგონი განმარტებულია, როგორც არგო: ცალკეული სოციალური ჯგუფის, პროფესიული წრის თავისებური მეტყველება, რომლის სიტყვები და გამოთქმები გასაგებია მხოლოდ სათანადო კოლექტივისათვის. მათ შორის სხვაობა ის არის, რომ არგოსაგან განსხვავებით, ჟარგონი დამამცირებელ, ათვალისწუნების (პეიორატულ) მომენტსაც შეიცავს. ამგვარი დაპირისპირება რეალური ეითარებითაა გამართლებული. საქმე იმაშია, რომ სხვებისათვის გაუგებარი მეტყველება აქვთ, როგორც ზოგი ხელობის წარმომადგენელს, ასევე იმათაც, რომელნიც მართლმსაჯულების ხელში ჩავარდნას უფრთხიან. მათი მეტყველების სხვადასხვაგვარად აღნიშნა ეთიკურადაც გამართლებულია და ენობრივადაც (ჯორბენაძე, 1989).

ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში ჟარგონისა და არგოს განმასხვავებელი ზოგიერთი ნიშანი შემჩნეულია, თუმცა აქაც, ძირითადად, იგივე უზუსტობები გვხვდება, რაც საბჭოთა საენათმეცნიერო ლიტერატურაში იყო გავრცელებული. ტერმინი "სლენგი" საერთოდ არ არის გამოყოფილი და შენიშნული. ამ ერთეულის განმარტება ქართულში მხოლოდ გასული საუკუნის 90-იანი წლების შემდეგ ჩნდება.

ჟარგონი – 1.ეიწრო სოციალური ჯგუფის (მოსწავლეების, სამხედრო პირებისა და სხვა.) მეტყველება. საერთო ენისაგან განსხვავებულია მხოლოდ ლექსიკით. მაგალითად, ქართველ მოსწავლეთა თანამედროვე ჟარგონს მიეკუთვნება ***ხურავს*** – ყველას სჯობს და სხვა. ჟარგონს არ ახასიათებს ზუსტი ტერმინოლოგია (ამით განსხვავდება პროფესიული ენისაგან) და არ არის საიდუმლო ენა ქურდული არგოსაგან განსხვავებით. 2. ნაირენო-

ვანი მოსახლეობის საერთო მეტყველება (ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 8. 244).

საბჭოთა პერიოდის რუსულ გამოცემებში, ჟარგონის დეფინიციებში, ძირითადად, ნეგატიურ მხარეებსაა ხაზგასმა. თუ განმარტება შედარებით ნეიტრალურია, მაშინ მაგალითების მიხედვით ეხვდებით, რომ აქაც მხოლოდ ქურდების, ვაჭრების ენაზეა საუბარი და სხვა მხარე დარჩდილულია. მაგალითისათვის მოვიშველიებთ ოჟეგოვის რუსული ენის ლექსიკონს, ახმანოვას ლინგვისტური ტერმინების ლექსიკონსა და რუსულ უცხო სიტყვათა ლექსიკონს:

ჟარგონი – სოციალური ან საერთო ინტერესებით დაკავშირებული ჯგუფის მეტყველება, რომელიც საერთო ენისაგან განსხვავებით შეიცავს ხელოვნურ, ზოგჯერ პირობით სიტყვებსა და გამოთქმებს, რომელიც აირეკლავს მოცემული ჯგუფის გემოვნებასა და მოთხოვნილებებს. მაგ ვაჭრების ჟარგონი, ქურდული ჟარგონი (ოჟეგოვი, 1991, 184).

ლ. კასატკინთან, შეიძლება ითქვას, საკმაოდ სრულყოფილია განმარტება ჟარგონისა, მაგრამ აქ აშკარად დარღვეულია საზღვრები ჟარგონს, არგოსა და სლენგს შორის და ყველა ეს ცნება ერთი ტერმინის ქვეშაა გაერთიანებული: ჟარგონიზმი არის სიტყვა და გამონათქვამი, რომელიც ლიტერატურული ნორმების გარეთ დგას და მიეკუთვნება რომელიმე ჟარგონს – ენის სოციალურ ნაირსახეობას, რომლებსაც გამოიყენებს ადამიანთა ჯგუფი გაერთიანებული საერთო ინტერესებით, ჩვეულებებით, საქმიანობით და ა. შ. ჯგუფური და კორპორაციული, სტუდენტების, სპორტსმენების, ჯარისკაცების და სხვათა კოლექტივებისთვის დამახასიათებელი ნიშანია სწრაფვა მისცენ ყველასათვის გასაგებ ცნებას ახალი ექსპრესიული აღნიშვნა – *(თავი) – საზამთრო, გლობუსი, ქვაბი.*

ჟარგონი – წვრილი ვაჭრების, მოხეტიალე ხელოსნების პირობითი ენა, რომელიც ძალიან გაერცელებული იყო, პრაქტიკულად აღარ იხმარება.

ქურდების, გამსაღებლების ჟარგონის ძირითადი ფუნქციაა – კონსპირატიულობა, ამასთანავე ჟარგონი არის ერთ-ერთი საშუალება ამოიცნო „საკუთარი" კაცი: *დათვი – კარადა, რომელიც არ იწვის, სეიფი.*

პროფესიონალური ჟარგონიზმები – არის არაოფიციალური დასახელებანი, რომლებიც ზეპირსიტყვიერებაშია დაფუძნებული რომელიმე პროფესიის წარმომადგენლებისათვის (კასატკინი, 1991, 10).

ისევე როგორც საბჭოთა პერიოდის სხვა საენათმეცნიერო ლიტერატურაში, ფ. ფილინის საერთო რედაქციით გამოსულ რუსული ენის ენციკლოპედიაში მოცემულ ჟარგონის განმარტებაშიც რამდენიმე უზუსტობაა. ამ განმარტების თანახმად, ჟარგონი არის ენის სოციალური ნაირსახეობა, რომელიც ხასიათდება პროფესიული ლექსიკითა და საერთო-სახალხო ენის ფრაზეოლოგიით. იგი არის კუთვნილება სოციალური, პროფესიული, საერთო ინტერესებით, საქმიანობით, ჩვეულებით გაერთიანებული ადამიანთა ჯგუფისა. არაზუსტი ტერმინოლოგიური მნიშვნელობით ჟარგონი იხმარება დამახინჯებული, ეულგარული ენის აღსანიშნავად. არგოსაგან განსხვავებით იგი თითქოს გვერდით დგას საერთო სალიტერატურო ენიდან და წარმოადგენს სოციალური დიალექტის ერთ-ერთ საფეხურს. ტერიტორიული დიალექტისაგან განსხვავებით არა აქვს საკუთარი ფონეტიკური და გრამატიკული სისტემა. ჟარგონული ლექსიკა იქმნება სალიტერატურო ენის საფუძველზე მეტაფორიზაციის, ბგერათა დამახინჯების მეშვეობით. ჟარგონში ჩართულია არგოს ნაწილი, ე. ი. პროფესიული ლექსიკა და საერთო სახალხო ლექსიკონი. სხვადასხვა ჟარგონის ლექსიკა შეიძლება ნაწილობრივ დაემთხვეს ერთმანეთს და შექმნას ე. წ. ინტერჟარგონი (ფილინი, 1979, 82).

როგორც ვხედავთ, ამ განმარტებაშიც ჟარგონის, არგოსა და სლენგის ძირითადი განმასხვავებელი ნიშნები არ არის გამიჯნული.

შედარებით წინგადადგმულ ნაბიჯად შეიძლება ჩაითვალოს ე. ბონდალეტოვის განმარტება: ჟარგონი არის მოცემული სოციალური ჯგუფისადმი კუთვნილების სიმბოლოც, მისი თავისებური ენობრივი არსებობის მაჩვენებელიც და მისი სუბკულტურის ლინგვისტური გამოელინებაც. როგორც ენის არსებობის ფორმის ნაირსახეობა, ჟარგონი ყოველთვის მეორადია, მისი გამოყენება ფაკულტატიურია (ბონდალეტოვი, 1987, 72). ამ განმარტების ძირითად ნაკლად მისი გამოყენების ფაკულტატიურობა უნდა ჩაითვალოს, რადგან ზოგიერთი ჯგუფის წარმომადგენელთათვის, ის კომუნიკაციის ერთადერთი საშუალებაა.

ლინგვისტურ ენციკლოპედიურ ლექსიკონში, რომელიც 1990 წელს გამოიცა, უკვე იგრძნობა ეპოქალური ცვლილებები და აქ ძალიან კარგად არის დანახული ერთი მნიშვნელოვანი მხარე. არგოს განმასხვავებლად ჟარგონთან მიმართებაში მიჩნეულია, რომ არგო იხმარება კომუნიკაციის საგნის დაფარვის მიზნით. ხოლო ჟარგონის განმარტებაში პროფესიული ჟარგონის ელემენტებიც გამოჩნდა: ჟარგონი მეტყველების სახესხვაობა, რომელიც

ძირითადად გამოიყენება ცალკეული შედარებით მყარი სოციალური ჯგუფის ფარგლებში ურთიერთობაში, ამ ჯგუფში კი ადამიანები შეიძლება გაერთიანებული იყვნენ პროფესიის (პროგრამისტების ჟარგონი), საზოგადოებრივი მდგომარეობის (მე-19 საუკუნის რუსული თავადაზნაურობის ჟარგონი), ინტერესების (ფილატელისტების ჟარგონი), ან ასაკის მიხედვით (ახალგაზრდული ჟარგონი). ამავე გვერდზე შენიშნულია, რომ ტერმინ „ჟარგონის" სანაცვლოდ ზოგჯერ იყენებენ ტერმინებს „არგო" და „სლენგი" (ლინგვისტური ენციკლოპედიური ლექსიკონი, 1990, 151).

ნეიტრალური და საბჭოური შაბლონისაგან გათავისუფლებულია 2003 წელს თ. გამყრელიძის "თეორიული ენათმეცნიერების კურსში" მოცემული განმარტება: "ჟარგონი ეწოდება ფარგლებას, რომელიც იხმარება შედარებით მყარი სოციალური ჯგუფის წევრებს შორის ურთიერთობის დროს და რომელსაც ახასიათებს თავისებურებები სიტყვაწარმოებაში, ლექსიკასა და ფრაზეოლოგიაში. ჟარგონი ჩნდება ერთნაირი სოციალური მდგომარეობის, ინტერესების ასაკის, პროფესიის მქონე პირთა ჯგუფში; მისი ხმარებისას აქცენტი კეთდება მოცემული ჯგუფის წევრობაზე. ეს არის გარკვეული ეტალონისადმი მიბაძვა" (გამყრელიძე, 2003, 383).

აღსანიშნავია ისიც, რომ ნეგატიური განმარტებები გვხვდება ზოგ სახელმძღვანელოებულ ლიტერატურაშიც, ანუ აქაც, წინა ხანებში წამოწეულია იმ ჯგუფთა მეტყველებაში გაერცელებული ჟარგონიზმები, რომლებიც საზოგადოებისათვის მიუღებელია. უფრო მეტიც, უმეტესად ამ ჯგუფებში შემავალი ერთეულები მხოლოდ ავსიტყვაობასთანაა გაიგივებული. ავსიტყვაობა ერთერთი ყველაზე ფართოდ გავრცელებული სენია. ცნობილი ინგლისელი ჟურნალისტის – ჯ. ბლეიკის აზრით, ავსიტყვაობა იმ მცენარეს ჰგავს, რომელიც სარეველასავით ედება მშვენიერ ბაღს. ავსიტყვაობა, ანუ "Bed Language" იმ სიტყვათა კრებულს აერთიანებს საკუთარ თავში როგორიცაა: ტაბუირებული სიტყვები, ვულგარიზმები, ჟარგონები, ვერბალური წყველა-კრულვის მაგალითები; ანუ ეს ის სიტყვები და სიტყვაკომბინაციებია, რომლებიც ერთი შეხედვით მიუღებელია საზოგადოებისათვის და არასასიამოვნოა ყურისთვის (ფრომკინი, 1988).

მხოლოდ უარყოფითის სანვენებლად მაიკლ ჰოლიდეიმ შემოიღო ტერმინი ანტიენა: "ტერმინი შექმნილია იმ ენის ნაირსახეობის აღსანიშნავად, რომელსედაც საუბრობენ ძალაუფლების არმქონე განაპირა ჯგუფები განსაკუთრებულ შემთხვევაში, გამოსწორებული იმისათვის, რომ ენა გაუგებარი გახდეს მოსაუბრეე-

ბისათვის, ანტიენას ძირითადად იყენებენ დამნაშავეები, ნარკომანები, სკოლის მოსწავლეები, ჰომოსექსუალისტები და ბოშები. ექსკლუზიურობა მიიღწევა სლენგური ლექსიკონის გამოყენებით, რომელიც ზოგჯერ ცნობილია. როგორც არგოტი, ის უცნობია საზოგადოების სხვა ჯგუფებისათვის და შეიცავს სხვა ენებიდან ნასესხებ ლექსიკას. ანტიენების ევროპული მაგალითებია პოლარი და ანგლორომანი. ზოგიერთი მათგანი ეყრდნობა ფონოლოგიურ ან სხვა ენის დამახინჯებულ პროცესებს, რომელთა მიზანია ენა გაუგებარი გახადოს.

არგოტი – ტერმინი გამოიყენება, რათა გამოხატოს ანტიენის ნაირსახეობა, რომლის სლენგური ლექსიკა ასოცირდება კრიმინალურ დაჯგუფებებთან.

უკუსლენგი – ანტიენის ფორმა, რომელშიც სიტყვები განზრახ გამოითქმის უკუღმა. მაგ. kool tou! _ Look out! ბრიტანული სლენგური სიტყვა yob „უხეში მამაკაცი" თავდაპირველად წარმოადგენდა უკუსლენგს „boy"-დან (თრაჯილი, 2003).

საქართველოში სოციალური დიალექტებისადმი ყურადღების გამახვილება დაახლოებით გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან იწყება: ამიტომ XX საუკუნის ბოლოსა და XXI დასაწყისში გამოსულ სახელმძღვანელოებში ამ ელემენტებს შედარებით დიდი ადგილი უჭირავთ, მაგრამ ტერმინოლოგიის გამოყენების მიხედვითაც კი ეხვდებით ავტორი რომელი ქვეყნის ლიტერატურას ეყრდნობა: ფრანგულს, გერმანულს, ინგლისურს, რუსულს და ა. შ.

ასევე გაუმიჯნავია ერთმანეთისაგან ჟარგონისა და არგოს ნიშნები ფრანგულ ლექსიკონებში: ჟარგონი: 1) გაუგებარი მეტყველება; ერთი ხელობის, ერთი საქმიანობის მქონე ადამიანთათვის დამახასიათებელი განსაკუთრებული ლექსიკა, რომელსაც სხვები ძლივს ან ვერ გებულობენ. ფილოსოფოსთა, მედიკოსთა ჟარგონები; 2) მეტყველება, ენა რომლითაც რომელიმე სოციალური ჯგუფი საუბრობს გარკვეული სახეცვლილებით, რაც იმ მიზესითაა გამოწვეული, რომ სხვებმა ვერ გაიგონ ან გამოირჩეოდნენ სხვათაგან. 3) ძველი გასკონური სიტყვიდან gargon – რაც ნიშნავს – გაუგებარ ენას (აშეტი, 1994).

დეფორმირებული, ნაკლებგასაგები ენა, იგივე baraguin, charabia (ბარაგუინი, შარაბია); პატარა ბავშვის ჟარგონი; 2) ცალკეულ ადამიანთა ჯგუფისათვის დამახასიათებელი ენა, რომელსაც სხვები გაუგებარს და რთულს უწოდებენ. სპორტული ჟარგონი, სარეკლამო ჟარგონი (ლარუსი, 1994).

ნეგატიურ მოვლენად არ შეიძლება ჩავთვალოთ პროფესიული ჟარგონი, რომელიც ოფიციალური ტერმინების დუბლეტებია. ამ შემთხვევაში პროფესიული ჟარგონი და ტერმინი ძალიან გავს ერთმანეთს. მთავარი განსხვავება ის არის რომ ტერმინი ნეიტრალურია, ხოლო ჟარგონი პირიქით, ემოციურ-ექსპრესიული და ეკონომიური.

სოციალური დიალექტი განიმარტება როგორც ამა თუ იმ საზოგადოებრივი ფენისათვის ნიშანდობლივი სუბვარიანტი (ქვევარიანტი, ნაირსახეობა) მეტყველებისა, შეპირობებული სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური, რწმენითი ფაქტორებით ანუ ამა თუ იმ სოციალური ფენის მსოფლგაგებითა და სულისკვეთებით (მაკდევიდი, 1975). აქედან გამომდინარე, რა თქმა უნდა, მასში გაერთიანებულ ერთეულებს საერთოც ექნებათ, მაგრამ ამასთანავე განსხვავებაც თვალნათლივ უნდა ჩანდეს განმარტებებში. ე. ი. საზღვრები თითოეული ცნებისა ზუსტად უნდა იყოს დაცული. ასეთად შეიძლება ჩაითვალოს რამდენიმე განმარტება რომლებიც დაფიქსირებულია შედარებით ბოლოდროინდელ გამოცემებში.

ჟარგონი 1) ენის ფორმა, რომელიც აღმოცენდა ენობრივი კონტაქტის სიტუაციაში, როგორც ენის გატეხვის შედეგი, მაგრამ რომელმაც ჯერ ვერ განიცადა სტაბილიზაცია, ფიქსირება ან სხვა რაიმე ოფიციალური ფორმა, თუნდაც არაფორმალური კოდიფიკაცია ასეთი გავრცელებული ენის ნაირსახეობები აგრეთვე ცნობილია როგორც გატეხილი ენის წინა სტადიის ფორმები. 2) არატექნიკური ტერმინი, რომელიც განსაზღვრავს აუტსაიდერების განსაკუთრებულ მოქმედებასთან ასოციაციას, რომელშიც თვით აუტსაიდერები მონაწილეობას არ იღებენ. ამ ტერმინის გამოყენება გამოხატავს ფაქტს, რომ ჩანაწერის ლექსიკა არის რთული და გაუგებარი. მაგალითად, კანონის ჩანაწერი შეიძლება ჩაითვალოს „იურიდიულ ჟარგონად" არაიურისტების მიერ (თრაჯილი, 2003).

ჟარგონი – ტერმინი ჟარგონი გულისხმობს მეტყველების ნაირსახეობას მინიმალური ლინგვისტური სისტემით და დიდი ინდივიდუალური ვარირებით, რომელიც გამოიყენება კომუნიკაციისთვის კონკრეტულ სიტუაციებში სხვადასხვა ენის მოლაპარაკეთა შორის (რომეინი, 1994).

ეროის მხრივ, არსებულის შეჯამება, მეორეს მხრივ, ჩვენ მიერ მოპოვებული ემპირიული მასალის ანალიზი გვაძლევს შესაძლებლობას რომ ჩამოვაყალიბოთ ჟარგონისათვის დამახასიათებელი არსებითი ნიშნები:

ჟარგონი არის სოციალურად შეპირობებული ნაირსახეობა ნაციონალური ენისა, მინიმალური ლინგვისტური სისტემით. ჟარგონი გავრცელებულია რომელიმე სოციალურ, პროფესიულ, ასაკობრივ ან საერთო ინტერესებით, ჩვეულებით, საქმიანობით, სოციალური მდგომარეობით გაერთიანებულ ჯგუფებში. მას ახასიათებს ინდივიდუალური ვარირება და გამოიყენება კომუნიკაციისთვის კონკრეტულ სიტუაციებში. გამოირჩევა ლექსიკით, ფრაზეოლოგიითა და სიტყვაწარმოებით. ახასიათებს ლექსიკური და სტილისტური კონოტაცია, დამახასიათებელია მეტაფორული გადააზრება, სიტყვათა სესხება ერთდროულად რამდენიმე ენიდან, რომელიც აირეკლავს მოცემული ჯგუფის გემოვნებასა და მოთხოვნილებებს. ჟარგონის გამოყენებით ესწრაფვიან მისცენ ყველასათვის გასაგებ ცნებას ახალი ექსპრესიული აღნიშვნა, რაც არის პირობა ხშირი ცვალებადობისა. ჟარგონით მხოლოდ ნეგატიური ლექსიკა არ აღინიშნება. მაგალითად, პროფესიონალური დარგის წარმომადგენლების ჟარგონიზმები – არის არაოფიციალური დასახელებანი, რომლებიც სპეირსიტყვიერებაში დაფუძნებულია რომელიმე პროფესიის წარმომადგენლებისათვის.

მოკლე დეფინიცია ჟარგონისა შეიძლება ასე ჩამოვაყალიბოთ: ჟარგონი არის სოციალურად შეპირობებული ნაირსახეობა ნაციონალური ენისა, მინიმალური ლინგვისტური სისტემით და განსაკუთრებული ლექსიკით, რომელიც გამოირჩევა ემოციურ-ექსპრესიულობით, ეკონომიურობითა და სპეციფიკური კონოტაციით.

არგოს დეფინიციისათვის

ისევე როგორც ჟარგონი, არგოც სოციოლექტში შემავალი ერთეულია. ეს ტერმინი (Argot) მე-18 საუკუნის საფრანგეთში გაჩნდა კრიმინალური სამყაროს წარმომადგენლების, მათხოვრებისა სხვა მარგინალების მეტყველების აღსანიშნავად და ეტიმოლოგიურად უნდა უკავშირდებოდეს ძველფრანგულ სიტყვას hargoter 'ლანძღვა, ჩხუბი'. რუსი ენათმეცნიერი ე. პოლივანოვი (Е. Д. Поливанов) არგოსათვის დამახასიათებელ საიდუმლოობას 'კრიპტოლალიურ' ფუნქციას უწოდებს. ამ ფუნქციის მქონებლობის გამო იგი ფაქტობრივად კრიპტოლექტს წარმოადგენს.

რაც ითქვა ჟარგონის დეფინიციის პრობლემასთან დაკავშირებით, იგივე შეიძლება გაეიმეოროთ არგოსა და სლენგის შესახებაც. ამიტომ, აქ შემოვიფარგლებით მხოლოდ გაერცელებული დეფინიციების მოხმობითა და მათი ანალიზით.

არნოლდ ჩიქობავასთან ჟარგონისა და არგოს განმარტებები, როგორც ვნახეთ, საერთოდ არ არის გამიჯნული.

ბესარიონ ჯორბენაძესთან სხვაობა ის არის, რომ არგოსაგან განსხვავებით, ჟარგონი დამამცირებელ, ათვალისწუნების (პეიორატულ) მომენტსაც შეიცავს.

ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის მიხედვით "არგოტიზმი არის არგოსათვის დამახასიათებელი სიტყვები და გამოთქმები საერთო-სახალხო ან სალიტერატურო ენაში. არგოს საშუალებით ლიტერატურული ნაწარმოების ენას შესაბამისი სტილური ელფერი ეძლევა, რომელიც უმეტესად პერსონაჟთა მეტყველებაში გვხვდება". აქ, როგორც ვხედავთ, საერთოდ შეუსაბამო განმარტებაა არგოსი. თუ ჟარგონი მეტ-ნაკლებად, ხარვეზებით იყო განმარტებული ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში, არგოს შესახებ ეს მცირე მინიშნებებიც კი არ არის მოცემული.

რუსულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში განსხვავებული მდგომარეობაა, თუმცა სასღვრების დარღვევის შემთხვევები აქაც მრავლადაა. მაგალითად, ახმანოვა განმარტავს:

არგო – იგივე რაც ჟარგონი, მათგან განსხვავებით აკლია პეიორატიული, დასამდაბლებელი მნიშვნელობები. არგო არტისტული, სამხედრო არგო, ქურდული, ყომარბაზთა, პროფესიული, სასკოლო, სპორტული (ახმანოვა, 1966).

არგო – პირობითი გამოთქმები ან სიტყვები, რომლებიც გამოიყენება რომელიმე განცალკევებული ან პროფესიული ჯგუფის ან გუნდის მიერ (ოჟეგოვი, 1991).

არგო – გარკვეული სოციალურად ჩაკეტილი ჯგუფის მეტყველება. მაგ. ქურდული არგო, სასკოლო არგო დ სხვა (უცხო სიტყვათა ლექსიკონი, 2004, 50).

განსაკუთრებით კარგად აქვს არგოს დამახასიათებელი ნიშნები გამოყოფილი ვ. ბონდალეტოვს: არგო – პირობითი ენობრივი ლექსიკური სისტემებია, რომლებიც განკუთვნილია უპირატესად კონსპირაციული (ეზოთერული, კრიპტოფორული) ფუნქციისათვის. მოთხოვნილება გამოიყენო საიდუმლო, საქმეში ჩაუხედავი პირთათვის გაუგებარი ენა (ან თუნდაც ასეთი ენის მსგავსება) უჩნდება სოციალურ ჯგუფებს, რომლებიც ცდილობენ შეგნებულად განაცალკევონ საკუთარი თავი „სხვებისაგან", საზოგადოების ძირითადი ნაწილისაგან" (ბონდალეტოვი, 1987, 72).

იგივე თვალსაზრისია გატარებული რუსულ ლინგვისტურ ენციკლოპედიურ ლექსიკონში: არგო – რომელიმე შეზღუდული პროფესიული ან სოციალური ჯგუფის განსაკუთრებული ენა, რომელიც შედგება ერთი ან რამდენიმე ბუნებრივი ენის ნებისმიე-

რად შერჩეული სახეცვლილი ელემენტებისაგან. არგო, როგორც წესი, იხმარება კომუნიკაციის საგნის დაფარვის მიზნით, ისევე როგორც ჯგუფის განკერძოების საშუალება სასოგადოების დანარჩენი ნაწილისაგან. ტერმინი „არგო" უფრო ხშირად გამოიყენება ვიწრო მნიშვნელობით, და აღნიშნავს დეკლარირებული ელემენტების ურთიერთობის საშუალებას, რომელიც გავრცელებულია დამნაშავეთა სამყაროს გარემოში (ქურდული არგო) (ლინგვისტური ენციკლოპედიური ლექსიკონი, 1990, 43).

სასღვარგარეთულ გამოცემებშიც მითითებულია არგოს ზოგად ნიშნებზე, თუმცა ფრანგულ გამოცემებში აშკარად იგრძნობა, ტერმინ "არგოს" "ჟარგონის" სინონიმად გამოყენების შემთხვევები. მაგალითად, არგო – სოციალური თუ პროფესიული კატეგორიისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური მეტყველება: ასევე ხელოვანთა, სპორტსმენთა, სკოლათა სპეციფიკური მეტყველება, ბოროტმოქმედთა და დამნაშავეთა მეტყველება (აშეტი, 1994)

არგო – ჩაკეტილი ვიწრო წრის მიერ ფორმირებული ფამილარული და ორიგინალური ენა, რომლის ბევრი სიტყვაც საერთო ენაში გადადის. მაგ. ადგილობრივი არგო, ბოროტმოქმედთა არგო, სამხედრო არგო, სკოლების არგო (ლარუსი, 1993).

არგოტი – სოციალური წრის (ქურდების, ყაჩაღების, მოხეტიალეების) ენა. გერმანულად Rotwelsch, ინგლის. Cant. ისინი ემსახურებიან კომუნიკაციის კოდირებას ფართო მასებისაგან (გლუკი, 2005).

ამრიგად, არგოს განმასხვავებელი, სოციალურ დიალექტებში შემავალ ერთეულთაგან არის კომუნიკაციის საგნის დაფარვა. ე. ი. არგო იქმნება აუცილებლად წინასწარ განსრახული მიზნით, რომ ერთი სოციალური ჯგუფის, ან პროფესიული წრის, მოსაქმეობის, საერთო ინტერესებისა და ა. შ. მქონე პირთა მეტყველება, ან რომელიმე სიტყვა გაუგებარი იყოს სხვებისათვის. ასეთი შეიძლება იყოს რომელიმე პროფესიის წარმომადგენელთა საუბარში დადასტურებული სიტყვებიც. მაგალითად, მედიკოსები სოგჯერ იყენებენ დაავადებათა სახელწოდებების შემოკლებებს ავადმყოფის თანდასწრების დროს, რათა ამ უკანასკნელისათვის გაუგებარი იყოს დაავადების ნამდვილი სახელი. მაგალითად, *კანცერი ან ცეერი,* სიმსივნის აღსანიშნავად. საზოგადოებაში ამ დაავადების სახელწოდებად გავრცელებულია *კიბო.* რაც შეეხება *კანცერს.* იგი უცნობია. მაგრამ ასეთი შემთხვევები არ უნდა აგვერიოს პროფესიულ (ამ შემთხვევაში სამედიცინი) ჟარგონში. ჟარგონს იყენებენ უბრალოდ, ეკონომიისთვის, ემოციურობა-ექ-

სპრესიულობის თვალსაზრისით, ან იმისათვის რომ პაციენტს უბრალოდ გააგებინონ, აუხსნან. მაგალითად, *სისხლის ჩაქცევა – ჰემორაგია, ჩირქგროვა – აფსცესი, თავის ტვინის სისხლის მიმოქცევის მოშლა – ინსულტი* და ა. შ.

არგო ფრანგული სიტყვაა და აქედან გამომდინარე, ეს ტერმინი ფრანგულ ლიტერატურაში სლენგისა და ჟარგონის ნაცვლადაც იხმარება ხშირად. მაგალითად, თანამედროვე ფრანგული არგოს ტიპების დახასიათებისას, ქ. ჯაში გამოყოფს შემდეგ ჯგუფებს:

1. ტრადიციული არგოს გადმონაშთები (ქურდებისა და ბოროტმოქმედთა ენა)
2. ჟარგონები ან არგო, რომელიც დაკავშირებულია სხვადასხვა ხელობასა თუ საქმიანობასთან (პროფესიული არგო)
3. მოდალური კილოკავი, ნეოარგო (ვერლანი, ჟაჟანე)
4. საერთო არგო, რომელიც დაფიქსირებულია ლექსიკონში (სიტყვები, რომლებიც არც პროფესიულ და არც სოციალურ არგოს არ განეკუთვნება) (ჯაში, 1999, 134). წარმოშობით, როგორც თვითონ სიტყვა გვიჩვენებს არგო ქურდების, ბოროტმოქმედების ენაა, რომელსაც ქმნიდნენ კომუნიკაციის საგნის დაფარვის მიზნით. მოგვიანებით, განსაკუთრებით, XX საუკუნის მეორე ნახევრიდან, როდესაც კომუნისტური რეჟიმის წინააღმდეგ განწყობილი საზოგადოების ნაწილი უპირატესობას ე. წ. "ქურდულ წესებს" ანიჭებდა, ეს არგოტული ლექსიკა ნელ-ნელა შემოვიდა და გასაგები გახდა სხვადასხვა ჯგუფებისათვის, ხოლო 80-იანი წლებიდან საერთოდ დაიკარგა კონსპირატიული ფუნქცია და ჟარგონი გახდა, საიდანაც სლენგის გავლით სალიტერატურო ენაშიც კი შეაღწია რამდენიმე მათგანმა.

ნარკომანები ხშირად იყენებენ სპეციალური დანიშნულებით სიტყვებს, რომ პოლიციელმა, ან საზოგადოების სხვა წევრმა ვერ გაიგონ საუბრის ნამდვილი მიზანი. მაგალითად, *წყალი* – ანგიდრიდის ნაცვლად, *თეთრი* – ჰეროინის ნაცვლად, *მანქანები* – ნემსის მაგივრად, *ფრანგული* – სუბუტექსის ნაცვლად და ა. შ.

ასეთი სიტყვის მნიშვნელობა, როგორც კი ფართო ფენისთვის გასაგები გახდება, მაშინვე ცვლიან სხვა სიტყვებით. ზოგჯერ ასეთი არგოტიზმი კიდევ უფრო მცირე ჯგუფშია გავრცელებული, ასე რომ, ზოგიერთი ნარკომანისთვისაც კი გაუგებარია. მაგალითად, *მანქანები* – სამედიცინო ნემსის აღსანიშნად.

ასევე გამოიყოფა არგოტიზმები დამნაშავეთა სამყაროში გაერთიანებულ წევრთა მეტყველებაში. ეს ის სიტყვებია, რომლებსაც კომუნიკაციის საგნის დაფარვის მიზნით ქმნიან. მაგალითად, *დურა, რკინა* – იარაღის ნაცვლად.

არგოს ნიმუშად არ შეიძლება ჩაითვალოს ტაბუირებული სიტყვები, რომლებსაც მონადირეები და მეთევზეები იყენებენ. ტაბუსა და არგოს შორის მნიშვნელოვანი სხვაობაა: არგო კომუნიკაციის საგნის დაფარვის მიზნით იქმნება, ხოლო ტაბუ – ამა თუ იმ სიტყვის აკრძალვაა რისამე საფუძველზე.

არგოა სასკოლო ჟარგონში გავრცელებული სიტყვები, რომლებსაც ქმნიან სპეციალური დანიშნულებით, რომ სხვებისათვის გაუგებარი იყოს. ასეთია ახალგაზრდული ენისათვის დამახასიათებელია სტილი "ვერლანი" ე. ი ენა "პირიქით". ვერლანის ტექნიკა წარმოიშვა ახალგაზრდობის სურვილით შეექმნათ "საიდუმლო" ენა. პრინციპი მარტივია: სიტყვის მარცვლების გადაადგილება: პირველი მარცვალი ხდება ბოლო, ანუ მისი წარმოთქმა პირიქით. საქმე არც ისე მარტივადაა, პრაქტიკულად სიტყვების ამოცნობა ხშირად არათუ ძნელია, არამედ თითქმის შეუძლებელია. მიუხედავად ამისა, დღეს თანამედროვე ფრანგულ ენაში ეს ძალიან მოდური და პოპულარული მოვლენაა.

ვერლანის გამოყენება განპირობებულია იმით, რომ მოსარდებს სურთ ილაპარაკონ ენაზე, რომელიც გაუგებარია გარშემო მყოფთათვის.

არგო არის სოციალურ დიალექტში შემავალი ერთეული, რომლის გავრცელების არე ისე ფართო არ არის, როგორც ჟარგონის. არგო ასრულებს კონსპირატიულ ფუნქციას. არგოს მატარებლები არიან სოციალური ჯგუფის წევრები, რომლებსაც სურთ იზოლაცია სხვა გადაადგილების სხვა წევრთაგან, და ამ მიზნით ქმნიან საიდუმლო ენებს, რომელიც სხვებისათვის გაუგებარი იქნება. ტერმინი არგო გაჩნდა XVIII საუკუნეში საფრანგეთში დამნაშავეების და სხვა მარგინალების ენის აღსანიშნავად. არგო გვხვდება იტალიურ, ესპანურ, პორტუგალიურ ენებში. XX საუკუნეში რუსეთში იკვლევდნენ კრიმინალების არგოს. გამოიყოფა აგრეთვე, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პროფესიული არგო. მაგალითად, ექიმების, იურისტების, სამხედროების, მონადირეების, ციხეებისა და ა. შ.

ამრიგად, არგო არის სოციალურ დიალექტში შემავალი ერთეული, რომლის გავრცელების არე ისე ფართო არ არის, როგორც ჟარგონის. არგო ასრულებს კონსპირატიულ ფუნქციას. არგო არის რომელიმე სოციალურ, პროფესიულ, ასაკობრივ ან

საერთო ინტერესებით, ჩვეულებით, საქმიანობით, სოციალური მდგომარეობით გაერთიანებულ ჯგუფებში გავრცელებული პირობითი ენა, სიტყვა ან გამონათქვამი, რომელიც შედგება ერთი ან რამდენიმე ენის ნებისმიერად შერჩეული სახეცვლილი ელემენტებისაგან (მაგალითად, სპეციალურად შექმნილი "ენა პირიქით". ასევე სიტყვები, რომლებიც მიიღება მარცვლების გადაადგილებით, ჩამატებით. შეიძლება საერთო გავრცელების სიტყვას ჰქონდეს სხვა მნიშვნელობა, რომელიც მხოლოდ მათი ჯგუფისათვის არის გასაგები). იგი იქმნება კონსპირატიული ფუნქციით, კომუნიკაციის საგნის დაფარვის მიზნით და არგოდ რჩება მანამ, სანამ ეს ფუნქცია გააჩნია. სხვა შემთხვევაში იგი გადადის ჟარგონში, სლენგში ან სალიტერატურო ენაში (უფრო ხშირად ტერმინოლოგიაში).

სლენგის დეფინიციისათვის

ტერმინი სლენგი საქართველოში ამ ბოლო წლებში გახდა ცნობილი. ეტიმოლოგიურად მას (slang) ყველაზე ხშირად უკავშირებენ ბოშურ (აწინკნურ) სიტყვას slang 'ენა'. ამასთანავე, ზოგს იგი სკანდინავიური წარმოშობისად მიაჩნია (შდრ. ნორვეგიული slengja kjeften 'სიტყვიერი შეურაცხყოფა', slengjenamn 'მეტსახელი').

საქართველოში ჟარგონი და არგო უფრო ფართოდ იყო გავრცელებული, ვიდრე სლენგი. სამეცნიერო ლიტერატურაში სლენგის დეფინიცია, არგოსა და ჟარგონთან შედარებით უფრო დაზუსტებულია, თუმცა განმარტებებიც ნაკლებია.

სლენგის პირველი დეფინიცია ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში გვხვდება თ. გამყრელიძის "თეორიული ენათმეცნიერების კურსში": "ზოგიერთი სოციალური ჯგუფი, რომელიც ჟარგონს იყენებს, ღიაა და საზოგადოების ორგანულ ნაწილს შეადგენს. ასეთ ჯგუფებში ჟარგონს "კოლექტიური თამაშის" სახე აქვს. მას ზოგჯერ სლენგსაც უწოდებენ (მაგალითად მოსწავლე ახალგაზრდობის სლენგი). ის ექსპრესიულია, ძალიან. არამდგრადია, ექვემდებარება მოდას: ასახავს ფამილიარულ, იუმორისტულ ან ირონიულ, ოდნავ უხეშ დამოკიდებულებას სინამდვილისადმი. იხმარება უშუალო საუბრის დროს, ჩვეულებრივ – საკუთარი განსაკუთრებულობის ხაზგასასმელად. სლენგის ძირითადი თემატიკაა საჭმელ-სასმელი, ფული, ემოციები, ადამიანის ინტელექტუალური შესაძლებლობები, გარეგნობა, სწავლის პროცესი და სხვა" (გამყრელიძე, 2003, 385).

ტრადიციულად გამოიყოფა „საერთო სლენგი“ (general slang), რომელიც ახლოს დგას სასაუბრო ენასთან, და „სპეციალური სლენგი“ (special slang), რომლის ნაირსახეობებიც უფრო პროფესიულ ენებს უახლოვდებიან. მეტაფორიზაციის გ'სით ამაეე ტერმინით აღნიშნავენ ჟარგონს სხვა ენებშიც.

საქართველოში, ალბათ, მართებული არ იქნებოდა სპეციალური სლენგის გამოყოფა, რადგან ყოველი ასეთი შემთხვევა ან პროფესიონალიზმის, ან არგოს კუთვნილება უფროა.

პრაღის ლინგვისტური სკოლის ლექსიკონში აღნიშნულია, რომ სლენგი ილაშქრებს არსებული ენობრივი ნორმების წინააღმდეგ როგორც სოციალური დაქვემდებარების პრინციპული ფორმა. სლენგი განუწვეტლივ ცდილობს ამხილოს ენობრივი ნორმების უსაფუძვლობა და მისი მცდარობა. არგო არ არის "ბუნებრივი ენის" ქვედა შრის სპონტანური ან განზრახული შეღწევა, პირიქით, არგოტიზაცია ბურჟუაზიაში მომდინარეობს ზემოდან – თვით ბურჟუაზიული შრიდან, დაბალი შრის მეტყველება დამახასიათებელია ელიტის წევრებისთვის.

სლენგად მიჩნეულია ლექსიკა, რომელიც ასოცირდება არაფორმალურ ან სასაუბრო სტილთან, მის გამოყენებას განაპირობებს მოდა. სლენგის ზოგიერთი ერთეული შეიძლება გამოიყენებოდეს მხოლოდ დროებით და ამიტომაც ასოცირდება განსაზღვრულ ასაკობრივ ჯგუფთან, თუმცა ზოგჯერ სლენგური სიტყვები და ფრაზები შეიძლება დიდხანს დარჩეს ენაში. სლენგში ხშირად აღმოჩნდება ჟარგონიდან და არგოდან გადასული სიტყვები, რომლებმაც შეიძლება შეიძინოს ოფიციალური სტილისტური სტატუსი. სლენგი არ უნდა აგვერიოს არასტანდარტულ დიალექტთან. სლენგური ლექსიკა მოდის რიგი სხვადასხვა ენიდან.

რით იყო გამოწვეული საქართველოში სლენგის, როგორც მოვლენის უგულებელყოფა? მხოლოდ ეპოქას, რა თქმა უნდა, ვერ დავაბრალებთ, რადგან როგორც აღვნიშნეთ, სოციალური დიალექტები საბჭოთა პერიოდში საერთოდ არ იყო პოპულარული. სლენგი თანამედროვე მსოფლიოსათვის ნიშანდობლივი მოვლენაა, რომლის გაჩენა საქართველოში ბოლოდროინდელმა ეპოქალურმა ცვლილებებმა გამოიწვია.

სლენგი უფრო მოგვაგონებს დაბალი სასაუბრო სტილის ლექსიკას, რომელიც გავრცელებულია რომელიმე პერიოდ'ში და განეკუთვნება ლექსიკურ-ექსპრესიულ ენობრივ ერთეულთა რიცხვს. ის აერთიანებს სხვადასხვა ჟარგონული, არგოტული ჯგუფებიდან უფრო ყართო ჯგუფებში გადასულ სიტყვებს, ასე-

ვე ვულგარიზმებსა და ბარბარიზმებსაც. ბარბარიზმი უცხოური სიტყვაა, რომელიც გამოიყენება რეგულარულად სტილისტური მიზნით "ადგილობრივი კოლორიტის" შესაქმნელად. მის არსებობას განაპირობებს მოდა. შეიძლება შეგვხვდეს ტრანსლიტერაციით, ან უცხოური დაწერილობით (vip). ხოლო ვულგარიზმი არის დაუხვეწელი, ზოგჯერ დაუდევარი, დაბალი სტილის ლექსიკა, რომელიც დაუშვებელია ჩრდილობიან მეტყველებაში. სლენგით საუბარი მოგვაგონებს გარკვეული ეტალონისადმი მიბაძვასაც.

სლენგური ლექსიკა საკმაოდ მრავალრიცხოვანია და უამრავ სემანტიკურ ჯგუფს მოიცავს. თანამედროვე ქართულ სლენგში პირობითად შეიძლება გამოვყოთ შემდეგი თემატიკური ჯგუფები: პოლიტიკა (სამართლითა და ეკონომიკით), კომპიუტერი, საკანცელარიო ლექსიკა, ჟურნალისტიკა, ბიზნესი, საკვები, ტანსაცმელი, მუსიკა, სპორტი და სხვა უფრო მცირე ჯგუფები.

საერთაშორისო ურთიერთობების, ტექნოლოგიური ცივილიზაციის განვითარებამ თანამედროვე ქართული ენის განვითარებას, ერთი მხრივ, ხელი შეუწყო, ხოლო მეორე მხრივ, გარკვეული დაძაბულობაც შესძინა (არაბული, 2003). ამის თქმის საფუძველს იმ სემანტიკური ჯგუფების განხილვა გვაძლევს, რომლებიც თანამედროვე ქართულ სლენგში გამოიყო.

თავდაპირველად პოლიტიკოსთა თუ საქმიან ადამიანთა მეტყველებაში გავრცელებული ესა თუ ის სიტყვა ან ტერმინი, ნელ-ნელა, განსაკუთრებით ჟურნალისტთა დახმარებითა და პროპაგანდით, ყოველდღიურ სალაპარაკო ენაში დამკვიდრდა, საიდანაც ბევრი მათგანი შეიძლება სალიტერატურო ენაშიც კი მოხვდეს. ამით, მართალია, თანამედროვე ქართული გამდიდრდება, მაგრამ თვითონ ამ პროცესს ნამდვილად სჭირდება კონტროლი, რომ ენამ პირიქით, გაღარიბებისა და დანაგვიანების პროცესი აიცილოს თავიდან.

გლობალური პროცესებიდან გამომდინარე, ყველაზე დიდი გავრცელება ტექნიკურმა, პოლიტიკურმა და ბიზნესთან დაკავშირებულმა ლექსიკამ ჰპოვა.

საბოლოოდ შეიძლება დავასკვნათ, რომ ჟარგონი არის სოციალურად შეპირობებული ნაირსახეობა ნაციონალური ენისა, მინიმალური ლინგვისტური სისტემით და განსაკუთრებული ლექსიკით, რომელიც გამოირჩევა ემოციურ-ექსპრესიულობით, ეკონომიურობითა და სპეციფიკური კონოტაციით.

არგოს განმასხვავებელი, სოციალურ დიალექტებში შემავალ ერთეულთაგან არის კომუნიკაციის საგნის დაფარვა.

სლენგად მიჩნეულია ლექსიკა, რომელიც ასოცირდება არაფორმალურ ან სასაუბრო სტილთან, მის გამოყენებას განაპირობებს მოდა.

არგო არის ყველაზე ჩაკეტილი სისტემა, ჟარგონი შედარებით ღია, სლენგი ჟარგონზე ღია და ყველაზე ახლოს მდგომი სალიტერატურო ენასთან, ყველაზე საშიში ენის დაბინძურებისათვის და ყველაზე ღია სალიტერატურო ენაში გადასვლისათვის.

თანამედროვე ქართული სოციოლექტიზმების სტრუქტურა

სოციოლექტიზმების სტრუქტურული ანალიზი

სტრუქტურული ანალიზით სოციოლექტიზმები ორ ჯგუფად იყოფა: პირველ ჯგუფს შეადგენს ყველაზე მინიმალური სტრუქტურული ერთეული – ერთსიტყვიანი სოციოლექტიზმები, რომლებიც თავის მხრივ, შეიძლება იყოს მარტივი, ნაწარმოები, რთული: მაგალითად, *გაშმონა, დააგაზერატა, მოაყომარა, ასწორებს, ტეხავს, ზეხერი, ლიმონი, თეთრი, ხვოსტი, ძონძები, ფრიზტაიმი, ბაზარიეაგ ზალი*.. მათ საწარმოებლად გამოყენებულია თითქმის ყველა სიტყვაწარმოებითი შესაძლებლობა, რაც კი ქართულ ენაში არსებობს და აგრეთვე ამ ფუნქციას ზოგჯერ ასრულებს უცხოური აფიქსებიც. მაგალითად, *შარაფისტი, კუჭისტი, უნალოგო*..

მეორე ჯგუფს შეადგენს შესიტყვებები, ანუ სოციოლექტური გამოთქმები: *კანონიერი ქურდი, კაი ბიჭი, ფანტანმა დაარტყა, ყვირაპი დათვი, ყელის მოკეტვა*.

შესიტყვებები შეიძლება სხვადასხვა ტიპის იყოს:

ა) თავისუფალი ანუ ანალიტიკური, რომლის დაშლა შეიძლება შემადგენელ ნაწილებად. სხვაგვარად მას შეიძლება თავისუფალი შესიტყვება ეწოდოს. ასეთ შესიტყვებაში ცალკეული კომპონენტი დამოუკიდებელი მნიშვნელობის მქონეა და კომბინაციურად სხვადასხვა სიტყვებთან გვხვდება ხოლმე. *ბაითი გაწია // ბანკი გაწია*...

ბ) არათავისუფალი შესიტყვებები, რომელთა წევრების დაცილება არსებითად უკარგავს სოციოლექტს ცნებით შინაარსს: *ბაითი დგას*, მაგრამ არა *ბანკი დგას*...

გ) სინთეზური ანუ იდიომატური, რომლის დაყოფა ცალკეულ ნაწილებად არ შეიძლება: *კაი ბიჭი, კანონიერი ქურდი, ფანტანმა დაარტყა, შავი სამყარო*...

ბუნებრივია, რაც უფრო სხარტი და ლაკონურია სოციოლექტიზმი, მით მეტია მისი ღირებულება. ამ თვალსაზრისით ერთსიტყვიან სოციოლექტიზმებს უპირატესობა ენიჭება, მაგრამ

სინტაქსური საშუალებებით შედგენილ სოციოლექტი'სმებს შინაარსის გამჭირვალობა ახასიათებთ.

აქვე, პირობითად, შეიძლება გამოიყოს მესამე ჯგუფიც, რომელშიც ერთიანდება არა მხოლოდ სიტყვიერი, არამედ სიმბოლოების მეშვეობით ნაწარმოები სოციოლექტი'სმები. მაგალითად, ***შარაფი და ნიშანი ყელზე (თითის მირტყმა).*** მათი დაყოფა ცალკეულ ნაწილებად არ შეიძლება. ამავე ჯგუფში ერთიანდება ჩაცმულობა, ვარცხნილობა და კომპიუტერული სიმბოლოები.

ამგვარად, სულ სოციოლექტი'სმების სამ სტრუქტურულ ჯგუფს გამოვყოფთ: ერთსიტყვიანი, შესიტყვებები და სიმბოლოებით გამოხატული სოციოლექტი'სმები.

რადგან სოციოლექტი'სმები მნიშვნელობის მქონე სიტყვებია, ამიტომ ბუნებრივია, მათ გადმოსაცემად დამოუკიდებელი მნიშვნელობის მქონე მეტყველების ნაწილებია არჩეული. ძირითადად, არსებითი სახელები, ზედსართავი და ზმნები. მაგრამ აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მხოლოდ ლექსიკა სრულად ვერ წარმოაჩენს სიტყვათა სოციოლექტურ ბუნებას. საჭიროა გრამატიკაც, ფორმის გრამატიკული ანალიზიც. რა თქმა უნდა, ფონეტიკური და გრამატიკული სისტემა დიდ სხვაობას არ გვიჩვენებს ქართულ ლინგვისტურ სისტემასთან შედარებით. ეს ბუნებრივიცაა, რადგან ყოველი დიალექტის სისტემა (მათ შორის სოციალურისაც) იმ ენითაა შეპირობებული, რომლის ნაირსახეობასაც წარმოადგენს იგი.

სოციოლექტი'სმების ორთოგრაფია.

სოციოლექტი'სმების ორთოგრაფიის განხილვისას, რა თქმა უნდა, ნასესხები ლექსიკური ერთეულები გვაქვს მხედველობა'ში. ამ შემთხვევა'ში რამდენიმე ვარიანტი შეიძლება გამოვყოთ:

1) ნასესხები სოციოლექტი'სმი ყალიბდება ნიმუშის წარმოთქმის საფუძველზე: imaje – იმიჯი, хвост – ხვოსტი
2) სოციოლექტი'სმის ორთოგრაფია ემთხვევა ეტიმონისას ყოველგვარი ცვლილების გარეშე, monitor – მონიტორი, угонщик – უგონშიკი
3) ნაწილობრივ ემთხვევა წარმოთქმას, ნაწილობრივ – ორთოგრაფიას, overtime – ოვერტაიმი
4) ორთოგრაფია ყალიბდება შუამავალი ენის ზეგავლენით, budget – ბიუჯეტი, киллер – კილერი (აღსანიშნავია, რომ ქუთაისში ხშირად დასტურდება კ-ს გამოყენების შემთხვევა, *კილერი, კლინტონი*..., თბილისში, ასეთ შემთხვევებში,

შუალობითი, კერძოდ, რუსული ენის გავლენა არ იგრძნობა და გვაქვს, *ქილერი, ქლინტონი.* ამიტომ *კილერი* ფორმა, თბილისში პროვინციალიზმად აღიქმება. ისინი უპირატესობას პირდაპირ სესხებას ანიჭებენ).

5) გვაქვს წარმოთქმისა და ორთოგრაფიის ვარიაციულობის შემთხვევებიც, Chat – ჩეტი/ჩატი...

სოციოლექტიზმების ფონოლოგია და ფონეტიკა

დიალექტოლოგიისა და სოციოლინგვისტიკის კრიტერიუმების განხილვისას ბ. ჯორბენაძე აღნიშნავს, რომ "სოციოლინგვისტური კრიტერიუმები საშუალებას გვაძლევენ ავხსნათ იმ რიგის მოვლენები, რომლებიც წმინდა ენათმეცნიერული თვალსაზრისით ვერ განიმარტებიან. მაგალითად, რატომ არის, რომ რბილი ლ-ს წარმოთქმა ფორმებში "პალმა," "პალტო", "რეეოლუცია," საზოგადოების გარკვეულ ფენაში სავსებით დასაშვებად მიიჩნევა (ვინაიდან გამსესხებელი ენის ცოდნასაც მიუთითებს – თ. ლ), მაგრამ აშკარა უარყოფით რეაქციას (გაკილვას, დაცინვას) იწვევს ანალოგიური წარმოთქმა ფორმებში "ტოლმა", "ლტოლვა"? იმიტომ რომ პირველს სოციალური სანქცია აქვს (ამ ფენის წარმომადგენელთათვის ინტუიციურად მისაღებია სხვა ენებიდან ნასესხებ ფორმებთან ერთად შესაბამისი წარმოთქმის სესხებაც), მეორე რიგის ფორმებს კი ასეთი შეფასება არ ეძლევა" (ჯორბენაძე, 1989, 192). მართლაც, ქართულ სოციოლექტებში ძალიან ხშირად დასტურდება რბილი ლ (განსაკუთრებით ახალგაზრდულ ჟარგონში, მედიკოსებთან და საერთოდ, მაღალი სოციალური წრის წარმომადგენელთა მეტყველებაში) და თუ 1989 წელს გამოცემულ სახელმძღვანელოში რბილი ლ-ს ასეთი წარმოთქმა დასაცინი იყო, ახლა უკვე ეს ძალიან გავრცელებული მოვლენაა, და გაკილვას თითქმის არ იწვევს, თუმცა სპეციალისტები ხშირად გვახსენებენ, რომ რბილი ლ ქართულისათვის დამახასიათებელი არ არისო.

დასტურდება ცხვირისმიერი მეტყველების მანერა. ამ პრობლემაზე მიუთითებდა ა. არაბული: "ბოლო დროს ქალაქის ახალგაზრდობაში გამოიკვეთა ერთგვარი ცხვირისმიერი მეტყველების მანერა, რომელიც შესაბამისი ეფექტის განსრახ, სპეციალურად შექმნას გულისხმობს. ამგვარ მეტყველებაში ზოგი სხვა სონორიც კი თითქოს ნ-დ ისმის" (არაბული, 2005).

ქართული თანხმოვნების სამეულთა სისტემაში არსებული მკვეთრი ბგერები ქართული ბგერითი სისტემისათვის სპეციფიკუ-

რი ბგერებია; მათი საარტიკულაციო თავისებურებაა პარალელური ხშვა სახმო სიმების არე'ში. თანამედროვე ენობრივ გარემოცვაში აქტუალურია ამ ბგერათა ხვედრითი წილის შენარჩუნებაზე ზრუნვა. ამიტომაც სპეციალისტები რეკომენდაციას უწევენ ევროპული ენების სათანადო რიგის ბგერების მკვეთრად გადმოტანას (არაბული, 2005, 70). თანამედროვე ქართულ სოციოლექტებში ეს ბგერები, უმეტეს შემთხვევაში, მკვეთრად არ გადმოდის. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქუთაისში უფრო ხშირია მკვეთრი ბგერებით გადმოტანა, ვიდრე თბილისში (შდრ.: ტრილერი // თრილერი; ეკვივალენტი // ექვივალენტი..).

სოციოლექტიზმების უმრავლესობა ნასესხები სიტყვებია. განსაკუთრებით მრავალფეროვანია რუსიციზმებისა და ანგლიციზმების ფონოლოგია, რომელთა წარმოთქმა ყალიბდება ამ ენათა, აგრეთვე მიმღები ენის ფონოლოგიური სისტემების მსგავსება-განსხვავების საფუძველზე.

ნასესხები სოციოლექტიზმების ფონოლოგიაზე დაკვირვება გვიჩვენებს:

1) თუ ორივე ენის წარმოთქმის სისტემას აქვს ერთგვარი ელემენტები, მაშინ ხდება სრული ჩანაცვლება. ამ პროცესს ნულოვანი ტრანსფონემიზაცია ეწოდება, cool – ქული, zoom – ზუმი.
2) თუკი ნასესხები სიტყვის ზოგიერთი ელემენტი თავისი აღწერით ძირითადი მოდელისაგან განსხვავდება, მაშინ წარმოთქმა მხოლოდ ნაწილობრივ უთანაბრდება ეტიმონს. ამ პროცესს ნაწილობრივი ან კომპრომისული ტრანსფონემიზაცია ჰქვია, company – კომპანია.
3) თუკი ნასესხები ეტიმონის წარმოთქმა შედგება ისეთი ელემენტებისაგან, რომელსაც მიმღები ენის ბგერათა სისტემაში ეკვივალენტი არა აქვს, მაშინ ჩანაცვლება თავისუფალია. ეს პროცესი თავისუფალი ტრანსფონემიზაციის სახელს ატარებს, weekend – უიკენდი/ვიქენდი...

სოციოლექტიზმების მორფოლოგია

სხვაობა შეიმჩნევა გრამატიკის დონესაც. მაგალითად, პირველი სუბიექტური პირის ნიშანი *ვ* თანამედროვე ქართულში *უ* და *ო* ხმოვნების წინ არ ისმის. სოციოლექტებში პირიქით, სხვადასხვა ჯგუფის წარმომადგენლები ცდილობენ აღნიშნულ პოზიციაში *ვ*-ს წარმოთქმას.

სოციოლექტიზმებში ხშირად დასტურდება შემთხვევა, როცა მნიშვნელობათა განსხვავებას იწვევს მორფოლოგიური მორფემა. მაგალითად, *იკაიფა* და *ეკაიფა*. აქედან პირველი აღნიშნავს *გაბრუებას ნარკოტიკით*, ხოლო მეორე – *გაშაყირებას*. ამრიგად, მორფოლოგიურმა მორფემამ გამოიწვია ახალი ჟარგონული მნიშვნელობის გაჩენა.

ქართულში გვაქვს რამდენიმე ზმნა, რომლებიც მართალია, ფუძედრეკადები არ არიან, მაგრამ თემის ნიშანს მაინც არ დაირთავენ. ერთ-ერთი ამ ტიპის ზმნაა ტეხს, რომელიც დიალექტებსა (ამ შემთხვევაში ტერიტორიულ დიალექტებს ვგულისხმობთ) და ხშირად სალიტერატურო ქართულშიც –ავ თემის ნიშნითაა წარმოდგენილი. მაგალითად, *თხილს ტეხს და თხილს ტეხავს*. მაგრამ ჟარგონიზმი *ტეხავს* მხოლოდ თემისნიშნიანი ფორმით გეხვდება იმ პირის მეტყველებაშიც კი, ვინც ჩვეულებრივ ამ ზმნას უთემისნიშნოდ გამოიყენებს. თემისნიშნიანმა ფორმამ შეიძინა ჟარგონული მნიშვნელობა.

სოციოლექტებში დამკვიდრებული ნასესხობათა უმრავლესობა არსებითი სახელებია, რომლებიდანაც ნაწარმოებია შემდეგ ზედსართავები და ზმნები.

ნასესხობათა მორფოლოგიური ადაპტაციის შემდეგი ვარიანტები შეიძლება გამოიყოს.

1) ნასესხობას შესაძლოა ჰქონდეს იგივე ფორმა, რაც ეტიმონს. ეს იმას ნიშნავს, რომ ეტიმონზე მიმღები ენის არანაირი სუფიქსის დამატება არ ხდება, რასაც ნულოვანი ტრანსმორფემი საცია ჰქვია, cool _ ქული, хвост _ ხვოსტი
2) როცა ნასესხობა ინარჩუნებს ეტიმონის სუფიქსს, ამ პროცესს კომპრომისული ტრანსმორფემიზაცია ეწოდება, speaker – სპიკერი, накольшик _ ნაკოლჩიკი
3) ნასესხები სიტყვის სუფიქსს შესაძლოა ჩაენაცვლოს მიმღები ენის სუფიქსი იმავე ფუნქციითა და მნიშვნელობით, როგორიც ნასესხობის სუფიქსია, ამ პროცესს სრული ტრანსმორფემიზაცია ჰქვია, sarcastic – სარკასტული
4) არის შემთხვევები, როცა ნასესხობა ეტიმონის სუფიქსს ინარჩუნებს და ამასთანავე მიმღები ენის სუფიქსს იმატებს, chips – ჩიპსები.

ნასესხებ სიტყვას თავის ენაში შეიძლება ჰქონდეს ერთი ან რამდენიმე მნიშვნელობა. ქართულში შემოსვლისას, ძირითადად, ერთი მნიშვნელობით მკვიდრდება ხოლმე. ყველაზე იშვიათია

ისეთი შემთხვევა, როცა სესხებისას ლექსიკური ერთეული განსხვავებულ მნიშვნელობას იძენს. ასეთია, მაგალითად, სელექცია.

სოციოლექტისმების ფორმალური სტრუქტურის შესახებ სოგადი დასკვნების გაკეთება ჯერჯერობით არ ხერხდება, თუნდაც იმის გამო, რომ სათანადოდ არ არის შესწავლილი და გაანალიზებული თანამედროვე წესები და მეთოდები, რომლის მიხედვითაც ჩვენ შევძლებდით სოციოლექტისმების ფორმის ყოველმხრივ ანალიზს.

თანამედროვე ქართული სოციოლექტების სემანტიკა

სოციოლექტიზმების სემასიოლოგიური დახასიათება

რადგან სოციოლექტიზმები განსაკუთრებული ემოციურ-ექსპრესიულობით ხასიათდებიან, ამიტომ ხშირია სიტყვათა იმგვარი ურთიერთობები, როგორიცაა, პოლისემია, სინონიმია, ომონიმია, ანტონიმია. ამ სემანტიკური პროცესების შესწავლასა და განხილვას მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა.

სისტემურ ურთიერთობათა ერთ-ერთ გამოხატულებას ენაში სინონიმთა არსებობა წარმოადგენს. თითოეულ ცნებას რამდენიმე სინონიმი მოეპოვება. მაგალითად, *მაყუთი // მწვანე // ბაქსი // ბაბკი; გოიმი // ქაჯი // არიფი // ხიხო; დაკერა // შეაბა // შეკერა; აგლახავებს // ეკაიფება; ჩამშვები //ბოზი // კანარეიკა; მორფინისტი // ნარკუშა; ქურდი // განაბი // ჟულიკი...* ისევე, როგორც ლექსიკური სინონიმიის სხვა შემთხვევაში, ზუსტად ერთი მნიშვნელობის ორი სიტყვა, რა თქმა უნდა, არა გვაქვს, ან სუბიექტური, ან ობიექტური ფაქტორი გვაძლევს სხვაობას. ასევე განსხვავებაა ხმარების სიხშირესა და სიტყვაწარმოებით საშუალებებში. ასე რომ, ლინგვისტური თვალსაზრისით სოციოლექტიზმთა სინონიმიის შემთხვევაშიც უამრავი პრობლემა გვხვდება, მაგრამ სინონიმიის არსებობა ფაქტია.

ასევე ხშირია პოლისემიისა და ომონიმიის შემთხვევები. პრობლემა აქაც ანალოგიურია, რაც ლექსიკოლოგიაში. თუ არ ვიცით სიტყვის წარმომავლობა, ზღვარის გავლება პოლისემიასა და ომონიმიას შორის არ ხერხდება. მაგალითად, *არიფი* პოლისემიური სიტყვაა, რომელიც დამნაშავეებთან სხვა მნიშვნელობისაა, ხოლო ახალგაზრდებთან – სხვა.

გაერცელებული ანტონიმიის შემთხვევაა *გააჩხორა და გატეხა* სიტყვების დაპირისპირება. *გააჩხორა* ე. ი. ასიამოვნა; *გატეხა* ანუ ხასიათი გაუფუჭა.

სოციოლექტიზმების სემანტიკური დახასიათება

სოციოლექტების სემანტიკა ძალიან ფართოა, გამომდინარე იქიდან, რომ თვითონ სოციოლექტში რამდენიმე ერთეული ერთიანდება. მიუხედავად მრავალი სირთულისა, სემანტიკური ჯგუფების გამოყოფა მაინც ხერხდება.

მეთოდური და საერთოდ, სამეცნიერო თვალსაზრისითაც, უმჯობესია სემანტიკური ჯგუფების გამოყოფა სოციოლექტში შემავალი ერთეულების მიხედვით. მაგრამ რადგანაც ჟარგონი, არგო და სლენგი ერთმანეთთან ძალზე ახლოს მდგომი ერთეულებია, რომლებიც ხშირად გადადიან ერთი ჯგუფიდან მეორეში, ახალგაზრდულ მეტყველებაში გვხვდება როგორც ჟარგონის, ასევე სლენგისა და არგოს ელემენტები, ასევე ნარკომანებთან, დამნაშავეებთან და ა.შ. თემატიკურ ჯგუფებში ამ ერთეულებს ერთად განვიხილავთ.

სოციოლექტიზმებს გააჩნიათ ბუნებრივი ენის სიტყვებისა და შესიტყვებების ყველა სემანტიკური და ლექსიკური ნიშანი. მაგრამ აქ მოტივაციასა და კონოტაციას უფრო ფართო გამოყენება აქვს. ბუნებრივ ენაში სახელის დარქმევის არჩევანი ხშირად შემთხვევითია, ხოლო სოციოლექტებში საგნისა თუ მოვლენის სახელდებისას მისი არსებითი, ძირითადი და თვალში საცემი ნიშანია საორიენტაციო.

მართალია, სოციოლექტები შესაბამის ჯგუფებში გამოიყენება, მაგრამ არსებობს ამ ჯგუფების მიღმა გამოყენების შემთხვევებიც. ასეთია მაგალითად, მათი გამოყენება მხატვრულ, პუბლიცისტურ ნაწარმოებებში, რაც არის პირველ რიგში, არგოდან ჟარგონში, ჟარგონიდან სლენგში, ან ამ ჯგუფებიდან სალიტერატურო ენაში გადასვლის საშუალება.

შეიძლება გამოიყოს უამრავი თემატიკური სფერო, მაგრამ, ჩვენ ამ შემთხვევაში, ვაანალიზებთ ახალგაზრდებთან, პოლიტიკოსებთან, ბიზნესმენებთან, მასმედიაში, კომპიუტერულ ტექნოლოგიებთან, დამნაშავეთა სამყაროსთან, ნარკომანებთან, მოთამაშეებთან, მონადირეებთან გაერცელებულ სოციოლექტიზმებს. ეს ჯგუფები თანამედროვე საზოგადოებაში გარკვეული სოციალიზაციით ხასიათდებიან და ხელშესახებად ჩანს გარეენობრივი ფაქტორების შიდაენობრივ ვარიაციებთანაც უშუალო კავშირი. ამდენად, სოციალური ფაქტორები ჩვენთვის იმდენადაა მნიშვნელოვანი, რამდენადაც ენობრივ პროცესებთან არის დაკავშირებული.

კომპიუტერულ ტექნოლოგიებთან დაკავშირებული სოციოლექტიზმები

კომპიუტერული ტექნოლოგიების გაელენა ქართულ ენაზე დღითიდღე იზრდება.

ინფორმატიკასა და უახლეს კომპიუტერულ ტექნოლოგიებთან დაკავშირებული ლექსიკა საქართველოში XX საუკუნის ბოლოდან იწყებს განვითარებას და ჩვენს დროში თითქმის ყველა თაობისა და სოციალური მდგომარეობის წარმომადგენელთა მეტყველებაში გავრცელდა. ძნელი წარმოსადგენია მუშაობა ადამიანის მოღვაწეობის რომელიმე სფეროში კომპიუტერის გარეშე. ამიტომ კაცობრიობამ, ინფორმაციული ტექნოლოგიის რევოლუციური პროდუქტი – გლობალური კომპიუტერული ქსელი, ინტერნეტი, თავის სამსახურში ჩააყენა. ინტერნეტ-ურთიერთობები განსხვავებულია ტრადიციული კომუნიკაციებისაგან. სწორედ ამან წარმოშვა ლინგვისტიკაში თანამედროვე პრობლემა "ენა და კომპიუტერი", სადაც ხელოვნური ენებისა და ინტელექტის საკითხი საფუძვლიან კვლევას საჭიროებს, დაწყებული ორთოგრაფიიდან, დამთავრებული ლექსიკით.

ხშირად კომპიუტერული პროგრამების სახელწოდებები ლათინური შრიფტით იწერება. მაგ., ***Anonym mailer-ი მცირე მოცულობის საფოსტო პროგრამაა...*** ამის მიზეზი არის ის, რომ რაღაც ცნება უკვე შემოსულია ენაში და გამოიყენება ამ ენაზე მოსაუბრეთა მიერ, მისი ორთოგრაფიული ადაპტაცია კი გვიანდება. შედეგად მიიღება ანგლიციზმი, რომელიც გრაფიკულად ისე გამოისახება, როგორც ეტიმონი. სავარაუდოა, რომ ასეთი ლათინური დამწერლობის ანგლიციზმები ვერ დამკვიდრდება ენაში და სულ ცოტა ხანს იარსებებს, უარგონი ხომ ლექსიკის ყველაზე არამდგრადი შრეა. ისიც ფაქტია, რომ ასეთ ანგლიციზმებს იყენებენ ინტერნეტფორუმებსა და ჩატებში, რადგან მათი საშუალებით კომუნიკატორები უფრო გასაგებად და სუსტად გადასცემენ შეტყობინებებს (ლომიძე, 2005, 365).

ინტერნეტის მომხმარებელი, გარდა ენობრივი ნიშნებისა, იყენებს სპეციალურ პიქტოგრაფიულ ნიშნებს – ხატულებს (სმაილიკებს), რომელთა მეშვეობით გამოხატავენ სხვადასხვა გრძნობას, სახის მიმიკას და სხვას. დღეისათვის ხატულების სამი ტიპი შეიძლება გამოვყოთ: პუნქტუაციური (":–"), გრაფიკული (☺) და ვერბალური ("::გახარებული სმაილიკი::") ხატულები

(ამაღლობელი, ფუტკარაძე, 2009, 13). ფართო გამოყენებისაა აგრეთვე ინგლისური აბრევიატურები.

დღეისათვის ინტერნეტის ენა მდიდრდება ახალ-ახალი ლექსიკური ერთეულებით. აქ სიტყვაწარმოების ფართო გასაქანი ეძლევა. განსაკუთრებით აქტიურად იყენებენ სასაუბრო ენაში გავრცელებულ მორფემებს: *დავირუსება, დაკლიკება*.. იქმნება რთული სიტყვები: *ვებ-გვერდი, ვებ-დიზაინი*.. ყველაზე ხშირია ინგლისური ნასესხობანი: *სერვერი, საიტი, ჰაკერი*..

ფართო გამოყენებისაა კომპიუტერული ჟარგონი, რომლებიც აღნიშნავენ კომპიუტერის მომხმარებლის ექსპრესიულობას, კომპიუტერის ნაწილებს, პროგრამულ უზრუნველყოფას. ეს ჟარგონები უმეტესად იქმნება ინგლისურის საფუძველზე, ან ინგლისურის კალკია: *ვინდუზა – ვინდოუსი,* ასევე გვხვდება ქართული შესატყვისებიც: *პროცესორი – ტვინი.*

განსაკუთრებით საინტერესოა ონომასტიკური ლექსიკა. აქ გვხვდება როგორც ნამდვილი სახელები, ასევე ფსევდონიმები, ე.წ. ნიკი (ინგ. nickname), რომლებიც ექსპრესიულობით გამოირჩევიან.

ინტერნეტის ენას ახასიათებს გრამატიკული თავისებურებებიც. ძირითადად, გამოიყენება მხოლობითი რიცხვის პირველი პირის ბრძანებითის ფორმები: *გახსენი, შეინახე, დააკლიკე*.. გვხვდება მარტივი, უბრალო სასაუბრო ენისათვის დამახასიათებელი წინადადებები. *მიეცი შენახვა; მიმაგრებული ფაილით გაგზავნე*..

კომპიუტერული ტექნოლოგიების შემოსვლას მოჰყვა შესაბამისი ლექსიკის სესხება. ამიტომ მასაზრდოებელი წყარო ინგლისურია, ‘სოგჯერ ვრცელდება ქართული ტერმინებიც: *შენახვა*, თუმცა პარალელურად დასტურდება ინგლისური *სეივი (save)*.

ვინდოუსის ქართული ვერსიის დასრულება და გავრცელება სამომავლოდ უფრო მეტი დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას მოგვცემს.

კომპიუტერთან და ინტერნეტთან დაკავშირებული ლექსიკა სლენგს განეკუთვნება, რადგან მის გამოყენებას მოდა განაპირობებს. გავრცელებულია თითქმის ყველა სოციალურ ჯგუფში და სამომავლოდ ბევრ მათგანს განმარტებით ლექსიკონებში, როგორც ქართული სალიტერატურო ენის კუთვნილ სიტყვას შეხვდებით. ასეთებია მაგ.,

ბაიტი (ინგ. byte), ბანერი (ინგ. banner), ბროუზერი (ინგ. browzer), ვებ-რაიტერი (ინგ. web, writer), ვებ-გვერდი (ინგ. web), ვინჩესტერი (მყარი დისკი hard disk), ჯოისტიკი (ინგ. joystick), დისკეტა (ფრ. disquette), სიდი (CD), ფლეშკა (usb flash), მონიტო-

რი (monitor), ინსტალაცია (ინგ. installation, ფრ. installation), ინტერნეტი (ლატ. inter და ინგ. net), კატრიჯი (ინგ. cartridge), კომპიუტერი (ინგ. computer), კოპირაითი (ინგ. copiright), კურსორი (ინგ. cursor), ლისტინგი (ინგ. listing), მოდემი (ინგ. modem.), მეილი (ინგ. mail), ნოუთბუქი (ინგ. notebook), ნოუ-ჰაუ (ინგ. know-how), ონლაინი (ინგ. on-line), ოფლაინი (ინგ. off-line), პენტიუმი (ინგ. pentium, ბერძნულიდან pente), პლოტერი (ინგ. plotter), ინეოისი (ინგ.), პროცესორი (ინგ. processor), საიტი (ინგ. site), სერვერი (ინგ. server), სკანერი (ინგ. scanner), ფაილი (ინგ. file), ჰაკერი (ინგ. hacker), ჰარდი (ინგ. hard), ჩატი (ინგ. chat), სკაიპი (ინგ. skype), ნიკი (ინგ. nike), სმაილიკები (ინგ. smaile), შრიფტი (ინგ. shrift), ფონტი (ინგ. font), ბოლდი (ინგ. bold) და სხვა.

კომპიუტერულ ტექნოლოგიებთან დაკავშირებული ლექსიკა ძირითადად, ინგლისური ენიდან საზრდოობს.

პოლიტიკური და ეკონომიკური სოციოლექტიზმები

თანამედროვე სალიტერატურო ქართულში ინტენსიურად შემოდის საერთაშორისო და სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებული ლექსიკა.

რადგან საერთაშორისო ურთიერთობები მოიცავს როგორც სამართლებრივ, ასევე ეკონომიკურ ურთიერთობებს, ამიტომ ამ ჯგუფში განვიხილავთ პოლიტიკურ, ეკონომიკურ და საერთოდ, ბიზნესთან, საქმიან ადამიანებთან დაკავშირებულ სოციოლექტიზმებს. ამ ჯგუფში განსაკუთრებით დიდი რაოდენობით დასტურდება ნასესხები ლექსიკა. ეს ბუნებრივიცაა, რადგან XX საუკუნის 90-იანი წლების ძირეული ცვლილებები სწორედ ამ სფეროს შეეხო. მოხდა ძველი სოციალური ფორმაციის რღვევა და ჩვენთვის სრულიად ახალ ეკონომიკურ და პოლიტიკურ წყობილებაზე გადასვლა. კაპიტალისტური მსოფლიოსათვის კარგად ცნობილი პროცესები, მხოლოდ ბოლო დროს გახდა ჩვენთვის ნაცნობი, ამიტომ საგნებსა და მოვლენებს, ძირითადად, ნასესხები ლექსიკა შემოჰქვა. ეს, ერთი მხრივ, აიოლებს კიდეც პროფესიულ ურთიერთობებს, მაგრამ არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ ქართულ ენას უაღრესად მდიდარი ლექსიკური ფონდი გააჩნია და მისი შესაძლებლობები აუცილებლად უნდა გამოვიყენოთ.

პოლიტიკურ და ეკონომიკურ, ასევე თანამედროვე საქმიან ადამიანთა მეტყველებაში ყველაზე ხშირი გავრცელების ლექსიკური ერთეულებია: *აგანსი, აგენტი, აქტი, აქცია, აქციზი, აქციო-*

ნერი, სააქციო საზოგადოება, იმფლაცია, ანკეტა, ანოტაცია, ანულირება, არბიტრაჟი, არენდა, ნოტარიუსი, ასოციაცია, აუდიტი, ბანკროტი, გაკოტრება, ბლანკი, ბონუსი, ბანკირი, ვიზა, ვიზა ბარათი, საგარანტიო წერილი, გრიფი, საქმიანი წერილი, საქმისწარმოება, დეპოზიტი, დივიდენტი, დისკრიმინაცია, მინდობილობა, ხელშეკრულება, სივი, დოტაცია, დუბლიკატი, გაყალბება, კარუსელი, კანონი, ჩანაწერები, შავი ჩანაწერი, შავი ბუღალტერია, ჩრდილოვანი ეკონომიკა, შეტყობინება, შავი ფული, ფულის გათეთრება, ზაპროსი, განცხადება, უწყება, ინვენტარიზაცია, ინვესტიცია, ინდექსი, ინიციატივა, ინტელექტუალური საკუთრება, ინოვაცია, ინფლაცია, მსვლელობა, საქმის მსვლელობა, კანცელარიზმი, კვოტა, კლიშე, სახელმწიფო საიდუმლოება, სეკვესტრი, კონტრაგენტი, კონტრაქტი, კორესპოდენცია, აუდიენცია, კრედიტი, ლიმიტი, ლიცენზია, პირადი საქმე, მარკირება, მემორანდუმი, მონოპოლია, მორიტორინგი, ნალოგი, ნომენკლატურა, მინიმალური ფასი, ნორმატიული აქტი, გაუფასურება, ბრუნვადი კაპიტალი, ალწერა, საბითუმო და საცალო ფასები, განსაკუთრებული ნიშნები, ავტომოპასუხე, კონტრაქტი, პარიტეტი, პატენტი, შეხსენების წერილი, მაუწყებელი წერილი, დადასტურების წერილი, მოწვევა, თხოვნის წერილი, ნოტა, გადახდისუნარიანობა, ქმედითუნარიანობა, საშუამავალო ფირმა, საგნობრივი კატალოგი, შუამავალი, დადგენილება, ბრძანებულება, წარმომადგენელი, პრეზენტაცია, პრეტენზია, პრივატიზაცია, პროგრამა, დოკუმენტის პროექტი, პროტოკოლი, სარეგისტრაციო ბარათი, რეგლამენტი, რეესტრი, რეზოლუცია, რეზიუმე, რეკვიზიტი, რენტაბელურობა, გადაწყვეტილება, სანქცია, თვითლირებულება, სერთიფიკატი, შეთანხმება, სარეკომენდაციო წერილი, სტანდარტი, სუბსიდია, ანგარიში, ტაბელი, თეზაურუსი, თეზისი, სამარკო ნიშანი, ლიზინგი, ფაქსი, ფაქსიმილია, ფიზიკური და იურიდიული პირი, ფორმულარი, აპლიკაცია, ცირკულაცია, ემაილი, ემბარგო, კონსესუსი, ლიბერალიზაცია, ლობი, ლიმიტირებული, მარგინალი, ლუსტრაცია, ჰარდლაინერი, ქარიზმა, ქლიარინგი, კონსიგნატორი, კრეკი, ლისტინგი, ლოგო, მარკეტინგი, მენეჯერი, ტაიმერი, ტენდერი, ტრანსფერი, ტრანში, ჩარტერი, სამიტი, სპონსორი, დეფოლტი, დემპინგი, დილერი, დუტი-ფრი, დისტრიბუტორი, დემოგრაფია, დეპორტაცია, იმიჯი, იმიჯმეიკერი, იმპიჩმენტი, ინაუგურაცია, ინტერპოლი, პლურალიზმი, პოპულიზმი, პრესინგი, პრესმდივანი, ელექტორატი, პრაისლისტი, ინვოისი, ავტორიტარიზმი, აუტსაიდერი, ბრიფინგი, ეიპ, გრანტი, ბარელი, ბარტერი, ბრენდი, ბროკერი, ტრანში...

აქ წარმოდგენილ სიტყვათა ერთ ნაწილს, ქართული შესატყვისიც მოეპოვება, მაგრამ მასმედიის პროპაგანდითა თუ თვით ამ წრის წარმომადგენელთა მეტყველების პრესტიჟულობის გამო, სასოგადოებაში ნასესხები ფორმები უფრო გავრცელდა. მაგალითად, შესატყვისი მოეძებნება *სეკვესტრს*, იგივე *შეკვეცა; ნალოგი*, ანუ *გადასარა; არენდა – იჯარა; ტრენინგი – წვრთნა, სწავლება.* თუმცა ხშირია შემთხვევა, როცა ნასესხებ სიტყვას დამატებითი ნიუანსი ახლავს და ქართულის სუსტ შესატყვისად არ აღიქმება. ასეთ შემთხვევაში იქმნება სინონიმური წყვილები, რომლებსაც, ისევე როგორც ყველა ლექსიკურ სინონიმს, ნიუანსური სხვაობა ახასიათებთ. მაგალითად, *მესიჯი – შეტყობინება; ცოდნა – კომპეტენცია; ტრანსფერი – გადარიცხვა...*

აქ წარმოდგენილ სიტყვათა ერთი ნაწილი, 1990-იან წლებამდე მივიწყებული იყო. უცხო სიტყვათა ლექსიკონში განმარტებული ზოგი სიტყვა ენის პასიურ მარაგს განეკუთვნებოდა და ქვეყანაში წყობილების შეცვლის შემდეგ, კვლავ აქტიურ მარაგში მოექცა. ზოგ ლექსიკურ ერთეულს მხოლოდ ვიწროსპეციალურ ჯგუფებში იყენებდნენ და სასოგადოების ფართო ფენებისათვის ცნობილი არ იყო. თანამედროვე ეტაპზე ისინი სალიტერატურო ენაში გავრცელდნენ და ვიწროსპეციალურობის ელფერი დაკარგეს.

აღსანიშნავია ერთი გარემოებაც. ზოგჯერ პოლიტიკოსებს შეარქმევენ მეტსახელს, რომელსაც მხოლოდ ამ წრის წარმომადგენლებთან იყენებენ. ასეთი სახელები უმეტესად უარყოფითი ან ნეიტრალური კონოტაციით იხმარება. მაგალითად, *რუხი კარდინალი, დაღლილი ვირი...*

თანამედროვე ქართული წარმოგვიდგენს ნათელ მაგალითს იმისას, თუ როგორ გადადის ვიწრო სპეციალური ტერმინოლოგიიდან სიტყვები საერთო ენაში და როგორ განიცდიან ტერმინები დეტერმინოლოგიზაციას.

პოლიტიკურ სოციოლექტიზმთა უმეტესობა ინგლისური ლექსიკიდანაა შემოსული. ზოგი მათგანი ლათინურ-ბერძნულია, მაგრამ ჩვენთან, საქართველოში, ინგლისურის გზით გავრცელდა.

ახალგაზრდული სოციოლექტიზმები

ახალგაზრდები ყველაზე დიდი რაოდენობით გამოიყენებენ სოციოლექტებს: ჟარგონს, არგოს, სლენგს...

ასაკობრივად პირველი საფეხური სასკოლო ჟარგონია.

სასკოლო ჟარგონი, როგორც სახელწოდება გვიჩვენებს, გავრცელებულია სკოლებში. მათ იყენებენ სკოლის მოსწავლეები, რომელთა ასაკიც დაახლოებით 10-დან 17 წლამდეა.

მოსწავლე ამ ასაკში გარკვეული ფიზიონომიური, ფსიქოლოგიური და სოციალური თავისებურებებით ხასიათდება. სწორედ სკოლაში სწავლობს ბავშვი ინტენსიურ კომუნიკაციას. ამ დროს ერთმანეთის გვერდით ელინდება:

1) კერძო ინტერესები: მას აქვს თავისუფალი დრო, რომელიც სურს გაატაროს თავის მეგობრებთან, სადაც, ძირითადად, გამოხატავენ თავიანთ აზრებსა და მისწრაფებებს თავისუფლად, ყოველგვარი შესწუდვის გარეშე.

2) სკოლა და მასწავლებლები, რომელთა ინტერესი მიმართულია სასწავლო საგნებისადმი. მათ სურთ დააინტერესონ მოსწავლეები თავიანთი საგნებით და ზოგ შემთხვევაში აიძულონ შესაბამისი დისციპლინისადმი ყურადღება გამოიჩინონ.

3) მშობლების ინტერესი, რომ შვილები მიმართონ სკოლისა და განათლებისაკენ, დატვირთონ რაც შეიძლება, რომ არ „გაექცეს“ ბავშვი და დიდხანს დარჩეს მათი ზედამხედველობის ქვეშ.

4) თანაკლასელთა ინტერესები, რომელიც მიმართულია ა) თავისუფალ დროზე ბ) მასწავლებელთა და მშობელთა მიმართ.

სწორედ ამ ჩამონათვალიდან გამომდინარე, ვინმეს ან რამეს წინააღმდეგ ყოფნა აიძულებთ თანატოლებს სოლიდარობისაკენ და იქმნება ჯგუფები, რომელთა წარმომადგენლებიც, ძირითადად, ასაროვნებით, უფროსებისა და სკოლისადმი დამოკიდებულებით, ხშირად ფინანსურადაც უტოლდებიან ერთმანეთს. ამ დროს, ძირითადად, ფინანსურ დახმარებას მოსწავლეები იღებენ მშობლებისაგან და არ შეუძლიათ დამოუკიდებლად ცხოვრება. ამიტომაც მათ ჯერ არა აქვთ საშუალება ოჯახის ფსიქოლოგიურ ზემოქმედებას დააღწიონ თავი.

ისინი, როგორც აღვნიშნეთ, სკოლის მოსწავლეები არიან. ძირითადად, მეხუთე-მეთერმეტე კლასელები. მათი ჟარგონული სიტყვების მარაგი მცირეა და უმეტესობა სასწავლო პროცესთანაა დაკავშირებული. მაგალითად,

ჩასტრახვა – ერთი ან რამდენიმე მოსწავლე გააცდენს უნებართვოდ გაკვეთილს ან გაკვეთილებს.

შატალო – როცა მთელი ჯგუფი წავა უნებართვოდ სკოლიდან და გააცდენს გაკვეთილებს.

შეფი – სკოლის დირექტორი ან კლასის დამრიგებელი.

შურიკა – მასწავლებელი კაცი, რომელიც სათვალეს ატარებს.

ბოსი – სკოლის დირექტორი.

გენიოსა – კარგი მოსწავლე.

შპარგალკა – ამა-თუ იმ საგანში მომზადებული კონსპექტი, რომელიმე საკითხისა, რომელსაც ჩუმად იწერენ, რომ სხვამ არ შეამჩნიოს.

აღსანიშნავია, რომ მასწავლებლებსაც და მოსწავლეებსაც ხედმეტ სახელებს ბავშვები გარეგანი ნიშნის, ფუნქციის, ან ხასიათის მიხედვით არქმევენ.

ეს სიტყვები ყველა მოსწავლისათვის ცნობილი და გასაგებია.

გარდა ამისა, არსებობს სიტყვები, რომლებიც ეხმარება სიტუაციის მიხედვით ემოციურ კომუნიკაციებს ჯგუფებში, რომლებსაც შეიძლება ჩაკეტილი სოციუმის ჯგუფები ეწოდოთ. ამიტომ მათთან გავრცელებული სიტყვები, მხოლოდ მათ ქვეჯგუფში ფუნქციონირებს. მაგალითად, თუ დირექტორი მკაცრია და ხშირად იცვამს პიჯაკს, მას *განგსტერას* ან *დესპოტას* ეძახიან ამგვარ, შედარებით დახურულ ქვეჯგუფებში.

მოზარდები ხშირად ქმნიან ახალ სიტყვებს, აერთებენ რა ერთი სიტყვის ნაწილს მეორე სიტყვის ნაწილთან ან მთლიან სიტყვასთან.

საერთოდ სკოლის მოსწავლეთა ლექსიკა მუდმივ განვითარებაშია. იგი იცვლება ქალაქების, სკოლების და თვით ჯგუფების მიხედვითაც.

ამგვარ ქვეჯგუფებში უმეტესად ერთიანდებიან ბიჭები, რომლებიც შედარებით ნაკლებად აკადემიური მოსწრებით გამოირჩევიან.

სასკოლო ასაკის ჟარგონს მიეკუთვნება ე.წ. კომპიუტერული ლექსიკა, რომელიც საინტერნეტო თამაშებთანაა დაკავშირებული. კომპიუტერული თამაშები დღეს საქართველოში ძალიან გავრცელებულია. ბავშვები იკრიბებიან და ეჯიბრებიან ერთმანეთს.

კომპიუტერული თამაშების ლექსიკა, ძირითადად, ინგლისურიდანაა შემოსული. თუმცა თუ თბილისელი ბავშვები ინგლისურ ნასესხობებს გამოიყენებენ თამაშებისა და მასში მიმდინარე მოვლენების და საგნების აღსანიშნავად, ქუთაისელი ბავშვები – ინგლისურსა და რუსულს, რაც გამოწვეული უნდა იყოს იმ გარემოებით, რომ ქუთაისში ინტერნეტი და საერთოდ კომპიუტერული პროგრამები თავიდანვე რუსულენოვანი გავრცელდა. კომპიუტერული თამაშების მოყვარულებს გეიმერებს უწოდებენ. თამაშების სახელწოდებებია: *ქონდიშენ ზერო, ქაუნთერ სტრაიქი, ანდაგრაუნდი...*

კომპიუტერული თამაშების დასახელებები	ქაუნთერი, ქაუნთერ სტრაიკი, კაზაკი, ვარკრაფტი, გენერალი, ანლეგრაუნდი, ჰალფლაიფი, ქეკი
თამაშის სიძლიერეები: ძლიერი, საშუალო, იოლი	პარდი, ნორმალი, იზი
იარაღის სახელწოდებები	ემ-16, კალაშნიკოვი, აკეპე, აუგი, ფომარი, გალილი, მაგნუმი, კალაშა, ბულფაფი, დუსერტიგლი, გლოკი
თამაშის რესიმი, როდესაც შეტევაზე გადასვლა მთელი დროის განმავლობაში შეგიძლია	ბეზსეტი
10 წუთის მანძილზე არ შეუძლია შეუტიოს მოწიმააღმდეგეს	პეტი
მილიციელი	ფორცი
ტყვე	ზალოვნიკი
თავში ტყვიის მორტყმა	ჰედშოტი
ატომური ბომბის ასაღები ხელსაწყო	კიჩი
თამაშის დაწყებისას თანხის რაოდენობა	სტარტმანი
ხელყუმბარა, რომელიც ეკრანს ათეთრებს	ფლეში
ხელყუმბარა, რომელიც ბოლს უშვებს	სმოუგი
აიეანი	გალიურა
გვირაბი, სადაც ბრძოლებში უმეტესობა იღუპება	სასაკლაო
შორიდან ბრძოლა	დალნი
პროგრამა, რომლითაც იოლად კლავ მოწინააღმდეგეს	ჩეტერები
რამდენიმე წუთი გაუნძრეველ მდგომარეობაში ყოფნა	ფრისტაიმი
კომპიუტერული თამაშების მოთამაშეები	გეიმერი

მოსწავლეთა ჟარგონი შედგება:

1) განსაკუთრებული ლექსიკით, რომელიც დაწესებულებისათვის (სკოლისათვის) არის განკუთვნილი. მაგალითად, *შტალო. ჩასტრახვა, სოჩია, ბეთხოვენა, ბულდოგა, შეფი, ბოსი..*

2) განსაკუთრებული სტილისტური, მოკლე გამონათქვამები, პერიფრაზები, რომლებიც გამოიყენება მოსწავლეთა ჯგუფებში, ამა თუ იმ მოელენისა თუ საგნის აღსანიშნავად. ასეთი სიტყვები შეიძლება გაერცელებული იყოს მხოლოდ ერთ სკოლაში, შეიძლება ერთ ჯგუფში და სხვებთან არა. მაგალითად, ბავშვები, რომლებსაც არ უყვართ რომელიმე მასწავლებელი და ამ მასწავლებელს აქვს დიდი თვალები, ეძახიან *სოჩიკას*. მკაცრ მასწავლებელს, რომელსაც სახეზეც მკაცრი გამომეტყველება აქვს, *ბულდოგა*. ბიოლოგიის მასწავლებელს – *ბუტკოს*. ასეთი სახე-

ლები ჯგუფიდან ჯგუფს გადაცემა, თაობიდან თაობას და ფუნქციონირებს მხოლოდ ერთ სკოლაში, ერთი რომელიმე მასწავლებლის აღსანიშნავად, მაგრამ ჯერ კიდევ არ არის გავრცელებული ისე, რომ ვთქვათ, ყველა მკაცრ მასწავლებელს ყველა სკოლაში *ბულდოგას* ეძახიან.

ბაუსინგერის მიხედვით, მოსწავლეთა საიდუმლო ენებს აქვთ ფუნქცია საწინააღმდეგო ენისა (ბაუსინგერი, 1984, 124). საერთოდ ევროპაში სასკოლო ჟარგონი ძალიან გავრცელებულია, საქართველოში შედარებით ნაკლებად, საფრანგეთში ლიცეუმის მოსწავლეები არგოს იყენებენ თვით საშლელისა და ფანქრის გამოსახატავად (ჯაში, 1999), მაგრამ ორივეს აქვს საეროო – ისინი მიისწრაფიან იმისაკენ, რომ თავიანთი ენა დიფერენცირებული იყოს უფროსებისაგან. ეს არის გამორჩეულობის სურვილი.

ფრანგი მოსწავლეებისათვის დამახასიათებელია სტილი "ვერლანი" ე. ი ენა "პირიქით". ვერლანის ტექნიკა წარმოიშვა ახალგაზრდობის სურვილით შეექმნათ "საიდუმლო" ენა. პრინციპი მარტივია: სიტყვის მარცვლების გადაადგილება: პირველი მარცვალი ხდება ბოლო, ანუ მისი წარმოთქმა პირიქით. საქმე არც ისე მარტივადაა, პრაქტიკულად სიტყვების ამოცნობა ხშირად არაოუ ძნელია, არამედ თითქმის შეუძლებელია. მიუხედავად ამისა, დღეს თანამედროვე ფრანგულ ენაში ეს ძალიან მოდური და პოპულარული მოვლენაა.

ვერლანის გამოყენება განპირობებულია იმით, რომ მოსარდებს სურთ ილაპარაკონ ენაზე, რომელიც გაუგებარია გარშემო მყოფთათვის (სიორიძე, 2007, 212).

ასეთი ჩამოყალიბებული ენა ქართველ მოსწავლეებს ნამდვილად არა აქვთ, თუმცა აქა-იქ შეიმჩნევა სურვილი ამგვარი ენის შექმნისა, რაც მოსწავლეთა არგოდ შეიძლება ჩაითვალოს.

როგორც საფრანგეთში, ისე საქართველოში მოსწავლეთა დამოკიდებულება ჟარგონისადმი რთულია და საპირისპირო. ერთნი მიიჩნევენ, რომ ისინი უნდა გამოიყენონ და ამაში ცუდს ვერაფერს ხედავენ, ხოლო მეორენი აცხადებენ, რომ ეს არაა ქართული და ჟარგონიზმების გამოყენება ცუდი აღზრდისა და განათლების არქონის ბრალია.

მოსწავლეთა ჟარგონისათვის დამახასიათებელია გამოყენება ენობრივი რესურსებისა. მაგალითად, ისინი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ მეტაფორებს, როგორც სტილურ საშუალებებს. ამიტომაცაა, რომ ისინი ხშირად არსებით სახელებს სქესართავისებრ გამოიყენებენ. მაგალითად, მოსწავლის გამო-

ნათქვამი, *"ბულდოგაა ნამდვილი"* მიუთითებს მასწავლებლის თვისებაზე და ა.შ.

ფრანგული სასკოლო არგოს განხილვისას ქ. ჯაში მიუთითებს, რომ სასკოლო არგოსათვის დამახასიათებელია მეტაფორიზაცია, სიტყვათა გადატანითი მნიშვნელობით ხმარება. ეს სწორედ ის ხერხია, რომლითაც სინამდვილის საგნებისადმი და მოვლენებისადმი შეგვიძლია გამოვხატოთ დადებითი ან უარყოფითი დამოკიდებულება. მაგალითად, ***ancien*** – ლიტერატურულ ენაში ნიშნავს *ძველს,* სასკოლო არგოში *III კურსის სტუდენტს...*" (ჯაში, 1999).

სკოლის მოსწავლეებთან გეხვედება

– მისალმების ფორმულები, მიმართვები პარტნიორის დასახელების მიხედვით (*პრივეტ ბესო, ბარო ირაკლი*).

– სახელი გრიფით (*პრივეტები* – ბავშვებმა იციან, რომ მათ ესალმება კონკრეტული პირი (ნიკა), რომელიც მხოლოდ მისალმების ამ ფორმას ხმარობს).

– რეპლიკები, აღფრთოვანებით და ცუდი სიტყვებით (*ეაუ – გაკეთილი ცდება, აუ – სხვა მასწავლებელი შემოდის*).

მოსწავლეთა ჟარგონი არა მხოლოდ ზეპირმეტყველებაა. როგორც ჟ-პ. გუდაიე აღნიშნავს, იგი ასევე მიმიკაა, ჩვეების ერთიანობაა, რომელსაც მთელი ლინგვისტური სამყარო და თვით სკოლაც იყენებს (გუდაიე, 1997, 10).

თანამედროვე მსოფლიოში ძალიან გავრცელებულია აზრების გამოხატვის არაენობრივი სიმბოლოები, რაც ჩვენი მოსწავლეებისათვის (და საერთოდ, ახალგაზრდებისათვის) ძალიან მიღებული და გაერცელებული მოვლენა აღმოჩნდა. მაგალითად, ტელეფონებისა და ინტერნეტის საშუალებით, ისინი აგზავნიან სპეციალურ სიმბოლოებს, რომლებიც მათ გრძნობებს და ემოციებს უსიტყვოდაც გამოხატავს. მაგალითად:

–)))) – სასაცილო რამე და საერთოდ გაღიმებული სახე;

: – (((მოწყენილი სახე;

: –) კმაყოფილი ვარ;

: – p შეძრწუნებული ვარ;

: – O გაკვირვებული ვარ;

: –)) ძალიან მიხარია და ა.შ. თუმცა აქაც, როგორც მოსალოდნელია, ევროპაში უფრო მეტი სიმბოლოს გამოყენებაა გავრცელებული. მაგალითად, ვ. ვაითის „სოციოლინგვისტიკაში" მოცემულია ცხრილი, რომელსაც აქტიურად იყენებენ გერმანიაში. ეს განსაკუთრებული ენა არის საკომუნიკაციო ენა, რომელიც შეესაბამება (გამოხატავს) ახალგაზრდის ფანტაზიასა და

ექსპერიმენტებს (შდრ. შლობინსკი, 1993). ალფავიტი შედგება სულ 23 ნიშნისაგან () { } < > / | \ * – = : ; 8 9 @ P O X C D I.

სკოლის მოსწაულეებთან და ახალგაზრდებთან ამ სიმბოლოებს დიდი გამოყენება აქვს. განსაკუთრებით sms-ების ენაში.

sms-ებს, იგივე *მესიჯებს* იყენებენ როგორც მოზარდები, ასევე ზრდასრული ადამიანები. საქართველოს მოსახლეობა sms-ტექსტებისათვის, ძირითადად, ინგლისურ ანბანს იყენებს (იშვიათად რუსულს). მაგალითად, ***gamarjoba, chemo kargo*** (გამარჯობა ჩემო კარგო), წ-ს, ხ-ს და ისეთ ასოებს, რომლებიც ინგლისურში ასოთშეთანხმებით გადმოიცემა (წ-ts, ხ-kh..), ქართულში ცვლის ***w, x,*** რადგან კომპიუტერთან მუშაობისას, ქართული შრიფტით წერისას წ-ს w, ხოლო ხ-ს x შეესაბამება (თუმცა, ზოგჯერ ts და kh ასოთშეხამებებიც გვხვდება). ახალგაზრდები, საშუალო და უფროსი თაობისაგან განსხვავებით, სიტყვათა შემოკლებულ ვარიანტებს ანიჭებენ უპირატესობას და ინგლისურ მისალმების ფორმებსაც ხშირად იყენებენ. მაგალითად, ***hi, dz momenatre,*** ე.ი. ***ჰაი, ძალიან მომენატრე.*** ძირითადი შემოკლებებია: ***dz – ძალიან, pk – პაკა, uni – უნივერსიტეტი, gk – გკოცნი, resti – რესტორანი, six – სიხარულო..*** სპეციალურ პუნქტუაციურ სიმბოლოებსაც, ძირითადად, მოზარდები იყენებენ.

sms-ების ენა გამოირჩევა მარტივი და სახელდებითი წინადადებების გამოყენებით, აქ ეკონომიურობას ერთ-ერთი წამყვანი როლი ეკისრება. მაგალითად, ***hi, rogor xar? modixar unishi? (ჰაი, როგორ ხარ? მოდიხარ უნივერსიტეტში?); mapatie, ver gwer. tatbiri. Shexvedra. rest (მაპატიე, ვერ გწერ. თათბირი. შეხვედრა. რესტორანი). ici datom ra momwera? (იცი, დათომ რა მომწერა?)*** პასუხი: ***gamoushivi(გამოუშვი),*** რაც იმას ნიშნავს, რომ მომწერე რაც მოგწერაო.

გავრცელებული მოვლენაა ასოების გამეორება, ძლიერი ემოციის გამოსახატავად. მაგალითად, kiii, miyvarxaaar, gilocavtttt...

რაც შეეხება ხატულების გამოყენებას sms-ებში, აქ გამოიყენება მხოლოდ პუნქტუაციური და გრაფიკული ნიშნები. ეერბალურ ხატულებს არც მოზარდები და არც მოზრდილები არ იყენებენ.

ამგვარად, მოსწაველეები ქმნიან სპეციალური დანიშნულებით არგოსა და ჟარგონს. აქედან არგო ამ ჯგუფშიც იქმნება კომუნიკაციის საგნის დაფარვის მიზნით, ხოლო ჟარგონი, მათი აზრით, უფრო ემოციურ-ექსპრესიულია.

ახალგაზრდული ჟარგონი

ახალგაზრდული ჟარგონის გამოყოფის საფუძველი, როგორც სახელწოდება გვიჩვენებს, სხვა ფაქტორებთან ერთად, ასაკია. პირველი საფეხური ახალგაზრდული ჟარგონისა არის სასკოლო ჟარგონი.

სკოლის დამთავრების შემდეგ მოსწავლე უკვე დამოუკიდებელ პიროვნებად გრძნობს თავს. იგი სრულწლოვანია და აქვს საკუთარი პირადობის დამადასტურებელი მოწმობა.

სკოლადამთავრებულთა ერთი ნაწილი სტუდენტი ხდება, მეორე დიდი ნაწილი – უფუნქციოდ რჩება ქუჩაში, ხოლო მცირე ჯგუფი ახერხებს შემოსაელის პოვნას. აქედან გამომდინარე, ახალგაზრდების უმეტესი ნაწილი ფინანსურად ჯერ კიდევ მშობლებსია დამოკიდებული და ოჯახის ფსიქოლოგიური ზემოქმედების ქვეშ რჩებიან. მცირე ჯგუფისათვის კი სწორედ ამ დროს ხდება გადასვლა ოჯახის მზრუნველობიდან – დამოუკიდებლობამდე. თუმცა ქართული ტრადიციებიდან და დღევანდელი ეკონომიკური პირობებიდან გამომდინარე, ცალკე, დამოუკიდებლად ცხოვრება მაინც ძნელია. მშობლის ზრუნვა „აიძულებთ" მათ იყვნენ ამ ოჯახის წევრები.

სტუდენტობის დამთავრების შემდეგ, კიდევ ახალი ეტაპი იწყება მათ ცხოვრებაში. უკვე ბევრი მათგანი დამოუკიდებელი ხდება, ხოლო ერთი ნაწილი კვლავ უფუნქციოა.

ამრიგად, ახალგაზრდული ჟარგონის მატარებლები, ძირითადად, 16-30 წლის ახალგაზრდები არიან. მართალია, ჟარგონიზმები შემდეგაც რჩება მათ მეტყველებაში, მაგრამ აქტიური მოხმარებისა და ახალი ჟარგონიზმების შექმნის პერიოდი, სწორედ ზემოდასახელებული ასაკია.

მომხმარებელთა თვალსაზრისით, სწორედ ახალგაზრდული ჟარგონი ქმნის ყველაზე დიდ ჯგუფს სხვადასხვა ჟარგონის სახეებიდან. ახალგაზრდას ეძალება სურვილი, რომ თავისი გამორჩეული ადგილი მოიპოვოს საზოგადოებაში. მათ სურთ რაც შეიძლება მალე გახდნენ დამოუკიდებელნი და დაიმკვიდრონ საკუთარი „მე".

სასკოლო ჟარგონის მსგავსად, ვინმეს ან რამეს წინააღმდეგ ყოფნა აიძულებთ თანატოლებს სოლიდარობისაკენ და იქმნება ჯგუფები, რომელთა წარმომადგენლებიც ასროვნებით, საქმიანობით ზოგჯერ ფინანსურად და მეტყველებითაც უტოლდებიან ერთმანეთს (ლომთაძე, 2006, 135).

ახალგაზრდული ჟარგონის ნიმუშები სამეცნიერო ლიტერატურაში XIX საუკუნის პირველ ნახევრიდან ჩნდება. ე. ბორისოვა ვარაუდობს, რომ ახალგაზრდული ჟარგონის ისტორია შუასაუკუნეებიდან უნდა იწყებოდეს და უნდა გამოჩენილიყო დასავლეთ ევროპის სტუდენტთა წრეში (ბორისოვა, 1981, 83).

ამ ჯგუფშიც შესაძლებელია უფრო მცირე ქვეჯგუფების გამოყოფა, მაგალითად, სტუდენტთა წრეში გავრცელებული ჟარგონიზმები სხვა ახალგაზრდებისათვის ხშირად გაუგებარია. *ფიზ-მათი, ანტიკური, დიფი...* ე.ი. ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტი, ანტიკური ლიტერატურა, დიფერენციალური ჩათვლა და ა.შ. სწორედ ამ ჯგუფშია გავრცელებული კომპიუტერთან დაკავშირებული ჟარგონიზმებიც.

მეორე დიდი ნაწილი – ეს ის ჯგუფია, რომელსაც შეიძლება საკუთრივ ახალგაზრდული ჟარგონის მატარებლები ეწოდოს. ჯგუფის წარმომადგენლები თითქმის ყველგან და ყველა სიტუაციაში ჟარგონიზმებს იყენებენ. აქ ეროვნულად ერთიანდებიან სკოლის დამთავრებს შემდეგ უფუნქციოდ დარჩენილებიც, სტუდენტთა ნაწილი. ისინი თავიანთ მეტყველებას უფრო მარტივად მიიჩნევენ და თვლიან, რომ აზრი ასე უფრო ნათლად გადმოიცემა. მაგალითად, *პონტი* ნიშნავს:

1) საქმეს *(მაგარი პონტი გაჩითა და მაყუთიც ბლომად გაჭრა, მაგარი პონტი ააგდო)*;

2) ვარიანტს, ვარიანტი არ არსებობს *(პონტია, არ გამოვა დღეს ეგ სახლიდან, გაქვს რამე პონტი?); რა პონტია რომ წამოვიდე?* ე. ი. *გამოვა რაიმე ჩემი წამოსვლით?* და უამრავი სხვა ნიუანსის დასახელება შეიძლება, რომელიც ახლოსაა ამ სიტყვას, მაგრამ ყველა შემთხვევაში აქვს მას სალიტერატურო ქართულში შესატყვისი, თუმცა ისინი თვითონ ამ შესატყვისებს თითქმის ვერ იყენებენ, ვერ პოულობენ და ფიქრობენ, რომ მხოლოდ ეს ჟარგონიზმი არსებობს ამა თუ იმ ცნების გამოსახატავად ენაში. ძირითადად, ჟარგონებით მეტყველებენ ვაჟები, თუმცა ზოგჯერ გოგონებიც. უფრო მეტიც, ზოგჯერ ბიჭები გამოიყენებენ ჟარგონიზმს და ზუსტად იმავე მოვლენის ან საგნის აღსანიშნავად გოგონა ხმარობს სხვა ჟარგონიზმს. მაგალითად, დამსმენი ადამიანის აღსანიშნავად ბიჭებთან გამოიყენება ჟარგონიზმი *ბოზი,* ხოლო გოგონებთან – *ჩამშვები.*

ჟარგონზე მსჯელობისას ბ. ჯორბენაძე აღნიშნავდა – „ჟარგონს, გარდა გამორჩევითობისა, მეორე მხარეც აქვს. იგი კლავს პიროვნების ინდივიდუალობას და ყველასა და ყველაფერს ერთ უსახო მასად აქცევს. ეს კი უშუალო უკუსეგავლენას

ახდენს ახალგაზრდის სულიერ სამყაროზე. ახალგაზრდას უთუოდ აქვს თავისი, საკუთარი, სხვათაგან განსხვავებული განცდა, შეგრძნება, მსოფლგაგება, მაგრამ მის გამოსახატავად შესაფერისი სიტყვები ვერ უპოვია. მაშინ იგი იოლ გზას ირჩევს და ისევ და ისევ იმ სიტყვებს მოიხმარს, მის წრეში რომ ტრიალებს. თავდაპირველად, რა თქმა უნდა, იგი გრძნობს, რომ მის აზრსა და წარმოთქმულ სიტყვას შორის დიდი ხლვარია, მაგრამ თანდათან ეჩვევა ამ სიტუაციას, ინდივიდუალობის გრძნობა უჩლუნგდება, მერე კი მისი აზროვნებაც ამ სიტყვათა თარგზე აიგება და კიდეც ერთი ინდივიდი გახდება უსახური მასის უსახური ნაწილი (ჯორბენაძე, 1991, 12). სამწუხაროდ, სწორედ ასეთი ჯგუფი ქმნის ყველაზე დიდ ნაწილს ახალგაზრდული ჟარგონისა: *მოსულა აქ ჩამოჯდომა? ნუ გააჯაზე რა; პონტი გაქ რამე? გაგიჩითავ რა მე; უპონტო პონტის პონტად ქცევა არის ჩალიჩი; დაეკერავ მე მაგ გოგოს; ტეხავს ასე წამოსვლა; გამისწორე რა ხასიათი* და ა.შ.

ამ ჯგუფში გაერცელებული ჟარგონიზმებიდან ყველაზე ხშირად ხედსართავად გამოყენებული სიტყვები გვხვდება.

ახალგაზრდულ ჟარგონში უფრო მეტი რაოდენობის უარყოფითი ადამიანური თვისებების აღმნიშვნელი სიტყვები გამოიყოფა, ვიდრე დადებითისა, მაგალითად,

1	2 სოციოლექტიზმი	3 გოგონები	4 ბიჭები
თავშეუკავებელი, თავგასული ადამიანი	აყარდნილი, კაზიოლი, დერსკი, ჯიხვი	აყარდნილი	კაზიოლი
ადამიანი, რომელიც განგებ გიშაყებს რამეს	პოდლი, დამპალი, არაკაცი,შაკალი	დამპალი, შაკალი	პოდლი
დამსმენი ადამიანი	ბოზი, ჩამშუები, შეკრული, შპიონი, კანარეიკა	ჩამშუები	ბოზი
მატყუარა ადამიანი	სიაფანტი, ცრუპენტელა, ბრახისტი, გადამგდები	სიაფანტი, გადამგდები	სიაყანტი, გადამგდები
ადამიანი, რომელიც მალულად აშაყებს	მუდუ, ჩუმალა	მუდუ	ჩუმალა
შურიანი ადამიანი	ბოღმა	ბოღმა	ბოღმა
გამოუცდელი, თანამედროვე ცხოვრებას ჩამორჩენილი ადამიანი	გოიმი, არიფი, გორსალა, ქაჯი, თხა, ქლიავი, გამოსირებული, გეჩე, ჯაგა, ყანა	გოიმი, ქაჯი	არიყი, ქაჯი

1	2 სოციოლექტიზმი	3 გოგონები	4 ბიჭები
უსრდელი ადამიანი, რომელიც საზოგადოებაში დამკვიდრებულ ნორმებს არ იცავს	აცვენილი, აყარდნილი, ბეზპრედელი, გარეკილი, დაქნეული	აცვენილი	ბეზპრედელი, აცვენილი
უსრდელი ადამიანი	ახვარი, ნაბიჭვარი	ახვარი, ნაბიჭვარი	ნაბიჭვარი
მლიქვნელი, გაიძეურა ადამიანი	ჩათლახი, პათხალიმი, შებერტყილი, გაქექილი	პათხალიმი	გაქექილი
პრანჭია, ყოყოჩი ადამიანი	მარიაჟი	მარიაჟი	მარიაჟი
მოლაყბე ადამიანი, რომელიც ადამიანებს ერთმანეთს ამტერებს	ბალამუტკიკი		გაიძეურა
მშიშარა ადამიანი	მანდრაჟისტი, კურდღელი, ჩმორი, ფარჩაკი, პანიკიორი	ჩმორი, პანიკიორი	ფარჩაკი
უგემოვნო ადამიანი	ბანძი, ხიხო, პელენწუკა	ბანძი, პელენწუკა	ხიხო, ბანძი
გაუნათლებელი ადამიანი	ბნელი		უტვინო
სულელი, გიჟი ადამიანი	დარტყმული, დარეხვილი, დაქნეული, შუშუ, გარეკილი, დაცენტრილი	დარტყმული, დარეხვილი, დაქნეული, შუშუ, გარეკილი, დაცენტრილი	დარტყმული, დაქნეული, დაცენტრილი
ადამიანი, რომელსაც უსაყვედურეს	დაგრუზული	დაგრუზული	დაგრუზული
აბუჩად აგდებული, შერცხვენილი ადამიანი	გაბანძებული, გაპუსტოკებული, გაფარჩაკებული, დაჩმორებული	გაბანძებული, გაპუსტოკებული, გაფარჩაკებული, დაჩმორებული	დაჩმორებული
გათამამებული ადამიანი	გაბლატავებული, გაჯეჯილებული	გაბლატავებული, გაჯეჯილებული	გაჯეჯილებული
გალაბირებული ადამიანი	დაყერბოებული, დაკერილი		დაკერილი
უკმაყოფილო სახის მქონე ადამიანი	დახეთილი		დახეთილი
დაჭკნობილი ადამიანი	დაისმენებული	დაისმენებული	ისმენებშია
სამსახურიდან გადგებული ადამიანი	დაქნეული		ფულისგან უქრის
გათამამებული ადამიანი	აგულაებული		ფულისგან უქრის

1	2 სოციოლექტიზმი	3 გოგონები	4 ბიჭები
ტრაბახა ადამიანი	ტრიპანი	ტრიპანი	მარიაჟი ტრიპანი
გესლიანი ადამიანი	იაზეა	იაზეა	ბეელი
ძუნწი ადამიანი	ეშოტი, ეო'შკა	ეშოტი, ეო'შკა	ეშოტი, ეო'შკა
ადამიანი, რომელსაც ნარკოტიკი აქვს მოწეული	დაბოლილი, კაიფ'შია		დაბოლილი, კაიფ'შია
ადამიანი, ვინც ტუბერკულოზითაა დაავადებული	ტუბი, ტუბიკი		ტუბი
ადამიანი, რომელიც საქმეს აგვარებს ნებისმიერი ხერხით	კვაჭი, შანსმაისტერი, შანსპეპელა	შანსპეპელა	კვაჭი
ადამიანს, რომელსაც რაიმეს წართმევას უპირებენ	გასაწეწი	გასაწეწი	გასაწეწი
გარდაცვლილი ან მოკლული ადამიანი	ტრუპი, დაბრედილი	ტრუპი	ტრუპი
ბიჭები, რომლებიც ერთ ადგილას დგებიან, სადაც ლაპარაკობენ, ან თამაშობენ, ერთობიან	ბირჟაიკები	ბირჟაიკები	ბირჟაიკები

ადამიანის გარეგნობის აღმნიშვნელი სოციოლექტიზმები:

1	2 სოციოლექტიზმი	3 გოგონები	4 ბიჭები
უშნო, შეუხედავი ადამიანი	ნიანგი, ალიგატორი	ნიანგი	კრაკადილი
უშნო, შეუხედავი ადამიანი	ნიანგი, ალიგატორი	ნიანგი	კრაკადილი
ლამაზად და მოდაზე ჩაცმული ადამიანი	დაზმანული, ჩაშმოტკილი, ძაან ეგეთი, ტაკოი	ძაან ეგეთი, ტაკოი	ნაშმოტკილი
დიდი, ძლიერი ადამიანი	მო'შნი	მო'შნი	მო'შნი
ლამაზი ადამიანი	საკაიფო, მაგარი		მაგარი
სუსტი, ლამაზი გოგო	წიწკეი, შხეართი		
ბავშვობის ასაკიდან გამოსული მოსარდი	თინეიჯერი	თინეიჯერი	თინეიჯერი

1	2 სოციოლექტიზმი	3 გოგონები	4 ბიჭები
მოშაკედაცი ადამიანი	ტრუპი, გვამი		გვამი
ადამიანის სახე	მორდა, როჟა, სიფათი	როჟა, სიფათი	როჟა
ძალიან მაღალი და მსუქანი გოგო	ცხენი, ლაშადკა	ცხენქალა	ლაშადკა
დაბალი, სუსტი გოგო	ჯიბის გოგო, ტაპასკერა		ტაპასკერა

დადებითი თვისებების მქონე ადამიანის განსაზღვრებად გამოყენებული სოციოლექტიზმები:

1	2 სოციოლექტიზმი	3 გოგონები	4 ბიჭები
ძლიერი, უშიშარი ადამიანი	დერსკი, რქიანი, მგელი		მგელი
ოუმორის მქონე ადამიანი	ლადო	ლადო	ლადო
გამოცდილი ადამიანი, რომელსაც ცოლად ყერ მოატყუებ	ბიტი, კაი ტიპი, მაგარი ტიპი, მუცაკი		მუცაკი
თანამდებობაზე დანიშნული ან საზოგადოებაში მიღებული ადამიანი	გაპითული, გაქაცული	გაპითული, გაქაცული	გაქაცული
იღბების მქონე ადამიანი	იღბიანი მასტი, იღბიანი ტიპი, კრიატიცი		კრიატიცი
მიუსანსწრაფული ადამიანი	მიმწოლი	მიმწოლი	მიმწოლი
სიმართლისმოყვარე ადამიანი	პრაკი, სპრაველლიცი, ფაიხალი, ჩესტნი	სპრაველლიცი	ჩესტნი
პრაქტიკულად ტექსტის ყველაზე მაღალი დონის ერთეულს, რომლის მიმართაც ხდება თარგმანში გადაწყვეტილების მიღება, წარმოადგენს წინადადება (მინიარ-ბელორუჩევი, 2001), თუმცა თარგმნის პროცესის გასამართავად მთარგმნელი ორიგინალის ტექსტში ხშირად შესიტყვებებისა და ზოგჯერ ცალკეული სიტყვების გამოყოფასაც კი მიმართავს. ამრიგად, თარგმანის ერთეული შეიძლება იყოს ტექსტის ნებისმიერი ერთეული, რომელიც მოითხოვს ცალკე გადაწყვეტილების მიღებას. მისი გამოყოფა მრავალ სუბიექტურ და ობიექტურ პირობაზეა დამოკიდებული, როგორიცაა: მთარგმნელის პროფესიონალიზმი, თარგმანის ფორმა (ზეპირი თუ წერილობითი), თარგმანის პროცესის ტემპი (ნელი – სწრაფი) და ა.შ. მაგრამ არსებობს ტექსტის ისეთი სეგმენტები, რომლებიც ყოველთვის, ნებისმიერი პირობის დროს მოითხოვენ ცალკე გადაწყვეტილების მიღებას. ერთ-ერთ ასეთ ერთეულს წარმოადგენს სოციოლექტი.

სოციოლექტის განმსაზღვრელი მახასიათებელი, რომელიც განასხვავებს მას სხვა სტერეოტიპულ გამოთქმათაგან, არის მისი ფიქსირებული კავშირი გარკვეულ სიტუაციასთან. იგი წარმოადგენს გარკვეულ დასრულებულ გამონათქვამს, რომელშიც შეიძლება ნართული იყოს სხვადასხვა სიტყვა და გამონათქვამი. თუმცა თვით სოციოლექტი ამომწურავად ასრულებს შესაბამისი კონკრეტული სამეტყველო სიტუაციის უშუალო დაკვეთას და ცალსახად შეესატყვისება მას. ყველა სირთულის მიუხედავად, მთარგმნელის უპირველესი ამოცანაა, თარგმანში არ დაკარგოს ინფორმაცია, არ დაიკარგოს რეალია.

მართალია, თარგმანის დროს სოციოლექტი ყოველთვის უნდა იქნეს გადატანილი თარგმანის ენაში დამკვიდრებული შესაბამისი სოციოლექტით, თუ ამის შესაძლებლობა არსებობს. სოციოლექტის თარგმნა მთარგმნელისაგან მოითხოვს კომუნიკაციური სიტუაციის ზუსტ იდენტიფიკაციას და თარგმანის ენაში ეკვივალენტური სოციოლექტის ცოდნას. თუმცა ზოგჯერ ასეთ პირობებშიც კი ვაწყდებით სერიოზულ პრობლემებს: სოციოლექტი "უთარგმნელი" აღმოჩნდება, რადგან მეორე ენაში არ მოიძებნება მისი შესატყვისი. ესა თუ ის სოციოლექტი, რომელიც მოკლებულია კონკრეტულ სემასიოლოგიურ კავშირს დენოტატთან და ენაში ფუნქციონირებს, როგორც ეროვნული კულტუროლოგიური ინფორმაციის მატარებელი ერთეული, ზოგჯერ დამახასიათებელია ერთი ენისათვის და არ გვხვდება მეორეში. ამგვარი პრობლემის დროს თარგმანის ხარისხი მთარგმნელის ნიჭიერებაზეა დამოკიდებული. მთარგმნელი მუდამ მარტოა ამგვარი სიძნელეების წინაშე და მათი დაძლევა უხდება საკუთარი ძალებით, საკუთარი ნიჭისა და ერუდიციის შესაფერისად (წიბახაშვილი, 2000).

სოციოლექტიზმების სიტყვარის შედგენა, მათი ფონეტიკური, გრამატიკული და ლექსიკური ანალიზი თარგმანის სრულყოფილებისათვის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა.

სოციალური დიალექტები, როგორც ენაზე საზოგადოების გავლენის გამოვლინება

სოციალური დიალექტი ფართო ცნებაა, რომელიც აერთიანებს როგორც სოციალურ, ასევე პროფესიულ, ასაკობრივ, სქესობრივ, მიგრაციულ და სხვ სხვა ფაქტორებს. მისი ძირითადი ფუნქციაა ესა თუ ის სოციალური ფენა გამოარჩიოს სხვათაგან თავისი მეტყველებით.

მოლაპარაკის სოციალური მახასიათებლები ყველაზე კარგად ჩანს სოციალურ დიალექტებში. ამიტომაცაა, რომ ზოგჯერ საზოგადოების გარკვეული ფენისადმი ამა თუ იმ პიროვნების მიკუთვნებულობა, ზოგ სხვა ფაქტორთან ერთად, მეტყველებითაც ვლინდება. უფრო მეტიც, ენით უტყუარად იგრძნობა და წარმოჩნდება საზოგადოებაში არსებული სოციალური პროცესები (ლაბოვი, 1975).

მოვლენათა საზოგადოებრივი შეფასება უშუალოდ აისახება ენაში, თანაც არა მხოლოდ ლექსიკაში, არამედ ზოგჯერ თვით გრამატიკულ კატეგორიებშიც.

მსოფლიოში კარგად არის ცნობილი ენების სოციალური პრინციპით დაპირისპირების შემთხვევები. მაგალითად, XI-XIII საუკუნეებში ინგლისში ნორმანელ დამპყრობთა ენა – ფრანგული – ითვლებოდა უმაღლესი არისტოკრატიის ურთიერთობის საშუალებად. XIX საუკუნეში ასეთი იყო რუს არისტოკრატიისათვის ფრანგული, ქართველი არისტოკრატიისათვის – უპირატესად რუსული და ა.შ. თანამედროვე საქართველოში პოლიტიკოსები, ჟურნალისტები, შოუბიზნესის წარმომადგენლები ხშირად ცდილობენ დაამკვიდრონ ქართულში უცხოური სიტყვები და გამოთქმები, ინტონაციურად დაუახლოვონ ისინი ერთმანეთს.. ხშირად შემოდის უმართებულო ნასესხობანი, კალკები, ბარბარიზმები და რადგან მათი მატარებლები მაღალი სოციალური ფენის წარმომადგენლები არიან, პროპაგანდა მასმედიის საშუალებით ხდება. ამიტომ ისინი იოლად მკვიდრდება ენაში. თუ თვალს გადავაყოლებთ ბოლოდროინდელ პრესას, მოვისმენთ ტელეგადაცემებს, ვნახავთ, რომ უამრავი ისეთი სიტყვა შემოვიდა ენაში (სეკვესტრი, ნიუსი, რეალიტი,...), რომლებსაც ქართულში ჩვეულებრივ მოუპოვებათ შესატყვისი.

XX საუკუნის 90-იანი წლებიდან საქართველოში დაიწყო აქტიური საინფორმაციო ურთიერთობების ეპოქა, რომელსაც საზოგადოდ, გლობალური სტანდარტიზაციის ტენდენციები ახასია-

თებს, რამაც ქართულ სალიტერატურო ენაშიც შესაფერისი ასახვა პოვა.

სწორედ ამ აქტიური საინფორმაციო ურთიერთობების ეპოქის შედეგია დღეს ქართველი ხალხის დაინტერესება ბევრი ახალი დარგით. ის, რაც განვითარებული მსოფლიოსათვის უკვე დამკვიდრებული და მიღებულია, ჩვენში სწორედ ბოლო 20 წლის განმავლობაში მკვიდრდება და იკიდებს ფეხს.

XX საუკუნის 90-იან წლებამდე პოლიტიკური ტერმინოლოგია პასიურ ლექსიკას განეკუთვნებოდა, მხოლოდ ვიწრო ჯგუფის ინტერესთა სფეროში გამოიყენებოდა. 80-იანი წლებიდან „საბჭოთა იმპერიის“ დაშლამ, მსოფლიო საზოგადოებასთან პირდაპირი კონტაქტების დამყარებამ, მკვეთრად გაზარდა პოლიტიკურ ტერმინთა ნაკადი ქართულ ენაში. ამ სიტყვებმა გარკვეული სოციოაქტივობა შეიძინეს. ამჟამად ჩვენი საზოგადოება უაღრესად პოლიტიზირებულია. პოლიტიკური პრესტიჟის გამო საზოგადოებამ უფრო იოლად მიიღო იგი. ეს არის ერთი მაგალითი, თუ როგორ გავლენას ახდენს საზოგადოება ენაზე.

XX საუკუნის ბოლომდე ქართულ სამეცნიერო ლიტერატურასა და საზოგადოების შეხედულების მიხედვით ჟარგონი ნეგატიურ დიალექტად ითვლებოდა. ბ. ჯორბენაძე შენიშნავდა, რომ „ჟარგონი ისევე განიმარტება, როგორც არგო: ცალკეული სოციალური ჯგუფის, პროფესიული წრის თავისებური მეტყველება, რომლის სიტყვები და გამოთქმები გასაგებია მხოლოდ სათანადო კოლექტივისათვის. მათ შორის სხვაობად ის მიაჩნდათ, რომ არგოსაგან განსხვავებით, ჟარგონი დამამცირებელ, აოვალისწუნების (პეიორატულ) მომენტსაც შეიცავს. ამგვარი დაპირისპირება რეალური ვითარებითაა გამართლებული. საქმე იმაშია, რომ სხვებისათვის გაუგებარი მეტყველება აქვს, როგორც ზოგი ხელობის წარმომადგენელს, ასევე იმათაც, რომელნიც მართლმსაჯულების ხელში ჩავარდნას უფრთხიან. მაოი მეტყველების სხვადასხვაგვარად აღნიშნა ეთიკურადაც გამართლებულია და ენობრივადაც (ჯორბენაძე, 1989).

არნ. ჩიქობავა აღნიშნავდა, რომ „ჟარგონი – ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით – ესაა ქურდების, პროფესიული მათხოვრების, მოხეტიალე მეწერილმანეთა პირობითი ენა“ (ფრანგ. argot „ქურდების ენა“; ფრანგ. ჟარგონ. „დამახინჯებული ენა“).

თითქმის ყველა შემთხვევაში არგოსა და ჟარგონის განმარტების სხვა მხარე უფრო დაჩრდილული იყო და ჟარგონი ითვლებოდა მხოლოდ ნეგატიურ მოვლენად. რაც შეეხება სლენგს, ტერმინიც კი არ იყო ცნობილი.

ეპოქალურმა ცვლილებებმა გამოიწვია ჩვენი ქვეყნის ჩართვა გლობალიზაციის პროცესში. უფრო ფართოდ გავეცანით საზღვარგარეთულ კვლევებს, რომელთა გაელენით, უკვე ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაშიც გაჩნდა ახალი განმარტებები, რომლის თანახმად ჟარგონი, არგო, სლენგი არ არის მხოლოდ ქუჩაში გავრცელებული, დამამცირებელი იერის მქონე სიტყვები, მათ გვერდით ჩვენ გვხვდება ჟარგონიზმები, რომლებიც დამახასიათებელია ექიმთა, პროგრამისტთა, სპორტსმენთა... მეტყველებისათვის.

სოციალური დიალექტისა (ენის) და საზოგადოების ურთიერთობა კარგად ჩანს სოციალურ ინსტიტუციებში. ოჯახი ინსტიტუციაა. სხვა დაწესებულებებია, მაგალითად, საავადმყოფოები, ეკლესია, სახელმწიფო დაწესებულებები და ა.შ.

ინსტიტუციას განმარტავენ როგორც სოციალურ მიმართულებას, რომელიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში წყვეტს რა უნდა გაკეთდეს (შეფერსი, 2000).

სოციოლინგვისტურად მიჩნეულია, რომ ინსტიტუციები შეიძლება განვიხილოთ, როგორც მექანიზმები, რომლებიც ემსახურებიან დაძაბულობის სტაბილიზაციას, სახელდობრ, კონფლიქტებს, რომლებიც ურთიერთობის დროს გასაგებია, მაგრამ ხშირად რეალურად, პრაქტიკულად ძნელი გადასაჭრელია. საზოგადოებრივ ინსტიტუციებში მოღვაწეობენ ინდივიდები:

ა) რომლებიც წარმატებულები არიან და საკმაოდ მაღალი ცოდნის დონე და ძალაუფლება აქვთ და

ბ) ისეთები, რომლებსაც ეს არ გააჩნიათ, მაგრამ სამსახურებრივი მოვალეობები აკისრიათ.

ელიხი და რებაინი ცდილობდნენ ჩამოეყალიბებინათ ლინგვისტურად რელევანტური ინსტიტუციების ვერბალური სისტემა. მათ ამოარჩიეს 5 სფერო, რომელთაგანაც პროდუქცია, ცირკულაცია და რელიგია სრულყოფას მოითხოვს. მაგალითად, რელიგია განეკუთვნება ეკლესიურ დაწესებულებას, რომელიც შეიძლება იყოს გაცვლითი და მისიონერული მიმართულების. პროდუქციისა და ცირკულაციის ქვეშ იგულისხმება საქონლის წარმოება და გასაღება. შესავსებად ე. ვაითი ამატებს საზოგადოებრივი მასმედიის სფეროს, რაც ჩვენი აზრით, ძალიან მნიშვნელოვანი წინგადაგმული ნაბიჯია, რადგან აქვე გამოყოფილი აქვს მიმართულება „საზოგადოებრივი წესრიგი და მმართველობა“, ხოლო რაც შეეხება „აღზრდისა და განათლების სფეროს“, ის შეიძლება უკრიტიკოდ შემოვიტანოთ (ელიხი, რებაინი, 1980).

ასეთივე სქემას გვაძლევს რაიმანი. მის მიერ წარმოდგენილ ჩამონათვალს აქვს ის უპირატესობა, რომ დასახელებულია ფუნქციები, აგრეთვე მათი როლები. მაგალითად, მომხმარებელი, მწარმოებელი; მუშა, დამსაქმებელი (რაიმანი, 1991). რაიმანის სქემის ნაკლი მდგომარეობს იმაში, რომ არა მარტო ინსტიტუციებია ჩამოთვლილი, არამედ მასთან ახლოს მდგომი სპეციფიკური სფეროები, როგორიცაა: ეკონომიკა, თავისუფალი დრო და სხვა.

ეს ურთიერთობები დაახლოებით შეიძლება გადმოიცეს შემდეგნაირად:

1) პროდუქცია და ცირკულაცია

2) აღზრდა და განათლება (ოჯახი, სკოლა, უმაღლესი სასწავლებლები)

3) საზოგადოებრივი წესრიგი და მმართველობა (ჯანდაცვა, პოლიცია, სამხედრო)

4) კულტურა (ხელოვნება, სპორტი, თავისუფალი დრო)

5) რელიგია

6) მასმედია

ეს დაწესებულებები ჩვენთვის მნიშვნელოვანია სოციოლინგვისტური თვალსაზრისით, რადგან აქ ხელშესახებად ჩანს სოციალური ჯგუფებისა და ენის ურთიერთობა. მაგალითად, პროდუქცია და ცირკულაცია მოიცავს წარმოებებში გავრცელებულ სოციალურ დიალექტებს. ამიტომ ამ სფეროში, ძირითადად, პროფესიული ლექსიკა შემოდის, რომელიც საქონლის წარმოებასა და მოხმარებასთანაა დაკავშირებული.

სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში არა მარტო სასწავლო პროცესისათვის დამახასიათებელი სპეციალური სიტყვებია გავრცელებული, არამედ ასაკობრივიც. საზოგადოებრივ დაწესებულებებში განსაკუთრებით იგრძნობა მაღალი სოციალური ჯგუფისათვის დამახასიათებელი ლექსიკის გამოყენება, სადაც ყველაზე მეტად იგრძნობა, რომ არა მხოლოდ ლექსიკა, არამედ გრამატიკაცა და ფონეტიკაც მონაწილეობს სოციალური დიალექტის ჩამოყალიბებაში.

კულტურასა და რელიგიას ყველაზე მეტი ტერმინოლოგიური თავისებურება ახასიათებს.

რაც შეეხება მასმედიას – ეს არის სფერო, რომელშიც ყველაზე კარგად ჩანს საზოგადოებრივი დიფერენციაციაც და საზოგადოებისა და ენობრივი სტრუქტურების ურთიერთგავლენა.

სწორედ საზოგადოების გავლენის შედეგად გახდა აქტიური მოხმარების შემდეგი ენობრივი ერთეულები, რომლებიც უმეტესად საქმიან ტერმინებს განეკუთვნებიან. მართალია, ბევრი

მათგანი ახალი სიტყვა არ არის, მაგრამ მანამდე ისინი მხოლოდ ვიწროსპეციალური კუთვნილება იყო, თანამედროვე ქართულში კი — საერთო ენაში ფართოდ გავრცელებულ ერთეულებად იქცნენ:

აქანსი — ხელფასიდან წინასწარ გაკემული თანხა.
აქანტაჟი — სარგებლობა, ხელსაყრელი მდგომარეობა.
ავტობიოგრაფია — საბუთი, რომელშიც წარმოდგენილია ავტორის ცხოვრება.
საავტორო ხელშეკრულება — თანხმობა საავტორო უფლებების დაცული ნაწარმოების გამოყენების პირობების შესახებ.
აგენტი — ბროკერი, დილერი, კომისიონერი, მაკლერი.
პირი — (იურიდიული ან ფიზიკური), რომელიც ასრულებს განსაზღვრულ ფუნქციებს სხვა პირის დავალებით მის ხარჯზე და მისი სახელით.
კრედიტი — ფულადი საბუთი, რომელიც შეიცავს ერთი საკრედიტორო დაწესებულების მეორესადმი განკარგულებას ვინმესთვის განსაზღვრული თანხის გადახდის შესახებ
აქტი — კომისიის რამდენიმე წევრის მიერ შედგენილი საბუთი, რომელიც ადასტურებს დადგენილ ფაქტებს ან მოვლენებს.
აქცეპტი — თანხმობა გარიგების, ხელშეკრულების დადების შესახებ, წინადადებაში მითითებული პირობების საფუძველზე.
აქცეპტანტი — პიროვნება, რომელმაც აიღო თავის თავზე წარმოდგენილი თანხის, ვექსელის გადახდის ვალდებულება.
აქციზი — არაპირდაპირი გადასახადი (ძირითადად, მასობრივი მოთხოვნილების) და კერძო დაწესებულებების მომსახურება შეტანილი ფასების ან ტარიფის სახით
აქციონერი — აქციების მფლობელი.
საააქციო საზოგადოება — საორგანიზაციო-უფლებრივი საზოგადოება (იურიდიული პირი), რომელიც თავისი ვალდებულებით პასუხს აგებს კრედიტორების წინაშე მხოლოდ იმ ქონებაზე, რომელიც მას ეკუთვნის.
აქცია — ფასიანი ქაღალდი, რომელიც მოწმობს წარმოებაში განსაზღრული თანხის ნადების და აძლევს მის მფლობელს უფლებას მიიღოს წლიური ნაწილის შემოსავალი დივიდენდის სახით და აგრეთვე წარმოების ლიკვიდაციის შემთხვევაში აქციონერული საზოგადოების ნაწილი.
ამორტიზიციული ვადა — წარმოების ღირებულების ვადის მთლიანი გადახდა ამორტიზაციული გადარიცხვების ანგარიშზე.
ამპლიაცია — ასიღი ფულის მიღების შესახებ.
ანკეტა — ტრაფარეტული სახის საბუთი, რომელშიც გამოტოვებულია შესაცვლებად სტროფები (ერთეულ წერილს, განაცხადს).
ანოტაცია — პიველწყაროს მოკლე შინაარსის გადმოცემა (ძირითადი საკითხების სახით).
ანულირება — შეწყვეტა, გაუქმება.
არბიტრაჟი — სახელმწიფო ორგანო, რომელიც განიხილავს საკამათო საკითხებს
არენდა — ქონების დროებითი გამოყენება ხელშეკრულების პირობებში.
არტიკული — საქონლის, ნაწარმის ტიპი, აგრეთვე მისი რიცხობრივი (ანბანური) აღნიშვნა.
არქივარუსი — არქივის თანამშრომელი.
საარქივო ამონაწერი — დადგენილი წესით დამოწმებული ცნობა საარქივო მასალების შესახებ

ასოციაცია – ერთი სახის მოღვაწეობის იურიდიული პირების ნებაყოფლობითი გაერთიანება

აუდიტორი – თანამდებობის პირი, რომელიც ამოწმებს კომპანიების, დაწესებულებების, სააქციო საზოგადოებების ფინანსურ მდგომარეობას

საბანკო საბუთები – საბუთები, რომლებიც შეიცავენ საჭირო და საკმარის ინფორმაციას საბანკო ოპერაციის განხორციელების შესახებ.

ბანკროტი – მეცალე, რომელიც ვერ უხდის კრედიტორებს გაკოტრების გამო

ბანკროტობა – გაკოტრება, მეცალის (წარმოება, ფირმა, ბანკი) მიერ თანხის გადახდის შეუძლებლობა.

ბლანკი – ფურცელი, რომელზედაც სპეციალურად დაბეჭდილია ტექსტი (ადრესანტის რეკვიზიტები, ლოგოტიპი) და განკუთვნილია ოფიციალური საბუთების შესადგენად.

ბონუსი – 1) დამატებითი ფასდაკლება, რომელსაც თაჯაზობს გამყიდველი მყიდველს, გარიგების პირობების ან ცალკეული შეთანხმების შესაბამისად, 2) დამატებითი დივიდენდი 3) დამატებითი გასამრჯელო, პრემია

ბრაკერაჟი – 1) საქონლის, საწარმო საგნების შემოწმება წუნის დადგენის მიზნით.

უწყისი – განსაზღვრული თანმიმდევრობით განლაგებული რამე მონაცემების სია.

ეექსელი – საბუთი, რომელიც შეიცავს თანხის გადახდის მოვალეობას დადგენილ ვადაში.

ეენჩურული წარმოებები – მცირე ბიზნესის წარმოებები, რომლებიც ეწევიან მეცნიერულ კვლევას, საინჟინრო დამუშავებას, სიახლების შექმნას და დანერგვას

ვიზა – 1) ხელმძღვანელის, თანამდებობის პირის ხელმოწერა, რაც ნიშნავს, რომ ის გაეცნო საბუთს 2) აღნიშვნა პასპორტში, რაც ნიშნავს ქვეყნიდან ქვეყანაში გადადგილების ნებართვას

შიგა საბუთი – საბუთი, რომელიც გამოიყენება იმ დაწესებულებაში, სადაც იყო შექმნილი.

შემოსული საბუთი – დაწესებულებაში შემოსული საბუთი.

ამონაწერი – რომელიმე ტექსტის საბუთის ნაწილის ასლი.

საგარანტიო წერილი – წერილი, რომელიც წარმოადგენს საგარანტიო მოვალეობას

გრიფი – წარწერა საბუთზე, რომელიც განსაზღვრავს საბუთის გამოყენების წესს და საშუალებას.

დებენტურა – საბაჟო მოწმობა ბაჟის დაბრუნების შესახებ.

დებეტი – საბუღალტრო ანგარიშის მარცხენა მხარე, სადაც შეაქვთ ყველა არსებული შემოსაგალები და აგრეთვე ამ ანგარიშზე არსებული ვალი და დანახარჯები

საქმე – წერილობითი საბუთების შეგროვება (ცალკეულ პაპკაში), რომელიც განკუთვნილია რომელიმე პირისათვის (ან ფაქტისათვის).

საქმიანი წერილი – კორესპონდენციის სახე, რომელიც იგზავნება ერთი ორგანიზაციიდან, დაწესებულებიდან და ა.შ. მეორე ორგანიზაციაში, დაწესებულებაში.

საქმისწარმოება – საკანცელარიო საქმეების მართვა.

დენონსირება – ხელშეკრულებაზე უარის თქმა.

დეპოზიტი – დროებით შესანახად გადაცემული თანხა (ფასიანი ქაღალდები)

საბუთების დეპონირება – ტექსტების და საბუთების გადაცემა შესანახად საინფორმაციო ცნობათა ფონდში.

დივიდენდი – სააქციო საზოგადოების მიმოსაყვლის საერთო თანხის ნაწილი, რომელიც ნაწილდება აქციონერთა შორის იმ აქციების მესაბამისად, რომლებსაც ისინი ფლობენ.

დირექტიული საბუთი – საბუთი (ბრძანება, ინსტრუქცია, განკარგულება, დადგენილება), რომელიც შეიცავს სემდგომი ორგანოების მიერ აუცილებელ შესასრულებელ მითითებებს.

დისკრიმინაცია – ვინმეს უფლებების და შესაძლებლობების შელახვა.

მინდობილობა – საბუთი, რომელიც აძლევს მის წარმდგენს რომელიმე ქმედების შესრულების უფლებას მინდობილი პირის სახით.

ხელშეკრულება – ორი ან რამდენიმე მხარის თანხმობა (ხელშეკრულებრივ წერით) ურთიერთვალდებულებების შესახებ.

მოხსენებითი ბარათი – საბუთი, რომელშიც გადმოცემულია შემდგენის მიერ რაიმე საკითხი ან დასკვნა და განკუთვნილია ორგანიზაციის ხელმძღვანელისათვის.

საბუთი – წერილობითი ინფორმაცია, რომელსაც აქვს იურიდიული ძალა.

დომოცილია – იურიდიული პირის ადგილსამყოფელი.

დოსიე –განსაზღვრული საქმისათვის განკუთვნილი საბუთების შერჩევა.

დოტაცია – თანხა, რომელიც გაიცემა სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაუბრუნებლად.

დუბლიკატი – საბუთი, რომელიც შედგენილია დედანის საფუძველზე და აქვს იგივე იურიდიული ძალა.

სადუბლიკატო საბუთი – გამრავლებური საბუთების ერთ-ერთი ეგზემპლარი.

კანონი – იურიდიული ძალის მქონე სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს ნორმატიული აქტი.

ბარათი – რომელიმე საკითხის მოკლედ გადმოცემა ან რომელიმე საბუთის, ფაქტის, მოვლენის შინაარსის (მოხსენებითი ბარათი, ახსნა-განმარტებითი ბარათის) განმარტება.

მოთხოვნა – საბუთი,რომელშიც წარმოდგენილია მოთხოვნილება რამეს შესახებ.

განაცხადი – სურვილის გამოთქმა რომელიმე ღონისძიებაში მონაწილეობაზე ან რაიმე საქონლის შეძენაზე.

განცხადება – წერილობითი საბუთი, რომელშიც ოფიციალურად გადმოცემულია თხოვნა ან წინადადება თანამდებობის პირის, დაწესებულების სახელზე.

შეტყობინება – საბუთი, რომელიც ინფორმაციას აწვდის მომავალი ღონისძიების შესახებ (სხდომის, კრების, კონფერენციის) და გთავაზობთ მონაწილეობის მიღებას.

საინვენტარიზაციო აღწერა – დაწესებულების, წარმოების, ორგანიზაციის ან პიროვნების ქონების სია გამოყვანილი საგნების რაოდენობის, მდგომარეობის და მათი ღირებულების მითითებით.

ინვენტარიზაცია – წარმოების ბალანსზე დარიცხული არსებული ფასეულობის, ქონების და მათი ტექნიკური მდგომარეობის პერიოდული შემოწმება.

ინვესტიცია – კაპიტალის ჩადება ხანგრძლივი ვადით შემოსავლის მიღების მიზნით მრეწველობაში, სასოფლო მეურნეობაში, ტრანსპორტში და სხვა სექტორში.

ინდექსაცია – საბუთებისათვის განსაზღვრული ინდექსების მინიჭება.

ინდექსები – საბუთების პირობითი აღნიშვნა, მათი აღრიცხვის დროს (რეგისტრაციის).

საინიციატივო წერილი – საქმიანი წერილი, რომელიც მოითხოვს პასუხს.

ინოვაცია – სიახლის დანერგვა.

ინტელექტუალური საკუთრება – საავტორო და გამომგონებლობის უფლების მქონე ობიექტების ერთობლიობა (სალიტერატურო, მხატვრული, სამეცნიერო ნაწარმოებების, გამოგონებების, აღმოჩენების).

ინფლაცია – ფასიული ქაღალდების გაუფასურება მასზე გამოშვების გადაჭარბების მოთხოვნილების გამო.

ინფრაქცია – ხელშეკრულების და კონტრაქტის პირობების დარღვევა

სარჩელი – სასამართლოში მიმართვა მოქალაქეობრივი უფლებების დაცვის მოთხოვნით.

მოსარჩელე – პირი, რომელიც წარადგენს სარჩელს.

გასული საბუთი – დაწესებულებიდან გასული საბუთი.

კანცელარიზმები – სიტყვები და შესიტყვებები, გრამატიკული კონსტრუქციები, რომლებიც გამოიყენება ოფიციალურ-საქმიან სტილში, საქმისწარმოებაში, იურისპრუდენციაში: მხედველობაში მიღება, პასუხისგებლობაში მიცემა და სხვა. ამ სტანდარტული ფორმულების გამოყენება გამართლებულია მოხერხებულობით, დროის შემცირებით საქმიანი ქაღალდების გაფორმებისას.

კვოტა – ყოველი მონაწილის წილი საერთო წარმოებაში, პროდუქციის ექსპორტში ან იმპორტში.

კლიშირებული გამოთქმები – სტანდარტული ფრაზები და გამოთქმები, რომლებიც ხშირად გამოიყენება საქმიანი წერილების ტექსტებში.

კომერციული საიდუმლობა – ნებისმიერი კონფიდენციალური ინფორმაცია, რომელიც წარმოადგენს მნიშვნელობას წარმოებისთვის კონკურენტებზე გამარჯვებისათვის და შემოსაველის მიღებისათვის.

კონტრაგენტი – პირი, რომელიც დებს ხელშეკრულებას და თანამშრომლობს შეთანხმების შესრულების პროცესში (გამყიდველი და მყიდველი და სხვა).

კონტრაქტი – თანხმობა, ხელშეკრულება დადებული მხარეების ურთიერთვალდებულებით.

კორესპოდენტი – დაწესებულება ან ცალკეული პიროვნება, ვისთანაც არის მიმოწერა.

კოტირება – ფასიული ქაღალდების ან საქონლის და აგრეთვე თვით ფასების ბრუნვა.

კრედიტი – 1) სესხი თანხის ან საქონლის სახით დაბრუნების და პროცენტების გადახდის პირობით 2) თანხა, რომელიც შეიძლება იყოს გამოყენებული საჭიროებისას

ლიმიტი – ნორმა, რომლის ფარგლებში ნებადართულია რამეს გამოყენება.

პირადი ანგარიში – საბუღალტრო საბუთი, რომელიც გულისხმობს რომელიმე კონკრეტული სახის საშუალების (მასალის, ხელსაწყოს, შენობის) გადაცემას განსაზღვრული პირისათვის ან ორგანიზაციისათვის.

ლიცენზია – სახელმწიფო ორგანოების მიერ გაცემული ნებართვა განსაზღვრულ უფლებებზე (საქონლის შემოსაღება და გაზიდვა, მათი წარმოება და სხვა).

პირადი საქმე – საქმე, რომელიც შეიცავს საბუთს რომელიმე პიროვნებაზე.

მარკირება – ტექნიკური საბუთების ან საქონლის ინდექსირება.

მემორანდუმი – დიპლომატიური საბუთი, რომელშიც ასახულია ხელისუფლების შეხედულებები ამა თუ იმ საკითხებზე.

მონოპოლია – განსაკუთრებული უფლება, რომელიც ეძლევა სახელმწიფოს, წარმოებას, ან ფიზიკურ პირს საქმიანობისათვის.

მორატორია – ვალდებულების შესრულების გადავადება რაიმე საგანგაშო მოვლენების გამო (ომი, კრიზისი, სტიქიური უბედურება და სხვა).

ზედნადები – საბუთი, რომელიც აფორმებს ტვირთის მიღებას და გაგზავნას, მატერიალური ფასეულობის გადაადგილება და გაცემა.

გადასახადი – აუცილებელი გადასახადი, რომელსაც სახელმწიფო იღებს იურიდული და ფიზიკური პირებისაგან.

ნომენკლატურა – სახელწოდების ჩამონათვალი, რომელიც გამოიყენება მეცნიერების, წარმოების და ნებისმიერ დარგში.

ნომინალური ფასი – 1) გამოქვეყნებული პრეისკურანტში ან ცნობარებში საქონლის ფასი 2) საბირჟო კოტირებული ფასი საქონელზე, რომელზეც კოტირების დღეს არ იყო დადებული გარიგება.

ნორმატივი – ნორმის მაჩვენებელი (დროის დახარჯვის, მატერიალური ან ფულადი რესურსების, პროდუქციის გამოშვების), რის შესაბამისად სრულდება განსაზღვრული ქმედებები.

ფულის გაუფასურება – ფულის შესყიდვის შესაძლებლობის დაცემა საქონელთა მიმართებაში ან სავალუტო კურსის დაცემა.

საბრუნებელი საშუალებები – სამეურნეო ანგარიშზე არსებული ფულადი საშუალებები, რომლებიც გამოიყენება სამეურნეო საქმის დასაფინანსებლად.

ახსნა-განმარტებითი ბარათი – 1) საბუთი, რომელიც განმარტავს ძირითადი საბუთების შინაარსის (ცალკეულ დებულებებს 2) თანამდებობის პირის განმარტება რომელიმე მოქმედების, ფაქტის შესახებ, რომელიც უნდა წარედგინოს ხელმძღვ თანამდებობის პირს.

აღწერა – იურიდულად გაფორმებული საბუთების ჩამონათვალი, წარმოების საბითუმო ფასი, პრეისკურანტული ფასი, რომლითაც წარმოება თავის პროდუქციას პარტიებით ყიდის სხვა წარმოებებსა და სავაჭრო ფირმებზე.

განსაკუთრებული ნიშნები – აღნიშვნები, რომლებიც უზენებენ მუშაობის განსაკუთრებულობას საბუთებზე (გასაიდუმლოებების დონე, შესრულების ისწრაფე).

მოპასუხე – 1) ის, ვისაც წარედგინენ სარჩელი 2) ვინც აგებს პასუხს ვინმეზე ან რამეზე.

ღია კონტრაქტი – კონტრაქტი, რის მიხედვით კლიენტს უფლება აქვს დაუკვეთოს დამატებითი რაოდენობის პროდუქცია მეწარმესთან დამატებითი შეთანხმების გარეშე.

ოფერტა – ოფიციალური წინადადება რამეზე (საქონლის ყიდვა-გაყიდვაზე).

პარაფირება – მოლაპარაკების შედეგად გამომუშავებული ხელშეკრულების ტექსტზე წარმომადგენელთა მხარეების მიერ თანხმობის დამამტკიცებელი ფორმა; ინიციალების დასმა საბუთის ბოლოს.

პარიტეტი – მხარეების თანაუფლებობის პრინციპი რამეში.

პატენტი – საბუთი, რომელიც ადასტურებს რაღაცის გამოგონების აღიარებას, ავტორობას და პატენტისმფლობელის უფლებას გამოგონებულზე.

საინფორმაციო წერილი – წერილი, რომელიც ინფორმირებს სხვა დაწესებულების ან დაინტერესებულ პირს ფაქტის ან დაგეგმილი ღონისძიების შესახებ.

შეტყობინების წერილი – წერილი, რომელშიც წარმოდგენილია შეტყობინება ან მტკიცება რაღაცის შესახებ.

შემახსენებელი წერილი – წერილი, რომელიც განმეორებით იუწყება რამე ფაქტის შესახებ, ასეთი წერილი წააგავს ტელეგრამას.

დამადასტურებელი წერილი – წერილი, რომელიც ადასტურებს საბუთის გაგზავნას ან რომელიმე ღონისძიებაში მონაწილეობას.

მოსაწვევი წერილი – წერილი, რომელიც წარმოადგენს ღონისძიებაში მონაწილეობის საფუძველს.

თხოვნითი წერილი — წერილი, რომელშიც ასახულია თხოვნა გადაწყვეტილების, საბუთების ან მატერიალური ფასეულების მიღების შესახებ.

გადახდის უნარიანობა — სახელმწიფოს, იურიდიული პირის ან ფიზიკური პირის მიერ გადასახადების თავის დროზე გადახდის შესაძლებლობა.

უწყება — კერძო პირისათვის ან ორგანიზაციის წარმომადგენლისთვის განკუთვნილი ოფიციალური უწყება, სადმე გამოძახების ან სახელმწიფო ორგანიზაციაში მისვლის შესახებ.

საბუთის დედანი — 1) ოფიციალური საბუთი, შესაბამისად დადასტურებული, ოფიციალური საბუთი, ორიგინალი 2) ხელნაწერი.

დებულება — 1) უფლება, რომელიც ადგენს სახელმწიფო ორგანოების, სტრუქტურული ქვეგანაყოფების, დაწესებულების, ორგანიზაციების საორგანიზაციო და მოღვაწეობის ძირითად წესებს 2) სახელმწიფო მმართველობის განსაკუთრებული დარგის მარეგულირებელი კანონების, წესების კრებული.

შუამავალი — პირი (დაწესებულება), რომელიც აკავშირებს საქონლის გადატანის, შენახვის, გასაღების ან სხვა დარგში გარიგების დადების მსურველ მხარეებს.

შეთავაზება — წერილობითი განცხადება ერთი ორგანიზაციის სახელით მეორე ორგანიზაციის განსაკუთრებულ პირობებზე თანამშრომლობის, ხელშეკრულების დადების შესახებ.

დადგენილება — 1) მთავრობის განკარგულება 2) კოლექტიური გადაწყვეტილება

საგნობრივი კატალოგი — საბუთების კატალოგი, რომელიც შეიცავს ცნობებს განსაკუთრებული ფაქტების, მოვლენების, ადამიანების შესახებ.

წარმომადგენელი — პირი (იურიდიული, ფიზიკური), რომელიც მოქმედებს სხვისი დავალებით, ან სხვისი სახელით.

წარდგენა — საბუთი, რომელშიც წარმოდგენილია წინადადება პირადი შემადგენლობის დანიშვნის, გადაადგილების ან წახალისების შესახებ

პრეზენტირება — 1) რაიმეს საჯაროდ წარმოდგენა გაცნობის ან რეკლამის მიზნით 2) სარეკლამო ტექსტის ჟანრი 3) თამასუქის წარმოდგენა პიროვნებისთვის, რომელსაც ეკალება მისი გადახდა.

პრეტენზია — წერილი გაგზავნილი დანაშაული მხარისათვის ადრე დადებული ხელშეკრულების შეუსრულებლობის შემთხვევაში.

პრივატიზაცია — სახელმწიფო ქონების (დაწესებულებების, ტრანსპორტის საშუალებების, საცხოვრებელი შენობების) გადაცემა კერძო საკუთრებაში

ბრძანება — უფლებრივი საბუთი, ოფიციალური განკარგულება გაცემული დაწესებულების, ორგანიზაციის მიერ.

პროგრამა — საბუთი, რომელშიც წარმოდგენილია დაწესებულების მოღვაწეობის ძირითადი მიმართულება განსაკუთრებული დროით.

საბუთის პროექტი — განსახილველად წარმოდგენილი საბუთის საეარაუდო ვერსია.

ოქმი — 1) საბუთი, რომელშიც წარმოდგენილია კრებებზე, კონფერენციებსა და კოლეგიალურ ორგანოების სხდომებზე თანმიმდევრობით განსახილველი საკითხები და მიღებული გადაწყვეტილებები წერილობითი ფორმით 2) რომელიმე ფაქტის დამადასტურებელი საბუთი 3) აქტი სახოგადოებრივი წესრიგის დარღვევის შესახებ 4) მთავრობის და დიპლომატიური წარმომადგენლების მიერ დაცული საერთაშორისო ურთიერთობის დროს წესების ერთობლიობა.

განკარგულება — 1) უფლებრივი აქტი, გამოცემული ერთპიროვნულად ორგანიზაციის ხელმძღვანელობის მიერ ოპერატიული საკითხების გადაწყვეტის მიზნით.

სარეგისტრაციო ბარათი – ბარათი, რომელიც განკუთვნილია საბუთების სარეგისტრაციოდ საქმისწარმოება'ში

სარეგისტრაციო შტამპი – შტამპი, რომელ'შიც წარმოდგენილია შემდეგი ინფორმაცია: დაწესებულების სახელწოდება, რეგისტრაციის თარიღი, რეგისტრირების ინდექსი, საქმის ნომერი.

რეგლამენტი – წესები, რომლებიც არეგულირებენ სახელმწიფო ორგანოების, დაწესებულებების ქმედებას, ღონისძიების ჩატარების დროს და წესრიგს (მაგალითად, სხდომების და თათბირების რეგლამენტი).

რეესტრი – ჩამონათვალი, რამეს აღწერა (გამოიყენება საბუღალტრო აღრიცხვა'ში და საქმისწარმოება'ში).

რეზოლუცია – 1) სხდომა'ზე, თათბირ'ზე მიღებული გადაწყვეტილება რამე საკითხის შესახებ 2) ხელმძღვანელის მიერ გაცემული განკარგულება, წერილობითი მითითება.

რეზიუმე – შინაარსის მოკლედ გადმოცემა.

რეკვიზიტები – 1) სამსახურებრივი საბუთების შემადგენლობა'ში აუცილებელი მონაცემების წარმოდგენა, ვინაიდან ამ მონაცემების გარე'შე საბუთი კარგაც ფორიდიულ ძალას.

რენტაბელურობა – 1) წარმოების ეფექტიანობა წარმოება'ში, გაერთიანება'ში, რომელიც ახასიათებს გაცემული დანახარჯის, და სა'შუალებების გამოყენების ხარისხს, პროდუქციის გამო'შვების და რეალი'საციის პროცეს'ში.

გადაწყვეტილება – 1) უფლებრივი აქტი, რომელიც გამოიყენება კოლეგიალური ორგანოების ან სახელმწიფოს უმარლესი ორგანოების ინსტანციების მიერ 2) საბუთი, რომელიც შეიცავს სასამართლოს ან არბიტრაჟის გადაწყვეტილებას სამოქალაქო საქმის ან საკამათო საკითხის გარჩევის შედეგად. 3) კრების, თათბირის, დადგენილების რე'ზოლუცია.

სანქცია – იძულებითი ზემოქმედის ზომები, რომელიც გამოიყენება კანონის დამრღვევის მიმართ.

თვითღირებულება – ფულის სახით ასახული პროდუქციის წარმოება'ზე და გასაღება'ზე ეფექტი დანახარჯების თანხა.

სერტიფიკატი – რაიმე ფაქტის (საქონლის ხარისხის, მისი მასის) დამადასტურებელი საბუთი, წერილობითი მოწმობა.

შეთანხმება – ოფიციალური საბუთი, ხელ'შეკრულება, რომელიც ადგენს ურთიერთვალდებულებას რომელიმე საკითხის მიმართ.

თანხლები წერილი – წერილი, რომელიც მიუთითებს წერილ'ზე თანხლები საბუთების ან სხვა მატერიულ ფასეულობის გაგზავნის ფაქტ'ზე.

სპეციფიკაცია – საბუთი, რომელიც წარმოადგენს გაგზავნილი ნაკეთობების, კონსტრუქციების დეტალების დეტალურ აღწერას.

ცნობა – საბუთი, რომელ'შიც წარმოდგენილია ინფორმაცია ან დასტური რამე აქტის ან მოვლენის შესახებ.

სესხი – თანხის ან მატერიული ფასეულების გასესხება განსაზღვრული პირობით.

სტანდარტი – ტიპური ნიმუ'ში, ნორმატიულ-ტექნიკური საბუთი, რომელიც ადგენს მოთხოვნილებას ერთნაირი პროდუქციების მიმართ.

სუბსიდია – სახელმწიფოს მიერ სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯ'ზე ფულადი ან ნატურის სახით გაცემული დახმარება.

ანგარიში – გაწეული სამსახურის და მათი ღირებულების დამადასტურებელი საბუთი.

ტაბელი – განსაზღვრული თანმიმდევრობით შედგენილი რაიმე მაჩვენებელის ნუსხა, სია.

ცხრილი _ საბუთის ფორმა, სადაც ტექსტური და ციფრული მონაცემები მოცემულია განსაზღვრული გრაფების მიხედვით.

ბაჟი – გადასახადი საზღვარზე გასატან საქონელზე.

თეზაურუსი – ლექსიკონი, სადაც მოცემულია სპეციალური დარგის ტერმინები, ცნებები.

თეზისები – მოხსენების, ლექციის ძირითადი შინაარსის მოკლედ ფორმულირებული დებულებები.

ტიპური საბუთები – საბუთები, რომლებშიც აისახება ერთნაირი საკითხები და ვალიბდებიან ერთნაირად.

საქონლის ნიშანი – 1) დადგენილი წესით დარეგისტრირებული ფირმის და საქონლის დასახელება 2) საქონლს აღნიშნა მისი და მწარმოს იდენტიფიკაციურობის გამო.

აუქციონი (საჯარო ვაჭრობა) – საქონლის ყიდვა-გაყიდვა შეჯიბრებით, დაკვეთების მოთავსება, მყიდველის მიერ მიმწოდებლის შეთავაზებული საქონლიდან მეტად სარგებლიანის ამორჩევა და შესაბამის მონაწილესთან გარიგების დადება.

ტრაფარეტული საბუთი – საბუთი, რომელიც წარმოდგენილია წინასწარ დაბეჭდილი სტანდარტული ტექსტით.

ბრძანებულება – ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს ან სახელმწიფო მეთაურის განკარგულება, რომელსაც აქვს კანონის ძალა.

მითითება – უფლებრივი სახელმწიფო აქტი, რომელიც შეიცავს საჭირო რეკომენდაციებს და ახსნა-განმარტებებს ბრძანებების, ინსტრუქციის და სხვა მართვის ორგანოების აქტების ასრულების შესახებ

წესდება – წესების და დებულებების კრებული, რომელიც განსაზღვრავს იურიდული პირის უფლებებს, ვალდებულებებს, ქმედებებს (მტკიცდება და რეგისტრირდება კანონის მიერ დადგენილი თანმიმდევრობით).

ფაქსი – სატელეფონო ფაქსიმალური კავშირი ნაბეჭდი ინფორმაციის გადაცემისათვის და მიღებისათვის.

ფაქსიმილე – 1) ხელმოწერის ზუსტი აღდგენა ტექნიკური საშუალებებით 2) კლიშე, რომელიც იძლევა საბუთებზე ხელმოწერების მრავალჯერ აღდგენის საშუალებას.

ფიზიკური პირი – მოქალაქე, რომელიც მონაწილეობს ეკონომიკურ საქმიანობაში და არის ამ საქმიანობის სრულუფლებიანი სუბიექტი.

ფორმულირება – ენობრივი ფორმულა, რომელიც ზუსტად გადმოსცემს აზრს და გამოიყენება როგორც ტექნიკური საქმიან ტექსტებში.

საბუთების ფორმულარი – განსაზღვრული თანმიმდევრობით განლაგებული საბუთების რეკვიზიტების ერთობლიობა (ავტორი, მისამართი, სათაური, შინაარსი).

ცირკულარული წერილი – წერილი გაგზავნილი ერთი ადგილიდან რამდენიმე მისამართისე.

ჩეკი – მიმდინარე ანგარიშის მფლობელის განკარგულება ბანკის მიმართ ამ ანგარიშიდან თანხის გაცემის ან გადარიცხვის შესახებ.

ელექტრონული ფოსტა – უწყებების გადაცემის სისტემა კომპიუტერით მომხმარებლებს შორის.

ემბარგო – საქონლის შემოტანის და გატანის აკრძალვა.

იურიდული პირი – ორგანიზაცია, დაწესებულება, ფირმა, რომელიც წარმოდგენილია როგორც მოქალაქობრივი უფლებების და ვალდებულების დამოუკიდებელი მატარებელი.

გენდერული მეტყველება თანამედროვე ქართული სოციოლექტების მიხედვით

სოციოლინგვისტური კვლევისას გარეენობრივი ფაქტორების (ასაკი, სქესი, პროფესია..) ენაზე ზემოქმედება თვალნათლივ ჩანს. ცნობილია, რომ გარეენობრივი პარამეტრების ურთიერთგადაკვეთა და ურთიერთშეხება ქალისა და მამაკაცის ენაში განსხვავებულად აისახება, რაც განაპირობებს ენათმეცნიერთა დაინტერესებას გენდერული ლინგვისტიკით.. საქართველოში ქალისა და მამაკაცის ვერბალური ენის კვლევას სულ ახლახან ჩაეყარა საფუძველი. შესაბამისად, ბევრი რამ მასში დაუზუსტებელია და მხოლოდ ჰიპოთეზების დონეზე არსებობს. არსებული მასალა კი საკითხის განზოგადებისათვის არასრულყოფილია (გობიანი, მებურიშვილი, 2007, 135). ქალთა და მამაკაცთა მეტყველების თავისებურებათა შესახებ თანამედროვე ქართულში ერთი შეხედვით სხვაობა თითქმის არ შეინიშნება. ალბათ ამიტომაცაა, რომ ენის სპეციალისტები იშვიათად აქცევენ ყურადღებას ამ რიგის სპეციფიკურ ენობრივ მოვლენებს. ეს რა თქმა უნდა, არ ნიშნავს იმას, რომ მამაკაცები და ქალები აბსოლუტურად ერთნაირად მეტყველებენ.

ქალთა და მამაკაცთა მეტყველების შესწავლას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება არა მხოლოდ მხატვრული, ენობრივი და სამართლებრივი, არამედ სოციოლინგვისტური თვალსაზრისითაც.

იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებისათვის გამოცემულ დამხმარე სახელმძღვანელოში "ძველი ქართული საოჯახო სამართალი" გიორგი ნადარეიშვილი პირდაპირ მიუთითებს, რომ "ქალთა უფლებრივი მდგომარეობის გასარკვევად მკვლევართა უმრავლესობა არ სწავლობდა ისეთ პირველხარისხოვან წყაროებს, რომლებსაც წარმოადგენდნენ ქართული სამართლის წიგნები და ქართული იურიდიული დოკუმენტები. ისინი უმთავრესად მხატვრულ ნაწარმოებებში დაცული ცნობების მიხედვით ცდილობდნენ საკითხის გადაწყვეტას. ცხადია, ფოლკლორისა და მხატვრულ ნაშრომებში დაცულ ცნობებს, აგრეთვე ენობრივ მონაცემებს დიდი ყურადღებით უნდა მოვეკიდოთ. როგორც ნ. მარი იტყოდა, ენა ხალხის ისტორიის უძველესი მოწმეა. ამავე დროს, უნდა ვეცადოთ, რამდენადაც ამის საშუალებას წყაროების მდგომარეობა მოგვცემს, ქალთა უფლებრივი მდგომარეობა ოჯახსა და საზოგადოებაში შევისწავლოთ იურიდიული პრაქტი-

კის მასალების მიხედვით, სამართლებრივი ძეგლების ანალიზის საშუალებით (ნადარეიშვილი, 1996, 32). სწორედ შუშანიკის მეტყველების ანალიზის შედეგად ხდება შესაძლებელი V საუკუნის ქალთა და მამაკაცთა სოციალური მდგომარეობის ზოგიერთი დეტალის გარკვევა; შ. რუსთაველის პოემის მიხედვით ვგებულობთ იმდროინდელ საქართველოში სხვადასხვა ფენის წარმომადგენელთა სოციალური სტატუსის შესახებ და ა. შ.

ქალთა და მამაკაცთა მეტყველების თავისებურებების, მათი ბუნებისა თუ გამომწვევი მიზეზების კვლევა უამრავ პრობლემასთანაა დაკავშირებული. ის, თუ რითაა გამოწვეული ეს განსხვავება – ბუნებრივი სხვაობით თუ სოციალურით, ხშირად გამხდარა სხვადასხვა ავტორის კვლევა-ძიების საგანი. მაგალითად, რ. შორი თვლის, რომ უძველესი პროფესიული დიფერენცირება სქესის მიხედვით ხდებოდა. მამაკაცსა და ქალს თავიანთი მოვალეობა ეკისრებოდათ საზოგადოებაში. მამაკაცისა და ქალის მეტყველების დიალექტური დიფერენცირება აქედან უნდა იღებდეს სათავეს, შემდეგ კი სადაც შემორჩა სოციალური დიალექტების იერი მიიღო (შორი, 1926). ბუნებრივი ფაქტორი გადამწყვეტია ზოგი ავტორისათვის, რომლებიც, ძირითადად, ანთროპოლოგიურ, ნეიროლოგიურ და გენეტიკურ მონაცემებს ეყრდნობიან (ჟორდანია, 1993, 39).

ფიზიოლოგიური მახასიათებლებით გამოწვეული სქესობრივი მახასიათებლები, რა თქმა უნდა, არსებობს: მაგალითად, მამაკაცის სახმო სიმები უფრო მოდუნებულია და რხევის სიხშირეც, შესაბამისად, დაბალია ქალისასთან შედარებით. ამითაა გამოწვეული ორი სქესის მკაფიო ეოკალური დიფერენციაცია. მაგრამ ეს მოვლენა სულ სხვა რიგისაა და ზემოთ ნახსენებთან არანაირ კავშირში არ არის. თუ სხვაობა სიგნალიზებულია ენის ამა თუ იმ ასპექტის ერთეულებით (ფონემები, გრამატიკა, ლექსიკა), ან მთელი ენობრივი სისტემით, მიზეზი სოციალურ პირობებს შორის უნდა დაიძებნოს (კიკვიძე, 1997, 111).

იანაში (ამერიკელ ინდიელთა ენა) არსებულ ქალთა მეტყველების თავისებურებებთან დაკავშირებით ჯერ კიდევ ე. სეპირი აღნიშნავდა, რომ შესაძლოა რედუცირებული ქალური ფორმები წარმოადგენს საზოგადოებაში ქალთა ნაკლებად ღირებული სტატუსის პირობით სიმბოლოებს (სეპირი, 1993, 460).

ქართული სოციოლექტების ენობრივი შესწავლა ადასტურებს რ. შორის თვალსაზრისს, რომ ქალთა და მამაკაცთა მეტყველებრივი განსხვავება უშუალოდაა დაკავშირებული მათ სოციალურ და პროფესიულ განაწილებასთან. სქესის კატეგორია

მჭიდრო კავშირშია სოციალური ფენების კატეგორიებსა და კრიტერიუმებთან. სქესი არ არის მხოლოდ ბიოლოგიური და ფსიქოლოგიური სიდიდე, იგი აგრეთვე სოციალური სიდიდეა. სოციალური სქესი – გენდერი – ფლობს გარკვეულ ენობრივ საშუალებებს საკუთარი სოციალური მდგომარეობის გამოსახატავად. მაგალითად, ავტომობილების შემკეთებლები, მონადირეები, მეთევზეები, ქვის ხელოსნები, ძირითადად, მამაკაცები არიან და ამ დარგებთან დაკავშირებულ ლექსიკასაც მამაკაცები გამოიყენებენ. აგრეთვე მამაკაცებისთვისაა ცნობილი ტოტალიზატორთან და კომპიუტერულ თამაშებთან დაკავშირებული სოციოლექტიზმები. განსხვავება ის არის, რომ ავტომობილს ქალებიც გამოიყენებენ, ამიტომ მომხმარებლის პოზიციიდან, ავტომობილების ნაწილებთან, შეკეთებასთან დაკავშირებული ლექსიკა, ქალებისთვის ნაკლებად მაგრამ მაინც ცნობილია, ხოლო ტოტალიზატორთან დაკავშირებული ლექსიკა ქალებისათვის თითქმის უცნობია (ტოტალიზატორის თანამშრომელი ქალების გარდა). ახალგაზრდულ ჟარგონსაც უმეტესად ვაჟები გამოიყენებენ, თუმცა მნიშვნელობა გოგონებსაც ესმით, მაგრამ სუსტი სქესი უფრო ვიწრო სიტუაციებში გამოიყენებს მათ. ნარკომანებისა და დამნაშავეთა ჟარგონი და არგოც უმეტესად მამაკაცებთანაა გავრცელებული. რაც შეეხება მედიცინის მუშაკთა, იურისტთა და. ა. შ. ისეთ პროფესიულ ჟარგონებს, სადაც დასაქმების ხვედრითი წილი მამაკაცებისა და ქალების თითქმის ერთნაირია, პროფესიული ჟარგონების გამოყენებაც ორივე სქესის მიერ თანაბარია.

არსებობს მოსაზრება, რომ ქალები როგორც ფონეტიკურ-ფონოლოგიურ, ასევე მორფოლოგიურ-სინტაქსურ სიბრტყეზე უფრო ახლოს დგანან სტანდარტულ ენობრივ განზომილებებთან, ვიდრე მამაკაცები. ნ. ლადარაია ამ ფაქტს ხსნის იმით, რომ ქალები მაღალი ენობრივი ფორმების გამოყენებით ცდილობენ უფრო აღიარებულნი იყვნენ საზოგადოებაში, რადგან სალიტერატურო ენაზე საუბარი ყოველთვის გაიგება კომპეტენტურობა და ინტელიგენტურობა (ლადარია, 2002). ქალთა მაღალი მგრძნობელობა პრესტიჟული ენობრივი ფორმებისადმი იკლებს სოფლებში. გ. გოგოლაშვილმა შეისწავლა დ. კლდიაშვილის პერსონაჟთა მეტყველება, რომლებიც ძირითადად, სოფლის მოსახლეები არიან და აღმოჩნდა, რომ სწორედ ქალები გამოიყენებენ ყოველთვის დიალექტურ ფორმებს.

ჩვენ მიერ პროექტისათვის "სოციოლინგვისტური სიტუაცია თანამედროვე საქართველოში" ჩაწერილი მასალაც მოწმობს, რომ ქალაქში ქალები უფრო გამოიყენებენ სალიტერატურო

ფორმებს, ხოლო სოფლებში ამ მხრივ, ქალებსა და მამაკაცებს შორის სხვაობა თითქმის არ იგრძნობა.

ლოცვისა და წყევლის ფორმები უმეტესად ქალთა მეტყველებაშია გავრცელებული, რომლის მაგალითებიც უხვადაა მხატვრულ ლიტერატურაშიც. მართალია, კაცები იშვიათად იწყევლებიან, მაგრამ საზოგადოება მამაკაცის წყევლას უფრო შიშით ღებულობს. თუ ქალთა წყევლის ფორმები მრავალნაირია და მათ შემოქმედებას ამ მხრივ საზღვარიც არ უჩანს, მამაკაცთა მცირე ნაწილი, მხოლოდ ძალიან გავრცელებულ წყევლის ფორმებს იყენებს. ასეთებია, მაგალითად, *გადააშენე აქედან, გაწყდა მაგათი ჯიში, არ მოსულა ცოცხალი..*

ლოცვები და შელოცვებიც ქალთა მეტყველებაშია გავრცელებული, მაგრამ მამაკაცებთან დასტურდება *ღმერთმა გაგახაროს, ღმერთმა დაგლოცოს, აშენდა შენი ოჯახი* და სხვა ძალზედ გავრცელებული დალოცვის ფორმები.

გინება მამაკაცთა მეტყველებისათვისაა დამახასიათებელი. გინების ფორმები ასაკის მიხედვითაც გარჩეულია. მაგალითად, *შენი დედა ვატირე* – საშუალო და უფროსი თაობის მამაკაცთა მეტყველებისთვისაა დამახასიათებელი, ხოლო ახალგაზრდებთან დასტურდება ფორმა – *ჩემი დედა ვატირე*. ზოგჯერ ახალგაზრდა გოგონებიც იგინებიან, რაც ძალიან "ცუდ ტონად აღიქმება".

ენობრივი კონტაქტები სოციოლექტებში

ტერმინი „ენობრივი კონტაქტები“, პირველად გამოიყენეს ლინგვისტებმა ა. მარტინესმა და უ. ვაინრაიხმა და მან შეცვალა ჰ. შუხართის მიერ დამკვიდრებული ტერმინი „ენათა შერევა“, თუმცა ეს ტერმინიც, ისევე როგორც „სესხება“, აღნიშნავს საკმაოდ რთულ პროცესს. ენობრივი კონტაქტების შესწავლას განსაკუთრებული ყურადღება მიექცა 1950-იანი წლებიდან, რასაც ბიძგი უ. ვაინრაიხის მონოგრაფიის გამოქვეყნებამ მისცა (ვაინრაიხი, 1953).

ენის განვითარება – წერდა შუხართი – ხდება დივერგენციისა და კონვერგენციისაგან: პირველს კვებაენ იმპულსები, გამომდინარე ადამიანის ინდივიდუალური საქმიანობიდან, მეორე კი აკმაყოფილებს ურთიერთგაგების მოთხოვნილებებს (შუხართი, 1950, 78).

ენობრივი კონტაქტების დროს ყველაზე ხელშესახებად წარმოჩნდება ენის გავლენა კულტურაზე, სწორედ ამიტომ იყვნენ დაინტერესებულნი ნეოლინგვისტები ენობრივ კონტაქტთა არა მარტო ლინგვისტური პროცესებით, არამედ ენის გავლენით ცივილიზაციასა და კულტურაზე.

თანამედროვე ქართულ სოციოლექტებზე დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ სოციოლექტებში ყველაზე ხელშესახებად რუსული და ინგლისური ფენებია წარმოდგენილი, თუმცა სხვა ენობრივ სამყაროებთან კავშირებიც საკმაოდ გვხვდება. მაგალითად, საკმაო რაოდენობით გვხვდება ებრაული წარმომავლობის სიტყვები. ებრაელთა ძირითადი საქმიანობა საქართველოში ვაჭრობა იყო, რაც მოქმედი კანონის შესაბამისად დანაშაულად ითვლებოდა. ამიტომაც მოვაჭრე ებრაელებს შემუშავებული ჰქონდათ თავიანთი “პირობითი, სავაჭრო-საიდუმლო ენა.” ამ ენას XX საუკუნეში დიდი გამოყენება ჰქონდა. მან შეაღწია ებრაელთა საერთო-საყოფაცხოვრებო მეტყველებაში და უფრო მეტიც, ამ სიტყვებს ქართველი ვაჭრებიც გამოიყენებდნენ შემდეგ. ქართველ ებრაელთა პროფესიული ჟარგონი, რომლის გაჩენა თავის დროზე განპირობებული იყო საზოგადოებრივ-პოლიტიკურ-ეკონომიკური ურთიერთობებით, უკვალოდ არ გამქრალა. მისთვის დამახასიათებელ ლექსიკას ვხვდებით დღესაც, უკვე ქართულ ქალაქურ ჟარგონში (დუმბაძე, 1979). ეს ებრაული ჟარგონიზმები სხვა არაფერია, თუ არა გაქართულებული ებრაული სიტყვები, რომლებიც საკმაოდ

ძველია და ბიბლიის ტექსტებიდანაც კი არის ცნობილი. მაგალითად, *დათირა* – დაინახა, *გაასუხარა* – გაყიდა და სხვა.

სხვა ენობრივი სამყაროდან სიტყვათა სესხება ლექსიკის გამდიდრების ერთ-ერთი საშუალებაა. პირობითად გამოყოფენ ნასესხობათა სამ ჯგუფს:

ა) სრულიად ადაპტირებულს, რომლებიც არაფრით გამოირჩევა მკვიდრი ერთეულებისაგან (*კოლეჯი, პლედი*);

ბ) არაადაპტირებული ენობრივი ერთეულები მკვიდრი ერთეულებისაგან გამოირჩევა ბგერითი, ორთოგრაფიული, სემანტიკური, გრამატიკული ნიშნებით. ისინი ძირითადად უცხო რეალიებს აღნიშნავენ ან სპეციალურ, ტერმინოლოგიურ ლექსიკას განეკუთვნებიან. მაგალითად, *ბარბეკიუ, კომპიუტერი, ნოკაუტი;*

გ) ნაწილობრივი ადაპტაციის დროს სიტყვებს შეიძლება ჰქონდეთ ფონეტიკური ან გრამატიკული თავისებურებები. მაგალითად, -ი ფუძიანი სიტყვები ქართულისათვის დამახასიათებელი არ არის. დღეს სესხების გზით ასეთი სახელების რაოდენობა მკვეთრად გაიზარდა. ამ რიგის სიტყვების მოზღვავებამ კი მათ წარმოთქმასა და დაწერილობაში სიჭრელე შეიტანა (*ლობი, დისფლეი, ბრენდი*).

სიტყვამ შეიძლება მოგვითხროს იმ დროსა და გარემოზე, რომელშიც იგი იმყოფება. მთელი სემანტიკური სიღრმით სიტყვის აღქმა ნათელს ჰფენს ხალხის ცხოვრების, ისტორიის, მატერიალური და რეალური სიმდიდრის გაგებას. იგი ადამიანის აზრის განვითარების ეტაპებზეც მიუთითებს და, ამდენად, ცხადყოფს ხალხის, მისი ეროვნული ენის მზაობას კაცობრიობის ყოველგვარი ახალი მიღწევისა და ნააზრევის გაცნობიერება-მიღებისათვის. ს. ომიაძე მიიჩნევს, რომ, ამ მხრივ, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ტერმინოლოგიურ ლექსიკას, მაგრამ სანამ ტერმინოლოგიის კუთვნილება გახდება ესა თუ ის სიტყვა, თავდაპირველად რომელიმე სოციალურ ან პროფესიულ ჯგუფში ვრცელდება და შემდეგ გადადის სალიტერატურო ენაში და ღებულობს ოფიციალურ სტატუსს.

ნასესხები მასალის ანალიზი სხვადასხვა თვალსაზრისით შეიძლება განვიხილოთ, მაგალითად, სოციალური, კულტურული ასპექტები. ამ ამოსავლით ქართულ სოციოლექტებში შეიძლება საყურადღებო ჯგუფების გამოყოფა.

ენათა კონტაქტებმა შეიძლება მოგვცეს დადებითი შედეგებიც და უარყოფითიც – აღნიშნავდა ბ. ჯორბენაძე (ჯორბენაძე, 1997, 52). დადებით შედეგებში იგულისხმება ენობრივი ფონდის გამდიდრება მართებული სესხებითა და ენის შინაგანი პოტენცი-

ის ამოძრავება, ამის არაერთი მაგალითი შეიძლება მოვიყვანოთ ქართული ენის ისტორიიდან. ადამიანთა საზოგადოებაში შემავალი კოლექტივების ურთიერთგავლენა ბიძგებია, რომლებიც აპირობებს ცალკე საზოგადოებრივი ქვეჯგუფებისა და მთელი საზოგადოების, საერთო საკაცობრიო კულტურის განვითარებას. ამის მიხედვით, გასაგებია ის დიდი როლი, რომელსაც ენათა ურთიერთობა ასრულებს ადამიანთა საზოგადოების, კაცობრიობის წინსვლა-განვითარებისათვის. მით უფრო დღეს, როდესაც მსოფლიოს სხვადასხვა კუთხე ასეთ მჭიდრო პოლიტიკურ თუ კულტურულ კავშირშია ერთმანეთთან.

შესაბამის სოციალურ და კულტურულ პირობებში ნასესხებმა სიტყვამ შეიძლება მოიპოვოს ელიტარული ხასიათი ან პირიქით, ვულგარული გამოთქმის იერი. ცნობილია, რომ ლათინურმა ენამ საფუძველი ჩაუყარა როგორც მეცნიერულ ლექსიკას, ასევე ევროპულ სტუდენტურ ჟარგონსაც (ვაინრაიხი, 1972, 25-49).

ქართული ენა უხსოვარი დროიდან მდიდრდებოდა აღმოსავლურ თუ ევროპულ ენებთან კონტაქტების შედეგად. ამ მასალაზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ უცხო სიტყვის შემოსვლა და გავრცელება, მაშინაც გარკვეულ სოციალურ ან პროფესიულ ჯგუფებში ხდებოდა. ალბათ ამიტომაცაა, რომ ქრისტიანობასთან დაკავშირებული ლექსიკა, ძირითადად, ბერძნულიდანაა ნასესხები, წარმართობასთან დაკავშირებული – ძველი სპარსულიდან, თურქულიდან – მესაქონლეობის და ა.შ.

რუსულ-ქართული კონტაქტები სოციოლექტებში

საყოველთაოდ ცნობილია თუ როგორი სოციოლინგვისტური ფუნქციები ჰქონდა რუსულ ენას ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში, მათ შორის საქართველოშიც. სწორედ ამ პერიოდში თითქმის ყველა სოციალურ ჯგუფში გაბატონებული ადგილი ეჭირა რუსულს და სოციოლექტებიც უხვად საზრდოობდა რუსული ენიდან. ქართულ ენაში შემოვიდა არა მარტო რუსული ნასესხობანი, რომელიც ენობრივ ფონდს ამდიდრებდა, არამედ ბარბარიზმები, ჟარგონები, პროფესიონალიზმები, სლენგი...

მართალია, რუსული ენის სოციოლინგვისტური ფუნქციები ძალიან შემცირდა თანამედროვე საქართველოში, მაგრამ გარკვეულ სოციალურ ჯგუფებში იგი კვლავ მასასრდოებელ წყაროდ გვევლინება. განსაკუთრებით დამკვიდრებულია რუსული ნასესხობები საყოფაცხოვრებო ლექსიკაში. ამ ბოლო დროს, მართალია, ავტომანქანები უფრო ევროპიდან და ამერიკიდან შემოდის

თავისი სათადარიგო ნაწილებით, მაგრამ ამ საქმიანობით გაერთიანებული ადამიანთა ჯგუფები, ჯერ კიდევ რუსულ სიტყვებს გამოიყენებენ. *(ტორმუზი, რული, დისკი, პრისკი, ბენზონასოსი, ბაგაჟნიკი, კაპოტი, კრილო, ბარდაჩოკი, სიდენია, კაეიორი, მატორი, პავაროტნიკი, ფარი, პაგრიშკა, ცეპლენია...).*

ახალგაზრდული, დამნაშავეთა და ნარკომანების სოციოლექტებიც, ძირითადად, რუსული ენობრივი სამყაროდან საზრდოობს.

ინგლისურ-ქართული ენობრივი კონტაქტები

ინგლისური სიტყვები თანამედროვე ქართულ სოციოლექტებში უპრეცედენტო რაოდენობით შემოედინება.

აშკარად დადებითი შედეგია ის, რომ დღეს ასე ფართოდ გავრცელდა კომპიუტერთან და ახალ ტექნოლოგიებთან დაკავშირებული უამრავი სიტყვა, რომლებსაც ქართულში ნამდვილად არ დახვედრია ისეთი შესატყვისი, რომელიც მათ მეტოქეობას გაუწევდა (*კომპიუტერი, პროცესორი...*).

პოსტსაბჭოურ ეპოქაში მომხდარმა სოციო-პოლიტიკურმა ცვლილებებმა თვალსაჩინო გახადა პოლიტიკური ტერმინოლოგიის როლი, რომელიც XX საუკუნის 80-90-იან წლებამდე პასიურ ლექსიკას განეკუთვნებოდა. საბჭოთა იმპერიის დაშლამ, მსოფლიო საზოგადოებასთან პირდაპირი კონტაქტების დამყარებამ, მკვეთრად გაზარდა პოლიტიკური ნაკადი ქართულ ენაში. ამ სიტყვებმა გარკვეული სოციოაქტივობა შეიძინეს და ბევრი მათგანი პასიური მარაგიდან აქტიურში გადმოვიდა. ასეთი არის ბევრი ლათინური, ბერძნული, ფრანგული და რუსული წარმოშობის სიტყვა (*ავტონომია, ალიანსი, აუდიენცია, გენოციდი, დებატები, კეორუმი, კონსესუსი, საბოტაჟი, სეკესტრი..*).

გარდა ამისა, ძალიან გავრცელდა პოლიტიკოსთა მეტყველებაში ინგლისური ლექსიკა. ნათელია, რომ ამ წრეში ინგლისურ ენას წამყვანი სოციოლინგვისტური ფუნქციები აქვს. ხდება ინგლისურ-ქართული ინტერფერენცია ენობრივი იერარქიის ყველა დონეზე: ფონოლოგიური, გრამატიკული, ლექსიკური.

მაგრამ სამწუხაროდ, დღეს უარყოფითი შედეგიც სახეზეა, ენის დანაგვიანება უსარგებლო ბარბარიზმებით, იქმნება ხელოვნური კალკები.

პრესა, როგორც მასობრივი კომუნიკაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სფერო, დიდ გავლენას ახდენს კონკრეტული ეპოქის ენობრივი სტილის ჩამოყალიბებაზე. ეს გავლენა მისანმიმართუ-

ლიც შეიძლება იყოს და სტიქიურიც; პრესა ასახავს ენაში მომხდარ ცვლილებას და, ნებსით თუ უნებლიეთ, ნერგავს კიდეც ამა თუ იმ ენობრივ ფორმებს (წიკლაური, 2006, 387).

ამიტომაც ჟურნალისტები განსაკუთრებული ყურადღებით უნდა ეკიდებოდნენ ქართული სალიტერატურო ნორმების დაცვის საკითხს. დღეს, სამწუხაროდ, პირიქით ხდება. აქ ყველაზე ფართოდ გაეხსნა გზა უცხო ენებიდან შემოსულ ნასესხობებს: ნიუსი, სეკვესტრი, ნალოგი.. ჩვეულებრივ, ისე იმკვიდრებს ადგილს, თითქოს მათი შესატყვისი ქართული სიტყვების მოძებნა ჭირდეს (ნიუსი – სიახლე, ახალი ამბები; სეკვესტრი – შეკვეცა; ნალოგი – ბეგარა..)

სამეცნიერო ლიტერატურაში მიჩნეული იყო, რომ „ძნელია უცხო ენიდან მომდინარე ფონოლოგიური ერთეულის – სამეტყველო ბგერის ან, ეთქვათ, ინტონაციური სურათის – შეღწევა ამა თუ იმ ენის ფონოლოგიურ სისტემაში, მეტად ძნელია ამა თუ იმ უცხო ენისათვის დამახასიათებელი ფონოლოგიური მოვლენის გავრცელება სხვა ენაში. იგივე ითქმის მორფოლოგიური ინვენტარის და სიტყვაწარმოების მექანიზმის შესახებ (ფოჩხუა, 1974, 346). მაგრამ თანამედროვე ქართულ სოციოლექტებში ამ მხრივაც კი არ იგრძნობა შესწევდეა. ხშირად შეიძლება მოისმინო ქართული მეტყველება, მაგრამ ისეთი ინტონაციით, რომ თუ კარგად არ დაუკვირდი, ინგლისური უფრო გეგონება (განსაკუთრებით რადიომაუწყებლობა). ეს გლობალური მოვლენაა. ანალოგიური პრობლემები შეიმჩნევა მაგალითად, ფრანგულში. "რადიოსა და ტელევიზიის მძლავრი განვითარება დიდ გავლენას ახდენს სოგიერთ ფონეტიკურ მოვლენათა გავრცელებაზე, რომელთა შორის, უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია ძლიერი შემართვა და ძლიერი ბოლოკიდური დამართვაც" (ახვლედიანი, 2009, 12).

ხშირად ერცელდება ისეთი სიტყვები, რომლებსაც ქართულში ეკვივალენტი მოეპოვებათ (*ნიუსი, ტრენინგი, ქასტინგი, მენეჯერი, მონიტორინგი, ვიპი*...). თუმცა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ზოგჯერ მცირე ნიუანსით განსხვავდება ადგილობრივი და ნასესხები სიტყვა ერთმანეთისაგან. მაგალითად, *თინეიჯერი,* რომელიც ასაკის გარდა ფსიქოლოგიურ, ფიზიონომიურ და სოციალურ თავისებურებებსაც მიუთითებს. მხოლოდ ასაკის აღმნიშვნელი სიტყვა ქართულში რამდენიმე არსებობდა, მაგრამ იგი სხვა ნიუანსებს არ ითვალისწინებდა. ამიტომ ასეთი ნასესხობები ენაში უნდა დარჩეს.

ს. ომიაძე მიუთითებს, რომ ზოგჯერ შემოსული ლექსიკური ერთეული მშობლიური სიტყვის ცნების შინაარსის დამახინჯებას

იწვევს. მაგალითად, ერთი მოცულობით ვერ გაერთიანდება ცოდნის და კომპეტენციის ცნებები, რადგან ეს უკანასკნელი აუცილებლად გულისხმობს უფლებამოსილებათა წრესაც. ამიტომ ადამიანს შეიძლება ცოდნა ჰქონდეს, მაგრამ არ გააჩნდეს კომპეტენცია და, პირიქით, კომპეტენციას ზურგს არ უმაგრებს სათანადო ცოდნა. მასმედიის დისკურსში ეს სიტყვები ერთმანეთს არამარეგულირებულად ენაცვლება, რაც გაუგებრობას იწვევს: ადამიანები ყოველთვის შეურაცხყოფად იღებენ მათ მიმართ წარმოთქმულ ფრაზას, კომპეტენცია არ გყოფნითო, რადგან ეს პირად უცოდინარობაზე მითითება ჰგონიათ და არა უუფლებობაზე, გადაჭრან რაღაც საკითხი (ომიაძე, 2006, 225). მაგრამ ასეთ შემთხვევებში კარგი დაკვირვება გემართებს. კომპეტენცია თანამედროვე ქართულში უფლებამოსილებას ყოველთვის არ გულისხმობს.

1971 წელს გამოცემულ "ქართული ლექსიკოლოგიის საფუძვლებში" ა. ღლონტი მიუთითებს, რომ ქართულს უცხოური ენებისაგან შეუთვისებია მხოლოდ არსებითი სახელები, იშვიათად ზედსართავი (ღლონტი, 1971, 93). თანამედროვე საქართველოში უცხოურიდან შემოსული უამრავი ზედსართავი გავრცელდა, რომლებსაც საზოგადოების ესა თუ ის ჯგუფი გამოიყენებს, მაგრამ რადგანაც უმეტესად სოციალურად დაწინაურებულ წრეებში ხდება მათი გამოყენება, ამიტომ ისინი აქტიური მოხმარებისად იქცნენ, თუმცა მათი მნიშვნელობა ყოველთვის ცნობილი არ არის. მაგალითად,

ავტორიზირებული – მოწონებული ან ნებადართული ავტორის, ფირმის მფლობელის, ინვესტორის მიერ.
ავტორიტარული – დიქტატი, რომელიც ცდილობს დაახვიოს თავისი ავტორიტეტი და ძალაუფლება სხვებს.
ადეკვატური – შესაბამისი.
ამბივალენტური – ორპირი, ერთროულად საწინააღმდეგო თვისებების გამომჟღენი.
ამბიციური – ვაჟკაცმოყვარე, პატივმოყვარე, დიდი წარმოდგენის მქონე თავის თავზე.
ანგაჟირებული – ამა თუ იმ პოლიტიკური ორიენტაციის აქტიური მიმდევარი, დაკავშირებული რომელიმე საზოგადოებრივ მიმდინარეობასთან.
ანტისეპტიკური – ინფექციის გასანადგურებლად ან ჭრილობების სამკურნალოდ გამოსაყენებელი
აპრიორული – ფაქტებზე არ დამყარებული, გამოცდილებებზე დამოკიდებული
აუთენტური – ნამდვილი, ჭეშმარიტი, პირველწყაროებიდან გამომდინარე.
აუტოგენური – თვითწარმოებული, წარმოშობილი თვით ორგანიზმში.
ბრუტალური – უხეში, პირდაპირი.
ვალიდნური – კანონიერი, ნამდვილი.
ვენჩურნული – რისკთან დაკავშირებული, რისკიანი.

ვერბალური – ზეპირი, სიტყვიერი.
ვიზუალური – ოპტიკური ხელწაყობების მეშვეობით ან შეუიარაღებელი თვალით ათვისებადობა.
ვირტუალური – შესაძლებელი, რომელიც შეიძლება ან უნდა გამოვნდეს განსაზღვრულ პირობებში, პოტენციალური, მოსალებითი, იმიტირებული,
გენდერული – დაკავშირებული ადამიანის განსხვავებასთან სქესის მიხედვით.
ჰიპოთეტური – ჰიპოტეზებზე დამყარებული, საეარაუდო
ჰომეოპათური – ავადმყოფობის განკურნა წამლების მინიმალური დოზებით
გრაფოლოგიური – ადამიანის კალიგრაფიის კვლევა მისი ფსიქიკური თვისებების ასახვის მიზნით.
დედუქციური – დაფუძნებული ლოგიკური დასკვნების მეთოდზე ზოგადიდან კერძოსკენ.
დილეტანტური – არაპროფესიონალური, ზედაპირული.
დისონანსური – არაგარმონიული, შეუთანხმებელი ელერადობაში, ხმებში
ომინანტური – მთავარი, ძირითადი
იმანენტური – დამახასიათებელი თვით საგნის ბუნებისათვის, მოვლენისათვის, პროცესისათვის, მიმდინარე გარეგნული გაელენების და ზემოქმედების მიუხედავად.
იმპერატიული – უსიტყვო დამორჩილების, შეუწინააღმდეგობის მოთხოვნა.
იმპლიციტური – ფარული, ნაგულისხმები, აშკარად არ გამოხატული.
იმპონზატური – შთამაგონებული, დიდებული, შთაბეჭდილების მომხდენი წარმოსადეგი.
ინფანტილური – განუვითარებელი ბავშვივით, ბავშვის ასაკისათვის დამახასიათებელი.
ინფერიალური – საშინელი, აუტანელი.
კიტჩური – ეფიანი, უგემური, გათვალისწინებული გარეგნულ ეფექტზე.
კომუნიკაბელური – ის, ვინც ადვილად ამყარებს კონტაქტს და კავშირებს
კონსეკვენტური – ლოგიკურად თანმიმდევრული.
კონსტატური – მუდმივი.
კონფიდენციალური – საიდუმლო, სანდო, განსაკუთრებით პირადული.
კორპორატიული – განცალკევებული, ჩაკეტილი, ვიწრო ჯგუფური.
კრეატიული –შემოქმედებითი.
კურტუაზიული – თავაზიანი, გალანტური.
ლაიდარული – მოკლე, გარკვეული (მკაფიო), ცხადი.
ლატენტური – ფარული, გარეგნულად გამოუმეღავნებელი.
ლეგიტიმური – კანონიერი
ლოიალური – თვის დაკავება ფორმალურად კანონის ფარგლებში, ნეიტრალურ-კეთილმოსურნე დამოკიდებულების ფარგლებში ვინმეს ან რამეს მიმართ.
მაჟორიტარული – დამყარებული უმრავლესობაზე.
მაჟორული – მხნე, მხიარული,
მედიატური – დამაფიქრებელი.
ერკანტილური – ხელმოჭირნე, სარგებლიანი.
მინორული – მოწყენილი, ნაღველიანი.
ნეგატიური – უარყოფითი.
ნოროვისტული – ჯიუტი
ოდიოზური – არასასიამოვნო
ორდინალური – სტერეოტიპული, არაფერით გამორჩეული.
ორთოდოქსური – რომელიმე მოძღვრების, განსაზღვრული შეხედულებების, რწმენის მომხრე.

პარადიგმატური – სისტემური; სინამდვილის ძირითადი გამომხატველი; თეისებების კონცეპტუალური ამოსავალი.
პარადოქსური – უჩვეულო, წარმოუდგენელი, საყოველთაოდ მიღებულ აზრთან საწინააღმდეგო.
პასიონარული – შეპყრობილი, მიზნისკენ მისწრაფებული, არაეითარი გასამრჯელოს მიმართ უარყოფითად დამოკიდებული.
პაციფისტური – ყოველგვარი ომების მოწინააღმდეგე.
პერმანენტური – მუდმივი.
პლატონური – დამყარებული მხოლოდ სულიერ სწრაფვაზე.
პლურალისტური – მრავალსახოვანი შეხედულებების, იდეების, მოღვაწეობის ფორმების მქონე.
პოზიტიური – დადებითი.
პომპეზური – საზეიმო, მდიდრული.
პრაგმატული – პრაქტიკული გამოყენების მქონე.
პრეტენზიული – მოწინააღმდეგე მხარის მოქმედებების გაფრთხილება
პრივატური – პირადი, არაოფიციალური
რადიკალური – გადამწყვეტი, გადაჭრილი (გაბედული,), ძირითადი, ღრმა.
რელიატური – შედარებითი, პირობითი.
რეტროსპექტული – წარსულისკენ მიმართული, მიძღვნილი წარსული მოვლენების განხილვას.
რეფლექტური – უნებლიერი, შეუცნობელი.
საკრამენტალური – წმინდა, სანუკვარი.
რუდიმენტარული – განუვითარებელი, შემორჩენილი წარსულიდან.
სარდონიკური – დამცინავი, გესლიანი.
სენილური – მოხუცებულობისათვის დამახასიათებელი.
სენსორული – დაკავშირებული აღქმასთან და გრძნობების გადაცემასთან, მგრძნობიარე.
სეპარატული – გამოყოფისაკენ, განკერძოებისაკენ მისწრაფებული.
სპონტანური – ცალკეული, ცალკეული შემთხვევა.
ტოლერანტული – სხვის აზრთან, რწმენასთან შეწყნარებული დამოკიდებულება.
ტოტალიტარული – დაფუძნებული სახელმწიფოს სრულ ბატონობაზე (მბრძანებლობაზე) საზოგადოების ცხოვრების ყველას სფეროში, ძალადობაზე და დემოკრატიული თავისუფლების განადგურებაზე.
ტოტალური – საერთო, ყოველისმომცველი.
ტრანსცენდენტური – აღქმის ფარგლების გარეშე ყოფნა, აღქმისათვის მიუწდომელი.
ტრივიალური – ორიგინალობას მოკლებული, გაცვეთილი, ბანალური.
უნიტარული – ერთიანი, გაერთიანებული.
უტილიტარული –პრაქტიკული, მატერიალურ სარგებლობისაკენ მისწრაფებული.
ფამილარული – უცერემონიო, მოურიდებელი.
ფიგურალური – მხატვრული, ოგავური.
ფისიკალური – განკუთვნილი სახელმწიფო ხაზინისთვის, სახელმწიფო ინტერესებისათვის.
ფრიბოლური – ქარაფშუტული, უხამსი.
ქოლისტიური – გლობალური, ერთიანი.
ქვენტუალური –დასაშვები განსაზღვრულ ვითარებებში.
ეკზალტიური – აღტაცებული, აღელვებული.
ექსკლუზიური – განსაკუთრებული თვისებების მქონე.
ექსპანსიური – ფიცხი, თავშეუკავებელი.
ექსპლიციტური – ცხადი, განსაზღვრული, არაორაზროვანი

ექსტენსიური – დაკავშირებული რიცხობრივ გამრავლებასთან.
ექსტაორდინარული – იშვიათი, არასტანდარტული.
ექსტრემალური – უკიდურესი, მეტისმეტად რთული, საშიში.
ექსცენტრიული –თავისებური, უცნაური.
ეფემერული – მოსვენებითი, არარეალური.

დროთა განმავლობაში ენა ასრულებს თვითგანწმენდის მისიას. არსებითი მნიშვნელობა ენიჭება ამ თვალსაზრისით პოლიტიკურ სიტუაციასაც: თუ ეროვნული სულისკვეთება სათანადოდაა წარმოჩენილი, მაშინ ენისადმი გონივრული დამოკიდებულებაც საცნაურია. ამის არა ერთი და ორი ფაქტია დამოწმებული ძველი ქართული ენის ძეგლებში.

ამრიგად, თანამედროვე ქართულ სოციოლექტებში, ძირითადად, წარმოდგენილია რუსულ-ქართული და ინგლისურ-ქართული ენობრივი კონტაქტები. ორივე შემთხვევაში სახეზეა გვაქვს როგორც დადებითი (ენობრივი ფონდის გამდიდრება), ასევე უარყოფითი შედეგებიც (ენის დანაგვიანება, ხელოვნური კალკების შექმნა, ადგილობრივი სიტყვის განდევნა და უცხოურის დამკვიდრება). ორივე ენა მასაზრდოებელი წყაროა თანამედროვე ქართული სოციოლექტებისა. ამასთან, სოციალური პრესტიჟი ინგლისურისა გაცილებით დიდია, ვიდრე რუსულისა. რუსულის სოციოლინგვისტური ფუნქციების შემცირება და ინგლისურის გაფართოება დაახლოებით 20 წელია მიმდინარეობს საქართველოში, მაგრამ ამის მიუხედავად, ზოგ სოციალურ და პროფესიულ ჯგუფში მაინც რუსულის პრიორიტეტი იგრძნობა. ინგლისურის შემოდინება თითქმის ყველა სტრუქტურაში უპრეცედენტოა, ზომებს ღებულობს. ამის პარალელურად შეიმჩნევა ქართული სიტყვების დამკვიდრება ნასესხობების ნაცვლად.

ეთნოსოციოლექტი – ქართველ ებრაელთა მეტყველება

ებრაელთა მიგრაციები საქართველოში

ყველაზე დიდი გადმოსახლება ებრაელებისა საქართველოში ძველი წელთაღრიცხვის 586 წელს უნდა მომხდარიყო, როცა "ბაბილონურ ტყვეობას" გაქცეულ ებრაელთა ერთმა ნაწილმა შეაფარა თავი საქართველოს, ხოლო მეორედ – ახალი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეში, იერუსალიმის დაცემის შემდეგ.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში ებრაელები ერთად სახლობდნენ ქალაქებსა და სოფლებში. იცავდნენ ძველ ადათ-წესებს, შეინარჩუნეს სარწმუნოება. ენა დაივიწყეს (განსაკუთრებით საბჭოთა პერიოდში), რადგან ამ დროს ეკრძალებოდათ კიდეც ივრითის შესწავლა. ბევრი რამ ქართველებისგანაც შეითვისეს, ებრაულ-ქართული ნაზავით, ქართველებთან 26 საუკუნოვანი თანაცხოვრების შედეგად ისინი ჩამოყალიბდნენ როგორც ცალკე, განსხვავებული ეთნიკური ჯგუფი – ქართველი ებრაელობა, რომლებიც "მკაცრად იცავდნენ რა წარმოთქმის სეფარდული ტრადიციის ნორმებს, მთელ რიგ შემთხვევებში გვიჩვენებენ ძველი ებრაულისათვის დამახასიათებელ წარმოებებსა და ფორმებს. ამიტომ თანამედროვე ებრაული ენის ისტორიულად გამართლებული მოდელის ძიებასთან დაკავშირებული მუშაობა ქართველ ებრაელთა მეტყველების განხილვის გარეშე არასრულფასოვანი იქნებოდა" –აღნიშნავს კ. დუმბაძე (დუმბაძე, 1979, 31).

1990-იან წლებამდე ებრაელები, ძირითადად, მოსახლეობდნენ ქალაქებში: თბილისი, ონი, ქუთაისი, ქარელი, ყვარელი, ახალციხე, ვანი, სენაკი, ოზურგეთი, ზესტაფონი, სურამი, საჩხერე, ბათუმი, ფოთი, სოხუმი, ცხინვალი; სოფლებში: ლაილაში, კულაში, სუჯუნა, ბანძა. ამათგან ყველაზე კომპაქტურ დასახლებას, ქუთაისელი, ახალციხელი, ვანელი, ონელი, კულაშელი, სურამელი, ცხინვალელი ებრაელები ქმნიდნენ. თბილისში კომპაქტურ დასახლებას ვერ ქმნიდნენ, თუმცა უმეტესად ქალაქის ცენტრში ცხოვრობდნენ და მეიდნის ტერიტორიაზე იკრიბებოდნენ.

ოფიციალური მონაცემებით 1989 წელს საქართველოში 24 720 ებრაელი ცხოვრობდა, რაც მთელი მოსახლეობის 0,5 პროცენტს შეადგენდა. 2002 წელს კი 3772 ებრაელი დარჩა საცხოვ-

რებლად საქართველოში, რაც მთელი მოსახლეობის 0,1 პროცენტს შეადგენს. დღეისათვის ეს ციფრიც შემცირებულია, რადგან როგორც საქართველოში მცხოვრები ებრაელები ამბობენ, ფოთში სულ 2 ოჯახი დარჩა, ბათუმშიც 2, ახალციხეში 3, გორში 3 და ა. შ.

ენა და განათლება

საქართველოში მცხოვრებ ებრაელთა უმეტესობამ ებრაული არ იცის.

ძირითადი მასა ებრაელებისა XX საუკუნის 50-იან წლებამდე გაუნათლებელი იყო. ამას ადასტურებს ჩვენ მიერ ჩაწერილი მასალა: "ისტორიულათ, ვინაიდან გაფანტული იყო ქვეყნის ოთხივე მხარეს ებრაელობა, მას უხდებოდა ხეტიალობა სახელმწიფოდან სახელმწიფოში, ქალაქიდან – ქალაქში, დადიოდენ სავაჭროთ... მერმეთ, ჩემო ბატონო, ძალიან დაინტერესებული იყვნენ შეესწავლათ ხელობა, ხელოსნობა.... ძირითადად, მეპრავე'სიები იყვენ, მეჩისტეები, მეწყლეები, მემაროჭნეები იყვენ, წულებს კერავდენ და ამით არსებობდენ. მერმეთ წამოვიდა ორმოციანი, ორმოცდაათიანი წლები და ძალიან ბევრმა ებრაელობამ მოკიდეს სწავლას ხელი. იყვენ პედაგოგები, ექიმები, ძალიან ბევრი, კარგი მუ'სიკის მასწავლებლები, იყვენენ იურისტები და ასე 'შემდეგ" (დანიელ დავითია'შვილის ნაამბობიდან. "პროექტი: "სოციოლინგვისტური სიტუაცია თანამედროვე საქართველო'ში").

როგორც აღვნი'შნეთ, XX საუკუნის 50-იან წლებამდე ებრაელები განათლებას თითქმის არ ღებულობდნენ. მათ ძირითად საქმიანობას ვაჭრობა და ხელოსნობა წარმოადგენდა. ამიტომ 50-იან წლებამდე ებრაელთა ძირითადი ენა ქართულია. სწორედ ამ პერიოდიდან იწყება საქართველო'ში რუსული ენის სოციოლინგვისტური ფუნქციების გაფართოება. განსაკუთრებით მნი'შვნელოვანია რუსულის ცოდნა კარიერის თვალსა'ზრისით. სწორედ ამის გაელენით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ ებრაელები განათლების მიღებას რუსულად იწყებენ. 'შვილები, ძირითადად, რუსულ სკოლებში შეჰყავდათ და რუსეთ'შივე მიდიოდნენ უმაღლესი განათლების მისაღებადაც. რუსულ განყოფილებებ'ზე აბარებდნენ საქართველო'ში დარჩენილი ებრაელებიც.

ქართველ ებრაელთა უმეტესობა ბილინგვია (ქართული, რუსული). მიუხედავად იმისა, რომ დღეს რუსული ენის გავრცელების არე მნი'შვნელოვნად შემცირდა, აღარც სოციოლინგვისტური ფუნქციები აქვს მას ისე ფართო, როგორც გასული საუ-

კუნის 90-იან წლებამდე ჰქონდა, საქართველოში დარჩენილი ებრაელთა უმეტესობა განათლებას დღესაც რუსულ ენაზე ღებულობს, რაც შეიძლება აიხსნას იმ გარემოებით, რომ სამშობლოში დაბრუნებულმა ებრაელთა დიდმა ნაწილმა გადაწყვიტა რუსეთში ცხოვრება, რადგან თვლიან რომ ქართული მენტალიტეტის მქონე ებრაელთათვის სამუშაოდ და საცხოვრებლად რუსეთი უფრო მისაღებია, ვიდრე ისრაელი.

რუსულის გავლენით აიხსნება მათ მეტყველებაში ისეთი ფორმები, როგორებიცაა, *მუზიკის* მასწავლებელი; *აბრაამ, იაკობ, რახილ и რიბკა, პატოლოგიური, иზრაელში* წასვლა.

მშობლიური ენა

ყველაზე დიდი პრობლემა ქართველ ებრაელებთან მშობლიური ენის განსაზღვრაა.

მშობლიური ენის საყოველთაოდ მიღებული განმარტება ენათმეცნიერებაში დღემდე არ არსებობს. დღესაც გაურკვეველია რა სახის მოვლენაა მშობლიური ენა – სოციალური თუ ბიოლოგიური.

საქართველოში მცხოვრები ებრაელები ებრაულს იყენებენ მხოლოდ სინაგოგაში ლოცვის დროს. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, მათ ზეპირად იციან ის ლოცვები, რომელთა წარმოთქმა სინაგოგაში აუცილებელია. ამ შემთხვევაში, ეთნიკური ნიშანი "ებრაელი", არ ნიშნავს, რომ იგი ამ ენის მატარებელია. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ცხოვრების 26 საუკუნოვანი ისტორია აქვთ ებრაელებს, მათ კარგად იციან და არ დავიწყებიათ თავიანთი ისტორიული სამშობლო ისრაელი, რომელსაც ყოველთვის სამშობლოდ თვლიდნენ. მშობლიურ ენად კი მათი უმრავლესობა ქართულს მიიჩნევს, თუმცა იქვე დასძენენ, რომ ივრითის შესწავლის შესაძლებლობა საბჭოთა პერიოდში არ ეძლეოდათ, მათ პასუხში აშკარად იგრძნობა სევდა ამის გამო. "მშობლიური ენა ქართულია, მარა ისე ისრაელი, ესე იგი ივრითულია, მარა ივრითულს მაშინ ასწავლიდენ მარტო სახლეფში" (აღნიშნავს ქუთაისში მცხოვრები მაისე თავდიდიშვილი). 26 ებრაელი გამოვკითხეთ ანკეტური წესით და მათგან 23 მშობლიურ ენად ქართულს მიიჩნევს. ებრაელთა ერთი ნაწილი, მშობლიურ ენად გაუცნობიერებლად ებრაულს ასახელებს, მიუხედავად იმისა იცის თუ არა მან ეს ენა. "მე დავიბადე საქართველოში, ქართულათ ელაპარაკოფ, რუსული სკოლა დავამთავრე, მარა ვთქვი

მშობლიურ ენას ებრეულურს, იერითს (ამბობს ინფორმატი, რომელმაც ივრითი არ იცის).

რელიგია

ქართველი ებრაელები ებრაელად თვლიან მხოლოდ იუდეველს. თუ ებრაელი სარწმუნოებას შეიცვლის, იგი ებრაელად აღარ ითვლება. ამიტომ არ არსებობს მართლმადიდებელი, კათოლიკი, ან სხვა სარწმუნოების მატარებელი ებრაელი. ებრაელი ნიშნავს მხოლოდ იუდეველს. შერეული ქორწინების შემთხვევაში ბავშვი ებრაელად ჩაითვლება და ინათლება ებრაული წესების მიხედვით, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ებრაული სარწმუნოების მიხედვით ითვლებიან მშობლები დაქორწინებულად, ანუ მათი ტერმინოლოგიით "ქეთუბა აქვთ წაკითხული". საქართველოში არსებობდა შეხედულება, თუ დედა ებრაელია, შვილიც ებრაელად ითვლებაო, მაგრამ ეს რეალობას არ შეესაბამება. თუ სინაგოგაში არ ცნეს მშობლები ებრაელებად, მათ შვილს არ მოუნათლავენ და ებრაელად არ ჩათვლიან.

რელიგიური დღესასწაულები და ადათ-წესები

ებრაელი მამაკაცების ძირითადი მოვალეობაა სინაგოგაში ლოცვაზე დასწრება. ამ პროცესის შესასრულებლად საღამოობით სინაგოგას სტუმრობენ მამაკაცები, 13 წლიდან ზევით. ქალები მხოლოდ დღესასწაულების დროს მიდიან. ამიტომ, როცა ბავშვს შეუსრულდება 13 წელი, მას უხდიან **ბარ-მიცვას** (ვაჟებს) და **ბათ-მიცვას** (გოგონებს). ეს იმას ნიშნავს, რომ ისინი უკვე სრულწლოვანები არიან და უფლება აქვთ სულიერ ცხოვრებაშიც მიიღონ მონაწილეობა.

სინაგოგას ებრაელები ლოცვასა და სალოცავსაც უწოდებენ, *ლოცვაში ან სალოცავში მივდივარ,* ნიშნავს, რომ *სინაგოგაში მივდის.* საქართველოში, ყველგან, სადაც ებრაელები კომპაქტურად მოსახლეობდნენ, იყო აგებული სინაგოგა, შედარებით დიდ ქალაქებში რამდენიმეც კი, რომლებიც დღესაც ფუნქციონირებენ, თუმცა უმეტეს სინაგოგას დღეს *ხახამი,* ე. ი. ებრაელთა სულიერი მოძღვარი, აღარ ჰყავს. აქ შესვლის წინ ებრაელი მამაკაცები იხურავენ პატარა ქუდს, *ფესკას,* შემდეგ კართან დამაგრებულ *მეზუზას* ეამბორებიან. მეზუზა არის პატარა ყუთი, რომელშიც მოთავსებულია ლოცვის ტექსტი. სინაგოგაში ამაღლებულ ადგილს, საიდაც *დათიმი, რაბინი,* ან *ხახამი* დგას და ლოც-

ვას ატარებს *თება* ეწოდება. მართალია, რაბინიც, დათიმიცა და ხახამის ებრაელთა სულიერი მოძღვრები არიან, მაგრამ იერარქია დაცულია: პირველ ადგილზეა რაბინი, შემდეგ – დათიმი, ბოლოს – ხახამი. ლოცვის დროს მორწმუნე მამაკაც ებრაელებს უკეთიათ *სისიტი* და *თეფილინი*. *სისიტი* არის ფოჩებიანი ნაჭერი, ხოლო *თეფილინი* ლოცვის ტექსტი, რომელსაც იდებენ შუბლზე და იხვევენ მარცხენა ხელის მკლავზე, გულთან ახლოს. ღვთისადმი მიმართვის გავრცელებული ფორმაა, *ადონაი*, რაც ნიშნავს ბატონს, პატრონს. აღსანიშნავია, რომ ებრაელები ღმერთის სახელს არ ახსენებენ და ამიტომაც მიმართავენ ამ ფორმით (ადონაი). სალოცავი წიგნების შესანახ ადგილს *ეხალი* ჰქვია, ებრაელთა ლოცვების კრებული არის: *თორა* (მოსეს ხუთწიგნეული), *სეფერთორა*, იგივე დიდი თორა (სეფე – დიდი), რომელსაც ორშაბათს და ხუთშაბათს გამოაბრძანებენ მხოლოდ და *თალმუდი*.

სინაგოგაში ქალები მხოლოდ რამდენიმე დღესასწაულის დროს მიდიან და სპეციალურად ქალებისათვის განკუთვნილ ადგილზე დგებიან, რომელსაც *საქალებოს* ეძახიან. იგი მოთავსებულია მეორე იარუსზე. სინაგოგაში არის აგრეთვე მოთავსებული *ხუფა*, სადაც ფულს სწირავენ. ამ თანხით გაჭირვებულ ებრაელებს ეხმარებიან.

სინაგოგა არ არის მხოლოდ სალოცავი ადგილი. ეს არის კომპლექსი, სადაც განთავსებულია სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობები. ერთ-ერთი არის საქონლისა და ფრინველის დასაკლავი ადგილი. საკლავს ებრაელები *სურიელს ეძახიან*, რომელსაც კლავს *ხახამი* ან *შოხუტი*. საკლავი აუცილებლად ჯანმრთელი, იგივე *ქაშერი*, ე. ი. სუფთა უნდა იყოს. თუ შინაგან ორგანოებზე მათ რაიმე მიზეზი აღმოაჩნდებათ, ებრაელები ამ ხორცს აღარ გამოიყენებენ საკვებად, იგი *ტარიფაა*, ე. ი. აკრძალული. დაკლული საქონელი ბოლომდე უნდა დაიცალოს სისხლისგან, რადგან ებრაელები თვლიან, რომ სული სისხლშია. ამიტომ დაკლულ საქონელს ან ფრინველს კიდებენ სპეციალურ ადგილას, ამ ადგილს *ნაცერი* ჰქვია. სისხლისგან დაცლას – *დაწრეტა*.

სინაგოგაშიც ფუნქციონირებს აბანო, რომელსაც *მიკვა* ჰქვია. ჩვეულებრივი აბანოსაგან განსხვავებით, ის სპეციალური, რიტუალური აბანოა, სადაც ონკანისა და წვიმის წყალი ერთად არის მოთავსებული აუზში.

რელიგიასთან დაკავშირებული ლექსიკური ერთეულებია:

სინაგოგა	ლოცვა, სალოცავი, სინაგოგა
ამაღლებული ადგილი სინაგოგაში, სადაც რაბინი დგება და ლოცვას ატარებს	თება
სინაგოგაში სალოცავი წიგნების შესანახი ადგილი	ეხალი
სინაგოგაში ფულის შესაწირი ადგილი	ხუფა
სპეციალური რიტუალური აბანო სინაგოგაში	მიკვა
სინაგოგაში ქალებისათვის განკუთვნილი ადგილი	საქალებო
ებრაელთა ლოცვების კრებული, მოსეს ხუთწიგნეული	თორა
სასულიერო-დოგმატური, იდეოლოგიური კრებული ებრაელთათვის	თალმუდი
დიდი ზომის თორა	სეფერთორა
ნათლობა, წინადაცვეთა	მილა
ორთოდოქსი მორწმუნე ებრაელები	დათიმები
ებრაელთა სულიერი მოძღვარი	ხახამი
ებრაელთა სულიერი მოძღვარი უმაღლესი განათლებით	რაბინი
ჰატარა ქუდი,რომელიც ახურაათ მორწმუნე ებრაელებს	ფესი, ფესკა
თეორი, შალის, ფონებიანი ნაჭერი, რომელსაც იხურავენ სინაგოგაში	სისიტი
ლოცვა, რომელიც დამზადებულია ტყავისაგან	თეფილინი
თეფილინის გაკეთება შუბლზე და მარცხენა მკლავზე ლოცვის დროს	თეფილინის დადება
უსენაესი ღვთისადმი მიმართვა	ადონაი
მორწმუნე ებრაელთა ჯგუფი	ჯამაათი
კარზე მიკრული ჰატარა ყუთი, რომელშიც დევს პერგამენტში გახვეული ლოცვის ტექსტი	მეზუზა
ვინც ნათლავს, მომნათლავი	მოელი

ქორწილი

როდესაც ქალი თხოვდება, აუცილებელია ის დედამ მიიყვანოს *მიკვაში* დაბანილი და გასუფთავებული. ონკანისა და წვიმის წყალი ერთად არის მოთავსებული ავზში, სადაც ქალი სამჯერ უნდა დაიფაროს ბოლომდე წყლით. ქორწილამდე ქალ-ვაჟს წაუკითხავენ *ქეთუბას* (როგორც ჩვენთან ჯვრისწერაა, დაახლოებით ამ ფუნქციით არის ებრაელებთან ქეთუბა) და ამის შემდეგ არის ქორწილი.

დედოფლის ხელისმომკიდეს ებრაელები *დადიანს* ეძახიან, ხოლო ბიჭისას – *შოშპინს*, იგი იმავდროულად თამადაა ქორწილის.

ქორწილის სუფრაზე მხოლოდ ხორცის ნაწარმია, ტკბილეული ისეთია შერჩეული, რომელშიც რძე არ არის გამოყენებული, რადგან ებრაული წესების მიხედვით, რძისა და ხორცის ერთად მიღება არ შეიძლება.

ცეკვის დროს დედოფალს ხელის თითებში ფულს უდებენ, რომელსაც შემდეგ მომღერლებს გადასცემს.

მიცვალებულის გლოვა

მიცვალებულის გლოვის წესებიც, ისევე როგორც რწმენის სხვა ელემენტები მკაცრად აქვთ ებრაელებს დაცული.

მიცვალებულის გლოვასთან დაკავშირებული მრავალი ლექსიკური ერთეულია ებრაულიდან შემორჩენილი, რომლებსაც დღესაც იყენებენ ქართველი ებრაელები. როდესაც ებრაელი გარდაიცვლება, მას მეორე-მესამე დღეს ასაფლავებენ. გამოსვენება აუცილებლად სინაგოგადან უნდა მოხდეს. საფლავამდე მხოლოდ კაცები მიაცილებენ. ქართველებისაგან განსხვავებით, მიცვალებულს საფლავზე კუბოდან ამოასვენებენ და მიწაში ზეწარში გახვეულს ასაფლავებენ. ამის შემდეგ ოჯახი შვიდი დღის განმავლობაში განსაკუთრებულ სამგლოვიარო წესებს იცავს, რასაც *აბელობა* ჰქვია. აბელი შეიძლება იყოს მხოლოდ პირველი რანგის ნათესავი: მშობლები, შვილები, და-ძმა. ამ პერიოდში ჭირისუფლები დაბალ სკამებზე სხედან, იატაკზე წვანან. გარდაცვალებიდან მეშვიდე დღეს, რომელსაც ებრაელები *შვიდს* უწოდებენ, კვლავ გადიან საფლავზე და მიცვალებულის სახელზე აკეთებენ სუფრას *მენუხას*. ასევე იქცევიან ოცდაათი დღის შემდეგაც, რასაც *ოცდაათი ან გამოტირილი* ჰქვია.

მიცვალებულის სახელზე კითხულობენ ლოცვებს, იკრიბება აუცილებლად ათი კაცი, *მინიანი*, თორემ თუ ნაკლები რაოდენობა შეიკრიბა, სპეციალურ ლოცვას, რომელსაც *კადიში* ჰქვია და რომელსაც 11 თვის მანძილზე ასრულებენ, ვერ წაიკითხავენ. 11 თვეს ქართველი ებრაელები *იესათსაც* უწოდებენ.

მიცვალებულის გლოვასთან დაკავშირებული ლექსიკური ერთეულებია:

გლოვა, ჭირისუფალი	ბელი, აბელობა
მიცვალებულისათვის სპეციალური ლოცვის წაკითხვა 11 თვემდე და ყოველ გარდაცვალების დღეს	კადიში

მიცვალებულის სახელზე მომზადებული სუფრა	მენუხა
გარდაცვალებიდან მეშვიდე დღე	შვიდი
გარდაცვალებიდან ოცდაათი დღე	ოცდაათი, გამოტირილი
გარდაცვალებიდან 11 თვე	თერთმეტი, იუსათი
ათი კაცი	მინიანი

დღესასწაულები

ქართველი ებრაელების მნიშვნელოვანი დღესასწაულია ახალი წელი, ანუ *როშჰაშანა*, რომელიც მათი კალენდრის მიხედვით სექტემბერშია. ამ დღეს ისინი განსაკუთრებით მხიარულობენ. როშ-ჰაშანადან ათი დღის შემდეგ არის ერთდღიანი მძიმე მარხვა – *ქიფური*, მიტევების დღესასწაული. ამ დღეს ებრაელები ერთმანეთს ეუბნებიან, *მეხილა*, ე.ი. მაპატიე. ებრაელები ამბობენ, რომ როშაშანას იწერება, როგორია ჩვენი ბედი, ხოლო ქიფურის დღეს იბეჭდებაო. ქიფურის დღესასწაულს მოსდევს *სუქოთი*, იგივე კარვობა, რომელიც ათი დღის განმავლობაში გრძელდება. სუქოთი ყვავილებისა და მცენარეების დღესასწაულია, რომლის დროსაც ეზოებში დგამენ კარვებს, იგივე *შუქას*. სუქოთის ბოლო დღეს არის *სიმხათორა*, ანუ თორის ზეიმი.

განსაკუთრებულ დღესასწაულთა შორისაა – *ხანუკა* – იგივე რწმენის, გამარჯვების დღეები. სინათლის, ანუ *მენორის* ცხრადღიანი დღესასწაული, რომლის დროსაც სანთლებს ანთებენ.

აღნიშნავენ აგრეთვე, ქართველი ებრაელები, *ბეშალახს*, ანუ კორკოტობას. *ფურუმს* – გამარჯვების დღესასწაულს. ამ დღეს ებრაელები ერთმანეთს სტუმრობენ და სუფრას შლიან.

ეროვნულ დღესასწაულთა გალერეაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს *ფესახის* დღესასწაულს. იგივე პასქი, რომელიც ერთ კვირას გრძელდება. ამ ხნის განმავლობაში ებრაელები პურის ნაცვლად, *მაცას* მიირთმევენ, რომელიც მხოლოდ ფქვილისა და წყლისგანაა მოცომილი. დღესასწაულის პირველ და მეორე დღეს იკითხება *აგადა*, რომლის დროსაც აუცილებლად იწყობა სუფრა, რომელზეც უნდა იყოს ქათმის ფრთა, მოხარშული კვერცხი და პირშუშხა. ამ დღესასწაულისათვის ამზადებენ *ხარამზეთს*, იგივე ხილფაფას, რომელშიც ხილის გარდა, გატარებული ნიგოზი და ქიშმიშია.

ფესახს მოსდევს *შაუოთი*, თორის მიღების დღე, ანუ როცა მოსემ მისცა ებრაელებს თორა. ამ დღეს ამზადებენ რძისგან ნამცხვარს, რომელსაც რძიანი ჰქვია. რადგან, ძირითადად, რძის

ნაწარმი აქეთ სუფრასე, ამიტომ დღესასწაულს *თეთრობასაც* ეძახიან.

აგვისტოში აქეთ ებრაელებს, მიცვალებულის მოხსენიების დღე – *სიონის ტირილი,* რომლის დროსაც, აუცილებლად საყვლავსე გადიან.

რელიგიურად უქმე დღე ებრაელთათვის არის *შაბათი.* ამ დღეს ისინი განსაკუთრებულ სადილს ამზადებენ, აუცილებლად ხორცით და მთელი დღის განმავლობაში არაფერს არ საქმიანობენ, მხოლოდ ისვენებენ, ერთობიან და ერთმანეთთან სტუმრად დადიან. თუკი შაბათს გაზის ან შუქის ანთება დასჭირდება ებრაელს, სხვა ეროვნების მეზობელს თხოვს ანთებას.

ებრაული ნაციონალური კერძებია: *ყალია, სირაბაჟი, შეჭამადი, სატენი, ტვინის ლაფტა.* ხორცს თავდაპირველად ერთი საათის განმავლობაში მარილიან წყალში ჩადებენ, რასაც *დაქაშერას* ეძახიან. შემდეგ სისხლძარღვებს მოაცლიან, რასაც *დაძარღვა ჰქვია.* რადგან ძარღვები წინა ნაწილში ნაკლები რაოდენობითაა, ამიტომ საქონლის წინა ნაწილს ყიდულობენ და მას *წინანს* უწოდებენ, უკანა ნაწილს, *უკანალს.* ამ სადებენ აგრეთვე ტკბილეულს, *ლეკეხს (ტორტის ბისკვიტს), ფახლავას (ნამცხვარი ნიგვზითა და ქიშმიშით), თაფლიანს...*

ებრაელები აყენებენ ღვინოს განსაკუთრებული მეთოდით. ყურძნის მტევნებს აცლიან მარცვლებს, მათ ენაზე რომ ვთქვათ დაკუმპლავენ და შემდეგ დაწურავენ. ასეთი წესით დამზადებული ღვინო არის *ქაშერი,* ე. ი. სუფთა წვენი.

დღესასწაულებთან დაკავშირებული ლექსიკური ეროვნულებია:

ებრაელთა რელიგიური, უქმე დღე	შაბათი
ახალი წელი	როშ-ჰაშანა
პატიების, მიტევების დღე, ოცდაოთხსაათიანი მარხვა	ქიფური
ლეგენდა, თქმულება, დაკავშირებული	აგადა
რწმენის, გამარჯვების დღესასწაული	ხანუკა
რვა სანთლიანი შანდალი, სასანთლე, რომელსაც რელიგიურ დღესასწაულებზე ანთებენ	მენორა
კარვობა	სუქოთი
აგადის დღესასწაულთან დაკავშირებული სუფრა	სებერი
გამარჯვების დღესასწაული	ფურიმი
მიტევება, პატიების დღესასწაული	ქიფური

კერძები

ხორცით დამზადებული კერძი	ქალია
თევზის სოუსი	სატენი
ხილიდან დამზადებული ფაფა	ხარამსეთი
რძეში მოხარშული ნამცხვარი	რძიანი
ფქვილისა და წყლისაგან გამომცხვარი რელიგიური ფირფიტა, რომელსაც პურის ნაცვლად ჭამენ ფესახის დღესასწაულის დროს	მაცა
მაცისგან დამზადებული სპეციალური საჭმელი	ლაფჩა
მსხვილფეხა საქონლის (ძროხა, თიკანი..) წინა ნაწილი	წინალი
მსხვილფეხა საქონლის (ძროხა, თიკანი.) უკანა ნაწილი	უკანალი
ხორცის დალბობა და მარილის დაყრა	დაქაშერა
ხორციდან ძარღვების გამოღება	დაძარღვა
ტყემლით ან ბროწეულით დამზადებული სქელი წვენი	წო
პური	ლეხემ
ქათმის ბულიონი ნიგვზით	ხენაგი
ხარჩო	შეჭამადი

ენობრივი მოვლენები

ებრაელთა ქართული მეტყველება განსხვავდება სხვა ქართულად მოლაპარაკე ინდივიდების მეტყველებისაგან.

ყოველ სამეტყველო კოდს აქვს „თავისებური ენობრივი იმუნიტეტი“, რისი ერთ-ერთი შედეგიცაა დიალექტთა თვითგამიჯვნის, ურთიერთგანკერძოების ტენდენცია, რომელიც კარგად იგრძნობა ებრაელთა მეტყველებაზე დაკვირვებისას.

მართალია, საქართველოში მცხოვრები ებრაელები ქართულად მეტყველებენ, მაგრამ ამასთან ერთად, ისინი კვლავ ქართული ენობრივი საშუალებებით ახდენენ გამიჯვნას ქართველთაგან. ესაა ქართული გრამატიკული ფორმები, რომლებსაც იყენებენ ებრაელები და რომლებიც დადასტურებულია ქართული ენის სხვადასხვა დიალექტში. ებრაელთა მეტყველების შესწავლისას აუცილებელია აგრეთვე სოციოლინგვისტური მონაცემების გათვალისწინება. მაგალითად, ასაკი, სქესი, პროფესია, განათლება, მიგრაციები და ა.შ.

ქართველ ებრაელთა მეტყველებაზე დაკვირვება XX საუკუნის 90-იან წლებამდე უფრო შეიძლებოდა, რადგან ამ დრომდე

ისინი კომპაქტურად ცხოვრობდნენ საქართველოს ქალაქებსა თუ რაიონებში. შემდეგ, საქართველოში მიმდინარე სოციალურმა, პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა ცვლილებებმა გამოიწვია მათი მიგრაციები. მათთვის დამახასიათებელი ენობრივი მოვლენები აქა-იქ შემორჩენილ ებრაელთა მეტყველებაში დასტურდება, თუმცა ბევრი ენობრივი სპეციფიკური მოვლენა უკვე დაკარგულია. ყველა ის ენობრივი მოვლენა, რომელიც ჩვენ მიერაა განხილული, შემორჩათ მათ უბნებში მცხოვრებ ქართველ მოსახლეობასა და უცხოეთში მცხოვრებ ქართველ ებრაელებს.

ყოფილ ებრაულ უბნებში მცხოვრები ქართველები კვლავ ებრაელთა შორის გავრცელებული მიმართვის მიხედვით ქართველ ებრაელებს "ჩვენებურებს" უწოდებენ. გეხვდება აგრეთვე "ებრაელი", "ურია" და ი"შვიათად "ყეევრი//ყიური." აქედან ურია და ყეევრი ებრაელებისათვის შეურაცხმყოფელ ფორმებად ითვლება.

ფონეტიკური მოვლენები

ქართველ ებრაელებს საქართველოში მცხოვრები სხვა მოსახლეობისაგან, პირველ რიგში, ინტონაციითა და მახვილით გამოარჩევთ. ამიტომ ფონეტიკური მოვლენების განხილვის დროს უნდა აღინიშნოს ტონური მახვილისა და გრძელი ხმოვნების პოვნიერების შესახებ.

ქართული ენის თანამედროვე დიალექტებში ხმოვანი ძირითადად ჩნდება თანხმოვანგამყარად. ამ მოვლენას სისტემური ხასიათი მხოლოდ დიალექტების ერთ ნაწილში აქვს. აღმოსავლეთ საქართველოს დიალექტებიდან ახასიათებს ხევსურულს, ფშაურს, მთიულურ-გუდამაყრულს, დასავლურიდან – აჭარულს.

რაც შეეხება დასავლეთ საქართველოს სოგიერთ დიალექტს (რაჭული, იმერული, გურული), აქ პაუზის წინ თანხმოვნის მომდევნოდ გაჩენილ ე ხმოვანს მხოლოდ ფონეტიკურ დანართად მიიჩნევენ.

უფროსი თაობის ებრაელთა მეტყველებაში ეს მოვლენა სისტემურ ხასიათს ატარებს: *ნახე რა კაი ამინდია დღესე; გოუძლებთე (გაუძლებთ), ქალო, მერე მაგის თფილისში რჩენას?*

ხმოვნის დისიმილაცია გეხვდება ლაბიალურ თანხმოვანთა შორის. ამ რიგისაა ო→ა დისიმილაციის საფუძველზე მ-მ თანხმოვნებს შორის (მომ→მამ); რაც სისტემებრ დასტურდება უფროსი თაობის ებრაელებთან მო- ზმნისწინისა და პირველი ობიექტური პირის ან მიმღეობისეული მ- მორფემის (ასევე ფუძისეუ-

ლი ელემენტის) შეხვედრისას. მაგ.: *ხო მამკლა, ქალო ამ ბოშმა. შენ გადაგიშენდა მამტანი;*

ებრაელებთან ნასალიზებული სახითაა წარმოდგენილი - თვის თანდებული თითქმის ყოველთვის, ასაკის განურჩეველად. მაგ.: *ჩემთვინ მინდა, ვისთვინ უნდა მინდოდეს; თუ შენთვინ გინდა იაფათ მოქცემ; თქვენთვინ კაის მეტი არასდროს მდომია.*

თანხმოვანთა ნასალიზაცია მეტ-ნაკლებად გავრცელებულია ქართული ენის ყველა დიალექტში, მაგრამ სისტემური ხასიათი რამდენიმე კილოში აქვს (აღმოსავლურ კილოებსა და სემოიმერულში).

ასევე სისტემური ხასიათი აქვს ებრაელებთან -ავ თემის ნიშნის ნასალიზაციას. *ხატავს→ხატამს, ძერწავს→ ძერწამს, კლავს→კლამს, სხლავს→სხლამს.* ეს პროცესი დადასტურებულია ქართლურში, კახურში, სემოიმერულში.

უფროსი თაობის ებრაელთა მეტყველებაში განსაკუთრებით გავრცელებულია სუბსტიტუცია. ვ:ბ: *თევზი→თებზი, კოვზი→კობზი, ვარცხნის→ბარცხნის*

ვ:მ: *საცსე→სამსე, ნავთი→ნამთი*

საერთოდ, თანხმოვანთა დაკარგვისა და განვითარების შემთხვევები ებრაელებთან უფრო ხშირია, ვიდრე სხვებთან. მაგ.: *ისეთი მწყნარი გოგო ყამს, ღმერთმანი, ყველა ჩემ სასიკეთოს; უმფროსი ბიჭი ექიმი ყამს; ერთი ბოთლი მზეთი მეც წამომილე დაგენაცვლე.*

დღეს, როცა საქართველოს ებრაელები აქა-იქ შემორჩა, ეს ფონეტიკური პროცესებიც ნიველირების გზასაა, მაგრამ ინტონაცია მაინც განარჩევს ებრაელს არაებრაელისაგან.

მორფოლოგია

სახელთა ბრუნება

შეიმჩნევა ტენდენცია ხმოვანფუძიანი სახელების გათანაბრებისა თანხმოვანფუძიან სახელებთან და ხმოვანფუძიანები თანხმოვანფუძიანების მსგავსად სახელობით ბრუნვაში ღებულობენ -ი დაბოლოებას.

მოდი, დაგენაცვლე, ბიცოლაი მოვიდა.

ხმოვანფუძიან სახელებთან -ი ბრუნვის ნიშნის გამოყენების წესი დიალექტების მიხედვით განსხვავებულია; მაგ.: აღმოსავ-

ლეთ სქართველოს მთის დიალექტებში იგი უპირატესად გვხვდება -ა-ს დაბოლოებულ ფუძეებთან. ეს ა შეიძლება იყოს ძირეულიც და მაწარმოებელიც (*რა-ი, ვაჟა-ი*). გურულში, როგორც წესი, გვხვდება ერთმარცვლიან ფუძეებთან *ძმა-ი, ცხრა-ი, დღე-ი, ხფო-ი. -ი* ბრუნვის ნიშანი შესაძლოა დაერთოს, აგრეთვე, -ა-ს დაბოლოებულ ორ და მეტმარცვლიან სახელებსაც: *ბიცოლა-ი.* დაერთვის კომპოზიტებსაც, რომლის შემადგენელი მეორე კომპონენტი ა ხმოვანზე დაბოლოებული ერთმარცვლიანი ფუძეა: *მამიდა-ი.*

ებრაელებთან -ი-ს გამოყენება ხმოვანფუძიან სახელებთან ისე გავრცელებული არაა, როგორც ამ დიალექტებში, მაგრამ ის შეიძლება დაერთოს -ა-ზე დაბოლოებულ ფუძეებსაც, ერთმარცვლიან ფუძეებს (*ფხოი*) და კომპოზიტებს: *მამიდაი მოვიდა?* მიცემითი ბრუნვის ნიშანი -ს თითქმის ყოველთვის იკარგება თანხმოვანფუძიან სახელებთან, გარდა ემფატიკური ხმოვნით გაერცობის დროს: *საჭმელ ჭამს; ძირ გდია; თვალებ არ უჯერი (ეუჯერებ); ბორჯომ გიყიდი* და ა.შ. ეს მოვლენა დღესაც დასტურდება საქაროველოში მცხოვრებ ებრაელებთან.

მიცემითი ბრუნვის ნიშნის -ს-ს დაკარგება დადასტურებულია ჭშაურში, ქართლურში, კახურში, ნაწილობრივ იმერულში, ლეჩხუმურში. აღსანიშნავია, რომ აჭარულში, რაჭულში, ქვემოქართლურსა და სემოიმერულში -ს იკარგება ხმოვანფუძიან სახელებთანაც. ებრაელებთან ხმოვანფუძიან სახელებთან მიცემითი ბრუნვის -ს ელემენტის რედუცირება არ არის გავრცელებული.

ასეთივე ვითარებაა ანთროპონიმების ბრუნებისას. ხმოვანფუძიანი სახელი სახელობით ბრუნვაში დაირთავს -ი-ს: *რებეკაი სახშია? ნათელაი იყო მოსული; გაბოი არ გამოჩენილა?; ხანაი როდის მოვა; შოთაი, ხანაი, ფიხოი, მოშეი ყველა იყვენ ჩამოსულები.*

სხვა შემთხვევაში, სახელთა ბრუნების მხრივ, ებრაელთა მეტყველებაში სხვაობა არ შეინიშნება.

თანდებულთა სისტემა

თანდებულთა სისტემიდან ყურადღებას იქცევს თვის თანდებული, რომელიც ებრაელებთან ყოველთვის ბოლოკიდური ხმოვნის ნასალისაციითაა წარმოდგენილი (იხ. ფონეტიკურ პროცესებში).

ემფატიკური ხმოვანი

ებრაელებთან სისტემებრ დასტურდება იმერულში, ლეჩხუმურსა და ქვემორაჭულში გავრცელებული -ე: *დღესე ამოხვალ ჩვენთან?; ხვალე წადი აბრამთან; რა გინდა შენე?; ჩვენე გუშინ ერთათ ჩემეეედით;*

-ე გეხვდება:

1) ზმნებთან: *შვილები ყავსე რებეკას?; მაგერ დადგითე მა ტელევიზორი.*

2)ნაცვალსახელები აუსლაუტში დაირთავენ -ე-ს: *ეუი შენე, შენ გინდოდა ჩემი ვაიშვილი (ვაჟიშვილი) სიძეთ? თქვენე როის ჩამოხვალთე, ქალო*

ზმნისწინი

ზმნისწინი მო- დიალექტების ერთ ნაწილში წარმოდგენილია როგორც მა- *მამიტანა, მაიტანა.* მა- დასტურდება ხევსურულში, ფშაურში, ქართლურში, კახურში, იმერულში. მისი განაწილების წესები განსხვავებულია დიალექტების მიხედვით. მაგ., კახურში იგი გეხვდება მეორე და მესამე სუბიექტური პირის ფორმებში, ხევსურულში ა- პრეფიქსიან ზმნებთან. ზემოიმერულში მო→მა დადასტურებულია ოდენ მ- პრეფიქსის წინ. ებრაელებთანაც მა- სწორედ ამ უკანასკნელ პოზიციაში დასტურდება: მამკლა *კაცი აღარ შემიძლია; მამიტანე, ქალო თუ მოგაქ მა დასაწვავი.*

სტატიკურ ზმნათა წარმოება

ებრაელებთან სტატიკური ზმნების ერთი ნაწილი მესამე პირში -ია დაბოლოებას ღებულობს, ხოლო --ავ-იანი წარმოება ასეთ შემთხვევაში იშვიათია: *ჯდია და გდია, წასელას არც ფიქრობს; ეგერ რო ბიჭი დგია; რა გიცინია, რო გიცინია.*

თემის ნიშნები

ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მოვლენა ებრაელთა მეტყველებაში არის ავ→ამ, ებ→ემ, ევ→ემ, ოვ→ომ თემის ნიშანთა ნასალიზაცია. ეს პროცესი დამახასიათებელია ქართლურისათვის, კახურისათვის, იმერულისათვის, ლეჩხუმურისათვის. მაგ.,

ყურძენ დაეკუმპლამთ (დაეკუმპლათ) და ისე ეაკეთეფთ ღვინოს; მაგერ დემს (დეეს) მაგიდაზე; ყველა გაჭირვებულ დახმარებას უწევს (უწევს) ჩვენი ხახამი; ყალიას გავაკეთემ (გავაკეთებ) პარასკეს; ჩემი და კიდეც ქსომს (ქსოვს) და კიდეც ქარგამს (ქარგაეს).

ზოგი -ებ თემისნიშნიანი ზმნები ფუძეს -ივ→ი ფორმანტით ირთულებს: *ყველას იშორიეფს, ვინც გვერდით ყამს; რამდენ შვილ იყოლიეფს ნეტაი მაგისგან.*

ასევე ხშირად დასტურდება ებრაელთა *მეტყველებაში -ებ→ი: თითონ გააკეთა და ახლა ჩემ შვილ აბრალის (აბრალებს); ჯერ გაგიკეთეფს ყველაფერ და მერე გაყვედრის (გაყვედრებს).*

ეს პროცესი დღესაც გავრცელებულია ებრაელთა მეტყველებაში.

კაუზატივის წარმოება

თავისებურად იწარმოება კაუზატივის ფორმები. ებრაელებთან, გარდა კაუზატივის ნ-სი, იკარგება -ვ და ფუძისეული თანხმოვანიც: მაგ.: *ეაკბეინო (ვაკბენინო) ახლა შენთვინ ძაღლ; მაგან თავისი ძმა მოაკლეინა (მოაკვლევინა) და შენ დაგინდოფს)?; რისთვინ აკეთებინეფ, (აკეთებინებ) მაგას.*

როცა მხოლოდ -ინ სუფიქსით იწარმოება კაუზატივი, ხშირად ეს -ინ მთლიანად შენარჩუნებულია: *გააკეთებინე შენთვინაც მასეთი ჭიშკარი; რისთვინ ახდევინეფ მაგდენ ფულ; წააღებინემ ხვალე ფილხაზისაც ყველაფერ?*

ლექსიკა

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქართულში გავრცელებული ებრაული ლექსიკური ერთეულების შესწავლა, რომელთა უმეტესობას თეოლოგიური ტერმინოლოგია შეადგენს და რომელიც საფუძველს ბიბლიური ტექსტებიდან იღებს: მაგ.: *აგადა-ლეგენდა, ზღაპარი; აბელი-გლოვა, ტირილი; ადონაი-ბატონი, პატრონი; ბათ-ქალი შვილი; ბარ-კაცი; დადიანი-გოგოს ხელისმომკიდე; თალმუდი-მოძღვრება, სწავლება; თეფილინი-ლოცვა; თორა-მოსეს ხუთწიგნეული; მეზუზა-კარზე მიკრული პატარა ყუთი, რომელშიც დევს პერგამენტ ში გახვეული ლოცვის ტექსტი; რაბინი-უფროსი, მასწავლებელი; ტარიფა-საჭმელად უვარგისი; ფესაქუდი; ფურუმი-დღესასწაული; ქაშერი-ვარგისი; ქეთუბა-საქორწი-*

ლო ხელშეკრულება; ქიფური-მიტევება, პატიება; შოშაინი-მეგობარი, ხელისმომკიდე; შაბათი-დასვენება; ხახამი-ჭკვიანი, ბრძენი...

ასევე გვხვდება ებრაიზმები ქართულ ქალაქურ ჟარგონში. ასეთებია, *გაასუხარა-გაყიდა; განაბი-ქურდი; გოიმი-უვიცი; დათირა-დაინახა; დაიადა-შეიძინა; მაყუთი-ფული; ნაშა-ქალი; ტობეკარგი..*

ებრაულიდან მომდინარე სიტყვებია:

გარდაიცვალა(უარყოფითი ემოციით), წაეყარა, გაიქცა	დალეხლა
ბელი, ბელისწერა	მაზალი
ღვინო	ქაშერი
მშვიდობა	შალომი
უკანონო შვილი	მამზერი
ავადმყოფობა, სიკვდილი	ქარეთი
ღვარძლი	ტაროსი
მარიფათი	ყისმათი
დაბრძანდით	თებეშ
კარგი	ტობე
ცუდი	ქამი
დიდი	გადოლი
პატარა	კატანი
არა	ლო
მშვიდობიანი ღამე	ლაილა შალომ
საბუთი	სუდარი
ფული	მაყუთი
დაკლული ფრინველის დასაკიდებელი ადგილი	ნაცერი
გამოსაყენებლად აკრძალული	ტარიფი
ღმერთმა ნუ ქნას, ღმერთო ნუ მიწყენ	ალეხემ
პური	ეხემ

ებრაულთან ერთად, ზოგჯერ ქართული სიტყვებიც გამოიყენება ამა თუ იმ ცნების გამოსახატავად, მაგალითად, *ჯამაათი*. ეს სიტყვა, ქართველებთან შედარებით იშვიათად გვხვდება, ქართველი ებრაელები კი ხშირად იყენებენ: *სალოცავში ჯამაათი იყო შეკრებილი; ჯამაათთან ერთად შეეახსენებ მაგ სიტყვებს.. აბრძანდა* ანუ გარდაიცვალა: *მოშეს არონი აბრძანდა, გაიგე?* ხშირია ქართველ ებრაელთა მეტყველებაში *დაგენაცვლე* და *ოჭრო* სიტყვების გამოყენება.

ებრაული წარმოშობის ლექსიკური ერთეულები დასტურდება სხვა ქვეყნებში მცხოვრებ ებრაელებთან, მაგალითად, რუს ებრაელებთან: *შაბათი* რუს ებრაელებთანაც და ქართველ ებრაელებთანაც, უქმე დღის მნიშვნელობით გვხვდება. ასევე *შალომი, ალეხემ*... ამიტომ ასეთი სიტყვები შეიძლება მივიჩნიოთ ეთნოსოციოლექტად.

ლოცვისა და წყევლის ფორმებიც ძირითადად ქართულ-ებრაულია, რომელსაც მხოლოდ ქართველი ებრაელები იყენებენ. მაგალითად, *შენ საქაფროდ წაეედი; შენ დაგენაცვლე; შენ გეტაკა ქარეთი; შენ დაგიდგა შაჲი წელიწადი; შაჲ წელიწად დაგიყენებ;. უარესი ტაროსი მაგას, შენნაირ უყურა და კაი მოუკედა, მოუკედა მოხარბე და ა.შ.*

ამრიგად, ებრაელები საქართველოში 26 საუკუნის განმავლობაში ცხოვრობენ, შეინარჩუნეს საკუთარი რწმენა, მათი რელიგია იუდაიზმია, მაგრამ ეთნიკური ტერმინი ებრაელი არ ნიშნავს, რომ ისინი ამ ენის მატარებლები არიან. ებრაელთა უმეტესობამ ივრითი არ იცის. თუმცა ამ ენიდან შემოსულ თეოლოგიურ ენობრივ ერთეულებს დღესაც აქტიურად იყენებენ, რაც გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ ლოცვა დღესაც ივრითულ ენაზე აღეელინება. ქართველ ებრაელთა დიდმა ნაწილმა მიაშურა ისტორიულ სამშობლოს – ისრაელს, ხოლო საქართველოში დარჩენილი მოსახლეობა ცდილობს შეისწავლოს ივრითი, რადგან საბჭოთა პერიოდისაგან განსხვავებით, მათ ამის შესაძლებლობა ახლა ნამდვილად აქვთ. მიუხედავად ამისა განათლებას კვლავ რუსულ ენაზე ღებულობენ და ბილინგვები არიან (ქართული, რუსული). არაკომპაქტური დასახლების გამო, ბევრი სპეციფიკური მოვლენა უკვე ნიველირებულია, თუმცა ინტონაციით ებრაელობა კვლავ იგრძნობა.

დასკვნა

ქართულ დიალექტოლოგიას სერიოზული და ნაყოფიერი ტრადიცია აქვს, ეს, უპირველეს ყოვლისა, ეხება, ძირითადად, ტერიტორიულ დიალექტებს. რაც შეეხება სოციოლექტების კვლევას, ამ მხრივ, საქართველოში მხოლოდ ერთეული ნაშრომები არსებობს. არ არის გამორიცხული, რომ ამ ფაქტს გარკვეული კანონზომიერებაც ჰქონდეს, რადგან საბჭოთა პერიოდში სოციალური დიალექტების საკითხი თითქმის არ იდგა სამეცნიერო კვლევის დღის წესრიგში მათი სოციოგადოებრივი მარგინალიზაციის გამო.

საერთაშორისო ურთიერთობების, საკაცობრიო ცივილიზაციის ფართოდ განვითარებამ, სალიტერატურო ენის ზეგავლენამ ქართულ ტერიტორიულ დიალექტებზე, მკვეთრად გამოხატულ თავისებურებათა ნიველირების ტენდენცია გამოაველინა, მაგრამ იმავდროულად, იმძლავრა სოციალურ და პროფესიულ დიალექტებად დანაწევრების ტენდენციამ. ამიტომ სოციოლექტების კვლევამ ჩვენს ეპოქაში არნახული მასშტაბები შეიძინა.

XX საუკუნის 50-იანი წლებიდან მსოფლიოში ენათმეცნიერების რამდენიმე ახალი დარგი ჩამოყალიბდა. მათ შორისაა სოციალური დიალექტოლოგია, რომელიც განვითარდა ტრადიციული დიალექტოლოგიისაგან და მისი მეთოდები შეესაბამება ჰეტეროგენულ, მუდმივად ცვლად ურბანულ სოციოგადოებას. კვლევის საგანი, ძირითადად, არაერთგვაროვანი დიდი თუ მცირე ჯგუფების ენობრივი ცვალებადობის მექანიზმის აღმოჩენაა. სოციალური დიალექტოლოგიის განვითარება დაკავშირებულია უ. ლაბოვის სახელთან, კერძოდ მის შრომებთან ნიუ-იორკის ინგლისურ ენასთან დაკავშირებით.

სოციალური დიალექტი ფართო ცნებაა, რომლის შესატყვისად თანამედროვე ლინგვისტიკაში დამკვიდრდა ტერმინი "სოციოლექტი".

სოციოლექტი (სოციალური დიალექტი) არის ენის ვარიანტი (სახესხვაობა), ლექტი, რომლითაც სარგებლობს ადამიანთა ესა თუ ის სოციოგადოებრივი გაერთიანება ან ჯგუფი.

სოციოლექტები კვეთენ როგორც დიალექტურ ლექსიკას (როგორც ტერიტორიულს, ასევე სოციალურს), ასევე სალიტერატუროს (ტერმინოლოგიას).

სოციოლექტები ხშირად კარგავენ ეიწრო ჯგუფურის კუთვნილებას და საერთო სალიტერატურო ფონდში გადადიან.

სოციოლექტი მოიცავს ისეთ ლექტებს, როგორებიცაა, ჟარგონი, არგო, სლენგი, პროფესიული ენები, დარგობრივი ლექსიკა და სხვა.

მიუხედავად იმისა, რომ არც ერთი მათგანი ენის ისტორიაში ახალი მოვლენა არ არის და საკმაო რაოდენობის სამეცნიერო კვლევაც არსებობს, ერთიანი, საყოველთაოდ მიღებული განმარტება ამ ერთეულებისა მაინც არა გვაქვს. ისინი წარმოადგენენ სხვადასხვა დისციპლინის შესწავლის ობიექტს და ყოველი დარგი ისწრაფის გამოყოს მასში მისი თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ნიშნები, თუმცა ისიც გასათვალისწინებელია, რომ მრავალასპექტიანი ობიექტის ერთ განსაზღვრაში გაერთიანება პრინციპულად მიუღებელი და ლოგიკურად გაუმართლებელია.

ერთის მხრივ, არსებულის შეჯამება, მეორეს მხრივ, ჩვენ მიერ მოპოვებული ემპირიული მასალის ანალიზი გვაძლევს შესაძლებლობას რომ ჩამოვაყალიბოთ სოციოლექტში შემავალ ერთეულთათვის დამახასიათებელი არსებითი ნიშნები:

ჟარგონი არის სოციალურად შეპირობებული ნაირსახეობა ნაციონალური ენისა, მინიმალური ლინგვისტური სისტემით. ჟარგონი გაერცელებულია რომელიმე სოციალურ, პროფესიულ, ასაკობრივ ან საერთო ინტერესებით, ჩვეულებით, საქმიანობით, სოციალური მდგომარეობით გაერთიანებულ ჯგუფებში. მას ახასიათებს ინდივიდუალური ვარირება და გამოიყენება კომუნიკაციისთვის კონკრეტულ სიტუაციებში. გამოირჩევა ლექსიკით, ფრაზეოლოგიითა და სიტყვაწარმოებით. ახასიათებს ლექსიკური და სტილისტური კონოტაცია, დამახასიათებელია მეტაფორული გადააზრება, სიტყვათა სესხება ერთდროულად რამდენიმე ენიდან, რომელიც აირეკლავს მოცემული ჯგუფის გემოვნებასა და მოთხოვნილებებს. ჟარგონის გამოყენებით ესწრაფვიან მისცენ ყველასათვის გასაგებ ცნებას ახალი ექსპრესიული აღნიშვნა, რაც არის პირობა ხშირი ცვალებადობისა. ჟარგონით მხოლოდ ნეგატიური ლექსიკა არ აღინიშნება. მაგალითად, პროფესიონალური დარგის წარმომადგენლების ჟარგონიზმები – არის არაოფიციალური დასახელებანი, რომლებიც ზეპირსიტყვიერებაში დაფუძნებულია რომელიმე პროფესიის წარმომადგენლებისათვის.

· მოკლე დეფინიცია ჟარგონისა შეიძლება ასე ჩამოვაყალიბოთ;

„ჟარგონი არის სოციალურად შეპირობებული ნაირსახეობა ნაციონალური ენისა, მინიმალური ლინგვისტური სისტემით და

განსაკუთრებული ლექსიკით, რომელიც გამოირჩევა ემოციურ-ექსპრესიულობით, ეკონომიურობითა და სპეციფიკური კონოტაციით.

არგო არის სოციალურ დიალექტში შემავალი ერთეული, რომლის გავრცელების არე ისე ფართო არ არის, როგორც ჟარგონის. არგო ასრულებს კონსპირატიულ ფუნქციას. არგო არის რომელიმე სოციალურ, პროფესიულ, ასაკობრივ ან საერთო ინტერესებით, ჩვეულებით, საქმიანობით სოციალური მდგომარეობით გაერთიანებულ ჯგუფებში გავრცელებული პირობითი ენა, სიტყვა ან გამონათქვამი, რომელიც შედგება ერთი ან რამდენიმე ენის ნებისმიერად შერჩეული სახეცვლილი ელემენტებისაგან (მაგალითად, სპეციალურად შექმნილი "ენა პირიქით," ასევე სიტყვები, რომლებიც მიიღება მარცვლების გადაადგილებით, ჩამატებით, ან შეიძლება საერთო გავრცელების სიტყვას ჰქონდეს სხვა მნიშვნელობა, რომელიც მხოლოდ მათი ჯგუფისათვის არის გასაგები). იგი იქმნება კონსპირატიული ფუნქციით, კომუნიკაციის საგნის დაფარვის მიზნით და არგოდ რჩება მანამ, სანამ ეს ფუნქცია გააჩნია. სხვა შემთხვევაში იგი გადადის ჟარგონში, სლენგში ან სალიტერატურო ენაში (უფრო ხშირად ტერმინოლოგიაში).

სლენგი თანამედროვე მსოფლიოსათვის ნიშანდობლივი მოვლენაა, რომლის გაჩენა საქართველოში ბოლო დროინდელმა ეპოქალურმა ცვლილებებმა გამოიწვია.

სლენგი უფრო მოგვაგონებს დაბალი სასაუბრო სტილის ლექსიკას, რომელიც გავრცელებულია რომელიმე პერიოდში და განეკუთვნება ლექსიკურ-ექსპრესიულ ენობრივ ერთეულთა რიცხვს. ის აერთიანებს სხვადასხვა ჟარგონული, არგოტული ჯგუფებიდან უფრო ფართო ჯგუფებში გადასულ სიტყვებს, ასევე ვულგარიზმებსა და ბარბარიზმებსაც. ბარბარიზმი უცხოური სიტყვაა, რომელიც გამოიყენება რეგულარულად სტილისტური მიზნით "ადგილობრივი კოლორიტის" შესაქმნელად. მის არსებობას განაპირობებს მოდა. შეიძლება შეგეხვედეს ტრანსლიტერაციით, ან უცხოური დაწერილობით (vip). ხოლო ვულგარიზმი არის დაუხვეწელი, ხოგჯერ დაუდეგარი, დაბალი სტილის ლექსიკა, რომელიც დაუშვებელია ზრდილობიან მეტყველებაში. სლენგით საუბარი მოგვაგონებს გარკვეული ეტალონისადმი მიბაძვასაც.

ამრიგად, ჟარგონი არის სოციალურად შეპირობებული ნარისახეობა ნაციონალური ენისა, მინიმალური ლინგვისტური სისტემით და განსაკუთრებული ლექსიკით, რომელიც გამოირჩე-

ეა ემოციურ-ექსპრესიულობით, ეკონომიურობითა და სპეციფიკური კონოტაციით.

არგოს განმასხვავებელი, სოციალურ დიალექტებში შემავალ ერთეულთაგან არის კომუნიკაციის საგნის დაფარეა.

სლენგად მიჩნეულია ლექსიკა, რომელიც ასოცირდება არაფორმალურ ან სასაუბრო სტილთან, მის გამოყენებას განაპირობებს მოდა.

არგო არის ყველაზე ჩაკეტილი სისტემა, ჟარგონი შედარებით ღია, სლენგი ჟარგონზე ღია და ყველაზე ახლოს მდგომი სალიტერატურო ენასთან, ყველაზე საშიში ენის დაბინძურებისათვის და ყველაზე ღია სალიტერატურო ენაში გადასვლისათვის.

სტრუქტურული ანალიზით სოციოლექტიზმები ორ ჯგუფად იყოფა: პირველ ჯგუფს შეადგენს ყველაზე მინიმალური სტრუქტურული ერთეული – ერთსიტყვიანი სოციოლექტიზმები, რომლებიც თავის მხრივ, შეიძლება იყოს მარტივი, ნაწარმოები, რთული: მაგალითად, *გაშმონა, დააგაზერატა, მოაყომარა, ასწორებს, ტეხავს, ზეხერი, ლიმონი, თეთრი, ხვოსტი, ძონძები, ფრიზტაიმი, ბაზარიეაგ ზალი..* მათ საწარმოებლად გამოყენებულია თითქმის ყველა სიტყვაწარმოებითი შესაძლებლობა, რაც კი ქართულ ენაში არსებობს და აგრეთვე ამ ფუნქციას სოგჯერ ასრულებს უცხოური აფიქსებიც. მაგალითად, *შარაფისტი, კუჭისტი, უნალოგო..*

მეორე ჯგუფს შეადგენს შესიტყვებები, ანუ სოციოლექტური გამოთქმები.

შესიტყვებები შეიძლება სხვადასხვა ტიპის იყოს:

ა) თავისუფალი ანუ ანალიტიკური, რომლის დაშლა შეიძლება შემადგენელ ნაწილებად.

ბ) არათავისუფალი შესიტყვებები, რომელთა წევრების დაცილება არსებითად უკარგავს სოციოლექტს ცნებით შინაარსს.

გ) სინთეზური ანუ იდიომატური, რომლის დაყოფა ცალკეულ ნაწილებად არ შეიძლება.

აქვე, პირობითად, შეიძლება გამოიყოს მესამე ჯგუფიც, რომელშიც ერთიანდება არა მხოლოდ სიტყვიერი, არამედ სიმბოლოების მეშვეობით ნაწარმოები სოციოლექტიზმები. მაგალითად, *შარაფი და ნიშანი ყელზე (თითის მირტყმა).* მათი დაყოფა ცალკეულ ნაწილებად არ შეიძლება. ამავე ჯგუფში ერთიანდება ჩაცმულობა, ეარცხნილობა და კომპიუტერული სიმბოლოები.

ამგვარად, სულ სოციოლექტი'სმების სამ სტრუქტურულ ჯგუფს გამოეყოფთ: ერთსიტყვიანი, შესიტყვებები და სიმბოლოებით გამოხატული სოციოლექტიზმები.

რადგან სოციოლექტიზმები მნიშვნელობის მქონე სიტყვებია, ამიტომ ბუნებრივია, მათ გადმოსაცემად დამოუკიდებელი მნიშვნელობის მქონე მეტყველების ნაწილებია არჩეული. ძირითადად, არსებითი სახელები, ზედსართავი და ზმნები. მაგრამ აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მხოლოდ ლექსიკა სრულად ვერ წარმოაჩენს სიტყვათა სოციოლექტურ ბუნებას. საჭიროა გრამატიკაც, ფორმის გრამატიკული ანალი'სიც. რა თქმა უნდა, ფონეტიკური და გრამატიკული სისტემა დიდ სხვაობას არ გვიჩვენებს ქართულ ლინგვისტურ სისტემასთან შედარებით. ეს ბუნებრივიცაა, რადგან ყოველი დიალექტის სისტემა (მათ შორის სოციალურისაც) იმ ენითაა შეპირობებული, რომლის ნაირსახეობასაც წარმოადგენს იგი.

სოციოლექტი'სმების ფორმალური სტრუქტურის შესახებ ზოგადი დასკვნების გაკეთება ჯერჯერობით არ ხერხდება, თუნდაც იმის გამო, რომ სათანადოდ არ არის შესწავლილი და გაანალიზებული თანამედროვე წესები და მეთოდები, რომლის მიხედვითაც ჩვენ შევძლებდით სოციოლექტი'სმების ფორმის ყოველმხრივ ანალი'სს.

რადგან სოციოლექტი'სმები განსაკუთრებული ემოციურ-ექსპრესიულობით ხასიათდებიან, ამიტომ ხ'შირია სიტყვათა იმგვარი ურთიერთობები, როგორიცაა, პოლისემია, სინონიმია, ომონიმია, ანტონიმია. ამ სემანტიკური პროცესების შესწავლასა და განხილვას მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა.

სოციოლექტი'სმებს გააჩნიათ ბუნებრივი ენის სიტყვებისა და შესიტყვებების ყველა სემანტიკური და ლექსიკური ნიშანი, მაგრამ აქ მოტივაციასა და კონოტაციას უფრო ფართო გამოყენება აქვს. ბუნებრივ ენაში სახელის დარქმევის არჩევანი ხ'შირად შემთხვევითია, ხოლო სოციოლექტიზმებში საგნისა თუ მოვლენის სახელდებისას მისი არსებითი, ძირითადი და თვალში საცემი ნიშანია საორიენტაციო.

სოციოლექტების სემანტიკა ძალიან ფართოა, გამომდინარე იქიდან, რომ თვითონ სოციოლექტში რამდენიმე ერთეული ერთიანდება. მიუხედავად მრავალი სირთულისა, სემანტიკური ჯგუფების გამოყოფა მაინც ხერხდება. ასეთებია, მაგალითად, კომპიუტერულ ტექნოლოგიებთან, პოლიტიკურ და ეკონომიკურ, ახალ-

გაზრდულ, მოთამაშეებთან, დამნაშავეებთან, ნარკომანებთან, მონადირეებთან გაერცელებული სოციოლექტი'სმები.

კომპიუტერული ტექნოლოგიების გაელენა ქართულ ენაზე დღითიდღე იზრდება. ინფორმატიკასა და უახლეს კომპიუტერულ ტექნოლოგიებთან დაკავშირებული ლექსიკა საქართველოში XX საუკუნის ბოლოდან იწყებს განვითარებას და ჩვენს დროში თითქმის ყველა თაობისა და სოციალური მდგომარეობის წარმომადგენელთა მეტყველებაში გაერცელდა. ძნელი წარმოსადგენია მუშაობა ადამიანის მოღვაწეობის რომელიმე სფეროში კომპიუტერის გარეშე. ამიტომ კაცობრიობამ, ინფორმაციული ტექნოლოგიის რევოლუციური პროდუქტი – გლობალური კომპიუტერული ქსელი, ინტერნეტი, თავის სამსახურში ჩააყენა. ინტერნეტ-ურთიერთობები განსხვავებულია ტრადიციული კომუნიკაციებისაგან. სწორედ ამან წარმოშვა ლინგვისტიკაში თანამედროვე პრობლემა "ენა და კომპიუტერი"., სადაც ხელოვნური ენებისა და ინტერლექტის საკითხი საფუძვლიან კვლევას საჭიროებს, დაწყებული ორთოგრაფიიდან, დამთავრებული ლექსიკით.

კომპიუტერთან და ინტერნეტთან დაკავშირებული ლექსიკა სლენგს განეკუთვნება, რადგან მის გამოყენებას მოდა განაპირობებს, გაერცელებულია თითქმის ყველა სოციალურ ჯგუფში და სამომავლოდ ბევრ მათგანს განმარტებით ლექსიკონებში, როგორც ქართული სალიტერატურო ენის კუთვნილ სიტყვას შეეხვედებით.

კომპიუტერულ ტექნოლოგიებთან დაკავშირებული ლექსიკა ძირითადად, ინგლისური ენიდან საზრდოობს.

თანამედროვე სალიტერატურო ქართულში ინტენსიურად შემოდის საერთაშორისო და სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებული ლექსიკა.

რადგან საერთაშორისო ურთიერთობები მოიცავს როგორც სამართლებრივ, ასევე ეკონომიკურ ურთიერთობებს, ამიტომ ამ ჯგუფში განვიხილავთ პოლიტიკურ, ეკონომიკურ და საერთოდ, ბიზნესთან, საქმიან ადამიანებთან დაკავშირებულ სოციოლექტებს. ამ ჯგუფში განსაკუთრებით დიდი რაოდენობით დასტურდება ნასესხები ლექსიკა. ეს ბუნებრივიცაა, რადგან XX საუკუნის 90-იანი წლების ძირეული ცვლილებები სწორედ ამ სფეროს შეეხო. მოხდა ძველი სოციალური ფორმაციის რღვევა და ჩვენთვის სრულიად ახალ ეკონომიკურ და პოლიტიკურ წყობილებაზე გადასვლა. კაპიტალისტური მსოფლიოსათვის კარგად ცნობილი პროცესები, მხოლოდ ბოლო დროს გახდა ჩვენთვის ნაცნობი, ამიტომ საგნებსა და მოვლენებს, ძირითადად, ნასესხები

ლექსიკა შემოჰყვა. ეს, ერთი მხრივ, აიოლებს კიდეც პროფესიულ ურთიერთობებს, მაგრამ არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ ქართულ ენას უაღრესად მდიდარი ლექსიკური ფონდი გააჩნია და მისი შესაძლებლობები აუცილებლად უნდა გამოვიყენოთ.

თანამედროვე ქართული წარმოგვიდგენს ნათელ მაგალითს იმისას, თუ როგორ გადადის ვიწრო სპეციალური ტერმინოლოგიიდან სიტყვები საეროო ენაში და როგორ განიცდიან ტერმინები დეტერმინოლოგიზაციას.

პოლიტიკურ სოციოლექტიზმთა უმეტესობა ინგლისური ლექსიკიდანაა შემოსული. ზოგი მათგანი ლათინურ-ბერძნულია, მაგრამ ჩვენთან, საქართველოში, ინგლისურის გზით გავრცელდა.

ახალგაზრდები ყველაზე დიდი რაოდენობით გამოიყენებენ სოციოლექტებს: ჟარგონს, არგოს, სლენგს...

ასაკობრივად პირველი საფეხური სასკოლო ჟარგონია.

სასკოლო ჟარგონი, როგორც სახელწოდება გვიჩვენებს, გავრცელებულია სკოლებში. მათ იყენებენ სკოლის მოსწავლეები, რომელთა ასაკიც დაახლოებით 10-დან 17 წლამდეა.

მოსწავლე ამ ასაკში გარკვეული ფიზიოლოგიური, ფსიქოლოგიური და სოციალური თავისებურებებით ხასიათდება.

სასკოლო ასაკის ჟარგონს მიეკუთვნება ე.წ. კომპიუტერული ლექსიკა, რომელიც საინტერნეტო თამაშებთანაა დაკავშირებული. იგი, ძირითადად, ინგლისურიდანაა შემოსული. თუმცა თუ თბილისელი ბავშვები ინგლისურ ნასესხობებს გამოიყენებენ თამაშებისა და მასში მიმდინარე მოვლენების და საგნების აღსანიშნავად, ქუთაისელი ბავშვები – ინგლისურსა და რუსულს, რაც გამოწვეული უნდა იყოს იმ გარემოებით, რომ ქუთაისში ინტერნეტი და საერთოდ კომპიუტერული პროგრამები თავიდანვე რუსულენოვანი გავრცელდა.

თანამედროვე მსოფლიოში ძალიან გავრცელებულია აზრების გამოხატვის არაენობრივი სიმბოლოები, რაც ჩვენი მოსწავლეებისათვის (და საერთოდ, ახალგაზრდებისათვის) ძალიან მიღებული და გავრცელებული მოვლენა აღმოჩნდა. მაგალითად, ტელეფონებისა და ინტერნეტის საშუალებით, ისინი აგზავნიან სპეციალურ სიმბოლოებს, რომლებიც მათ გრძნობებს და ემოციებს უსიტყვოდაც გამოხატავს.

ახალგაზრდული ჟარგონის მატარებლები, ძირითადად, 16-30 წლის ახალგაზრდები არიან. მართალია, ჟარგონიზმები შემდეგაც რჩება მათ მეტყველებაში, მაგრამ აქტიური მოხმარებისა და ახალი ჟარგონიზმების შექმნის პერიოდი, სწორედ ზემოდასახელებული ასაკია.

მომხმარებელთა თვალსაზრისით, სწორედ ახალგაზრდული ჟარგონი ქმნის ყველაზე დიდ ჯგუფს სხვადასხვა ჟარგონის სახეებიდან. ახალგაზრდას ეძალება სურვილი, რომ თავისი გამორჩეული ადგილი მოიპოვოს საზოგადოებაში. მათ სურთ რაც შეიძლება მალე გახდნენ დამოუკიდებელნი და დაიმკვიდრონ საკუთარი „მე".

ამ ჯგუფშიც შესაძლებელია უფრო მცირე ქვეჯგუფების გამოყოფა. მაგალითად, სტუდენტთა წრეში გავრცელებული ჟარგონიზმები.

მეორე დიდი ნაწილი – საკუთრივ ახალგაზრდული ჟარგონის მატარებლები არიან. ისინი თითქმის ყველგან და ყველა სიტუაციაში ჟარგონიზმებს იყენებენ. აქ ერთიანდებიან სკოლის დამთავრებს შემდეგ უფუნქციოდ დარჩენილებიც, სტუდენტთა ნაწილი. ისინი თავიანთ მეტყველებას უფრო მარტივად მიიჩნევენ და თელიან, რომ აზრი ასე უფრო ნათლად გადმოიცემა.

ახალგაზრდულ ჟარგონში შეიძლება გამოიყოს მესამე ჯგუფი, რომლებიც „კონტრასტულები" არიან. ისინი, ძირითადად, იქცევიან სხვაგვარად, ვიდრე საზოგადოებაში მიღებული ნორმებია. თითქმის ასეთივეა ევროპაში გავრცელებული „Peer gruppe". ეს არის ერთი ასაკის ახალგაზრდების ჯგუფი, რომლებიც მხარს უჭერენ მშობლებისაგან მთლიანად გამოყოფას. ეს ჯგუფი მიმართულია საზოგადოების (ან რამეს) წინააღმდეგ. ისინი სოლიდარობას უცხადებენ მათი მსგავსი მიზნების მქონე ადამიანებს.

საქართველოში, ასეთი მცირე ჯგუფები, ჯერჯერობით საზოგადოებისთვის (და სხვა ახალგაზრდებისთვისაც) მიუღებელი არის. არც მათი ჟარგონისათვის უწოდებიათ სპეციალური სახელი და არც თვით ამ ჯგუფისათვის.

მასაზრდოებელი წყარო თანამედროვე ახალგაზრდული სოციოლექტიზმებისთვის, ძირითადად, ქართული, ინგლისური და რუსულია.

თანამედროვე საქართველოში ძალიან მომრავლდა სათამაშო ბიზნესთან დაკავშირებული დაწესებულებები: სამორინეები, ტოტალიზატორები, სპეციალური კლუბები და ა. შ.

ტოტალიზატორთან დაკავშირებული ლექსიკა ნამდვილად ჟარგონს განეკუთვნება, რადგან ეს სიტყვები არ იქმნება რაიმეს დაფარვის მიზნით. ზოგიერთი ამ ჯგუფში გავრცელებული სიტყვა სლენგის ელემენტებსაც შეიცავს.

ტოტალიზატორთან დაკავშირებულ ლექსიკას იყენებენ მხოლოდ მამაკაცები, ასაკს მნიშვნელობა არა აქვს.

ტოტალიზატორთან დაკავშირებული სოციოლექტი'სმები ქრონოლოგიურად ასე ნაწილდება: თუ სიტყვა საბჭოთა პერიოდიდანაა შემორჩენილი, უმეტესად რუსულია, თანამედროვე კი – ინგლისური, ან ქართული.

ნარკომანები სხვადასხვა სოციალური ჯგუფის, პროფესიის, ასაკის წარმომადგენლები არიან.

ნარკოტიკებთან დაკავშირებული სოციოლექტი'სმების მასაზრდოებელი წყარო დღესაც რუსულია.

არგოსა და ჟარგონის თავდაპირველი მნიშვნელობა ქურდებისა და მოხეტიალეების დამახინჯებული ენის აღნიშვნა იყო. დამნაშავეთა ჯგუფში გაერთიანებული ადამიანების მთავარ საზრუნავს, მათი დანაშაულის დაფარვა წარმოადგენდა. სწორედ ამიტომ ქმნიდნენ სპეციალურ სიტყვებსა და გამოთქმებს, რომ ისინი სხვებისათვის გაუგებარი ყოფილიყო, ხოლო მათი წრის წევრებისათვის გასაგები. მართალია, მოგვიანებით ბეური არგოტიზმი ჟარგონში გადავიდა, მაგრამ დღესაც არსებობს და იქმნება კიდეც სპეციალური სიტყვები კომუნიკაციის საგნის დაფარვის მიზნით.

დამნაშავეთა სამყაროში გავრცელებულ სოციოლექტი'სმთა უმეტესობას რუსული ნასესხობა შეადგენს. ამ ფაქტს თავისი საფუძველიც აქვს. დამნაშავეთა უმრავლესობა რუსეთის, უმეტესად ციმბირის კოლონიებში იხდიდნენ სასჯელს საბჭოთა პერიოდში. ამიტომ ამ წრის წარმომადგენელთათვის რუსული დამნაშავეთა ჟარგონი ურთიერთობის ძირითადი საშუალება იყო.

სოციოლექტების შესწავლა, გარდა პროფესიული და ასაკობრივი ჯგუფებისათვის დამახასიათებელი ლექსიკისა, ვარაუდობს აგრეთვე ლექსიკის ანალიზს ცალკეულ ჯგუფთა მოსაქმეობის გათვალისწინებითაც.

მართალია, ყველაზე მკაფიოდ ჩამოყალიბებულ ლექსიკურ ჯგუფებს პროფესიული და ასაკობრივი ლექსიკა ქმნის, მაგრამ არანაკლებ საინტერესოა მოსაქმეობის ამა თუ სახეობასთან დაკავშირებული ლექსიკური თავისებურებანი.

სპეციალური სიტყვების საერთოენობრივი გავრცელება დამოკიდებულია იმ ინტერესზე, რასაც მთელი საზოგადოება იჩენს ამ სპეციალური საქმიანობის, თუ დარგის მიმართ. ამ ინტერესის მატების თუ კლების მიხედვით ხდება ამა თუ იმ დარგის სიტყვების შესვლა საერთოენობრივ ლექსიკურ ფონდში, ან ამ ფონდიდან პერიფერიაში გადასვლა.

მოსაქმეობა სპეციალურ ჟარგონებს, ისევე როგორც სხვა ჯგუფის წარმომადგენლები ქმნიან სახელდების ნებისმიე-

რობის პრინციპით და ემოციურ-ექსპრესიულობა აქაც წამყვან როლს თამაშობს.

ნადირობა დღეს მოდურადაც ითვლება და გართობისა და დასვენების ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა. ანუ ნადირობასთან დაკავშირებული ლექსიკა დარგობრივთან ერთად სოციალურ მომენტებსაც შეიცავს.

მოვლენათა საზოგადოებრივი შეფასება უშუალოდ აისახება ენაში, მაგრამ იმავდროულად ენაში მექანიკურად კი არ აირეკლება ესა თუ ის ფაქტი ყოფიერებისა, არამედ ხდება მისი გაცნობიერება გარკვეული სა'სოგადოებრივი მსოფლხედვის საფუძველზე.

თარგმნა საკმაოდ რთული პროცესია, მით უფრო, თუ ტექსტი სოციოლექტიზმებს შეიცავს. ასეთ დროს ზოგადი პრინციპების გათვალისწინების გარდა, ინდივიდუალურ მიდგომასაც განსაკუთრებით მნიშვნელობა ენიჭება.

თარგმანის დროს სოციოლექტი ყოველთვის უნდა იქნეს გადატანილი თარგმანის ენაში დამკვიდრებული შესაბამისი სოციოლექტით, თუ ამის შესაძლებლობა არსებობს. სოციოლექტის თარგმნა მთარგმნელისაგან მოითხოვს კომუნიკაციური სიტუაციის ზუსტ იდენტიფიკაციას და თარგმანის ენაში ეკვივალენტური სოციოლექტის ცოდნას. თუმცა ზოგჯერ ასეთ პირობებშიც კი ვაწყდებით სერიოზულ პრობლემებს: სოციოლექტი "უთარგმნელი" აღმოჩნდება, რადგან მეორე ენაში არ მოიძებნება მისი შესატყვისი. ესა თუ ის სოციოლექტი, რომელიც მოკლებულია კონკრეტულ სემასიოლოგიურ კავშირს დენოტატთან და ენაში ფუნქციონირებს, როგორც ეროვნული კულტუროლოგიური ინფორმაციის მატარებელი ერთეული, ზოგჯერ დამახასიათებელია ერთი ენისათვის და არ გეხვდება მეორეში. ამგვარი პრობლემის დროს თარგმანის ხარისხი მთარგმნელის ნიჭიერებაზეა დამოკიდებული. მთარგმნელი მუდამ მარტოა ამგვარი სიძნელეების წინაშე და მათი დაძლევა უხდება საკუთარი ძალებით, საკუთარი ნიჭისა და ერუდიციის შესაფერისად.

სოციოლექტიზმების სიტყვარის შედგენა, მათი ფონეტიკური, გრამატიკული და ლექსიკური ანალიზი თარგმანის სრულყოფილებისათვის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა.

სოციოლინგვისტური კვლევისას გარეენობრივი ფაქტორების (ასაკი, სქესი, პროფესია..) ენაზე ზემოქმედება თვალნათლივ

ჩანს. ცნობილია, რომ გარეენობრივი პარამეტრების ურთიერთგადაკვეთა და ურთიერთშეხება ქალისა და მამაკაცის ენაში განსხვავებულად აისახება, რაც განაპირობებს ენათმეცნიერთა დაინტერესებას გენდერული ლინგვისტიკით.

ქართული სოციოლექტების ენობრივი შესწავლა ადასტურებს რ. შორის თვალსაზრისს, რომ ქალთა და მამაკაცთა მეტყველებრივი განსხვავება უშუალოდაა დაკავშირებული მათ სოციალურ და პროფესიულ განაწილებასთან. სქესის კატეგორია მჭიდრო კავშირშია სოციალური ფენების კატეგორიებსა და კრიტერიუმებთან. სქესი არ არის მხოლოდ ბიოლოგიური და ფსიქოლოგიური სიდიდე, იგი აგრეთვე სოციალური სიდიდეა. სოციალური სქესი – გენდერი – ფლობს გარკვეულ ენობრივ საშუალებებს საკუთარი სოციალური მდგომარეობის გამოსახატავად. მაგალითად, ავტომობილების შემკეთებლები, მონადირეები, მეთევზეები, ქვის ხელოსნები, ძირითადად, მამაკაცები არიან და ამ დარგებთან დაკავშირებულ ლექსიკასაც მამაკაცები გამოიყენებენ. აგრეთვე მამაკაცებისთვისაა ცნობილი ტოტალიზატორთან და კომპიუტერულ თამაშებთან დაკავშირებული სოციოლექტიზმები. განსხვავება ის არის, რომ ავტომობილს ქალებიც გამოიყენებენ, ამიტომ მომხმარებლის პოზიციიდან, ავტომობილების ნაწილებთან, შეკეთებასთან დაკავშირებული ლექსიკა, ქალებისთვის ნაკლებად მაგრამ მაინც ცნობილია, ხოლო ტოტალიზატორთან დაკავშირებული ლექსიკა ქალებისათვის თითქმის უცნობია (ტოტალიზატორის თანამშრომელი ქალების გარდა). ახალგაზრდულ ჟარგონსაც უმეტესად ვაჟები გამოიყენებენ, თუმცა მნიშვნელობა გოგონებსაც ესმით, მაგრამ სუსტი სქესი უფრო ვიწრო სიტუაციებში გამოიყენებს მათ. ნარკომანებისა და დამნაშავეთა ჟარგონი და არგოც უმეტესად მამაკაცებთანაა გავრცელებული. რაც შეეხება მედიცინის მუშაკთა, იურისტთა და. ა. შ. ისეთ პროფესიულ ჟარგონებს, სადაც დასაქმების ხვედრითი წილი მამაკაცებისა და ქალების თითქმის ერთნაირია, პროფესიული ჟარგონების გამოყენებაც ორივე სქესის მიერ თანაბარია.

თანამედროვე ქართულ სოციოლექტებში, ძირითადად, წარმოდგენილია რუსულ-ქართული და ინგლისურ-ქართული ენობრივი კონტაქტები. ორივე შემთხვევაში სახეზე გვაქვს როგორც დადებითი (ენობრივი ფონდის გამდიდრება), ასევე უარყოფითი შედეგებიც (ენის დანაგვიანება, ხელოვნური კალკების შექმნა, ადგილობრივი სიტყვის განდევნა და უცხოურის დამკვიდრება). ორივე ენა მასაზრდოებელი წყაროა თანამედროვე

ქართული სოციოლექტებისა. ამასთან, სოციალური პრესტიჟი ინგლისურისა გაცილებით დიდია, ვიდრე რუსულისა. რუსულის სოციოლინგვისტური ფუნქციების შემცირება და ინგლისურის გაფართოება დაახლოებით 20 წელია მიმდინარეობს საქართველოში, მაგრამ ამის მიუხედავად, ხოგ სოციალურ და პროფესიულ ჯგუფში მაინც რუსულის პრიორიტეტი იგრძნობა. ინგლისურის შემოდინება თითქმის ყველა სტრუქტურაში უპრეცედენტო ხომებს ღებულობს. ამის პარალელურად შეიმჩნევა ქართული სიტყვების დამკვიდრება ნასესხობების ნაცვლად.

გარდა ზემოთ აღნიშნული შემთხვევებისა, მეტყველებაში ხოგჯერ თავს იჩენს ეთნიკური მომენტებიც და ეღებულობთ ეთნიკურისა და სოციალურის ერთობლიობას, რომელსაც შეიძლება ეთნოსოციოლექტი ვუწოდოთ. ასეთია, მაგალითად, ქართველ ებრაელთა მეტყველება. ებრაელები საქართველოში 26 საუკუნის განმავლობაში ცხოვრობენ, შეინარჩუნეს საკუთარი რწმენა, მათი რელიგია იუდაიზმია, მაგრამ ეთნიკური ტერმინი ებრაელი არ ნიშნავს, რომ ისინი ამ ენის მატარებლები არიან. ებრაელთა უმეტესობამ ებრაული არ იცის. თუმცა ამ ენიდან შემოსულ თეოლოგიურ ენობრივ ერთეულებს დღესაც აქტიურად იყენებენ, რაც გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ ლოცვა დღესაც ებრაულ ენაზე აღეელინება. ქართველ ებრაელთა დიდმა ნაწილმა მიაშურა ისტორიულ სამშობლოს – ისრაელს, ხოლო საქართველოში დარჩენილი მოსახლეობა ცდილობს შეისწავლოს ივრითი, რადგან საბჭოთა პერიოდისაგან განსხვავებით, მათ ამის შესაძლებლობა ახლა ნამდვილად აქვთ. მიუხედავად ამისა განათლებას კვლავ რუსულ ენაზე ღებულობენ და ბილინგვები არიან (ქართული, რუსული). არაკომპაქტური დასახლების გამო, ბევრი სპეციფიკური მოვლენა უკვე ნიველირებულია, თუმცა ინტონაციით ებრაელობა კვლავ იგრძნობა.

Modern Georgian Sociolects

Georgian dialectology has a serious and fruitful tradition. Mainly, territorial dialects are researched. Regarding the study of sociolects, only several works exist in Georgia. It must not be excluded that this fact has its reason, as in the Soviet Union the question of socialects was not the order of the day because of their social marginalization.

The development of international affairs and human civilization, the influence of the literary language on the Georgian territorial dialects, demonstrated the tendency to level peculiarities, on the other hand, the differentiation of social and profession dialects became more active. Therefore, socialect studies gained a tremendous scale.

Since the 50s of the 20th century, new disciplines of linguistics emerged. Social dialectology was amongst them. It developed from traditional dialectology and its methods correspond with the heterogeneous, constantly changing urban society. Basically, its subject is to find out the mechanism of language change of small or larger heterogeneous groups. The development of social dialectology is connected to William Labov, namely, to its works concerning the varieties of English spoken in New York.

Social dialect is a broad concept and the term "sociolect" was established in modern linguistics to correspond to it.

Sociolect (Social dialect) is a language variety, lect, spoken by a particular social unit or group.

Sociolects intersect both dialectal (territorial, as well as social) and literary (terminology) vocabulary.

Socialect often fall out of the group they belong and become a part of the common literary fond.

Sociolect includes such lects as jargon, argot, slang, language of profession groups, special vocabulary etc.

Although none of these is a new phenomenon in the history of language and a range of scientific studies have been dedicated to it, there are not commonly exepted definitions for these units.

They are the object for different disciplines and every linguistic field seeks to define features which are significant from the viewpoint of that specific discipline. However must be noted that one definition for the multi aspect object is not acceptable and logical.

On the one hand, summarizing of existing data and, on the other hand, an analysis of empiric material gives us opportunity to define essential features of the unites of sociolects:

Jargon is socially conditioned variety of a national language with a minimal linguistic system. Jargon is spread within particular social, profession or age groups, or within the groups with common interests, customs, occupation, social condtions. It is characterized by individual variation and is used for communication in specific situations. It is distinguished with vocabulary, phraseology and word formation. Jargon is characterized by lexical and stylistic connotation, metaphorical extention, borrowing of words from several languages simultaneously, which reflects the taste and requirements of a particular group. Jargon gives a new expressive meaning to the notion which is clear to everyone, this is a reason for frequent changing. Not only negative vocabulary is expressed by jargon. For example, jargon used by people of a specific profession field covers informal words which are established in oral speech for members of a particular profession.

Brief definition for the term jargon can be formed as follows: Jargon is a socially conditioned variation of national language with minimal linguistic system and peculiar vocabulary, which is distinguished by emotivity-expressiveness, with its economy and specific conotation.

Argot is a unit of social dialect, which is less widespread than jargon. Argo has a conspiratorial function. Argot is an arbitrary language, word or expression composed of modified elements selected from one or more languages and which is spread within particular social, profession or age groups, or within the groups with common interests, customs, occupation, social condtions. (For instance, specially developed "reversed language", also, words formed by relocating or adding syllables, or a word may have a different meaning which is known only to that particular group). It is meant to have a conspiratorial function, to conseal a subject of communication and it remains to be argot until it performs this function. In other cases it makes a jump into jargon, slang or a literary language (most often, terminology).

Slang is a significant phenomenon for the modern world and it emerged in Georgia in the result of epochal changes of recent years.

Slang mostly refers to the casual spoken vocabulary, which is spread in a particular period of time and belongs to lexical-expressive linguistic units. It involves words which have jumped of various jargon and argot groups to larger groups, as well as vulragisms and barbarisms. Barbarism is a foreign word regularely used as a stylistic means to create "local color". Its existance is conditioned by fashion. It may be found with transliteration or written in foreign (vip). Whereas, Vulgarism is a careless, casual vocabulary which is unacceptable in polite speech. Also the usage of slang reminds us of imitation of particular standard.

Therefore, jargon is a socally conditioned variety of a national language with a minimal linguistic system and peculiar vocabulary, which is distinguished by emotivity-expressiveness, with its economy and specific conotation.

Argot can be ditinguished from other units of socialect by its feature to conceal the subject of communication.

The vocabulary associated with informal or spoken language is considered to be Slang and its use is conditioned by a fashion.

Argot is the most closed system, Slang is more open than Jargon and stands close to a literary language. It threatens the language purity the most and is the most open to jump into a literary language.

According to structural analysis sociolects fall into two groups: group one is composed with a minimal structural unit - single-word sociolectisms, which on its part can be simple, derived and compound. For example, **gašmona, daavazvrata, moaqomara, asçorebs, texavs, zexeri, limoni, ţeţri, xvosti, ʒonʒebi, priztaimi, bazarivagzali...** Given examples demonstrate almost all means of word formation exasting in the Georgian language and sometimes foreign affixes have the function of word formation: **šarapisti** (party animal), **ķučisti** (greedy pig), **unalogo** (untaxed)...

The second group is composed of word combinations or sociolectal expressions.

Word combinations may be of different types:

a) Free or analytic, which can be divided into consisting elemets.

b) Set expressions, which loses its meaning if it is divided into consisting elements.

c) Synthetic or idiomatic, chich cannot be divided into elements.

Here, group three can be set apart, to which sociolectisms formed both with words and symbols are assigned. For example, **party (šarapi)** and **to flick of finger on throat**. They cannot be divided into consisting elemets. This group includes clothes, hair-do and computer symbols.

Thus, tfree structural groups of sociolectisms are assigned: single-word, word combinations and the sociolectisms expressed by symbols.

As the sociolectisms are meaningful words, it is natural that independent parts of speech are used to express them. Basically, nouns, adjectives and verbs. But it must be noted that vocabulary alone cannot demonstrate the sociolectic nature of words. Grammar and grammatical analysis is also needed. In contrast to the Georgian linguistic system, phonetic and gramatical systems cannot show much difference. It is natural, as a system of every dialect (including, that of sociolect) is conditioned by the language that it belongs.

Influence of computer technologies on the Georgian language becomes more and more intense every day. Vocabulary related to informatics and recent technologies has begun to develop in Georgia since the end of the 20th century and it has spread in the speech of almost every generation and social class. It is almost impossible to imagine any field of occupation without computer. That is why, humanity uses the global network, revolutionary product of information technology. Difference between online and traditional communications saw the birth of the present-day problem "language and computer", where the thourough study of artificial languages and intelect (from spelling to vocabulaty) is needed.

Vocabuly related to computer and internet belongs to slang, as its usage is conditioned by fashion and it is spread alsmost in every social group and in the future they will be listed in explanatory dictionaries as a part of the Georgian literary language.

Vocabulary related to computer technologies is mainly nurished by the English language.

In the modern Georgian language vocabulary related to international and forensic affairs penetrates intensively.

As international affairs include both forensic and economic relations, in this group we consider sociolects related to politics, economy and, generally, business and business people. This group is especilly rich in loanwords. It is natural, as the fundamental changes of the 90es of the 20th century was connected to this fiels. The old formation was demolished and a new political and economic system was taken. The processes familiar to the capitalis world has become known to us only in recent years. Therefore, loanwords came with new objects and phenomena. On the one hand, it makes profession relations easier, but we must not forget that the Georgian vocabulary is very rich and it must be used.

The modern Georgian language demonstrates a good example how words grow out of specialized narrow terminology and jumps into common language and how terms undergo determinologization.

Most of political sociolectisms has penetrated into Georgian through english. Some of them are Latin and Greek , but they appeared in Georgian through English.

Adolescents use the largest amount of sociolects: jargon, argot, slang ...

In age groups first comes school jargon.

As it can be seen from the name, school jargon is spread in schools. It is used by school children aged 10-17.

School children at this age are usually characterized by some physiognomic, psychological and social peculiarities.

School jargon includes so called cumputer vocabulary related hich is related to online games. It has basically penetrated through English. However Tbilisian children use English variant to describe objects and events taking place in games, whereas Kutaisian children use English and Russian. This can be explained by the fact that in Kutaisi internet and computer games spread in Russian from the very beginning.

In the modern world expressing of opinions through symbols is widespread, that is very common and accepted in Georgian school children (and generally, adolescents). For instance, through mobiles and internet they send special symbols expressing their feelings and emotions and words are not needed.

Jargon of adolescents is mainly used by young people aged 16-30. Although, jargonisms stay in their speech when they are older, but this is the age of active usage and coinage of new jargonisms.

According to the users of jargon, it is the adolescent jargon which cerates the largest group amongst various sorts of jargon. Young people want to find their place in the society. They wish to be independent as soon as possible and establish their "self".

This group can be split into smaller groups as well. For example, jargonisms spread in student circles. Another larg group is that of the users of adolescent jargonisms. They use jargonisms almost everywhere and in all situations. This group includes young people who finished school and are left without any functions, part of students. They consider that their speech is simple and this helps to express the idea clearer.

Users of the third group adolescent jargon are "contrasting". They behave differently than it is accepted in the society. This is almost simillar to the group in Europe "Peer gruppe". This is a group of young people of the same age who suppert the idea of completeling segregating from parents. They opposite society (or something else). They express solidarity to people sharing their opinion.

Such small groups is not acceptable for the society (and other adolescents). Neither their jargon, nor the group of users has been named.

Source of modern adolescent sociolectisms are mainly Georgian, English and Russian.

In present-day Georgia entertaining places have increased in number: gaming houses, totalizators, clubs etc.

Vocabulary related to totalizator definately belongs to jargon, as these words are not formed to conceal something. Some of the words contain elements of slang. Vocabulary related to totalizator is mainly used by men regardless their age. Chronologically these socialects can be classified as

follows: the words reserved since the Soviet period are Russian, and modern ones are English or Georgian.

Drug addicts belong to different social, profession and age groups.

The source of the sociolects connected to drugs is still Russian nowadays.

At the beginning argot and jargon was meant to alienate the language of thieves and vagrants. The aim of the criminals was to hide their crime. So their coined speacial words and expressions to prevent outsiders to understand their conversation. Although a range of argotisms jumped into jargon later on, nowadays such special words are still formed to hide conceal the subject of communication.

Most of the sociolectisms spread in the groups of criminals are borrowed from Russian. This fact has its own basis. Most of the criminals served sentence Siberian colonies in the Soviet period. Therefore, Russian criminal jargon was the main means of communication for the representatives of this group.

Besides the vocabulary used by different profession and age groups, sociolect studies include analysis of the lexicon of members of a particular occupaton.

Although vocabulary of varios profession and age groups create the most clear lexical groups, lexical peculiarities connected with various occupations is of a particular interest.

The spread of special words in a common language depends on the interest of the whole society in that particular occupation or field. According to the raise or fall of the interest the words of a particular field grow into the common lexical fond or jump into periphery.

Hunters, as well as representatives of other groups, develop special jargonisms according to the principles of free naming and emotive-expressiveness plays an important role.

Hunting is fashanable today and is one of the best leiusures. Therefore, vocabulary related to hunting is characterised with social moments along with specialized ones.

Social evaluation of an event is reflected in the language. But facts of reality are not mirrored in the language mechanically, but they are realizd on the basis of social ideology.

Translation is a difficul process, especially if a text contains sociolectisms. In such casis, individual attitude is of great importance along with considerating of general principles.

In translation sociolect should be replaced by an equivalent sociolect if it is possible. Translation of sociolect needs to exactly define communicational situation and know equivalent in a translating language.

Even in such cases we come across serious problems: Sociolect cannot be translated, as there is not its equivalent. Sociolect which is devoid of concrete semasiologic connection with denotator and functions in a language as a bearer of national cultural information, is found only in one language and cannot be found in another language. In this case the quality of translation depends on the talent of a translator. Translator faces such problems alone and has to cope with them with his/her force using talent and erudition.

Creation of word-lists, phonetic, grammatical and lexical analysis of sociolectisms is an necessary condition for perfect translation.

In socio-linguistic studies influence of extralinguistic factors on the language is obvious. As is known, the intersection of linguistic parametres are reflected differently in speech of men and women which causes linguists interest in gender linguistic.

Linguistic study of Georgian sociolects corroborates the opinion of R. Shore according to which the variation in faminine and masculine speech is immediately connected to their social and profession distribution. The category of gander is closely connected to categories and criteria of social levels.

Gender is not only biological and psychological quantity, but social one as well. Social gender has some particular lingustic means to express its social status. For instance, automobile repairers, hunters, fishermen, artisan are basically men and therefore, vocabulary related to these occupations are used by men. Also, sociolectisms connected to totalisators and computer games are mainly known to men. The difference is in the fact that women drive cars as well and consequently, vocabulary related to parts of cars and repair are less but still familiar to women. Regarding vocabulary of totalisators is not known to women (exept for those working there). Adolescent jargon is mainly used by boys as well, but is understandable to girls though they rarely use it. Jargon and argot of drug edicts and criminals are used by men. As for the profession jargons of medics, lawyers etc. are used both by men and women, as they equally work in these fileds.

In modern Georgian sociolectisms basically Russian-Georgian and English_georgian language contacts are represented. In both cases there are positive (enrichment of a language fund) and negative consequences (language contamination, artificial calques, replacing of vernaculars with foreign forms). Russian and English are sources of modern Georgian sociolectisms. At the same time, English enjoys more social prestige than Russian. The fall of the socio-linguistic functions and the rise of English has been in progress in Georgia for the last decade. But Russian is still prioritative in some social and profession groups, The flow of English

vocabulary gains unpresidented scopes almost in every structure. In parallel to this, Georgian words have been established instead of loanwords.

Besides above mentioned cases, ethnic moments are sometimes revealed in speech. This ethnic and social unity is so called ethnosociolect. This is in case of the speech of Georgian Jews. Jews have lived in Georgia for 26 centuries, they reserved their belief. Their religion is Judaism, but an ethnic term Jew does not mean that they are bearers of this language. Most of the jews do not know Hebrew. But even today they actively use the theological linguistic units penetrated through this language. This can be explained by the fact that preyers are offered in Jewish. Most Georgian Jews have left for their historical homeland - Israel, and the Jewish population in Georgia tries to learn Hebrew, as they are free to study their language in contrast to the Soviet period. Nevertheless, they get education in Russian and they are bilinguals. Because of incompact settlement, a broad range of specific phenomena are nivelled, though the intonation is still Jewish.

ახალი ლექსიკური ერთეულები

შენიშვნა: ახალ ლექსიკურ ერთეულებში ერთიანდება როგორც ბოლო ათწლეულში შემოსული და დამკვიდრებული სიტყვები, ასევე შედარებით ძველი ლექსიკური ერთეულებიც, რომლებიც ადრე არ იყო აქტიური გამოყენების, მაგრამ თანამედროვე საქართველოში ვიწროსპეციალურიდან საერთოეროვნულში გადმოინაცვლა.

ა

აგენტი – ბროკერი, დილერი, კომისიონერი, მაკლერი. პირი – (იურიდული ან ფიზიკური), რომელიც ასრულებს განსაზღვრულ ფუნქციებს სხვა პირის დავალებით მის ხარჯზე და მისი სახელით.

ადეკვატური – შესაბამისი.

ავანსი – ხელფასიდან წინასწარ გაცემული თანხა.

ავანტაჟი – სარგებლობა, ხელსაყრელი მდგომარეობა.

ავტობიოგრაფია – საბუთი, რომელშიც წარმოდგენილია ავტორის ცხოვრება.

ავტორიზირებული – მოწონებული ან ნებადართული ავტორის, ფირმის მფლობელის, ინვესტორის მიერ.

ავტორიტარიზმი – ხელისუფლების ანტიდემოკრატიული სისტემა, რომელიც აგებულია სრულ და სიტყვაშეუბრუნებელ დამორჩილებაზე (ფრ. autotarisme).

ავტორიტარული – დიქტატი, რომელიც ცდილობს დაახვიოს თავისი ავტორიტეტი და ძალაუფლება სხვებს.

ავტოტრენინგი – საკუთარ ფსიქიკურ და ფიზიკურ მდგომარეობაზე ზემოქმედების ფსიქოთერაპიული მეთოდი (ინგლ. autotraining).

აკმეოლოგია – მეცნიერება ადამიანის განვითარების და შემოქმედებითი მოღვაწეობის ფუნქციონირების შესახებ (ბერძნ. acme).

ამბივალენტური – ორპირი, ერთროულად საწინააღმდეგო თვისებების გამომქმელი.

ამბიციური – ავადმყოფური, პატივმოყვარე, დიდი წარმოდგენის მქონე თავის თავზე.

ამონაწერი – რომელიმე ტექსტის საბუთის ნაწილის ასლი.

ამორტიზაციული ვადა – წარმოების ღირებულების ვადის მთლიანი გადახდა ამორტიზაციული გადარიცხვების ანგარიშზე.

ამპლიაცია – ასლი ფულის მიღების შესახებ.

ანგაჟირებული – ამა თუ იმ პოლიტიკური ორიენტაციის აქტიური მიმდევარი, დაკავშირებული რომელიმე სახოგადოებრივ მიმდინარეობასთან.

ანგარიში – გაწეული სამსახურის და მათი ღირებულების დამადასტურებელი საბუთი.

ანდეგრაუნდი – 1. მიმართულება ხელოვნების, კულტურის, პოლტიკის, რომელიც ეწინააღმდეგება დაწესებულ ტრადიციებს; ოფიციალურად არააღიარებული ხელოვნება (ინგლ. under ground – " არალეგალური"). 2. კომპიუტერული თამაშის დასახელება.

ანიმაცია – მულტიპლიკაცია (ინგლ. animacion – "სულიერი," "ცოცხალი")

ანკეტა – ტრაფარეტული სახის საბუთი, რომელშიც გამოტოვებულია შესაესებად სტროფებით (ეროვის წერილს, განაცხადს).

ანულირება – შეწყვეტა, გაუქმება.

ანოტაცია – პიველწყაროს მოკლე შინაარსის გადმოცემა (ძირითადი საკითხების სახით).

ანტისეპტიკური – ინფექციის გასანადგურებლად ან ჭრილობების სამკურნალოდ გამოსაყენებელი

აპრიორული – ფაქტებზე არ დამყარებული, გამოცდილებებზე დამოკიდებული

არმაგედონი – საერთო კატასტროფა, სამყაროს აღსასრული; სიცოცხლის განადგურება დედამიწაზე ბირთვული ომის შემთხვევაში (ინგლ. armagedden ბერძნულიდან და ძვ. ებრაულიდან Megiddo – "მეგიდის მთა", სადაც, აპოკალიპსის თანახმად, უნდა მოხდეს საბოლოო ბრძოლა კეთილსა და ბოროტ ძალების შორის).

არმესტლინგი – სპორტის სახეობა, რომელიც აღნიშნავს მუტოქის ხელის გადაძლევას (ინგლ. armuresting- arm – "ხელი", urestle – "შეუპოვარი ბრძოლა").

აუდიტი – წარმოებების, ორგანიზაციების, ფირმების, სააქციო სახოგადოებების ქმედებების საბუღალტრო კონტროლი, ფინანსური რევიზია, რაც ხორციელდება დამოუკიდებელი – კვალიფიცირებული სპეციალისტების – აუდიტორების მიერ (ინგლ. Aaudit ლათინური auditus - "მსმენელი")

აუთენტური – ნამდვილი, ჭეშმარიტი, პირველწყაროებიდან გამომდინარე.

აუთსაიდერი – 1) წარმოება, რომელიც არ შედის მონოპოლისტურ კავშირში, 2) შჯიბრებაში ბოლო ადგილზე მყოფი სპორტსმენი 3) უიღბლო; ადამიანი, რომელმაც განიცადა სრული კრახი (ინგლ. outsider „გარეშე პირი").

აუთრეიდი – არ შემდგარი სავაჭრო ხელშეკრულება მხარეების გაუგებრობის ან ტექნიკური შეცდომის გამო (ინგლ. outride).

აუტოგენური – თვითწარმოებული, წარმოშობილი თვით ორგანიზმში.

აუქციონი (საჯარო ვაჭრობა) – საქონლის ყიდვა-გაყიდვა შეჯიბრებით, დაკვეთების მოთავსება, მყიდველის მიერ მიმწოდებლის შეთავაზებული საქონლიდან მეტად სარგებლიანის ამორჩევა და შესაბამის მონაწილესთან გარიგების დადება.

არბიტრაჟი – სახელმწიფო ორგანო, რომელიც განიხილავს საკამათო საკითხებს.

არენდა – ქონების დროებითი გამოყენება ხელშეკრულების პირობებში.

არტიკული – საქონლის, ნაწარმის ტიპი, აგრეთვე მისი რიცხობრივი (ანბანური) აღნიშვნა.

არქივარუსი – არქივის თანამშრომელი.

ასოციაცია – ერთი სახის მოღვაწეობის იურიდული პირების ნებაყოფლითი გაერთიანება.

აუდიტი – თანამდებობის პირი, რომელიც ამოწმებს კომპანიების, დაწესებულებების, სააქციო საზოგადოებების ფინანსურ მდგომარეობას.

აქტი – კომისიის რამდენიმე წევრის მიერ შედგენილი საბუთი, რომელიც ადასტურებს დადგენილ ფაქტებს ან მოვლენებს.

აქცეპტი – თანხმობა გარიგების, ხელშეკრულების დადების შესახებ, წინადადებაში მითითებული პირობების საფუძველზე.

აქცეპტანტი – პიროვნება, რომელმაც აიღო თავის თავზე წარმოდგენილი თანხის, ვექსელის გადახდის ვალდებულება.

აქცია – ფასიანი ქაღალდი, რომელიც მოწმობს წარმოებაში განსაზღვრული თანხის ჩადებას და აძლევს მის მფლობელს უფლებას მიიღოს წლიური ნაწილის შემოსავალი

დივიდენდის სახით და აგრეთვე წარმოების ლიკვიდაციის შემთხვევაში აქციონერული საზოგადოების ნაწილი.

აქციზი – არაპირდაპირი გადასახადი (ძირითადად, მასობრივი მოთხოვნილების) და კერძო დაწესებულებების მომსახურება შეტანილი ფასების ან ტარიფის სახით.

აქციონერი – აქციების მფლობელი.

აღწერა – იურიდულად გაფორმებული საბუთების ჩამონათვალი, წარმოების საბითუმო ფასი, პრეისკურანტული ფასი, რომლითაც წარმოება თავის პროდუქციას პარტიებით ყიდის სხვა წარმოებებსა და სავაჭრო ფირმებზე.

ახსნა-განმარტებითი ბარათი – 1) საბუთი, რომელიც განმარტავს ძირითადი საბუთების შინაარსის ცალკეულ დებულებებს 2) თანამდებობის პირის განმარტება რომელიმე მოქმედების, ფაქტის შესახებ, რომელიც უნდა წარუდგინოს სედმგომ თანამდებობის პირს.

ბ

ბაიკერი – მარჯვე, დაუდევარი მოტოციკლისტი, როგორც წესი, შავი ტყავის უნიფორმაში (ინგლ. ამერიკ. bike - "ველოსიპედი", "მოტოციკლი", "მოტოროლერი").

ბაიტი – თანამედროვე კომპიუტერის ინფორმაციის ტევადობის ძირითადი ერთეული წარმოდგენილი სტრიქონის რვა სიმბოლოსაგან (ინგლ. byte).

ბამპერი – მანქანის წინა და უკანა ნაწილის დამცველი მოწყობილობა (ინგლ. bumfer).

ბანერი – კომპიუტერის სარეკლამო გრაფიკული ბლოკი, რომელიც, დაკაშირებულია რეკლამის მიმცემის veb- გვერდთან; ქუჩის სარეკლამო ტრანსპარანტი (ინგლ. baneri).

ბანკროტი – მევალე, რომელიც ვერ უხდის კრედიტორებს გაკოტრების გამო

ბანკროტობა – გაკოტრება, მევალის (წარმოება, ფირმა, ბანკი) მიერ თანხის გადახდის შეუძლებლობა.

ბაჟი – გადასახადი საზღვარზე გასატან საქონელზე.

ბარათი – რომელიმე საკითხის მოკლედ გადმოცემა ან რომელიმე საბუთის, ფაქტის, მოვლენის შინაარსის (მოხსენებითი ბარათი, ახსნა-განმარტებითი ბარათის) განმარტება.

ბარელი – ტევადობის ზომა ინგლისურ საზომო სისტემაში, ნავთის ბარელი ამერიკაში უდრის 158,9888დმ (ინგლ. barret – "კასრი").

ბარტერი – საქონლის ან მომსახურების პირდაპირი გაცვლა თანხის გარეშე (ინგლ. barteri).

ბაქსი – დოლარის სახელწოდება ამერიკაში და მრავალ სხვა ქვეყანაში (ინგლ.-ამერიკული bucks).

ბეისბოლი – სპორტული თამაში ბურთით ბალახზე, მოედანზე (ინგლ. ban-dll).

ბეიჯი – კონფერენციის, გამოფენის მონაწილის მკერდის ნიშანი, ემბლემა, ბარათი, რომელიც ხშირად მიმაგრებულია პიჯაკზე სპეციალური ქინძისთავით (ინგლ. badge).

ბერმუდები – მუხლამდე მოკლე ფართო შარვალი (ფრ. bemuda).

ბესტსელერი – წიგნი, რომელიც გამოცემულია დიდი ტირაჟით და სწრაფად იყიდება (ხშირად სენსაციურ თემაზე) (ინგლ. betseller – bets საუკეთესო, ყველაზე დიდი sell – გაყიდვა).

ბიგ-ბენდი – დიდი საესტრადო, საცეკვაო ორკესტრი (ინგლ. big-bandi "ორკესტრი").

ბილბორდი – ვიტრინა, განცხადების დაფა, ტრანსპარანტი ქუჩის გასწერივ (ინგლ. billboard).

ბილინგვი – ორივე ენის თავისუფლად მფლობელი ადამიანი (ლათინ. bilingua).

ბლანკი – ფურცელი, რომელზედაც სპეციალურად დაბეჭდილია ტექსტი (ადრესანტის რეკვიზიტები, ლოგოტიპი) და განკუთვნილია ოფიციალური საბუთების შესადგენად.

ბლეიზერი – წელში გამოყვანილი შალის პიჯაკი მეტალის ღილებით (ინგლ. blazer "ბრწყინვალება").

ბლიცტურნირი – სპორტული შეჯიბრება, რომელიც ტარდება შემოკლებულ დროში (გერმ. blitsturnier).

ბლოკბასტერი – ფართოდ გავრცელებული ვიდეო კასეტებზე ძვირადღირებული კინოფილმი მასშტაბური გადაღებებით, მასიური სცენებით (ცნობილი მსახიობების მონაწილეობით), (ინგლ. blockbuster).

ბოდიბილდინგი – ფიზიკური ვარჯიშების სისტემა სიმძიმეების გამოყენებით; კულტურიზმი (ინგლ. body-bilding).

ბონუსი – 1) დამატებითი ფასდაკლება, რომელსაც თავაზობს გამყიდველი მყიდველს, გარიგების პირობების ან ცალკეული შეთანხმების შესაბამისად, 2) დამატებითი დივიდენდი 3) დამატებითი გასამრჯელო, პრემია

ბრაკერაჟი – 1) საქონლის, საწარმო საგნების შემოწმება წუნის დადგენის მიზნით.

ბრეიკი – თანამედროვე ახალგაზრდული ცეკვა აკრობატიკის ელემენტებით (ინგლ. break „გატეხვა").

ბრენდი – საქონლის, სურსათის რეიტინგი, ნიშანი, მისი სავაჭრო მარკა (ინგლ. brand, სერიული ნომერი, მარკირება).

ბრიფინგი – ოფიციალური პირების შეხვედრა მასიური საშუალებების წარმომადგენლებთან, რომელზედაც გადაიცემა ოფიციალური პოზიციები განსაზღვრულ თემაზე (ინგლ. Briefing).

ბროკერი – საბირჟო აგენტი, შუამავალი, რომელიც მოქმედებს კლიენტების დავალებით და შუამავლობისათვის ღებულობს საკომისიოს (ინგლ. broker).

ბროუზერი, ბრაუზერი – პროგრამა, რომელიც გვაძლევს ინტერნეტიდან მიღებული ინფორმაციის აღქმის საშუალებას. ის იძლევა ჩვეულებრივი ტექსტების, სტატისტიკური გამოსახულებების ან გრაფიკების ასახვის საშუალებას ნებისმიერი თანმიმდებრობით, მომხმარებლის შეხედულების მიხედვით. მოცემულ დარგში თანამედროვე ლიდერად ითვლება Microsoft internet Explorer (ინგლ. Browser).

ბრუტალური – უხეში, პირდაპირი.

ბრძანება – უფლებრივი საბუთი, ოფიციალური განკარგულება გაცემული დაწესებულების, ორგანიზაციის მიერ.

ბრძანებულება – ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს ან სახელმწიფო მეთაურის განკარგულება, რომელსაც აქვს კანონის ძალა.

ბუტიკი – 1) პატარა, ვიწრო სპეციალური ფირმა, 2) ექსკლუზიური ტანსაცმელების პატარა მაღაზია (ფრანგ. Boutique).

ბუქმეკერი – ის ვინც ღებულობს ფსონს სპორტულ შეჯიბრებებზე (ინგლ. bock "ფსონი თამაშში").

გ

გადასახადი – აუცილებელი გადასახადი, რომელსაც სახელმწიფო იღებს იურიდიული და ფიზიკური პირებისაგან.

გადაწყვეტილება – 1) უფლებრივი აქტი, რომელიც გამოიყენება კოლეგიალური ორგანოების ან სახელმწიფოს უმარლესი ორგანოების ინსტაციების მიერ 2) საბუთი, რომელიც შეიცავს სასამართლოს ან არბიტრაჟის გადაწყვეტილებას სამოქალაქო საქმის ან საკამათო საკითხის გარჩევის

შედეგად. 3) კრების, თათბირის, დადგენილების რეზოლუცია.

გადახდის უნარიანობა – სახელმწიფოს, იურიდიული პირის ან ფიზიკური პირის მიერ გადასახადების თავის დროზე გადახდის შესაძლებლობა.

განაცხადი – სურვილის გამოთქმა რომელიმე ღონისძიებაში მოწონაწილეობაზე ან რაიმე საქონლის შეძენაზე.

განკარგულება – 1) უფლებრივი აქტი, გამოცემული ერთპიროვნულად ორგანიზაციის ხელმძღვანელობის მიერ ოპერატიული საკითხების გადაწყვეტის მიზნით.

განსაკუთრებული ნიშნები – აღნიშვნები, რომლებიც უჩვენებენ მუშაობის განსაკუთრებულობას საბუთებზე (გასაიდუმლოებების დონე, შესრულების სისწრაფე).

განცხადება – წერილობითი საბუთი, რომელშიც ოფიციალურად გადმოცემულია თხოვნა ან წინადადება თანამდებობის პირის, დაწესებულების სახელზე.

გასული საბუთი – დაწესებულებიდან გასული საბუთი.

გენდერული – დაკავშირებული ადამიანის განსხვავებასთან სქესის მიხედვით.

გრანტი – 1) კონკურსის საფუძველზე სამეცნიერო კვლევის ჩასატარებლად გაცემული მიზნობრივი საშუალებები ფულადი ან მატერიალური ფორმით 2) სტიპენდია, რომელიც ეძლევა სტუდენტებს ან ასპირანტებს სახელმწიფო ან ადგილობრივი ბიუჯეტიდან (ინგლ. grant „საჩუქარი", „შესაწირავი").

გრაფოლოგიური – ადამიანის კალიგრაფიის კვლევა მისი ფსიქიკური თვისებების ასახვის მიზნით.

გრიფი – წარწერა საბუთზე, რომელიც განსაზღვრავს საბუთის გამოყენების წესს და საშუალებას.

დ

დადგენილება – 1) მთავრობის განკარგულება 2) კოლექტიური გადაწყვეტილება.

დაიჯესტი – 1) გამოცემა, რომელიც შეიცავს მხატვრული ნაწარმოების მოკლე ადაპტირებულ შინაარს; 2) ჟურნალის ნაირსახეობა, რომელსაც სხვა გამომცემლობისაგან გადმოაქვს მასალები შემცირებული სახით (ინგლ. digest „რეზიუმე", „მოკლე თხრობა").

დამადასტურებელი წერილი – წერილი, რომელიც ადასტურებს საბუთის გაგზავნას ან რომელიმე ღონისძიებაში მონაწილეობას.

დანსინგი – საცეკვაო დარბაზი რესტორანში, კაფე'ში (ინგლ. dancing).

დებენტურა – საბაჟო მოწმობა ბაჟის დაბრუნების შესახებ.

დებეტი – საბუღალტრო ანგარიშის მარცხენა მხარე, სადაც შეაქვთ ყველა არსებული შემოსავლები და აგრეთვე ამ ანგარიშზე არსებული ვალი და დანახარჯები.

დებულება – 1) უფლება, რომელიც ადგენს სახელმწიფო ორგანოების, სტრუქტურული ქვეგანაყოფებების, დაწესებებულების, ორგანიზაციების საორგანიზაციო და მოღვაწეობის ძირითად წესებს 2) სახელმწიფო მმართველობის განსაზღვრული დარგის მარეგულირებელი კანონების, წესების კრებული.

დეკათლონი – სპორტული შეჯიბრება მძლეოსნობის 10 სახეობაში (ბერძნ. deka „ათი", athion „შეჯიბრება").

დედუქციური – დაფუძნებული ლოგიკური დასკვნების მეთოდზე ზოგადიდან კერძოსკენ.

დემოგრაფი – დემოგრაფიის სპეციალისტი, დემოგრაფია – მეცნიერება ხალხის დასახლების შესახებ (ფრ. demographe).

დემპინგი – საქონლის გატანა საზღვარგარეთ დაბალ ფასებში (ინგლ. Dumping).

დენონსირება – ხელშეკრულებაზე უარის თქმა.

დეპოზიტი – დროებით შესანახად გადაცემული თანხა (ფასიანი ქაღალდები).

დეპორტაცია – დევნა, გასახლება, იძულებითი გადადგილება სახელმწიფოს ფარგლებიდან ან განსაზღვრული რეგიონიდან (ფრ. deportation).

დესკრიპტორი – HTML -ის ელემენტი, რომელიც შეიცავს ინფორმაციას (საბუთების გარდა) ფორმატირების სტილის და მითითებების შესახებ (ინგლ. deskriptor).

დეფოლტი – უარის თქმა ვალის გადახდაზე (ინგლ. default).

დიანეტიკა – 1) ადამიანის ფსიქიკაზე სამკურნალო მოწყობილობის ზემოქმედების მეთოდიკა, რომელიც ეფუძნება სწავლებას სულის გადასახლების შესახებ (რეინკარნაცია), 2) მეცნიერება, რომელიც შეისწავლის ადამიანის გონებრივი და ფსიქიკური კანონზომიერების ფუნქციონირებას (ინგლ. dianestics ბერძ. dianoia "ინტელექტი, აზრი").

დიგერი – ქალაქის მიწისქვეშა გეოგრაფიის მცოდნე, რომელიც თავისუფლად ორიენტირებს კომუნიკაციის, ტუნელების სისტემებში (ინგლ. digger).

დივიდენდი – სააქციო საზოგადოების შემოსავლის საერთო თანხის ნაწილი, რომელიც ნაწილდება აქციონერეთა შორის იმ აქციების შესაბამისად, რომლებსაც ისინი ფლობენ.

დილერი I) საფონდო ბირჟის წევრი, რომელიც ეწევა ფასეული ქაღალდების ყიდვა-გაყიდვას; 2) სავაჭრო გარიგებისას შუამავალი; 3) მეწარმე, რომელიც საბითუმო ფასებში შეძენილ საქონელს ყიდის ცალობით (ინგლ. dealer "საქმოსანი").

დილეტანტური — არაპროფესიონალური, ზედაპირული.

დირექტიული საბუთი – საბუთი (ბრძანება, ინსტრუქცია, განკარგულება, დადგენილება), რომელიც შეიცავს ზემდგომი ორგანოების მიერ აუცილებელ შესასრულებელ მითითებებს.

დისკეტა – კომპიუტერის მახსოვრობის, ციფრული ინფორმაციის მატარებელი მცირეფორმატიანი დრეკადი დისკი (ფრ. disquette).

დისკრიმინაცია – ვინმეს უფლებების და შესაძლებლობების შელახვა.

დისონანსური – არაგარმონიული,შეუთანხმებელი ჯღერადობაში, ხმებში.

დისტრიბუტორი – სავაჭრო ფირმა (დამოუკიდებელი საბითუმო შუამავალი), რომელიც ეწევა პროდუქციის შესყიდვას მაღაზიებისათვის, ფირმებისათვის, კოოპერატივებისათვის, სამრეწველო საწარმოებებისათვის მიყიდვის მიზნით (ინგლ. distribitin – გამანაწილებელი).

დისფლეი – ეკრანზე შემოსული და გასული ინფორმაციის ამსახავი ელექტრო მოწყობილობა ეკრანით (ინგლ. display).

დისქაუნთერი – სტაბილური დაბალფასიანი მაღაზია (ინგლ. discount "ფასდაკლება")

დიჯეი – მუსიკალური პროგრამის წამყვანი დისქოტეკაზე (ინგლ. disc-jokey).

დომოცილია – იურიდული პირის ადგილსამყოფელი.

დოსიე – განსაზღვრული საქმისათვის განკუთვნილი საბუთების შერჩევა.

დოტაცია – თანხა, რომელიც გაიცემა სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაუბრუნებლად.

დრაივი – როკის შესრულების მანერა, რომელიც გამოირჩევა ენერგიულობით, სისწრაფით (ინგლ. drive- „გზა“, „მიმართულება“).

დუბლიკატი – საბუთი, რომელიც შედგენილია დედანის საფუძველზე და აქვს იგივე იურიდიული ძალა.

დუთი-ფრი შოპი – მაღაზია, სადაც საქონელი იყიდება საბაჟო გადასახდის გარეშე, ძირითადად, აეროპორტებში (ინგლ. Dutu free-shop).

ე

ეგზალტიური – აღტაცებული, აღელვებული.

ევენტუალური – დასაშვები განსაზღვრულ ვითარებებში.

ევთანაზია – 1) უმტკივნეულო სიკვდილი; 2) ავადმყოფისათვის სიკვდილის პროცესის შემსუბუქება (ბერძნ. euthanasia).

ეკუმენიზმი – მოძრაობა ქრისტიანული ეკლესიების გასაერთიანებლად (ბერძნ. oikumene).

ელექტრონული ფოსტა – უწყებების გადაცემის სისტემა კომპიუტერით მომხმარებლებს შორის.

ელექტორატი – ამომრჩეველთა წრე, რომელიც ხმას აძლევს რომელიმე კანდიდატურას ან პოლიტიკურ სისტემას (ფრ. electorat, ლათინურად elector “ამომრჩეველი”).

ემბარგო – საქონლის შემოტანის და გატანის აკრძალვა

ერკანტილური – ხელმომჭირნე, სარგებლიანი.

ეფემერული – მოჩვენებითი, არარეალური.

ექსკლუზიური – განსაკუთრებული თვისებების მქონე.

ექსპანსიური – ფიცხი, თავშეუკავებელი.

ექსპლიციტური – ცხადი, განსაზღვრული, არაორაზროვანი

ექსტენსიური – დაკავშირებული რიცხობრივ გამრავლებასთან.

ექსტრაორდინარული – იშვიათი, არაჩვეულებრივი.

ექსტრემალური – უკიდურესი, მეტისმეტად რთული, საშიში.

ექსცენტრიული –თავისებური, უცნაური.

ექშენი რიფლეი – სპორტული შეჯიბრების ძირითადი მომენტების გამეორება პირდაპირი ტრანსლაციის დროს (ინგლ. action replay).

ვ

ვალიდნური – კანონიერი, ნამდვილი.

ვანტუზი – წყალსადენი მილების გამწმენდი საშუალება (ფრანგ. ventouse).

ვებ-გვერდი – ტექსტური საბუთი ინტერნეტში, რომელიც შეიცავს ინფორმაციას სპეციალურ ფორმატში და მიუთითებს გრაფიკულ ფაილებზე, მულტიმედიაზე და სხვა გვერდებზე (ინგლ. web. „ობობის ქსელი" + გვერდი).

ვებ-რაიტერი – ლიტერატორი, რომელიც ქმნის ნაწარმოებს მსოფლიო კომპიუტერულ ქსელში (ინგლ. Web. "ობობის ქსელი", wraite „მწერალი, ავტორი").

ველფერი – ფინანსური დახმარება ღარიბებისათვის და გაჭირვებულებისათვის (ინგლ. Welfare).

ვენჩურნული – რისკთან დაკავშირებული, რისკიანი.

ვენჩურული წარმოებები – მცირე ბიზნესის წარმოებები, რომლებიც ეწევიან მეცნიერულ კვლევას, საინჟინრო დამუშავებას, სიახლების შექმნას და დანერგვას.

ვერბალური – ზეპირი, სიტყვიერი.

ვესტერნი – საათვგადასაველო რომანი (კინოფილმი) XIX საუკუნის ჩრდილოამერიკის დასავლეთი შტატების ცხოვრების თემაზე (ინგლ. Western "დასავლეთი").

ვექსელი – საბუთი, რომელიც შეიცავს თანხის გადახდის მოვალეობას დადგენილ ვადაში.

ვიზა — 1) ხელმძღვანელის, თანამდებობის პირის ხელმოწერა, რაც ნიშნავს, რომ ის გაეცნო საბუთს 2) აღნიშნება პასპორტში, რაც ნიშნავს ქვეყნიდან ქვეყანაში გადადგილების ნებართვას

ვიზაჟისტი – სახის კანის მოვლის სპეციალისტი (ფრ. visagiste).

ვიზუალური – ოპტიკური ხელწაყობების მეშვეობით ან შეუიარაღებელი თვალით აღქმისებლობა.

ვინდ-სერფინგი – 1) საწყლო სპორტის სახეობა, შეჯიბრება სპეციალურ დაფაზე აფრით (ინგლ. windsurfing wind „ქარი", surfing- "სპეციალური დაფით ტალღებზე სრიალი').

ვინჩესტერი – კომპიუტერის დამამახსოვრებელი მოწყობილობა, მყარი მაგნიტური დისკი (სასროლი იარაღის ფირმის დამფუძნებლის ო. ვინჩესტერის სახელწოდებით).

ვიპი – ძალიან მნიშვნელოვანი პიროვნება; სიტყვა ხშირად იხმარება საერთაშორისო პრაქტიკაში, კერძოდ, ბარგის ბლანკებზე მისაღები დარბაზების კარების წარწერებზე (ინგლ. VIP- very impotant person- "ძალიან მნიშვნელოვანი პიროვნება").

ვირტუალური – შესაძლებელი, რომელიც შეიძლება ან უნდა გამოჩნდეს განსაზღრულ პირობებში, პოტენციალური, მოჩვენებითი, იმიტირებული,

ვოლკმენი – პორტატიული (ჯიბის ზომის) სატარებელი საკასეტო სტერეომაგნიტაფონი ყურსაცვამით და აგრეთვე, ხშირად რადიომიმღებით (ინგლ. walkman walk - "სიარული", man - „ადამიანი").

ზ

ზედნადები – საბუთი, რომელიც აფორმებს ტვირთის მიღებას და გაგზავნას, მატერიალური ფასეულობის გადაადგილება და გაცემა.

ზომბი – 1) აფრიკული მითოლოგიის თანახმად – გარდაცვლილი ადამიანი, რომელიც ასრულებს იმ ადამიანის ნება-სურვილს, რომელმაც გამოიძახა მისი სული; 2) ადამიანი, რომელიც ბრმად ემორჩილება სხვა ადამიანის ნება-სურვილს (ინგლ. zombie).

თ

თანხლები წერილი – წერილი, რომელიც მიუთითებს წერილზე თანხლები საბუთების ან სხვა მატერიულ ფასეულობის გაგზავნის ფაქტზე.

თეზაურუსი – ლექსიკონი, სადაც მოცემულია სპეციალური დარგის ტერმინები, ცნებები.

თეზისები – მოხსენების, ლექციის ძირითადი შინაარსის მოკლედ ფორმულირებული დებულებები.

თვითღირებულება – ფულის სახით ასახული პროდუქციის წარმოებაზე და გასაღებაზე ყველა დანახარჯების თანხა.

თინეიჯერი – გარდამავალი ასაკის 13-19 წლამდე მოზარდი, რომელსაც შემოაქვს საერთო მასობრივი ახალგაზრდების სუბკულტურის ელემენტები (ინგლ. teenager, teen რიცხობით 13-დან-15-მდე, age – ასაკი).

თოქ-შოუ – სატელევიზიო დისკუსია, საუბარი ცნობილ მსახიობებთან, საზოგადო მოღვაწეებთან აქტუალურ, საზოგადოებრივ მნიშვნელოვან პრობლემებზე (ინგლ. talk "საუბარი", "შოუ")

თხოვნითი წერილი – წერილი, რომელშიც ასახულია თხოვნა გადაწყვეტილების, საბუთების ან მატერიალური ფასეულების მიღების შესახებ.

ი

იაპი –დამოუკიდებელი ახალგაზრდა, რომლის მისანია კარიერის გაკეთება ბრწყინვალე განათლების და თანამედროვე ტექნოლოგიის გამოყენების მეშვეობით (ინგლ. uoppie).

იკებანა – ცოცხალი და გამხმარი ყვავილებისა და მცენარეებისაგან თაიგულის გაკეთების ხელოვნება (ინგლ. ikebana).

იმანენტური – დამახასიათებელი თვით საგნის ბუნებისათვის, მოვლენისათვის, პროცესისათვის, მიმდინარე გარეგნული გავლენების და ზემოქმედების მიუხედავად.

იმპერატიული – უსიტყვო დამორჩილების, შეუწინააღმდეგობის მოთხოვნა.

იმპლიციტური – ფარული, ნაგულისხმები, აშკარად არ გამოხატული.

იმპონზატური – შთამაგონებული, დიდებული, შთაბეჭდილების მომხდენი წარმოსადეგი.

იმიჯი – მისანდასახულად რომელიმე პირის, მოვლენის, საგნის, სახის ფორმირება, რომელმაც უნდა მოახდინოს ემოციურ-ფსიქოლოგიური გავლენა ვინმეზე, მისი პოპულარიზაციის ან რეკლამის მიზნით (ინგლ. image ან ლათ. imago „სახე").

იმიჯმეიკერი – სპეციალისტი-ფსიქოლოგი, რომელიც ამუშავებს არტისტის, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწის სტრატეგიას, ტექნიკას და უფრო ეფექტური იმიჯის ტექნიკას მისი პოპულარიზების და რეკლამირების მიზნით (ინგლ. imagemaker "სახის შექმნა").

იმუნოდეფიციტი – იმუნური სისტემის დეფექტი, რაც გამოიხატება ორგანიზმის დასუსტებაში, ორგანიზმი ვერ უწევს წინააღმდეგობას ავადმყოფობას (ლათ. immunis "შეუხლებელი", deficiti "უკმარისობა").

იმპიჩმენტი – სახელმწიფო პირების პასუხისგებაში მიცემის და დაკავებული თანამდებობიდან განთავისუფლების პროცედურა (ინგლ. impeachment "ბრალდება", "გასამართლება").

იმპლანტატი – ადამიანის ან ცხოველის ორგანიზმში ჩანერგილი ქსოვილები ან ორგანოები (გერმ. implantat).

ინაუგურაცია – საზეიმო ცერემონია სახელმწიფო მეთაურის ან ამომრჩეველი პირის მიერ თანამდებობის დაკავების გამო. (ინგლ. inauguration).

ინდექსაცია – საბუთებისათვის განსაზღვრული ინდექსების მინიჭება.

ინდექსები – საბუთების პირობითი აღნიშვნა, მათი აღრიცხვის დროს (რეგისტრაციის).

ინვენტარიზაცია – წარმოების ბალანსზე დარიცხული არსებული ფასეულობის, ქონების და მათი ტექნიკური მდგომარეობის პერიოდული შემოწმება.

ინვესტიცია – კაპიტალის ჩადება ხანგრძლივი ვადით შემოსავლის მიღების მი'სნით მრეწველობაში, სასოფლო მეურნეობაში, ტრანსპორტ'ში და სხვა საქმეში.

ინოვაცია – სიახლის დანერგვა.

ინსაიდერი – პირი, რომელსაც თავისი სამსახურეობრივი მდგომარეობის გამო ხელი მიუწვდება საიდუმლო ინფორმაცია'ს'ე (ინგლ. insider, inside "ჩვენი").

ინსტალაცია – 1) მოწყობილობების მონტაჟი; 2) გამოფენის ექსპონატების განლაგება; 3) ვრცელი კომპოზიცია სხვადასხვა საგნებისაგან, რომელიც გამოხატავს ავტორის მხატვრულ-ესთეტიკურ წარმოდგენას (ინგლ. installation fr-an installation).

ინტელექტუალური საკუთრება – საავტორო და გამომგონებლობის უფლების მქონე ობიექტების ერთობლიობა (სალიტერატურო, მხატვრული, სამეცნიერო ნაწარმოებების, გამოგონებების, აღმოჩენების).

ინტერნეტი – ელექტრონული კავშირის კომპიუტერული ქსელი, რომელიც აერთიანებს რეგიონალურ, ადგილობრივ და სხვა ქსელებს; აპარატული და საპროგრამო უზრუნველყოფა, რომელიც ხელს უწყობს ყველაზე ვრცელ კომპიუტურულ ქსელს, კომპიუტერების შორის კავშირის განხორციელებაში (ლათინ. inter „შორის" და ინგლ. net – „ქსელი").

ინტერპოლი – პოლიციების საერთაშორისო ორგანი'ზაცია (ლიონის, საფრანგეთში) დანაშაულთან ბრძოლისათვის (ინგლ. Interpol- international Police).

ინტერფეისი – გამოთვლით ტექნიკაში სააპარატო პროგრამების საშუალებების ერთობლიობა, რომლებიც უზრუნველყოფენ კომპიუტერის კავშირს სხვა მოწყობილებებთან და მომხმარებელთან (ინგლ. interface).

ინფანტილური – განუვითარებელი ბავშვივით, ბავშვის ასაკისათვის დამახასიათებელი.

ინფერიალური – საშინელი, აუტანელი.

ინფლაცია – ფასეული ქაღალდების გაუფასურება მასზე გამოშვების გადაჭარბების მოთხოვნილების გამო.

ინფრაქცია – ხელშეკრულების და კონტრაქტის პირობების დარღვევა.

იოგურტი – ნაკლებად მჟავე ხილიანი რძის ნაწარმი (თურ. jogurt).

ისტებლიშმენტი – ხელისუფლების მფლობელი და საზოგადოების ცხოვრებაზე ზემოქმედების შემძლე მმართველი და პრივილეგირებული ჯგუფები (ინგლ. establishment).

იურიდული პირი – ორგანიზაცია, დაწესებულება, ფირმა, რომელიც წარმოდგენილია როგორც მოქალაქობრივი უფლებების და ვალდებულების დამოუკიდებელი მატარებელი.

კ

კანონი – იურიდული ძალის მქონე სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს ნორმატიული აქტი.

კანცელარიზმები – სიტყვები და შესიტყვებები, გრამატიკული კონსტრუქციები, რომლებიც გამოიყენება ოფიციალურ-საქმიან სტილში, საქმისწარმოებაში, იურისპრუდენციაში: მხედველობაში მიღება, პასუხისგებლობაში მიცემა და სხვა. ამ სტანდარტული ფორმულების გამოყენება გამართლებულია მოხერხებულობით, დროის შემცირებით საქმიანი ქაღალდების გაფორმებისას.

კარაოკე – ელექტრო-მუსიკალური გასართობი მოწყობილობა, რომელიც საშუალებას აძლევს ნებისმიერ დამსწრეს იმღეროს მიკროფონში მუსიკის თანხლებით (იაპონ. karaoke "ცარიელი კასრი").

კარდიგანი – გრძელი სწორი ჟაკეტი საყელოს გარეშე (ინგლ. cardigan).

კატრიჯი – კონტეინერი ქსეროქსებისთვის, პრინტერებისათვის და სხვა ტექნიკური ხელსაწყოებისთვის (ინგლ. cartridge).

კეტჩი – პროფესიონალური ბრძოლა, სადაც დაშვებულია აკრძალული ბრძოლის ხერხების გამოყენება (ინგლ. catch).

კვოტა – ყოველი მონაწილის წილი საერთო წარმოებაში, პროდუქციის ექსპორტში ან იმპორტში.

კიკბოქსინგი – სპორტის სახეობა, რომელშიც შერწყმულია ტრადიციული ბოქსის და აღმოსავლური ორთაბრძოლის ხერხები (ინგლ. kickboxing, kick - „ფეხით დარტყმა", boxing „ბოქსირება").

კიტჩი – უგემური მასობრივი ნაწარმი, რომელიც გათვლილია გარეგნულ ეფექტზე, იაფფასიანი ნაწარმი (ინგლ. kitsch).

კიტჩური – ეფიანი, უგემური, გათვალისწინებული გარეგნულ ეფექტზე.

კლაკერი – მსახიობისთვის, ორატორისთვის,წარმოდგენისთვის ხელოვნური წარმატების ან ჩაშლის შექმნის მიზნით სპეციალურად მოწვეული ადამიანი (ფრ. claqueur).

კლაუსტროფობია – შიშის გრძნობა დაკეტილ ოთახში (ლათ. claustrum-saketi „დახურული ოთახი", photos ბერძნული „შიში").

კლიპი – ტელევიზიით გადმოსაცემი მოკლე მუსიკალური ან სარეკლამო ფილმი (ინგლ. ticlip " ამოჭრა").

კლიპმეიკერი – კლიპის შემქნელი, რეჟისორი (ინგლ. clipmaster).

კლირინგი – უნაღდო ანგარიშსწორების სისტემა საქონელზე, ფასეულ ქაღალდებზე და გაწეული სამსახურისთვის (ინგლ. clearing to clear „გადახდა").

კლიშირებული გამოთქმები – სტანდარტული ფრაზები და გამოთქმები, რომლებიც ხშირად გამოიყენება საქმიანი წერილების ტექსტებში.

კლონი – მცენარის, ცხოველის გენეტიკური ორეული, რომელიც წარმოიშვა ვეგეტატური გამრავლების გზით, წინასწარ მოცემული გენეტიკური კოდის საფუძველზე (ინგლ. clone "ორეული," ბერძნული klon – ლერწი).

კოლუმნისტი – გამომცემლობაში მუდმივი პუნქტის წამყვანი ჟურნალისტი, მიმომხილველი, რედაქტორი (ინგლ. ამერ. Columnist).

კომერციული საიდუმლობა – ნებისმიერი კონფიდენციალური ინფორმაცია, რომელიც წარმოადგენს მნიშვნელობას წარმოებისთვის კონკურენტებზე გამარჯვებისათვის და შემოსავლის მიღებისათვის.

კომუნიკაბელური – ის, ვინც ადვილად ამყარებს კონტაქტს და კავშირებს.

კონსეკვენტური – ლოგიკურად თანმიმდევრული.

კონსესუსი – საერთო შეთანხმების მიღწევა განხილულ ან საკამათო საკითხზე კენჭისყრის გარეშე (ლათინ. Consensus „თანხმობა", „ერთსულოვნობა").

კონსიგნატორი – შუამავალი (გამყიდველი), რომელსაც აქვს სარეალიზაციო საქონელი, მაგრამ არ არის მათი მფლობელი (ინგლ. consignee „ტვირთის მიმღები").

კოპირაითი – 1) საავტორო უფლება, რომელიც იძლევა მხატვრული, სამეცნიერო, ხელოვნების ნაწარმოების გამოცემასთან და გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტის საშუალებას; 2) სპეციალური ნიშანი © რომელიც მიუთითებს, რომ მოცემული ნაწარმოები დაცულია საავტორო უფლებით (ინგლ. copyright copy "კოპირება", right " უფლება").

კონსტატური – მუდმივი.

კონტრაგენტი – პირი, რომელიც დებს ხელშეკრულებას და თანამშრომლობს შეთანხმების შესრულების პროცესში (გამყიდველი და მყიდველი და სხვა).

კონტრაქტი – თანხმობა, ხელშეკრულება დადებული მხარეების ურთიერთვალდებულებით.

კონფიდენციალური – საიდუმლო, სანდო, განსაკუთრებით პირადული.

კორესპოდენტი – დაწესებულება ან ცაკლკეული პიროვნება, ვისთანაც არის მიმოწერა.

კორპორატიული – განცალკავებული, ჩაკეტილი, ეიწრო ჯგუფური.

კოტირება – ფასიული ქაღალდების ან. საქონლის და აგრეთვე თვით ფასების ბრუნვა.

კრეატიული – შემოქმედებითი.

კრედიტი – 1) სესხი თანხის ან საქონლის სახით დაბრუნების და პროცენტების გადახდის პირობით; 2) თანხა, რომელიც შეიძლება იყოს გამოყენებული საჭიროებისას.

კრეკი – თანამედროვე მოდური ტყავის ნაწარმი ტეხილი ხაზებით (ინგლ. crach "ბზარი").

კრუასანი – ნახევარმთვარის ან ნალის ფორმის მქონე მსუბუქი ფენოვანი ფუნთუშა (ფრ. croissani).

კურსორი – მოძრავი ისარი ეკრანზე, რომელიც მიუთითებს ეკრანის გააქტიურებულ ნაწილზე (ინგლ. cursor „მაჩვენებელი").

კუტიურე – მაღალი კლასის გამომჭრელი მოდელიორი (ფრ. couturier „მკერავი").

კურტუაზიული – თავაზიანი, გალანტური.

ლ

ლაიერი – სარეკლამო ფურცელი, რომელიც იძლევა რომელიმე ღონისძიებაზე უფასო დასწრების უფლებას (ინგლ.-ამერ. luer).

ლანჩი – მეორე, უფრო ნოყიერი საუზმე (13- 14 სააათზე) (ინგლ. lunch luncheon „მსხვილი ნაჭერი").

ლაპიდარული – მოკლე, გარკვეული (მკაფიო), ცხადი.

ლატენტური – ფარული, გარეგნულად გამოუმჟღავნებაელი.

ლეგიტიმური – კანონიერი.

ლეიბლი – პატარა საფირმო ნიშანი, იარლიყი ტანსაცმელზე (ინგლ. label).

ლიბერალიზაცია – მკაცრი კონტროლისაგან, შეზღუდვებისაგან, სახელმწიფო რეგულირებისაგან განთავისუფლება (ფრ. Liberalization).

ლიზინგი – სატრანსპორტო საშუალებების, მოწყობილობების, დაწესებულებების გადაცემა არენდაში ხანგრძლივი დროით (ინგლ. leasing" arenda").

ლიმიტი – ნორმა, რომლის ფარგლებში ნებადართულია რამეს გამოყენება.

ლიმიტედი –შეზღუდული პასუხისმგებლობის მქონე საზოგადოება (ინგლ. limited-lid).

ლისტინგი – 1) კომპიუტერზე მიღებული საინფორმაციო მონაცემები, ამ მონაცემების გახსნა; 2) ფასეული საქონლის ბირჟაზე დშვება (ინგლ. listing).

ლიფტინგი – სახის კანის დაჭიმვა კოსმეტიკური ოპერაციის შედეგად (ინგლ. lifting lift „აწევა").

ლიცენზია – სახელმწიფო ორგანოების მიერ გაცემული ნებართვა განსაზღვრულ უფლებებზე (საქონლის შემოზიდვა და გაზიდვა, მათი წარმოება და სხვა).

ლობი – ეკონომიურად ძლიერი სტრუქტურის ჯგუფის წარმომადგენლები, რომლებიც ახდენენ ზეწოლას სახელმწიფოს პოლიტიკაზე, სხვადასხვა გადაწყვეტილების მიღებაზე (ინგლ. lobbu).

ლოგოტიპი – ანბანური სიმბოლო, საფირმო წარწერა, მაწარმოებელი ფირმის სავაჭრო მარკა, ემბლემა (ინგლ. logotype).

ლოიალური – თაეის დაკავება ფორმალურად კანონის ფარგლებში, ნეიტრალურ-კეთილმოსურნე დამოკიდებულების ფარგლებში ვინმეს ან რამეს მიმართ.

მაჟორიტარული – დამყარებული უმრავლესობაზე.
მაჟორული – მხნე, მხიარული.
მარგინალი – სხვადასხვა სოციალური, პოლიტიკური, მორალური, ეთიკური მიზეზების გამო საზოგადოების მიღმა მყოფი ადამიანი (ინგლ. marginal).
მარკეტინგი – პროდუქციის წარმოების და გაყიდვის ორგანიზება რეკლამის გამოყენებით და წარმოების სტიმულირების შედეგად (ინგლ. marketingi " ვაჭრობა").
მარკირება – ტექნიკური საბუთების ან საქონლის ინდექსირება.
მასმედია – მასობრივი ინფორმაციის საშუალება (პრესა, რადიო, ტელევიზორი, კინო) (ინგლ. mass media).
მაფიოზი – მაფიის წევრი (იტალ. mafiosi).
მედიატური – დამაფიქრებელი.
მეილი – ელექტრონული ფოსტა, რომლის დანიშნულებაა კავშირის დამყარება (აბონენტის ადგილსამყოფელის მიუხედავად) კომპიუტერული ქსელების და ინტერნეტის მეშვეობით რეალური დროის რეჟიმში (ინგლ. electronic mail; e- mail).
მემორანდუმი – დიპლომატიური საბუთი, რომელშიც ასახულია ხელისუფლების შეხედულებები ამა თუ იმ საკითხებზე.
მენეჯერი – 1) წარმოების მიერ დაქირავებული მუშაკი, ადმინისტრატორი, პროფესიონალი მმართველი რომელიმე სფეროში 2) მეწარმე, რომელიც ორგანიზებას უწევს სპორტსმენების, არტისტების გამოსვლას და ასე შემდეგ (ინგლ. manager) .
მითითება – უფლებრივი სახელმწიფო აქტი, რომელიც შეიცავს საჭირო რეკომენდაციებს და ახსნა-განმარტებებს ბრძანებების, ინსტრუქციის და სხვა მართვის ორგანოების აქტების ასრულების შესახებ.
მილენიუმი – მიჯნა ათასწლეულების შორის (ინგლ. millenium" ათასწლეული).
მინდობილობა – საბუთი, რომელიც აძლევს მის წარმდგენს რომელიმე ქმედების შესრულების უფლებას მინდობილი პირის სახით.
მინორული – მოწყენილი, ნაღვლიანი.
მოდემი – კომპიუტერის გარე მოწყობილობა, რომელიც ცვლის კომპიუტერის ციფრულ სიგნალებს მათი ტელეფონის კავშირზე გადაცემის მიზნით (ინგლ. modem).

მოთხოვნა – საბუთი, რომელშიც წარმოდგენილია მოთხოვნილება რამეს შესახებ.

მონეტარიზმი – ეკონომიკური თეორია, რომელიც ქცევაში მყოფ ფულად მასას ანიჭებს წამყვან როლს სახელმწიფოს ეკონომიკის პოლიტიკაში (ინგლ. monetarizmi).

მონიტორინგი – გამუდმებით თვალყურის დევნება რომელიმე სისტემის ქმედებაზე, სოციალურ-ეკონომიურ, დემოგრაფიულ ან სხვა პროცესებზე მდგომარეობის შეფასების, პროგნოზირების მიზნით (ინგლ. monitoring "შემოწმება").

მონოპოლია – განსაკუთრებული უფლება, რომელიც ეძლევა სახელმწიფოს, წარმოებას, ან ფიზიკურ პირს საქმიანობისათვის.

მოპასუხე – 1) ის, ვისაც წარუდგინენ სარჩელი 2) ვინც აგებს პასუხს ვინმეზე ან რამეზე.

მორატორია – ვალდებულების შესრულების გადავადება რაიმე საგანგაშო მოვლენების გამო (ომი, კრიზისი, სტიქიური უბედურება და სხვა).

მოსარჩელე – პირი, რომელიც წარადგენს სარჩელს.

მოსაწვევი წერილი – წერილი, რომელიც წარმოადგენს ღონისძიებაში მონაწილეობის საფუძველს.

მოხსენებითი ბარათი – საბუთი, რომელშიც გადმოცემულია შემდგენის მიერ რაიმე საკითხი ან დასკვნა და განკუთვნილია ორგანიზაციის ხელმძღვანელისათვის.

მულტიმედია – ვიდეოს და გრაფიკის ამსახველი ტექნოლოგიები და პროგრამები, რომლებიც ინტერაქტულ რეჟიმში შეთავსებულია სხვა სისტემებთან (ინგლ. multimedia).

მუსლი – ბურბუშელა სხვადასხვა მარცვლოვნებიდან, დაფშვნილი თხილით ან ხილით (გერმ. musli).

ნ

ნეგატიური – უარყოფითი.

ნიუსმეიკერი – 1) საინტერესო ან ცნობილი პიროვნება, რომლის შესახებ ხშირად გადმოსცემენ მასობრივი ინფორმაციის საშუალებები; 2)საინტერესო მოვლენა, რომელიც იმსახურებს მასობრივი ინფორმაციის საშუალების ყურადღებას (ინგლ. ამერიკ. newsmaker „ახალი ამბების შემქნელი").

ნომენკლატურა – სახელწოდების ჩამონათვალი, რომელიც გამოიყენება მეცნიერების, წარმოების და ნებისმიერ დარგში.

ნომინალური ფასი – 1) გამოქვეყნებული პრეისკურანტში ან ცნობარებში საქონლის ფასი; 2) საბირჟო კოტირებული ფასი საქონელზე, რომელზეც კოტირების დღეს არ იყო დადებული გარიგება.

ნომინანტი – პრემიაზე ან კონკურსში მონაწილეობაზე წარმოდგენილი ადამიანი (მხატვრული ნაწარმოები, წიგნი, კინოფილმი, მუსიკალური ნაწარმოები, პროექტი და სხვა) (ფრ. nomination).

ნონ-სტოპი – მუშაობა შესვენების, პაუზების გარეშე (ინგლ. non stop).

ნოოსფერო – საზოგადოების და ბუნების ურთიერთობის სფერო, სადაც განვითარების გადამწყვეტი ფაქტორია ადამიანის გონებრივი ქმედება (ბერძ. nons „აზრი, გონება", sphaira „სფერო").

ნორმატივი – ნორმის მაჩვენებელი (დროის დახარჯვის, მატერიალური ან ფულადი რესურსების, პროდუქციის გამოშვების), რის შესაბამისად სრულდება განსაზღვრული ქმედებები.

ნოროვისტული – ჯიუტი.

ნოუთ-ბუქი – 1) კომპაქტური გადასატანი კომპიუტერი, რომელსაც აქვს პროგრამული და აპარატურული შემთავსებლობა; 2) ელექტრონული ჩამწერი წიგნაკი (ინგლ. notebook "ჩამწერი წიგნაკი").

ნოუ-ჰაუ – 1) ტექნიკური ცოდნის, უნარის, გამოცდილების ერთობლიობა, კომპეტენცია, რომელიც აუცილებელია რომელიმე საწარმო პროცესის რეალიზაციისთვის; 2) კომერციული, ტექნიკური ან ტექნოლოგიური ინფორმაცია სპეციალური ტექნიკური ინფორმაციის სახით (ინგლ. know-how, know „ცოდნა" და how „როგორ").

ნუვორიში – სწრაფად გამდიდრებული ადამიანი (როგორც წესი სოციალური ცვლილებების დროს), რომელმაც დაიკავა ადგილი საზოგადოების მაღალ წრეებში (ფრ. nouveau riche „ახალი მდიდარი").

ო

ოდიოზური – არასასიამოვნო.

ომინანტური – მთავარი, ძირითადი.

ონ-ლაინი – ინფორმაციის გაცვლის ხერხი ადრესანტსა და ადრესატს შორის, კავშირის არხი მათ შორის ყოველთვის ოპერატიულია, მზადაა მისაღებად (ინგლ. on-line).

ორდინალური – ჩვეულებრივი, არაფრით გამორჩეული.

ორთოდოქსური – რომელიმე მოძღვრების, განსაზღვრული შეხედულებების, რწმენის მომხრე.

ორგანაიზერი – ჩასაწერი წიგნაკი (ჩვეულებრივი ან ელექტრონული) კალამი, კალკულატორი და სხვა არანაკლებ საჭირო საგნები; ხშირად თავსდება სპეციალურ ტყავის შალითაში (ინგლ. organizer).

ოფენი – ბილეთი თეთრმფრინავზე (მატარებელზე) ღია თარიღით და გაფრენის ან გამგზავრების დროს დამოწმების გარეშე (ინგლ. open „ღია").

ოფერტა – ოფიციალური წინადადება რამეზე (საქონლის ყიდვა-გაყიდვაზე).

ოფ-ლაინი – ადრესანტს და ადრესატს შორის ინფორმაციის გაცვლის ისეთი ხერხი, როდესაც კავშირის არხი მათ შორის აქტიურია მხოლოდ ინფორმაციის გადაცემის დროს (ინგლ. off-line).

ოფშორი – უცხოურ სახელმწიფოს ტერიტორიაზე დარეგისტრირებული კომპანია, რომელიც წარუდგენს თავის მონაწილეებს შეღავათიან გადასახადებს (ინგლ. offshore).

ოქმი – 1) საბუთი, რომელშიც წარმოდგენილია კრებებზე, კონფერენციებსა და კოლეგიალურ ორგანოების სხდომებზე თანმიმდევრობით განსახილველი საკითხები და მიღებული გადაწყვეტილებები წერილობითი ფორმით; 2) რომელიმე ფაქტის დამადასტურებელი საბუთი; 3) აქტი სასოგადოებრივი წესრიგის დარღვევის შესახებ; 4) მთავრობის და დიპლომატიური წარმომადგენლების მიერ დაცული საერთაშორისი ურთიერთობის დროს წესების ერთობლიობა.

სარეგისტრაციო ბარათი – ბარათი, რომელიც განკუთვნილია საბუთების სარეგისტრაციოდ საქმისწარმოებაში.

პ

პაბლისითი – 1) ხელშეწყობა ურთიერთაგაგების დამყარებაში პიროვნებებს, ორგანიზაციებს ან სხვა ადამიანებს შორის განმარტებითი მასალების გავრცელების მეშვეობით, გაცვლის მასალების განვითარების და საზოგადო რეაქცი-

ის შეფასების მეშვეობით; 2) კომერციული დაწესებულების საინფორმაციო განყოფილება; 3) საზოგადოებასთან კავშირგაბმულობის სამსახური; 4) მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მიზანდასახული ქმედება საარჩევნო კომპანიის დროს პოპულარობის შესაქმნელად (ინგლ. publicity).

პაზლისურათი – თავსატეხი, რომელიც შეგროვილია სხვადასხვა დეტალებისაგან (ინგლ. puzzle „თავსატეხი – სათამაშო").

პარადიგმატური – სისტემური; სინამდვილის ძირითადი გამომხატველი; თვისებების კონცეპტუალური ამოსავალი.

პარადოქსური – უჩვეულო, წარმოუდგენელი, საყოველთაოდ მიღებულ აზრთან საწინააღმდეგო.

პარაფირინება – მოლაპარაკების შედეგად გამომუშავებული ხელშეკრულების ტექსტზე წარმომადგენელთა მხარეების მიერ თანხმობის დამამტკიცებელი ფორმა; ინიციალების დასმა საბუთის ბოლოს.

პარიტეტი – მხარეების თანაუფლებობის პრინციპი რამეში.

პასიონარული – შეპყრობილი, მიზნისკენ მისწრაფებული, არავითარი გასამრჯელოს მიმართ უარყოფითად დამოკიდებული.

პატენტი – საბუთი, რომელიც ადასტურებს რაღაცის გამოგონების აღიარებას, ავტორობას და პატენტისმფლობელის უფლებას გამოგონებულზე.

პატერიალიზმი – დაწესებულების ხელმძღვანელების ზრუნვა თავისი ქვეშევრდომების კულტურულ და ყოფად ცხოვრების პირობებზე (ინგლ. paternalizm).

პაციფისტური – ყოველგვარი ომების მოწინააღმდეგე.

პეიჯერი – პორტატიული უკაბელო აპარატი, რომელიც გამოიყენება ინფორმაციის ჩასაწერად და მისაღებად (ინგლ. page „გვერდი").

პეიჯინგი – კავშირის სისტემა, რომელიც სრულდება პეიჯინგის მეშვეობით (ინგლ. paging „გამოძახება").

პენტიუმი – მეხუთე თაობის „Intel" პირმის მიკროპროცესორი (ინგლ. pentium).

პერმანენტური – მუდმივი.

პოსტერი – მხატვრულად გაფორმებული პლაკატი ცნობილი კინოვარსკვლავების, მსახიობების, მუსიკოსების, გამოსახულებით, რომელიც გამოიყენება სადეკორატიულო ან კოლექციონირების მიზნით (ინგლ. poster „აფიშა", „განცხადება").

პილინგი – კოსმეტიკური პროცედურა, რომლის მეშვეობით ხდება სახის კანის გაწმენდა, ნაოჭების, ტალღების მოცილება და სხვა (ინგლ. peel „ჩენჩო").

პინკოდი – პერსონალური საიდენტიფიკაციური ნომერი (ოთხნიშნიაანი რიცხვი), რომელიც განისაზღვრება კომპიუტერით ხელფასის აღებისას ბანკომატზე და ტელეფონებზე (ინგლ. personal indentification number).

პირადი ანგარიში – საბუღალტრო საბუთი, რომელიც გულისხმობს რომელიმე კონკრეტული სახის საშუალების (მასალის, ხელსაწყოს, შენობის) გადაცემას განსაზღვრული პირისათვის ან ორგანიზაციისათვის.

პირადი საქმე – საქმე, რომელიც შეიცავს საბუთს რომელიმე პიროვნებაზე.

პლატონური – დამყარებული მხოლოდ სულიერ სწრაფვაზე.

პლოტერი – კომპიუტერის საბეჭდი მოწყობილობა, რომლის დანიშნულებაა გრაფიკული ინფორმაციის გამოყვანა (ინგლ. plotter).

პლურალიზმი – 1) საზოგადოებაში სხვადასხვა პოლიტიკური პარტიების და საზოგადოებრივი ორგანიზაციების თანაარსებობა და ურთიერთმოქმედება; 2) შეხედულებების, იდეების, ქმედების ფორმების თავისუფლება და მრავალსახეობა (ინგლ. pluralismi).

პლურალისტური – მრავალსახოვანი შეხედულებების, იდეების, მოღვაწეობის ფორმების მქონე.

პოზიტიური – დადებითი.

პოლაროიდი – ფოტოაპარატი, რომელიც თვალის დახამხამებაში გასცემს სურათებს (ინგლ. polaroidi).

პოლტერგეისტი – 1) მითიური არსებობა, სული, რომელიც თავის ყოფნას ბინაში ამჟღავნებს უეცარი ხმაურით, საგნების გადაადგილებით; 2) უმისეზოდ გადაადგილება ან საგნების გაუჩინარება, რომელიც ხდება საცხოვრებელ სახლებში და აიხსნება ეშმაკის ოინებით (გერმ. pollergeist „გრუხუნა სული").

პომპეზური – სასეიმო, მდიდრული.

პოპ-არტი – მოდერნისტული მიმართულება თანამედროვე სახეით ხელოვნებაში, რომლის წარმომადგენლები იყენებენ რეალური საყოფაცხოვრებო საგნების, სარეკლამო პლაკატების, მულიაჟების კომბინაციებს და სხვა (ინგლ. pop-art).

პრაგმატული – პრაქტიკული გამოყენების მქონე.

პრაივესი – 1) პირადი ცხოვრების სფერო, რომელის გარეშე პირისათვის მიუწვდომელია; 2) პიროვნების განმარტოვების და ხელშეუხებლობის უფლება (ინგლ. privacy" განმარტოება").

პრაის-ფურცელი – პრეისკურანტი (ინგლ. pricelist „ჩამონათვალი").

პრეზენტაცია – საჩვენებო, საჯარო გახსნა, ახალი ფილმის, წიგნის, ფირმის, მანქანის მარკის და სხვა რამის საჯაროდ წარდგენა (ინგლ. presentation "წარმოდგენა").

პრეზენტირება – 1) რაიმეს საზოგად წარმოდგენა გაცნობის ან რეკლამის მიზნით; 2) სარეკლამო ტექსტის ჟანრი; 3) თამასუქის წარმოდგენა პიროვნებისთვის, რომელსაც ევალება მისი გადახდა.

პრეპრინტი – ნაშრომის ნაწილის ან მისი მოკლე შინაარსის წინასწარი გამოქვეყნება ნაკლები ტირაჟით, ოპერატიული პოლიგრაფიის საშუალებით (ლათინ. prae print „ნაბეჭდი გამოცემა").

პრესინგი – 1) აქტიური თავდაცვის საშუალება იმ სპორტულ თამაშებში, სადაც გამოიყენება ბურთი; 2) ზეწოლა ეკონომიკის, პოლიტიკის სფეროში (ინგლ. pressing).

პრეს-რელიზი – მასობრივი ინფორმაციის საშუალების მუშაკებისათვის განკუთვნილი სპეციალური გადაუდებელი შეტყობინებებით ბიულეტენები (ინგლ. press-release).

პრეს-მდივანი – 1) ოფიციალური პირის ან დაწესებულების წარმომადგენელი, რომელიც ინფორმაციას აწვდის პრესას პიროვნების, ან დაწესებულების ქმედების შესახებ; 2) პრეზიდენტის, პრემიერ-მინისტრის წარმომადგენელი პრესაში (ინგლ. presse-secretary).

პრეტენზია – წერილი გაგზავნილი დანაშაული მხარისათვის ადრე დადებული ხელშეკრულების შეუსრულებლობის შემთხვევაში.

პრეტენზიული – მოწინააღმდეგე მხარის მოქმედებების გაფრთხილება.

პრივატიზაცია – სახელმწიფო ქონების (დაწესებულებების, ტრანსპორტის საშუალებების, საცხოვრებელი შენობების) გადაცემა კერძო საკუთრებაში.

პრივატური – პირადი, არაოფიციალური.

პროგრამა – საბუთი, რომელშიც წარმოდგენილია დაწესებულების მოღვაწეობის ძირითადი მიმართულება განსაზღვრული დროით.

პროდიუსერი – ფინანსური ხელმძღვანელი, რომელიც აწარმოებს ორგანიზაციულ და იდეურ-მხატვრულ კონტროლს კლიპის შექმნისას, ფილმების ან წარმოდგენების დადგმისას (ინგლ. producer).

პრომოუთერი – 1) ღონისძიებების (სპორტული თამაშების, შოუს, ფილმების გადაღების) ორგანიზატორი ინვესტორების, სპონსორების გამოყენების მეშვეობით; 2) დამფუძნებელი (ინგლ. promoter).

პროსპერიტი – ეკონომიკის აღმავლობა (ინგლ. prosperity).

პროფი – გამოცდილი სპეციალისტი, პროფესიონალი მუსიკის, სპორტის დარგში (გერმ. proft „სპორტსმენი-პროფესიონალი").

პროცესორი –კომპიუტერის ცენტრალური მოწყობილობა, მისი მთავარი ნაწილი (ინგლ. processor).

რ

რადიკალური – გადამწყვეტი, გადაჭრილი (გაბედული), ძირითადი, ღრმა.

რეგლამენტი – წესები, რომლებიც არეგულირებენ სახელმწიფო ორგანოების, დაწესებულებების ქმედებას, ღონისძიების ჩატარების დროს და წესრიგს (მაგალითად, სხდომების და თათბირების რეგლამენტი).

რეესტრი – ჩამონათვალი, რამეს აღწერა (გამოიყენება საბუღალტრო აღრიცხვაში და საქმისწარმოებაში).

რეზოლუცია – 1) სხდომაზე, თათბირზე მიღებული გადაწყვეტილება რამე საკითხის შესახებ; 2) ხელმძღვანელის მიერ გაცემული განკარგულება, წერილობითი მითითება.

რეზიუმე – შინაარსის მოკლედ გადმოცემა.

რეივი – თანამედროვე საცეკვაო მუსიკა ტექნოს სტილში სინათლის ეფექტებით (ინგლ. rave „ბოდვა").

რეილინგი – მეტალის ან პლასტმასის სხვადასხვა კონფიგურაციების მილი, რომელიც განკუთვნილია ჭურჭლის ჩამოსაკიდებლად (ინგლ. railing „სღუდე").

რეინჯერი – სამხედრო-მოსამსახურე ამერიკის შეიარაღებულ ძალებში (ინგლ. ranger „მოწანწალე").

რეიტინგი – 1) პოლიტიკური, სახოგადოებრივი, კულტურული ან სხვა ქმედებების შეფასების ინდივიდუალური რიცხობრივი კოეფიციენტი, რომელიც დგინდება კენჭის ყრის, სოციალური გამოკითხვების, ანკეტირების, მიღწევების მაჩ-

ვენებლის შედეგების საფუძველზე; 2) ცნობილი პოლიტიკოსების, საზოგადო მოღვაწეების, მეწარმეების პოპულარობის დონე (ინგლ. rating „შეფასება").

რელიატური – შედარებითი, პირობითი.

რეკეტი – სხვისი შემოსავლის დანაშაულებრივი გამოძალვა მუქარის, შანტაჟის და ძალადობის გზით (ინგლ. rocket).

რეკვიზიტები – 1) სამსახურებრივი საბუთების შემადგენლობაში აუცილებელი მონაცემების წარმოდგენა, ვინაიდან ამ მონაცემების გარეშე საბუთი კარგავს იურიდიულ ძალას.

რემეიკი ან რიმეიკი – ტელეჩაწერის, კინოლენტების, ძველი თეატრალური დადგმის ახალი განახლებული ვერსია (ინგლ. remake „რამის გადაკეთება").

რემიქსი – კარგად ცნობილი სიმღერის ახლებური შესრულება (მელოდიის და ტექსტის შეცვლა) (ინგლ. re „ხელახლა", mix „არევ-დარევა").

რენტაბელურობა – წარმოების ეფექტიანობა წარმოებაში, გაერთიანებაში, რომელიც ახასიათებს გაცემული დანახარჯის, და საშუალებების გამოყენების ხარისხს, პროდუქციის გამოშვების და რეალიზაციის პროცესში.

რეპი – ახალგაზრდებში პოპულარული საესტრადო-საცეკვაო მუსიკის სტილი, რომელსაც თან ახლავს რიომული ლექსების დეკლამირება სინთეზიზატორთან ან დასარტყამ ინსტრუმენტთან შერწყმით (ინგლ. rap "მსუბუქი დარტყმა").

რეპრინტი – სტატიის, წიგნის ნაწილის ცალკეული ამონაბეჭდი (ინგლ. reprint "ხელახლა გამოცემა")

რესელერი – იურუდიული პირი, რომელიც დაკავებულია საქონლის გადაყიდვით, მისი ხარისხის სრულყოფილობით და იღებს საკომისიო გასამრჯელოს (ინგლ. resale "გადაყიდვა", seller „გამყიდველი").

რეტროსპექტული – წარსულისკენ მიმართული, მიძღვნილი წარსული მოვლენების განხილვას.

რეფლექტური – უნებლიე, შეუცნობელი.

რიელტორი – აგენტი, რომელიც დაკავებულია უმოძრაო ქონების ოპერაციებით (ინგლ. realtor).

როკერი – ახალგაზრდული ჯგუფის წევრი, რომელიც გატაცებულია ღამე მოტოციკლით მგზავრობით და სიმღერით (ინგლ. rocker).

როლერი – ოთხბორბლიანი როლიკები (ინგლ. roller).

როსტერი – პატარა პორტატული ელექტროღუმელი, რომელიც გამოიყენება ხორციანი კერძების მოსამზადებლად და მათ შესაცხელებლად (ინგლ. roaster).

როუმინგი – ცენტრისაგან მოცილებულ რაიონთან სატელეფონო კავშირის უზრუნველყოფა ადგილობრივ კავშირის კვანძზე ზარების გადამისამართების მეშვეობით (ინგლ. roaming).

რუდიმენტარული – განუვითარებელი, შემორჩენილი წარსულიდან.

ს

საავტორო ხელშეკრულება – თანხმობა საავტორო უფლებების დაცული ნაწარმოების გამოყენების პირობების შესახებ.

საარქივო ამონაწერი – დადგენილი წესით დამოწმებული ცნობა საარქივო მასალების შესახებ.

სააქციო საზოგადოება – საორგანიზაციო-უფლებრივი საზოგადოება (იურიდული პირი), რომელიც თავისი ვალდებულებით პასუხს აგებს კრედიტორების წინაშე მხოლოდ იმ ქონებაზე, რომელიც მას ეკუთვნის.

საბანკო საბუთები – საბუთები, რომლებიც შეიცავენ საჭირო და საკმარის ინფორმაციას საბანკო ოპერაციის განხორციელების შესახებ.

საბვეი – მიწისქვეშა რკინიგზა, მეტრო (ინგლ. subway).

საბრუნებელი საშუალებები – სამეურნეო ანგარიშზე არსებული ფულადი საშუალებები, რომლებიც გამოიყენება სამეურნეო საქმის დასაფინანსებლად.

საბუთი – წერილობითი ინფორმაცია, რომელსაც აქვს იურიდული ძალა.

საბუთის დედანი – 1) ოფიციალური საბუთი, შესაბამისად დადასტურებული, ოფიციალური საბუთი, ორიგინალი; 2) ხელნაწერი.

საბუთის პროექტი – განსახილველად წარმოდგენილი საბუთის საეარაუდო ვერსია.

საბუთების დეპონირება – ტექსტების და საბუთების გადაცემა შესანახად საინფორმაციო ცნობათა ფონდში.

საბუთების ფორმულარი – განსაზღვრული თანმიმდევრობით განლაგებული საბუთების რეკვიზიტების ერთობლიობა (ავტორი, მისამართი, სათაური, შინაარსი).

საგარანტიო წერილი – წერილი, რომელიც წარმოადგენს საგარანტიო მოვალეობას.

საგნობრივი კატალოგი – საბუთების კატალოგი, რომელიც შეიცავს ცნობებს განსაზღვრული ფაქტების, მოვლენების, ადამიანების შესახებ.

სადუბლიკატო საბუთი – გამრავლებური საბუთების ერთ-ერთი ეგზემპლარი.

საინვენტარიზაციო აღწერა – დაწესებულების, წარმოების, ორგანიზაციის ან პიროვნების ქონების სია გამოვლენილი საგნების რაოდენობის, მდგომარეობის და მათი ღირებულების მითითებით.

საინიციატივო წერილი – საქმიანი წერილი, რომელიც მოითხოვს პასუხს.

საინფორმაციო წერილი – წერილი, რომელიც ინფორმირებს სხვა დაწესებულების ან დაინტერესებულ პირს ფაქტის ან დაგეგმილი ღონისძიების შესახებ.

საიტი – 1) მასალების განლაგების ადგილი ინტერნეტის სისტემაში 2) ერთიანი საინფორმაციო პროგრამა, რომელიც შესდგება ერთმანეთთან დაკავშირებული ჰიპერტექსტებისაგან – გვერდებისაგან. საიტების ავტორებად შეიძლება იყვნენ როგორც ორგანიზაციები, დაწესებულებები, ასევე ცალკე პირები (ინგლ. site "ადგილმდებარეობა").

საკრამენტალური – წმინდა, სანუკვარი.

სამიტი – სახელმწიფო ხელმძღვანელების მაღალ დონეზე შეხვედრა ან თათბირი (ინგლ. summit "მწვერვალი").

სანაცია – 1) სამკურნალო-პროფილაქტიკური ღონისძიება, რომელიც ტარდება გამოჯანმრთელების მიზნით; 2) ღონისძიებების სისტემა, რომელსაც სახელმწიფო ატარებს სესხის, სუბსიდიების, კრედიტების სახით დაწესებულებების, ბანკების ფინანსური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, მათი გაბანკროტებისაგან ან ლიკვიდაციისაგან გადარჩენის მიზნით (ლათ. sanato „მკურნალობა").

სანქცია – იძულებითი სემოქმედის ზომები, რომელიც გამოიყენება კანონის დამრღვევის მიმართ.

სარდონიკური – დამცინავი, გესლიანი.

სარეგისტრაციო შტამპი – შტამპი, რომელშიც წარმოდგენილია შემდეგი ინფორმაცია: დაწესებულების სახელწოდება, რეგისტრაციის თარიღი, რეგისტრირების ინდექსი, საქმის ნომერი.

სარჩელი – სასამართლოში მიმართვა მოქალაქეობრივი უფლებების დაცვის მოთხოვნით.

საქმე – წერილობითი საბუთების შეგროვება (ცალკეულ პაპკაში), რომელიც განკუთვნილია რომელიმე პირისათვის (ან ფაქტისათვის).

საქმიანი წერილი – კორესპოდენციის სახე, რომელიც იგზავნება ერთი ორგანიზაციიდან, დაწესებულებიდან და ა.შ. მეორე ორგანიზაციაში, დაწესებულებაში.

საქმისწარმოება – საკანცელარიო საქმეების მართვა.

საქონლის ნიშანი – 1) დადგენილი წესით დარეგისტრირებული ფირმის და საქონლის დასახელება 2) საქონლის აღნიშვნა მისი და მეწარმის იდივიდუალურობის გამო.

სეილი – საქონლის სეზონური გაყიდვა დაბალ ფასებში (ინგლ. sale „გაყიდვა").

სეიშენი – არაოფიციალური მუსიკალური კონცერტი ვიწრო წრისათვის, ტუსოვკა (ინგლ. seasion).

სელფელფმეიდმენ – ადამიანი, რომელმაც მიაღწია წარმატებებს თავისი შრომით, ნიჭით (-ინგლ. self-made-man).

სენილური – მოხუცებულობისათვის დამახასიათებელი.

სენსორული – დაკავშირებული აღქმასთან და გრძნობების გადაცემასთან, მგრძნობიარე.

სეპარატისტული – გამოყოფისაკენ, განკერძოებისაკენ მისწრაფებული.

სერვერი – 1) კვანძი ინტერნეტში, რომელსაც აქვს ელექტრონული მისამართი და შეიცავს განსაზღვრულ ინფორმაციას მოცემული თემის შესახებ და მითითებებს სხვა სერვერებზე; 2) საპროგრამო უზრუნველყოფის ერთობლიობა, რომელიც საშუალებას აძლევს კომპიუტერს გაუწიოს სამსახური სხვა კომპიუტერებს და თვით იმ კომპიუტერს, რომელზედაც სრულდება პროგრამა-სერვერი (ინგლ. server „მომსახურება").

სერთიფიკატი – რაიმე ფაქტის (საქონლის ხარისხის, მისი მასის) დამადასტურებელი საბუთი, წერილობითი მოწმობა.

სერფინგი – საწყლო სპორტის სახეობა, როდესაც სპეციალურ დაფაზე მდგომი სპორტსმენი სრიალებს ტალღის ქოჩორზე (ინგლ. surfing „ტალღის მოქცევა").

სესხი – თანხის ან მატერიული ფასეულების გასესხება განსაზღვრული პირობით.

სეტი – პარტია ტენისში, სადაც აუცილებელია მინიმუმ ექვსი ნაწილის მოგება (ინგლ. set).

სექენდ-ჰენდი – 1) გაცვეთილი, ნახმარი ნივთი (ტანსაცმელი, ფეხსაცმელი და სხვა; 2) ნახმარი ნივთის გაყიდვის სპეციალური მაღაზია (ინგლ. second hand „მეორე ხელიდან").

სექურიტი – 1) სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური (გამოიყენება საზღვარგარეთის ქვეყნების მიმართ; 2) უსაფრთხოების ორგანოს მსახური, მცველი (ინგლ. secure "უსაფრთხო").

სკანერი – ციფრული მოწყობილობა საინფორმაციო გამომთველელ სისტემებში, რომელიც იძლევა საშუალებას გადაიტანოს გამოსახულება ქაღალდიდან ციფრულ, კომპიუტერულ ფორმატში (ინგლ. scanner "შემოწმება").

სკინი და სკინჰედი – არაფორმალური ახალგაზრდული ჯგუფის წევრი, რომელიც გამოირჩევა გამომწვევი საქციელით და აგრესიით სხვა რასისა და ეროვნების ადამიანების მიმართ (ინგლ. skinhead "თავგაპარსული").

სკოჩი – წებოვანი გამჭვირვალე ლენტა განკუთვნილი საკანცელარიო და სამეურნეო საჭიროებისათვის (ინგლ. scotch).

სკუტერი – ერთადგილიანი ბრტყელძირიანი სწრაფმავალი გემი საკიდი ძრავით, საწყლო მოტოციკლეტი (ინგლ. scoot "სწრაფი სირბილი").

სონგი – ჯაზურ-ესტრადის მანერაში დაწერილი საჭირბოროტო სატირული პიესა (ინგლ. song).

სპეციფიკაცია – საბუთი, რომელიც წარმოადგენს გაგზავნილი ნაკეთობების, კონსტრუქციების დეტალების დეტალურ აღწერას.

სპიდვეი – მოტოციკლეტური სპორტის სახეობა, მოტოშეჯიბრებები (ინგლ. speedway „სიჩქარე").

სპიჩი – მოკლე მისასალმებელი სიტყვა კრებაზე, ზეიმზე, პრეზენტაციაზე (ინგლ.speech „სიტყვა").

სპიჩრაითერი – ზემდგომი სახელმწიფო, პოლიტიკური, საზოგადო მოღვაწის დამხმარე, თანამშრომელი, რომელიც ამზადებს კრებაზე, ზეიმზე გამოსასვლელ სიტყვას (ინგლ. speech writer).

სპონსორი – ფიზიკური ან იურიდიული პირი, ორგანიზაცია, საწარმო, რომელიც გამოდის დამფინანსებელი მხარის თავდების როლში (ინგლ. sponsor „მეურვე").

სპონტანური – ცალკეული, ცალკეული შემთხვევა.

სპრეი – პარფიუმერიის, კოსმეტიკური, აგრეთვე საყოფაცხოვრებო ქიმიის აეროზოლური საშუალების სახეობა (ინგლ. spray „შხეფები").

სტაგნაცია – შეფერხება წარმოებაში, ვაჭრობაში, ეკონომიკაში, სოციალურ ცხოვრებაში და სხვა (ლათ. stagnum "გამდინარი წყალი").

სტაგფლიაცია – ეკონომიკის მდგომარეობა, როდესაც წარმოების შეფერხებას ან ჩავარდნას ერწყმის უმუშევრობა და ფასების გამუდმებული ზრდა (ინფლაციას) (ლათინ. stagnum „გამდინარი წყალი" + "ინფლაცია").

სტალკერი – 1) ადამიანი, რომელიც კარგად ორიენტირებს ნაკლებადნაცნობ და აკრძალულ ადგილებში (მიწისქვეშეთში, მიტოვებულ და რადიაციულ ტერიტორიებში) და შეიძლება იყოს ამ ადგილებში გამცილებელი; 2) მანიაკური თაყვანისმცემელი და სახელგათქმულ ხელოვანთა შეუპოვარი მდევნელი (ინგლ. stalker "მდევნელი").

სტანდარტი – ტიპური ნიმუში, ნორმატიულ-ტექნიკური საბუთი, რომელიც ადგენს მოთხოვნილებას ერთნაირი პროდუქციების მიმართ.

სტეიკი – ხორცის ან თევზის თხელი ნაჭერი, რომელიც გამოიყენება შესაწვავად (ინგლ. steak).

სტეპლერი – ქაღალდების შესაკრავი საკანცელარიო ხელსაწყო (ინგლ. stapir "კაუჭი").

სუბსიდია – სახელმწიფოს მიერ სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე ფულადი ან ნატურის სახით გაცემული დახმარება.

სუიციდი – თვითმკვლელობა (ლათინ. suiside).

სუპერვაიზერი – მსხვილი უნივერსალური თვითმომსახურების მაღაზია, საყოველდღეო მოთხოვნილების ფართო ასორტიმენტის საქონლით (ინგლ. supermarket).

ტ

ტაბელი – განსაზღვრული თანმიმდევრობით შედგენილი რაიმე მაჩვენებელის ნუსხა, სია.

ტაბლოიდი – 1) მცირე ფორმატის გაზეთი ინფორმაციის მოკლედ გადმოცემით; 2) ყვითელი პრესა საბულვარო გაზეთი სკანდალური შეტყობინებებით (ინგლ. tabloid "რესიუმე").

ტაიმერი – ხელსაწყო, რომელიც განსაზღვრული დროს ამოწურის შემდეგ ავტომატურად რთავს (გამორთავს) მანქანას (აპარატს) ან სიგნალის მეშვეობით გვატყობინებს ჩართვის დადგომის მომენტს (ინგლ. time "დროს აღნიშნა").

ტაიმშერი – საერთაშორისო პრესტიჟულ აგარაკებზე უძრავი ქონების ფლობის ან არენდის უფლება (ვილის, ბინის) (ინგლ. time share).

ტელეკინეზი –სოგიერთი ადამიანის მიერ საგნის გადადგილების უნარი მათთან შეხების გარეშე (ბერძნ. tele და kinetoni "მოძრავი").

ტელეტესტინგი – კომპიუტერული საგანმანათლებლო ან ფსიქოლოგიური ტესტირებების ფუნქციების განაწილება, მომხმარებლის ლოკალურ კომპიუტერსა და ცენტრალურ კომპიუტერს შორის. ეს ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიაა, რომელიც ადვილებს საერთაშორისო სამეცნიერო სტანდარტების შესაბამის ტესტების ჩქარ და ფართო გავრცელებას (ბერძნ. tele "შორს" ინგლ. testing "ტესტირება").

ტენდერი – კომერციული კონკურსი, საჯარო გაყიდვა, წინასწარ კონკურსის მონაწილეებიდან შემოსული განაცხადების საფუძველზე (ინგლ. tender "განაცხადი საჯარო ვაჭრობაზე").

ტიპური საბუთები – საბუთები, რომლებშიც აისახება ერთნაირი საკითხები და ყალიბდებიან ერთნაირად.

ტოლერანტული – სხვის აზრთან, რწმენასთან შეწყნარებული დამოკიდებულება.

ტოტალიტარული – დაფუძნებული სახელმწიფოს სრულ ბატონობაზე (მბრძანებლობაზე) საზოგადოების ცხოვრების ყველას სფეროში, ძალადობაზე და დემოკრატიული თავისუფლების განადგურებაზე.

ტოტალური – საერთო, ყოვლისმომცველი.

ტრანკვილიზატორი – 1) ნერვული დაძაბულობის, მოუსვენრობის მომხსნელი სამკურნალო საშუალება, დამამშვიდებელი წამალი; 2) ის, რაც მოქმედებს გარშემომყოფებზე დამამშვიდებლად (ლათ. tranquillo).

ტრანსფერი – 1) ტურისტების გადასვლა აეროპორტიდან სასტუმრომდე; 2) უცხოური ვალუტის ან ოქროს გადაგზავნა სხვა ქვეყანაში; 3) ფასიანი ქაღალდების ფლობის უფლების გადაცემა სხვა პირისათვის; 4)სპორტსმენის ერთი

ჯგუფიდან მეორეში გადასვლის ოფიციალური პრაქტიკა (ინგლ. transfer).

ტრანსცენდენტური – აღქმის ფარგლების გარეშე ყოფნა, აღქმისათვის მიუწდომელი.

ტრანში – ხელშეკრულებით გაცემული კრედიტის თანხის, სახელმწიფო ვალის, საობლიგაციო სესხის ნაწილი (ფრ. tranche " ნაწილი").

ტრაფარეტული საბუთი – საბუთი, რომელიც წარმოდგენილია წინასწარ დაბეჭდილი სტანდარტული ტექსტით.

ტრეიდერი – 1) საბირჟო ვაჭრობაში უშუალო მონაწილე საბროკერო ფირმის მუშაკი 2) ნებისმიერი იურიდიული და ფიზიკური პირი ბირჟაზე გარიგების დადების უფლებით (ინგლ. trader).

ტრენდი – 1) ეკონომიკურ პროგნოზირებაში მაჩვენებლების შეცვლის ხანგრძლივი ტენდენცია; 2) საზოგადოებრივი აზრის, სტილის განვითარების მიმართულება მოდაში და სხვა (ინგლ. trend).

ტრიატლონი – შეჯიბრება სპორტის სამ სახეობაში: სირბილში, ცურვაში, ველოსპორტში (ინგლ. triathlon).

ტრიენალი – საერთაშორისო ღონისძიებები, რომლებიც ტარდება ყოველ სამ წელიწადში (გამოფენა, კინოფესტივალი, მუსიკალური კონკურსი და ასე შემდეგ) (ლათინ. tres "სამი", anus „წელი").

ტრივიალური – ორიგინალობას მოკლებული, გაცვეთილი, ბანალური.

ტრილერი – სათავგადასავლო ფილმების სახეობა, რომელიც იწვევს მაყურებლებში (მკითხველში) შიშს, წუხილს (ინგლ. trill "მღელვარება").

ტუტი–ფრუტი – 1) ტკბილეული ბავშვებისათვის მარმელადისაგან (იტალ. tutti-frutti).

უ

უიკენდი – 1) დასვენების დღეები (პარასკევიდან – ორშაბათამდე); 2) სტუმრების მიღება, წვეულება ამ დღეებში (ინგლ. week-end -კვირის ბოლო).

უნიტარული – ერთიანი, გაერთიანებული.

უტილიტარული – პრაქტიკული, მატერიალურ სარგებლობისაკენ მისწრაფებული.

უწყება – კერძო პირისათვის ან ორგანიზაციის წარმომადგენლისათვის განკუთვნილი ოფიციალური უწყება, სადმე გამოძახების ან სახელმწიფო ორგანიზაციაში მისვლის შესახებ.

უწყისი – განსაზღვრული თანმიმდევრობით განლაგებული რამე მონაცემების სია.

ფ

ფაილი – 1) სპეციალური მოწყობილობა ინდიფიკატორით, რომელიც არის კომპიუტერის მეხსიერებაში ინფორმაციის მუდმივი შემნახავი ადგილი. იგი გაფორმებულია ოპერაციული სისტემის და საპროგრამო ენის მეშვეობით, როგორც ერთიანი მთლიანი; 2) თხელი გამჭვირვალე პოლიეთინური საქაღალდე (ინგლ. file – საქმე, დოსიე).

ფამილარული – უცერემონიო, მოურიდებელი.

ფაქსი – სატელეფონო ფაქსიმალური კავშირი ნაბეჭდი ინფორმაციის გადაცემისათვის და მიღებისათვის.

ფაქსიმილე – 1) ხელმოწერის ზუსტი აღდგენა ტექნიკური საშუალებებით; 2) კლიშე, რომელიც იძლევა საბუთებზე ხელმოწერების მრავალჯერ აღდგენის საშულებას.

ფენთჰაუზი – 1) ფეშენებელური ბინა ელიტური სახლის მაღალ სართულზე 2) კომფორტული დაშენება ბრტყელ სახურავზე (ინგლ. penthouse "დაშენება სახურავზე").

ფიზიკური პირი – მოქალაქე, რომელიც მონაწილეობს ეკონომიკურ საქმიანობაში და არის ამ საქმიანობის სრულუფლებიანი სუბიექტი.

ფიგურალური – მხატვრული, იგავური.

ფისკალური – განკუთვნილი სახელმწიფო ხაზინისთვის, სახელმწიფო ინტერესებისათვის.

ფიუჩერსი – გარიგება საეაჭრო ბირჟაზე წინასწარი შეთანხმებით, რაც მდგომარეობს ნედლეულის, ოქროს, ფასეული ქაღალდების სასწრაფო ყიდვა-გაყიდვაში, მოცემულ მომენტში ფიქსირებულ ფასებში, მაგრამ გადავადებული მოწოდებით 2-3 წლამდე (ინგლ. Future მომავალი).

ფიფტი-ფიფტი – ერთნაირი შანსებით, ნახევარი-ნახევარზე (ინგლ. fiftu-fiftu „ორმოცდაათი-ორმოცდაათზე").

ფიშბურგერი – თევზით დატენილი ფუნთუშა (ინგლ. fisburger).

ფლამენკო – ცეკვის, სიმღერის შესრულების სტილი წყვეტილი რითმით და მომატებული ემოციურობით (ესპ. Fflamenco).

ფლეერი – კომპაქტური მაგნიტოფონი ყურსაცმით, რომელიც განკუთვნილია ჩაწერილი ხმის აღსადგენად (ინგლ. to play "თამაში").

ფლეიბოი – მდიდარი ახალგაზრდა, რომელიც გატაცებულია გარითობებით და ტრიალებს ელიტურ საზოგადოებაში (ინგლ. play boy „მოსეირნე").

ფლექსიგლასი – უფერო, გამჭვირვალე პლასტმასი (ბერძ. pleksis „ქსოვა", გერმ. las „მინა").

ფოლი – სპორტული თამაშების წესების დარღვევა (ინგლ. foul „უსინდისო, უნამუსო").

ფორმულირება – ენობრივი ფორმულა, რომელიც ზუსტად გადმოსცემს აზრს და გამოიყენება როგორც ეტალონი საქმიან ტექსტებში.

ფრიბოლური – ქარაფშუტული, უხამსი.

ფრიველი – ჩქაროსნული სატრანსპორტო ავტოსტრადა (ინგლ. ამერ. freeeway).

ფრისტაილი – 1) ჩქაროსნული ჩამოსვლა თხილამურებით ბორცვიან ტრასაზე, მთებიდან ჩამოსვლა სხვადასხვა მოძრაობების შესრულებით 2) ხტომა ორმეტრიანი ტრამპლინიდან, სალტო (ინგლ. freestyle).

ფრუსტრაცია – შიშის, უხალისობის მდგომარეობა იმედგაცრუების გამო (ლათ. frustratio „მარცხი").

ფულის გაუფასურება – ფულის შესყიდვის შესაძლებლობის დაცემა საქონელთა მიმართებაში ან საჯალუტო კურსის დაცემა.

ფუტინგი – საჯარჯიშო ან გამაჯანსაღებელი სირბილი ჩქარი ტემპით (ინგლ. foooting).

ქ

ქარიზმი – ადამიანის განსაკუთრებული გაძღოლის ნიჭი, უნარი (ინგლ. ბერძნ. charisma საჩუქარი).

ქასტინგი – 1) საკონკურსო დათვალიერება, მსახიობების შერჩევა 2) ქალიშვილების, მოდელების, მანეკენების, საზოგადოდ, დათვალიერება (ძირითადად, სილამაზის კონკურსის დროს) შემდგომ მოდური ტანსაცმლის ნიმუშების დემონსტრირებისათვის (ინგლ. casting).

ქეისი – ბრტყელი ხელმოსაკიდი ტყავის ჩემოდანი კოდიანი საკეტით, რომელიც განკუთვნილია საბუთების, გაზეთების, ჟურნალების, წიგნების შესანახად (ინგლ. case).

ქიდნეპინგი – ადამიანების გატაცება (ძირითადად, ბავშვების) გამოძალვის, გასამსჯელოს მიღების მიზნით (ინგლ. kidnapping "ბავშვების გატაცება").

ქილერი – დაქირავებული, პროფესიონალი მკვლელი (ინგლ. killer).

ქსეროქსი – აპარატი, რომლის მეშვეობით ხდება ტექსტების ელექტროფოტოგრაფული კოპირება (ინგლ. xerox).

ქოლისტიური – გლობალური, ერთიანი.

ღ

ღია კონტრაქტი – კონტრაქტი, რის მიხედვით კლიენტს უფლება აქვს დაუკვეთოს დამატებითი რაოდენობის პროდუქცია მეწარმესთან დამატებითი შეთანხმების გარეშე.

შ

შანსონი – 1) ხალხური ფრანგული სიმღერა; 2) თანამედროვე საესტრადო სიმღერა (ფრ. chanson).

შეთავაზება – წერილობითი განცხადება ერთი ორგანიზაციის სახელით მეორე ორგანიზაციის განსაზღვრულ პირობებზე თანამშრომლობის, ხელშეკრულების დადების შესახებ.

შეთანხმება – ოფიციალური საბუთი, ხელშეკრულება, რომელიც ადგენს ურთიერთვალდებულებას რომელიმე საკითხის მიმართ.

შეიკერი – სპეციალური ჭურჭელი, რომლის შენჯღრევით ხდება კოქტეილისათვის აუცილებელი კომპონენტების შესვება (ინგლ. shaker).

შეიპინგი – ტანვარჯიშის სახეობა ქალებისათვის, ქალის ტანის კორექტირების სისტემა ფიზიკური ვარჯიშების მეშვეობით (ინგლ. shaping "სხეულისათვის ფორმის მიცემა").

შემახსენებელი წერილი – წერილი, რომელიც განმეორებით იუწყება რამე ფაქტის შესახებ, ასეთი წერილი წააგავს ტელეგრამას.

შემოსული საბუთი – დაწესებულებაში შემოსული საბუთი.

შეტყობინება – საბუთი, რომელიც ინფორმაციას აწვდის მომავალი ღონისძიების შესახებ (სხდომის, კრების, კონფერენციის) და გთავაზობთ მონაწილეობის მიღებას.

შეტყობინების წერილი – წერილი, რომელშიც წარმოდგენილია შეტყობინება ან მტკიცება რაღაცის შესახებ.

შიგა საბუთი – საბუთი, რომელიც გამოიყენება იმ დაწესებულებაში, სადაც იყო შექმნილი.

შლაგერი – მოდური საესტრადო სიმღერა, პოპულარული მელოდია (გერმ. schleager).

შლაქსები – ქვემოთ გაშლილი თავისუფალი შარვალი (ინგლ. slack „თავისუფალი").

შოპი – პრესტიჟული საქონლით მოვაჭრე მაღაზია (ინგლ. shop).

შოპინგი – მაღაზიის დათვალიერება საყიდლების შეძენის მიზნით (ინგლ. shopping).

შორტ-თრეკი – ციგურაოებით რბენა მოკლე ბილიკზე, ყინვაზე ხელით შეხებით და მობრუნებით (ინგლ. short track "მოკლე სარბენელი ბილიკი").

შოუ ბიზნესი – კომერციული ქმედება, რომლის შემოსავალი წყაროა შოუს (საესტრადო-გასართობი წარმოდგენების) ორგანიზება და ჩატარება (ინგლ. show business).

შოუმენი – შოუს ჩატარების და ორგანიზების სპეციალისტი (ინგლ. showman).

შრედერი – საბუთების გასანადგურებელი მოწყობილობა (ინგლ. shredder).

შუამავალი – პირი (დაწესებულება), რომელიც აკავშირებს საქონლის გადატანის, შენახვის, გასაღების ან სხვა დარგში გარიგების დადების მსურველ მხარეებს.

ჩ

ჩარტერი – სატრანსპორტო საშუალების, არარეგულარული კომერციული რეისი (ინგლ. charter "გაქირავება").

ჩატი – ტექსტური ურთიერთობის პოპულარული სახე ინტერნეტში, როდესაც მომხმარებელი წერს თავის შეტყობინებას ვირტუალურ დაფაზე (ინგლ. chat).

ჩეკი – მიმდინარე ანგარიშის მფლობელის განკარგულება ბანკის მიმართ ამ ანგარიშიდან თანხის გაცემის ან გადარიცხვის შესახებ.

ჩიზბურგერი – ყველით დატენილი რბილი ფუნთუშა (ინგლ. cheese " ყველი").

ც

ცივილკურაჟი – სითამამე, მამაცობა რომელიც მდებარეობს ახრის თავისუფალ გამოხატვის შესაძლებლობაში (ფრ. Cwilcourage).

ცირკულარული წერილი – წერილი გაგზავნილი ერთი ადგილიდან რამდენიმე მისამართზე.

ცნობა – საბუთი, რომელშიც წარმოდგენილია ინფორმაცია ან დასტური რამე აქტის ან მოვლენის შესახებ.

ცხრილი – საბუთის ფორმა, სადაც ტექსტური და ციფრული მონაცემები მოცემულია განსაზღვრული გრაფების მიხედვით.

წ

წარდგენა – საბუთი, რომელშიც წარმოდგენილია წინადადება პირადი შემადგენლობის დანიშვნის, გადაადგილების ან წახალისების შესახებ.

წარმომადგენელი – პირი (იურიდული, ფიზიკური), რომელიც მოქმედებს სხვისი დავალებით, ან სხვისი სახელით.

წესდება – წესების და დებულებების კრებული, რომელიც განსაზღვრავს იურიდული პირის უფლებებს, ვალდებულებებს, ქმედებებს (მტკიცდება და რეგისტრირდება კანონის მიერ დადგენილი თანმიმდებრობით).

ხ

ხელშეკრულება – ორი ან რამდენიმე მხარის თანხმობა (ჩვეულებრივ წერით) ურთიერთვალდებულების შესახებ.

ჯ

ჯაკუზი – აბაზანა ჰიდრომასაჟით (ინგლ. jacuzz).

ჯეკპოტი – ყველაზე დიდი მოგება ლატარეაში იმ თანხის ანგარიშის დამატების საფუძველზე, რომელიც არ იყო მიღე-

ბული წინა ტირაჟისას (ინგლ. jack –pock „მსხვილი თანხა", „ფსონების ერთობლიობა").

ჯიპი – მსუბუქი ავტომობილი, რომლის გამოშვება დაიწყო ამერიკაში 1963წლიდან (ინგლ. Jeep).

ჯიჰადი – მუსულმანების "ომი" არამუსულმანების წინააღმდეგ (ინგლ. jihad).

ჯოისტიკი – პულტის სახელურის ან ღილაკის სახის მოწყობილობა, რომელიც განკუთვნილია გრაფიკული ინფორმაციის ხელით შესაყვანად ან კურსორის მოძრაობის სამართავად დისფლეიზე (ინგლ. joustick).

ჰ

ჰაბეკი – ნახერდამცველი სპორულ თამაშებში ბურთით (ინგლ. half back).

ჰაიევი – ფართო ჩქაროსნული ავტოსტრადა (ინგლ. hidhway).

ჰაიფალი – ხმის მაღალი ხარისხით აღმდგენი აპარატურა (ინგლ. hidh fidelity "აღმდგენობის მაღალი სიზუსტე").

ჰაიჯეკერი – თვითმფრინავის გამტაცებელი (ინგლ. hijacker).

ჰაკერი – მაღალპროფესიონალი პროგრამისტი, კომპიუტერული სისტემების და ქსელების ქურდი (ინგლ. hacker).

ჰამბურგერი – 1) ხორციანი ტბილი ფუნთუშა ბიშტექსით და ბოსტნეული საკაზმით; 2) დაკეპილი ძროხის ხორცის შნიცელი (ინგლ. hamburger).

ჰარდი – კომპიუტერის დამამახსოვრებელი მოწყობილობა (ინგლ. hard).

ჰარდლაინერი – მკაცრი რეჟიმის მომხრე და კომპრომისების მოწინააღმდეგე პოლიტიკური მოღვაწე (ინგლ. hard-liner).

ჰარდ-როკი – როკ-მუსიკის სტილი მაღალი ჟღერადობის ელექტროგიტარით, ვოკალით, აჩქარებული რითმით (ინგლ. hard- rock).

ჰეიდლინგი – ძაღლების ჩვენების ოსტატობა ძაღლების შეჯიბრებებზე, გამოფენაზე (ინგლ. handling).

ჰეპენინგი – დრამატული წარმოდგენა, რომელიც შედგება ერთმანეთთან დაუკავშირებელი ეპიზოდებისაგან (ინგლ. happening).

ჰერბალაიფი – ამერიკული ფირმის სამკურნალო პრეპარატი, დამზადებული ეგზოტიკური მცენარეებისაგან და ფრინის დასაკლები ტაბლეტებისაგან კოქტეილის ნაყენის სახით (ინგლ. herbalife).

ჰეჯი – სასწრაფო გარიგების დადება მოგების მიღებისა და დასლვევის მიზნით ფასების შესაძლო მოულოდნელ დაცემისას (ინგლ. hedge "წინააღმდეგობა").

ჰილერი – მკურნალი, რომელიც იყენებს სამკურნალოდ თავის ბიოენერგიულ უნარს და შეუძლია ოპერაციების ჩატარება ქირურგიული ინსტრუმენტების გამოყენების გარეშე (ინგლ. healer).

ჰიპოთეტური – ჰიპოტეზებზე დამყარებული, სავარაუდო.

ჰიტ-პარადი – გამოკითხვის საფუძველზე შედგენილი პოპულარული მუსიკალური ნაწარმოებების და მათი შემსრულებლების სია (ინგლ. hit და ფრ. parade).

ჰოლდინგი – სააქციო კომპანია, რომელსაც არა აქვს საწარმოო დაწესებულებები, მაგრამ ფლობს სხვა კომპანიების აქციების საკონტროლო პაკეტებს (ინგლ. holding).

ჰოლოკოსტი – განადგურება, გენოციდი; ებრაული მოსახლეობის მასობრივი განადგურება მეორე სამამულო ომის დროს გერმანელების მიერ. (ბერძ. holos – "საერთო" და haus „დაწვა").

ჰომეოპათური – ავადმყოფობის განკურნა წამლების მინიმალური დოზებით.

ჰომინგი – ცხოველების დამოუკიდებლად შინისაკენ დაბრუნების შესაძლებლობა (ინგლ. homing "შინისაკენ დაბრუნება").

ჰოპერი – ჯხვიერი ტვირთების გადაზიდვისთვის განკუთვნილი თვითგადმომტვირთველი ვაგონი (ინგლ. hopper).

ჰოსპისი – 1) უიმედოდ, ბოლო სტადიაში მყოფი ავადმყოფების სპეციალური კლინიკა; 2) თავშესაფარი (ინგლ. hospice).

ჰოთ-დოგი – რბილი ჟუმჟულა ჟუნთუშა ცხელი სოსისით, მდოგვით და სხვა საკმაზით (ინგლ. hot-dog).

თანამედროვე ქართული სოციოლექტიზმების სიტყვარი

ა

აგდო – 1. ნარკოტიკმა ცუდად გახადა. *წამალმა აგდო და ქანქალი დაიწყო* 2. გააღიზიანა. *იმდენი ეჩიჩინა აგდო და მაინც აჩხუბა.*

აგორებს – რაიმეს წამოიწყებს. *აგორა ეს საქმე და კარგადაც დააგეირგეინა.*

აგულავა – გაათამამა. *თეითონ აგულავა თავისი შვილი და ახლა ნუღა წუწუნებს.*

აორთქლა – მოიპარა. *თეალსა და ხელს შუა აორთქლა ჩემი სათეალე.*

აასქესა – გააღიზიანა, გააბრაზა. *მაგან აასქესა ჩემზე და მაჩხუბა მაგრად.*

აჭრა – მიაშურა. *პირდაპირ აჭრა დირექტორთან და მოახსენა ყველაფერი.*

აახვია – წავიდა. *რა ეი, მერე აახვია აქედან.*

აბამს – სურს დაითანხმოს. *აბამს მთელი ცხოერება მაგ გოგოს, მაგრამ არ ეერ დაკერა.*

აბანძებს – აბუჩად იგდებს. *აბანძებს ყველასთან და ეგ ისე უყურებს, თითქოს არაფერი ხდება.*

აბაროტი აულო – სამაგიერო გადაუხადა. *დააეიწყდა თეითონ რაც გაუკეთა? ახლა ამანაც აბაროტი აულო.*

აბა ჰე – დაემშვიდობა. *აბა ჰე, ხვალ გნახავ.*

აბოლებს – ატყუებს. *აბოლებს და მასაც სჯერა.*

აბსლუგა – იზოლატორში მომუშაეე პატიმარი. *მიატოეა კაი ბიჭების კამერა და აბსლუგაში გაიქცა.*

აბხოდზე წასელა – შემოელაზე წასელა რაიმეს მოსაპარად. *აბხოდზე წაეიდა მაყუთის მოსაპარად.*

აგლახაეებს – 1. აბუჩად იგდებს. *აგლახაეებს მაგრად, მეცოდება.* 2. აშაყირებს. *აგლახაეებს, აცადე, კარგ ხასიათზეა.*

აგოიმებს – აბუჩად იგდებს, ატყუებს. *რატომ აგოიმებ მაგ ბიჭს?*

აგულაეებული – გათამამებული ადამიანი. *ერთი აგულაეებული ტიპია და მეტი არაფერი.*

აეთესა – გაეპარა. *ისე აეთესა, ეერც კი მიხვდა, რომ იქ ალარ იყო.*

აეკიდა – 1. დაავადება შეეყარა. *რალაც აეკიდა ამდენ წორიალში.* 2. იძულებული გახადა შეერთო. *აეკიდა თავის დროზე და ახლა ხომ ხედავ, როგორ გულზეა.*

ავარდა – პროვოკაციას წამოეგო. *თავიდან თითქოს არაფერი, მერე უცებ ავარდა გოიმითით და გაიქცა.*

ავარდნილი – თავშეუკავებელი ადამიანი. *ავარდნილია ამდენი ფუფუნებით, კარგა ხანს ვერ დაეშვება.*

ავეპე – იარაღის სახელწოდება. *მე ავეპეს ავირჩევდი შენს ადგილზე.*

ავტორიტეტი – 1. კანონიერი ქურდი ან დამნაშავეთა სამყაროს სხვა წევრები, რომლებსაც კანონიერი ქურდები ენდობიან. *ვინმე ავტორიტეტი მიუგზავნე და გაჩერდება.*

აზრზეა – თემა ესმის, იცის. *ეგ აზრზეა, თუ ვერ ხვდება რა ჭირს?*

აზრზე არ არის – თემა არ ესმის, არ იცის. *აზრზე არ არის და ისე ლაპარაკობს ამ საკითხებზე.*

ათიანში მოარტყა – ზუსტად თქვა საითქმელი. *რა კარგად უთხრა, რომ იცოდე, პირდაპირ ათიანში მოარტყა.*

ათოხლა – მოატყუა. *მაგრად ათოხლა, ვერც მიხვდა, რა დროს ათოხლა.*

აიასნებს – ნათელს ფენს ვითარებას. *აიასნებს ყველაფერს, კარგად მიგახვედრებს.*

აითესა – წავიდა. *რომ დაინახა გია მოდიოდა, აითესა.*

აკანჩაწულნა – საბოლოოდ. *აკანჩაწულნა დავცილდი მაგ გოგოს.*

აკიდა – სენი გადასდო. *მერე მის ცოლსაც აკიდა გეპატიტი.*

ალიგატორი – უშნო ადამიანი. *ამდენი ალიგატორი ერთად, იშვიათად მინახავს.*

ამნაპოლი – მედიცინაში გამოყენებული ოპიატის ჯგუფის ნარკოტიკული საშუალება. *ტკეპნა ვილაც ექიმში ყავს დატრეული, ამნაპოლს ჩითავს ხშირად.*

ამღები – ნარკოტიკის შემძენი, რომელიც ამით რაღაც სარგებელს ეძებს. *მაგაზე ამბობენ ამღებიაო.*

ამხეცებს – გულმოდგინედ სწავლობს. *აცადე, ტაბიძეს ამხეცებს ახლა და მერე უკეთ ითამადებს.*

ანგარიში გაუსწორა – ძველი ჯავრები ამოიყარა. *ძველი ანგარიში გაუსწორა, თორემ ახლა მაგათ არანაირი ურთიერთობა აღარ აქვთ.*

ანდაგრაუნდი – კომპიუტრული თამაშის სახეობა. *ანდაგრაუნდს ყველაზე მაგრად ეგ თამაშობს.*

არაკაცი – ამორალური ადამიანი. *არაკაცია ნამდვილი, მაგას ხომ ადამიანური არაფერი გააჩნია.*

არ არსებობს – შეუძლებელია, არ მოხდება. *არ არსებობს, რომ მაგან იჩივლოს.*

არიფი – 1. გამოუცდელი, ცხოვრებას ჩამორჩენილი ადამიანი. *მაგარი არიფი ტიპია, ყველაფერს პირდაპირ გებულობს და იოლად ტყვილდება.* 2. ქურდული სამყაროსათვის მისაღები, პატიოსანი ადამიანი. *ყველა ქურდი ესწრებოდა, არცერთი არიფი.*

ასიანი – ასპროცენტიანი, ნაღდი. *ასიანი ხარ, ძმაო, შენს სიმართლეს მიაწექი.*

ასი წელი – ძალიან დიდხანს, არასდროს. *ასი წელი არ ვოხოვ მაგას რამეს.*

ასწორებს – სასიამოვნოა, კარგ განწყობილებას ქმნის, ახარებს. *ასწორებს ზამთარში ბუხარი და მწვადი, არა?*

ატაკა – 1. დაარტყა. *თქვა ეს და თან ატაკა* 2. სათქმელი მიახალა. *შევარდა და პირდაპირ ატაკა, შენი ნახელავია ესო.*

ატასზე დადგა – სადარაჯოდ დადგა. *ისინი ბაითში შევიდნენ, ეგ ატასზე დადგა.*

ატასი (რუს.) – პირი, რომელიც გაქურდვისას გარეთ რჩება. *ატასი ვინ იყო მაგ საქმეში?*

ატაშოლი მიცა (რუს.) – დაცილდა. *მაგ საქმის მერე ატაშოლი მიცა.*

ატვეჩაი (რუს.) – პიროვნული გარანტი. *ატვეჩაი გახდეს და კი, ბატონო.*

ატყდა – რაღაც აიჩემა. *რო ატყდა, გინდა თუ არა ასეაო, ახლა რას ამბობს?*

ატხადნიაკი (რუს.) – ნარკოტიკის ან ალკოჰოლის ზემოქმედებიდან გამოსვლა. *ატხადნიაკი იცის უბედური.*

აფსიხება – გაბრაზება, ნერვების აშლა. *აფსიხება იცის უცებ, მერე კი გაუელის.*

აფუილებს – სიგარეტს ეწევა. *აფუილებს დღე და ღამე.*

აღადავებს – დასცინის. *აღადავებს მთელი კლასი, მას შემდეგ.*

აღება – ნარკოტიკის შეძენა. *თუ აიღო, მეც გამითვალისწინე.*

აშაყირებს – აბუჩად იგდებს, დასცინის. *აშაყირე რამდენიც გინდა, მაინც ვერა ხედება.*

აჩმახებს – საქმეს აჭირებს. *აჩმახებს უკვე მაგი მაცრად, რა არის ამდენი დაუმთავრებელი.*

აჩმორებს – აბუჩად იგდებს, ჩაგრავს. *დასაჩმორებულია და იმიტომაც აჩმორებს.*

აცანცლა – მოპარა. *გვერდით ვდო და აცანცლა.*
აცვენილი – ადამიანი, რომელიც საზოგადოებაში დამკვიდრებულ ნორმებს არ იცავს. *ძალიან აცვენილია ამ ბოლო დროს და პრობლემებს უქმნის ოჯახს.*
აწვება, – ჯიუტობს. *იცის, რომ არ არის მართალი, მაგრამ მაინც თავისას აწვება.*
აწკაპნა – მოპარა. *ჯიბიდან აწკაპნა მობილური.*
ახევს – ართმევს. *თუ რამე კარგი დაუნახა, ყველაფერს ახევს.*
ახვარი – უსრდელი ძალისმიერი ადამიანი. *მაგარი ახვარი ბიჭია, აუტანელი.*
ახურებს – ცუდად იქცევა. *ახურებს და უხარია, მოჯდეს ახლა თავის ადგილას.*
აჯაზებს – ერთობა, ბევრს ლაპარაკობს, მომაბეზრებლად იქცევა. *აჯაზებს, დაგვლალა უკვე.*
აჯახა – 1. სათქმელი პირში მიახალა. *როგორც კი შეხედა მაშინვე აჯახა.* 2. დაარტყა. *რო აჯახა, კილომეტრში მოისროლა.*
აჯდება ფულს – ძუნწობს. *კი უნდა რო იყიდოს, მაგრამ ფულს აჯდება და ვერ იმეტებს.*
აჯეჯილდა – გათამამდა. *რა აჯეჯილდა, რაც მამამისი დააბრუნეს სამსახურში.*

ბ

ბაბნიკი (რუს.) – ქალების მოყვარული კაცი. *არ მიყვარს, ეგ ბიჭი, ბაბნიკია.*
ბაბოჩკა (რუს.) – წვრილთავიანი ნემსი. *ბაბოჩკით იკეთებს და ამიტომ არ ეტყობა ნაჩხვლეტი.*
ბაგაჟი (რუს.) – ცოდნა. *როგორი ბაგაჟის პატრონია?*
ბაზარი – 1. საუბარი. *მიყვარს მაგის ბაზარი, სასიამოვნოდ ბაზრობს.* 2. ხმაური, ბევრი ხალხი. *რა ბაზარია, მოიცა, ვერ გავიგე რას მეუბნება კაცი.*
ბაზარი-ვაგზალი – დავიდარაბა. *ატყდა იქ ბაზარი-ვაგზალი.*
ბაზარი მოათავა – კანონიერი ქურდი გახდა. *მიულოცე, ბაზარი მოათავა.*
ბაზრობს – ლაპარაკობს. *აცადე ადამიანს, ბაზრობს და მერე კითხე.*
ბათქი – ჩხუბი. *ქორწილში გავიგე ბათქი ამტყდარა.*
ბაიანი – სამედიცინო ნემსი. *რამდენიმე ბაიანი წამოიღე აფთიაქიდან.*

ბაი-ბაი – დამშვიდობება. *ბაი-ბაი, ხვალ გნახავ.*

ბაიბურში არ არი – არ იცის, არ ესმის, ვერ ხვდება. *საწყალი დედამისი, ბაიბურში არ არი რა ხდება.*

ბაითი – სახლი. *ნახე, რა მაგარი ბაითი იყიდა?*

ბაითი დგას – სახლი, რომელშიც არავინ იმყოფება. *ვიცი რომ ბაითი დგას და შევიდეთ.*

ბაირამობს – დროს ატარებს, კარგად ცხოვრობს. *ქვეყნის დაუტოვა მამამისმა და ახლა ბაირამობს.*

ბალაგანი – 1. ადგილი სადაც მონადირეები ტყეში თავს აფარებენ. *ისეთი წვიმა დაიწყო, ბალაგანამდე ძლივს მივაღწიეთ.* 2. აურზაური. *რა ბალაგანია?*

ბალამუტი (რუს.) – შფოთი, არეულობა. *არეული სასტავი იქნება და ბალამუტი არ ატყდეს, ყურადღება მიაქციეთ.*

ბალამუტი ჩააგდო – გამი'სნული ნათქვამი კონფლიქტისათვის. *მაგან ჩააგდო ბალამუტი და თვითონ კი დატყდა იქედან.*

ბალამუტობს (რუს.) – ლაყბობს, უნდა ერთმანეთს წაკიდოს. *ბალამუტობს ახლა გამი'სნულად, რომ დაგვტაკოს ერთმანეთს.*

ბარლამუტჩიკი (რუს.) – კონფლიქტური სიტუაციის შემქმნელი ადამიანი. *რა ბალამუტჩიკი კაცია, არ ბეზრდება ერთი და იგივე.*

ბალანდა – პატიმრების საკვები იზოლატორში. *ბალანდასაც კი შეჭამ რომ მოგ შიდება.*

ბალანდიორი – პატიმარი, რომელიც ბალანდას არიგებს. *ბალანდიორი იყო ეგ ციხეზე.*

ბალნიცა (რუს.) – პატიმრების საავადმყოფო. *იქნებ ბალნიცაზე გადაყვანა მოვუხერხოთ, იქ უფრო თავისუფლად იქნება.*

ბალნიჩკა (რუს.) – ციხის საავადმყოფო. *ბალნიჩკაზე გადაეყვდი და ფილტვები მოვასმენინე.*

ბანია – 1. ხელოვნურად დამზადებული ნარკოტიკი. *ბანიას იკეთებს ზოგი.* 2. ი'სოლატორის აბანო. *ბანიაზე კვირაში ერთხელ გაეყვანდით, რომ დაგებანა.*

აბკი (რუს.) – ფული. *კაი ბაბკი უნდა მაგ საქმეს.*

ბანძი – უგემოვნო ადამიანი. *ბანძი იყო ყოველთვის და ახლა რა გამოაკეთებდა.*

ბარდაგი (რუს.) – უ'ესრიგობა. *სულ ბარდაგი აქეთ სახლში, დალაგებული არასდროს მინახავს.*

ბარიგა (რუს.) – 1. ნარკოტიკის გამყიდველი. *ბებიაც ბარიგა ყავდათ და კიდეც იხდიან წამალში ნაშოვნს წამლებში.* 2.

სპეკულიანტი. *შმოტკების ბარიგასთან ვიყიდე მოსკოვში ადრე.*

ბარო – მისალმების ფორმა მეგობრებთან. *ბარო, ოენგო, როგორ ხარ?*

ბაქოს იხვი – ქვითელი იხვი შაგი ტალებით. *ბაქოს იხვს ვინადირეთ.*

ბაქსი – დოლარი. *რამდენი ბაქსი უნდა?*

ბებერ მედვედი (რუს.) – დათვი. *ბებერ მედვედიც ვინადირე ერთხელ.*

ბეზპეტი (რუს.) – თამაშის რეჟიმი, როდესაც შეტევაზე გადასვლა მთელი დროის განმავლობაში შეგიძლია. *ბეზპეტი იყო ჩართული თუ არა?*

ბეზპიწი (რუს.) – პირი, რომელიც მალე უნდა გახდეს კანონიერი ქურდი. *ბეზპიტია, ხვალ-ზეგ ქურდი გახდება.*

ბეზპონტა (რუს.) – უსაქმოდ. *ბეზპონტა ვიჯექით ეგ რომ მოვიდა.*

ბეზპრედელი (რუს.) – 1. თავსეხელაღებული ადამიანი. *ბეზპრედელი იყო მთელი ცხოვრება და კი ჩაკლეს მასვეე.* 2. უმართავი სიტუაცია. *ასე ეგონათ, ქურდები რომ არ იქნებიან ბეზპრედელი იქნებაო.*

ბეკასი (სნაიპი) – გარეული ქათამი. *მაგან ბეკასიც მოკლა.*

ბერავს – 1. ელაპარაკება. *ნახე, რა სახე აქვს, ბერავს ახლა ხლაპრებით.* 2. ახელებს ვინმეს. *ბერავს ჩემზე, მაგრამ მაინც ვერ შეაძულა ჩემი თავი.*

ბეჩო – დათვის ბუნაგი. *ბეჩოს წავაწყდით შემთხვევით.*

ბილეთი – ქვითარი ტოტალიზატორის. *ბილეთი გაეკეთე ისეთი, თუ წამოვიდა, ჩემს ბედს ძალლი არ დაეკვს.*

ბინტები – ოპიუმით გაჟღენთილი მარლა. *ბინტები მქონდა და ბაითს ვეძებდი, რომ მეჩალიჩა.*

ბირჟა (რუს.) – უსაქმური ახალგაზრდების თავშეყრის ადგილი. *მთელი დღე ბირჟაზე დგას და სამსახურს სად იშოვის?*

ბირჟავიკი (რუს.) – ბიჭი, რომელიც ბირჟაზე დგას ხშირად. *არსად არ მუშაობს, ბირჟავიკია.*

ბირჟაობს (რუს.) – ბირჟაზე დგას. *მთელი დღეები ბირჟაობს, არაფერს აკეთებს.*

ბიტი (რუს.) – გამოცდილი ადამიანი, რომელსაც იოლად ვერ მოატყუებ. *მაგარი ბიტი კაცი გამოდგა.*

ბიჩოკი (რუს.) – სიგარეტის ნარჩენი. *ბიჩოკი დამიტოვე, თორემ უსიგარეტოდ არ შემიძლია.*

ბლატაობს (რუს.) – 1. თავს იწონებს. *ბლატაობს, არ ჩერდება.* 2. ქურდულ მენტალობას აჩენს. *ბლატაობს უშნოდ, აუტანელი ტიპია.*

ბლატი (რუს.) – ნაცნობობა, გაელენა. *ბლატები აქვს, მართლა პატივს სცემენ.*

ბნელი – გაუნათლებელი ადამიანი. *ისეთი ბნელი რძალი მოიყვანა, იმას რა გამოთლიის.*

ბოზი – 1. დამსმენი ადამიანი. *ბოზია, მაგასთან რამე არ დაბეცდეს.* 2. უწესო ქალი. *ბოზი მოიყვანა ცოლად.*

ბოზობა – დასმენა. *ბოზობა არ არის კარგი საქციელი, ხომ იცი.*

ბოსი – 1. სკოლის დირექტორი. *ბოსი მოდის, ჩუმად.* 2. ხელმძღვანელი. *ჩემი ბოსი ჯიგარია.*

ბრადიაგა (რუს.) – 1. ალკოჰოლური სასმელების მოყვარული ადამიანი. *ბრადიაგაა მამამისი, სულ მთვრალია.* 2. კანონიერი ქურდი. *ბრადიაგა კაცი ვარ, მთელი ცხოვრება სიმართლეს ვემსახურები.*

ბრატ (რუს.) – მიმართვის ფორმა. *ბრატ, მოდი ერთი, მომეხმარე.*

ბრატუხა (რუს.) – მეგობარი ბიჭი. *ჩემი ბრატუხა ხარ, ხომ იცი?*

ბრტყელლულიანი – თოფი, რომელსაც ლულები ერთმანეთის გვერდით აქვს. *ბრტყელლულიანი მქონდა წაღებული სანადიროდ.*

ბუნტი (რუს.) – საპატიმროში არეულობა პატიმრების მხრიდან. *ბუნტი მოაწყვეს, სხვა გზა არ ჰქონდათ.*

ბურთების მეტობა – სამ გოლზე მეტი. *ბურთების მეტობა მეწურა და კი წამოვიდა.*

ბურთების ნაკლებობა – სამ გოლზე ნაკლები. *ბურთების ნაკლებობა დაწერე, დამიჯერე.*

ბური (რუს.) – საპატიმროში სპეციალური განყოფილება ურჩი პატიმრებისთვის. *ბურში ვიჯექი 3 თვე და ამიტომ ვერ ვწერდი.*

ბურღავს – მომაბეზრებლად იქცევა, ბევრს ლაპარაკობს. *ბურღავს რა, აღარ შემიძლია მოსმენა.*

ბუს კვერცხები – არაყური. *ბუს კვერცხები ჩამომიტანა.*

ბუქმეკერი (ინგლ.) – პირი, რომელიც ადგენს ტოტალიზატორის პროგრამას. *ძლიერი ბუქმეიკერია და კარგად აქვს აწყობილი საქმე.*

ბუქსაობს – ჩანაფიქრს ვერ ახორციელებს. *ბუქსაობს კარგა ხანია, ერთ ადგილს ტკეპნის.*

ბუშლატა (რუს.) – ქეჩის ჩასაცმელი ქურქი. *ბუშლატა ჩაეუტანე, თბილად რომ ყოფილიყო.*

ბუხოი (რუს.) – მთვრალი. *ბუხოი იყო, ყერაფერს გააგებინებდი.*

გ

გააბაზრა – გაახმაურა. *მაგან გააბაზრა ეგ ამბავი და მოდო ქვეყანას.*

გააიასნა (რუს.) – აუხსნა, გააგებინა. *გააიასნა მერე, რაშიც იყო საქმე და ცოტა დავწუნარდი.*

გაამლაშა – გადააჭარბა. *გაამლაშა მაგანაც, შერიგდნენ ურჩევნიათ.*

გააპუსტიაკა (რუს.) – 1. გააუბრალოება, მნიშვნელოვანი რამ უმნიშვნელოდ აქცია. *მაგის წამოწყებული საქმე როიმ ყოფილიყო, მაშინ ხომ არ გააპუსტიაკებდა?* 2. დაამცირა. *ისე ელაპარაკა ამდენი ხალხის წინაშე, გააპუსტიაკა რა.*

გაარტყა – შემთხვევით გამოიცნო. *ოდნავ ჩაფიქრდა და არ გაარტყა ზუსტად.*

გაასაღა – 1. გაყიდა. *გაასაღა მისი ჩაწოლილი საქონელი ჩემზე.* 2. მოკლა. *ამბობენ, გაასაღაო მერე ის კაცი.*

გაასროკინა (რუს.) – დააჭერინა. *უჩიელა და გაასროკინა, არ დაინდო.*

გაასუხარა (ებრ.) – 1. გაყიდა. *გაასუხარა მთელი საქონელი, ერთ ბაითმელზე.* 2. მოკლა. *ორიეე პადელნიკი გაასუხარა.*

გაასწორა – ასიამოვნა, გაახარა. *გაასწორა მამაჩემმა მანქანა რომ მაჩუქა.*

გააფართხალა – დაიჭირა, შეიპყრო. *ორ-კილოიანი თევზი გააფართხალა პირველიეე ცდაზე.*

გააფორმა – სქესობრივი ურთიერთობა დაამყარა. *ბოლოს გააფორმა კიდეც ის გოგო.*

გააწყალა გული – შეაწუხა. *გააწყალა გული მაგის ზარებმა.*

გაბანძებული – აბუჩად აგდებული, შერცხვენილი ადამიანი. *გაბანძებული დარჩა ამ ბაზარის შემდეგ.*

გაბერილი ბიძა – მდიდარი ადამიანი. *მოვიდა მერსედესით გაბერილი ბიძა.*

გაბლატავდა (რუს.) – გათამამდა. *ერთხელ გაუვიდა, ორჯერ და გაბლატავდა.*

გაბლატაევებული (რუს.) – გათამამებული, თავგასული ადამიანი. *ეგეთი გაბლატაევებულებიც მინახავს მოტეხილები ბოლოს.*

გაგებაში არაა – არ იცის. *გაგებაში არაა, ცხოვრების არაფერი ესმის.*

გადააგდო – მოატყუა. *სამი ათას დოლარში გადააგდო.*

გადაბმა – რამდენიმე მოსალოდნელი შედეგის ერთ ქვითარში დაწერა. *გადააბი თუ კარგი მოგება გინდა.*

გადამგდები – მატყუარა, თაღლითი ადამიანი. *ერთ დროს გადამგდებიც იყო და ბლომად მაყუთსაც ჭრიდა.*

გადასვლა შემდეგ ეტაპზე – პენალტების სერიით, ან დამატებითი დროის განმავლობაში გამარჯვება. *ძირითადი დრო ირწერება მხოლოდ, შემდეგ ეტაპზე გადასვლა არ ითელეგა.*

გადაუარა – გაანადგურა, მიწასთან გაასწორა. *მაგან თუ გადაუარა, მართლა აღარ ეშველება მერე.*

გადაუჯოკრა – აჯობა. *ხო მაგარია რეზი, მაგრამ მისმა ძმამ გადაუჯოკრა.*

გადირკვა – გოლის გატანა. *დაიმახსოვრე, ერთს მაინც გადირკავს რომა.*

გაემაზა – 1. ვერ გააკეთა, მიზანს ვერ მიაღწია. *ეგონა გამოუვიდოდა ეს საქმე, მაგრამ გამაზა.* 2. წააგო. *გამაზა, ვერ გამოიცნო.*

გაეძრო – მოულოდნელად გამოჩნდა. *ბირჟაზე ვიდექით ყველა, მაგრამ ეგ საიდან გაეძრო, ვერ გაიგეთ.*

გაეჭედა – გაუჭირდა, გაუძნელდა. *ბოლოს მაინც გაეჭედა, ვერ ყოფილა ისეთი, როგორიც მეგონა.*

გაითიშა – გრძნობა დაკარგა. *დაეინახე და გაითიშე, მართლა აღარ მახსოვს.*

გაიტანეს – გაქურდეს. *ამბობენ, რუსეთში ბანკიც გაიტანესო.*

გაიტრიტა – მაგრად დათვრა. *სანამ ბოლომდე არ გაიტრიტა, არ წამოვიდა სუფრიდან.*

გაიქაჩა – ყურადღების ცენტრში მოექცა. *საიდან გაიქაჩა ასე მაგრად, ვინა ყავს ასეთი?*

გაიყიდა – თავი გაამყლავნა, ვერ მოახერხა თავის ნამდვილი სახის დამალვა. *თვითონ გაიყიდა თავისი საქციელით.*

გაიჩითა – 1. გამოჩნდა, დაინახა. *მოვიხედე და აგერ რეზიც გაიჩითა.* 2. დააწინაურეს, საზოგადოებისთვის ცნობილი გახდა. *ამ ბოლო დროს გაიჩითა, თორემ მანამდე ასეთი ცნობადი არ იყო.*

გაიჩხირა – ნარკოტიკი გაიკეთა. *გაიჩხირა და მერე მოვიდა ხასიათზე.*

გალიაკი – პერიოდი, როცა ნარკოტიკი არ იშოვება. *ამბობენ, მაქეთ მაგარი გალიაკიაო, მართალია?*

გალიურა – აივანი. *გალიურაზე გადი და დაიმალე.*

გამაზა – ფული გადაუხადა. *მაგრად გამაზა, საქმე შეასრულებინა.*

გამოაქლიავა – გამოაშტერა, გამოათაყვანა. *რა უქნა ასეთი, ასე რომ გამოაქლიავა?*

გამოიჭირა – 1. დაიმორჩილა, დაიქვემდებარა. *გამოჭერილი ყავს და აკეთებინებს რასაც უნდა.* 2. ტყუილში დაიჭირა, წაასწრო. *დაუდო ფული ჩუმად და გამოიჭირა.*

გამოსირებული – გამოშტერებული, გამოლენჩებული. *გამოსირებული ტიპია რომ შეხედავ.*

განაბი – კანონიერი ქურდი. *ერთი მოხუცი განაბია.*

განეცი (რუს.)– გამგზავნი. *განეცი გაუშვი ბაქოში.*

გაპუსტიაკებული (რუს.) – დამცირებული ადამიანი. *ახლა აღარც ელასტი აქვს, აღარც ფული და დადის გაპუსტიაკებული.*

გაპობილი მთერალი – ძალიან მთერალი. *გაპობილი მთერალი მართავდა მარქანას.*

გაჟიმა – სქესობრივი ურთიერთობა დაამყარა. *მატარებელშივე გაჟიმა.*

გარასხოდება (რუს.) – წაგებული თანხის გაბათილება. *თუ გინდა მაგ ფულის გარასხოდება, კი ოქვი.*

გარეკილი – თავზეხელაღებული ადამიანი. *გარეკილი ტიპია და ერიდე იცოდე.*

გასატრუპი – მოსაკლავი. *გასატრუპი იყო ჩემი ხელიდან.*

გასაწეწი – ადამიანი, რომელსაც რაიმეს წართმევას უპირებენ. *გასაწეწია მაგ საქციელის გამოც.*

გასკვანჩეს – დაიჭირეს. *სამსახურშივე გასკვანჩეს და წაიყვანეს.*

გატისკა (რუს.) – მარწუხებში მოაქცია. *ისეთი შეკითხვები დაუსვა, მაგრად გატისკა.*

გაუსწორა – ასიამოვნა. *არაფერი, უბრალოდ გაუსწორა ხასიათი.*

გაუსწორდა – 1. ეამა. *გაუსწორდა მისი მხარე რომ დაიჭირე?* 2. სამაგიერო გადაუხადა. *ბოლომდე გაუსწორდა – არაფერი აპატია.*

გაუტყდა – გუნება გაუფუჭდა, განწყობა წაუხდა, იმედი გაუცრუვდა. *არ მელოდა და რომ დამინახა გაუტყდა აშკარად.*

გაუჩალიჩა – მოუწყო ცუდი რამ. *გაუჩალიჩეს, თორემ მართლა წესიერი ადამიანია.*

გაფარჩაკება – მორალურად დაცემა. *მაგის გაფარჩაკება მართლა არ მინდოდა.*

გაფარჩაკებული – მორალურად დაცემული ადამიანი. *გაფარჩაკებულს რომ ვნახავ, მაშინ დავისვენებ.*

გაფსიხდა (რუს.) – გაგიჟდა, მოთმინებიდან გამოვიდა. *გაფსიხდა, ეს რომ მოისმინა.*

გაფუმფლდა – წაგებული თანხა ვერ გადაიხადა. *ვერ ჩააბარა და გაფუმფლდა.*

გაფუჭდა ბილეთი – თუ ქვითარში რომელიმე შედეგს ვერ გამოიცნობ. *მხოლოდ ერთი ვერ გამოვიცანი, მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს, ბილეთი კი გაფუჭდა.*

გაქაჩა – დააწინაურა, სახელი გაუთქვა. *მისი ძმაკაცია და გაქაჩა.*

გაქექილი – მლიქვნელი, იოლად რომ ვერ მოატყუებ. *ისეთი გაქექილია, ვერ მოატყუებ.*

გაყიდა – გასცა. *ჩუსტად მისმა მეგობარმა გაყიდა.*

გაშანსა (რუს.) – იშოვა. *იმდენი ქნა, მაინც გაშანსა ბოლოს.*

გაშმონა – გაჩხრიკა. *რო გაშმონეს, კი უნახეს გადაყოშკილი.*

გაჩითული – თანამდებობაზე დანიშნული, ან საზოგადოებაში მიღებული ადამიანი. *გაჩითული ტიპია და ეხვევიან გოგოები.*

გაჩხერილი – ნარკოტიკული ნივთიერებებით გაბრუებული ადამიანი. *დავინახე გაჩხერილი ბიჭი იდგა.*

გაწეწა – ფული წაართვა. *ძაან გაწეწა თუ ისე რა?*

გაწია – მოიპარა. ბაითი გაწია თუ ბანკი?

გაჭედილია – ვალები აქვს. *ახლა გაჭედილია და მაინც ვერ გაგისტუმრებს.*

გაჯეჯილდა – 1. გათამამდა. *არაფერი რომ არ ეუთხარი, უფრო გაჯეჯილდა.* 2. ყურადღების ცენტრში მოექცა. *იმ გამოსვლის შემდეგ როგორ გაჯეჯილდა, არა?*

გაჯეჯილებული – გათამამებული, თავგასული ადამიანი. *არ მიყვარს ეგეთი გაჯეჯილებული გოგოები.*

გახეული მთვრალი – ძალიან მთვრალი. *გახეული მთვრალი რომ ჯდებოდა საჭესთან, მაშინ ეფიქრა მაგაზე.*

გახურება – თავის მოსაბეზრებელი ქმედება. *ზედმეტი გახურებაც არ გინდა, მოლაღ არ დაგვიტყდეს.*

გელფრენდი (ინგლ.) – მეგობარი ქალი, რომელთანაც სექსუალური ურთიერთობა აქვთ. შენი გელფრენდი სადაურია?

გენერალი – კომპიუტერული თამაშის დასახელება. *გენერალი ვითამაშოთ.*

გერაინი – თეთრი ფერის ნარკოტიკული საშუალება. *გერაინზე მეტი სტროგია, ვიდრე ფრანგულზე.*

გერონტი – თეთრი ფერის ნარკოტიკული საშუალება. *გერონტი აილე პირველ რიგში.*

გეჩე – გამოუცდელი, ცხოვრებას ჩამორჩენილი ადამიანი. *ტიპური გეჩე იყო მაშინ.*

გვამი – მომაკვდავი ადამიანი. *გვამია რა, დღეს-ხვალ აღარ იქნება.*

გიმელი – დამნაშავეთა სამყაროში იერარქიის უმაღლესი საფეხურის წარმომადგენელი. *ძლიერი გიმელი იყო თავის პერიოდში.*

გლავარობს (რუს.) – ლიდერობს. *ახლაც ეგ გლავარობს ჩვენს ოლქში.*

გლახაობს – ლაზღანდარობს, ხუმრობს. *რატომ ბრაზობ, ვერ ხედები რომ გლახაობს?*

გლიჯა – დაარტყა. *ჰოდა, კარგადაც გლიჯა მაგის გამო.*

გლიჯავს – ძალიან კარგია. *პატარა ისეთი საყვარელია, გლიჯავს.*

გლოკი – იარაღის სახელწოდება. *გლოკი უჭირავს ხელში.*

გნიდა (რუს.) – ცუდი ტიპი. *გნიდა ბიჭია, ურიდე.*

გოიმი (ებრ) – გამოუცდელი, ცხოვრებას ჩამორჩენილი ადამიანი. *გოიმი ბიჭია, მეტი არ იცის, ეპატიება.*

გოლანდ-გოლანდი – პრესტიჟული თოფი. *ესენი მხოლოდ გოლანდ-გოლანდით ნადირობენ.*

გომბიო – გოგოსადმი უპატივცემულო მიმართვა. *გომბიოა და ეგრე ეკუთვნის.*

გორსალა (ებრ.) – გამოუცდელი, თანამედროვე ცხოვრებას ჩამორჩენილი ადამიანი. *მაგას ვილაც გორსალა ხომ არა ეგონიავარ?*

გრევი (რუს.) – საჩუქარი. *გრევი გაუკეთა ერთხელ ციხეზე და გადააყოლა თან.*

გრეხი (რუს.) – დარღვევა, სირცხვილი. *გრეხია, რომ ეკითხო?*

გრიალებს – დროს ატარებს. *რას გრიალებს სხვების ხარჯზე, ნეტა ნახო.*

გრიმიტობს (რუს.) – დროს ატარებს, კარგად ცხოვრობს. *გრიმიტობს რუსეთში, თორემ ევროპაში ჩვეულებრივ, არც კი იცნობენ.*

გრუზავს (რუს.) – ზედმეტს ელაპარაკება. *იმდენს ბაზრობს, მაგრად მგრუზავს.*

გრუსტნი უჭირავს (რუს.) – დაღონებულია, სევდიანია. *ისეთი გრუსტნი უჭირავს, მართლა შეეცოდება კაცს.*

გრუსტნიაშია (რუს.) – დაღონებულია, სევდიანია. *ახლა გრუსტნიაშია, მერე დაელაპარაკე.*

გულაობს (რუს.) – 1. კარგად ცხოვრობს. *მართლა გულაობს რუსეთში?* 2. ამორალურად ცხოვრობს. *მაგ გოგოზე ამბობენ, გულაობსო.*

დ

დააბა – დაითანხმა. *იმდენი ექაქანა, დააბა მაინც.*

დააბოლა – მოატყუა. *დააბოლა და ისე აჩხუბა, თვითონაც რომ არ მოელოდა.*

დაალივერა – შეათვალიერა. *გავიდა, დაალივერა სიტუაცია და მერე დაიწყო მოქმედებები.*

დაამუღამა – 1. ძირფესვიანად შეისწავლა, საგნისა თუ მოვლენის არსს ჩაწვდა. *კარგად დაგყავს? დაამუღამე? ხომ იოლია? 2.* გემო გაუგო. *თავიდან არ მოწონდა ჩეთისხილი, მაგრამ მერე დაამუღამა და სულ ითხოვს.*

დაამღერა –1. ფული დახარჯა. *დაამღერა ამდენი ფული და ჩამოეიდა. 2.* ყველაფერს მოყვა. *როგორც კი მიიყვანეს განყოფილებაში, რაც იცოდა ყველაფერი დაამღერა.*

დაამხეცა – კარგად შეისწავლა. *ფრანგულიც კარგად დაამხეცა.*

დაანაკოლა (რუს.) – საქურდალი საქმე მისცა. *გაბრაზებული იყო მოწილეზე დაანაკოლა და რა ეი, ყველაფერი იკადრა.*

დაასველა – რაიმე მოვლენა აღნიშნა. *მანქანა რომ მოიგო, დაასველა?*

დაასტაიანკა (რუს.) – მანქანა დააყენა. *დაასტაიანკა მანქანა და მაშინვე მოვიდა.*

დაასტოპა (რუს.) – გააჩერა. *უკან მიეყეებოდი, ისე უცებ დაასტოპა, შებრუნება ვერ მოვასწარი.*

დაასტუკა (რუს.) – უცებ მივიდა. *ის რა მოსვლა იყო, დაასტუკა და წავიდა.*

დაატაკა – დაარტყა. *ისე დაატაკა, საათი ვერ აღგა.*

დააყენა – გაძარცვა. *ეგ იყო, შენი მეგობარი რომ დააყენა.*

დაჩმორა, დააჩმორიკა (რუს.) – დაჩაგრა. *მეტი რა უნდა ექნა, ყველას წინაშე დააჩმორა.*

დააცურეს – თანამდებობიდან მოხსნეს, დააქვეითეს. *დააცურეს მინისტრობიდან?*

დააწერა – გამოსძალა. *ფულიც დააწერა და მანქანაც.*

დააჭედა –ტყვია ესროლა. *ეს რო უთხრა, კი დააჭედა ტყინში.*

დაახვია – წავიდა. *შერცხვა და დაახვია აქედან.*

დაბოლილი – ადამიანი, რომელსაც ნარკოტიკი აქვს მოწეული. *კი, ვუთხარი, მაგრამ დაბოლილი იყო და არ ვიცი თუ ახსოვს.*

დაბრიდა – მოკლა. *მეზობელი დაბრიდა მაგ არამზადამ.*

დაგაზა – გაიქცა, სწრაფად წავიდა. *რო დაგაზა, ახლაც გარბის.*

დაგლიჯა – კარგად გამოუვიდა. *ისე იცეკვა, დაგლიჯა.*

დაგრუზული – საყვედურმიღებული ადამიანი, დალონებული, სევდიანი. *მაგარი დაგრუზული ჩანდა შენი ძმა.*

დაებაზრა – დაელაპარაკა. *დაებაზრა მაგ თემაზე, მაგრამ უარით გამოისტუმრა.*

დაევასა – მოეწონა. *მაშინვე შეეტყო, რომ მაგრად დაევასა ეგ გოგო.*

დაენძრა – ცუდად წაუვიდა საქმე. *კარგია რომ დაენძრა, ისწავლის ჭკუას.*

დაერხა – ცუდად წაუვიდა საქმე. *მაგასაც მაგრად დაერხა მაგ ამბის შემდეგ.*

დაეჩითა – მოულოდნელად გამოეცხადა, თავს წაადგა. *იდგა თავისთვის და უცებ მამამისი არ დაეჩითა.*

დაეჭოჭა – ცუდად წაუვიდა საქმე. *მაგასაც თუ დაეჭოჭა, მთლად კარგი იქნება.*

დავაზვრატება (რუს.) – მოპარულის უკან დაბრუნება, საფასურის გადახდის შემდეგ. *ფულის დავაზვრატება არ ხდება, ხო იცი?*

დაეერბოეკებული (რუს.) – გადაბირებული ადამიანი. *დაეერბოეებული ყაელათ ეგ ძაღლებს.*

დაზადნა (რუს.) – უკან დაიხია. *თავიდან იბაქიბუქა, მაგრამ მერე დაზადნა.*

დაზეთილი – უმუერი სახის მქონე ადამიანი. *რალაც დაზეთილი ტიპია, არ მიყვარს ეგეთები.*

დაზმანული – მოდაზე ჩაცმული ადამიანი. *ყველაზე მაგარი დაზმანული მერის ცოლი იყო.*

დათირა – დაინახა, მიათვალიერ-მოათვალიერა. *დათირა არემარე აღრიანად.*

დაიადა – იშოვა. *ტესტებიც წინასწარ დაიადა და რა შეუშლიდა ხელს?*

დაიზმენებული (რუს.) – დაეჭვებული ადამიანი. *დაიზმენებული ნუ ხარ ყველაზე.*

დაითესა – წავიდა. *შეატყო რომ არ იყო მაგის ადგილი იქ და დაითესა.*

დაითრია – იშოვა. *მაგარი დუბლიონკა დაითრია თურქეთში.*

დაიკიდა –არაფრად არ ჩააგდო. *ჩემი ნათქვამი დაიკიდა.*

დაიკო – არაყურმალურად მიმართვა ქალისადმი. *ჩემო დაიკო, მაჩაბლის ქუჩას ვერ მიმასწავლი?*

დაირტყა – იშოვა, შეიძინა. *ნახე, რა ჩანთა დაირტყა?*

დაიცენტრა – გაგიჟდა. *დაიცენტრა ეგ შეჩვენებული, მგონი.*

დაიწვა – გაქურდვის მომენტში შემჩნევა. *მაგის ბაითის გატანისას დაიწვა.*

დაიჭყანა – სასმელი დალია. *დაიჭყანა ისე სადღეგრძელოც არ უთქვამს.*

დაკრა – სასმელი დალია. *სამი ჭიქა დაკრა.*

დაკრუგა – პანაშვიდზე რიტუალი შეასრულა. *დაკრუგა და წავიდა, არ გაჩერებულა.*

დამიზნებით – გამიზნულად სროლა. *დამიზნებით ესროლე, ტყუილად ნუ ისვრი.*

დამპალი – ადამიანი, რომელიც განგებ გიშაევებს რამეს. *მაგარი დამპალი ბიჭია, არ ენდო.*

დამრტყმელი –1. ქეიფის მოყვარული ადამიანი. *დამრტყმელი, პურის მჭამელი კაცია.* 2. ადამიანი, რომელიც ხშირად ჩხუბობს. *მამამისიც დამრტყმელი იყო.*

დამულამებული – კარგად შესწავლილი, კარგად დამუშაევებული. *დამულამებული აქვს რამდენიმე ლექსი და ყეება და ყეება.*

დამწვარი – გამოაშკარავებული. *ეგ უკვე ყველამ იცის, დამწვარია, რა.*

დამხეცებული – კარგად შესწავლილი, კარგად დამუშაევებული დანის ბუდე – დანის ჩასადები. *ბუდეში ჩადე ეგ დანა!*

დარეხეილი – გიჟი, სულელი. *დარეხეილია, ვერ ხედავ, შეეშვი.*

დარტყმული – სულელი, გიჟი. *დარტყმულია, ვერ არი რა.*

დარჩენილია – ნარკოტიკის მოწევის შემდეგ ზემოქმედებიდან ვერ გამოდის. *დარჩენილია, მაგრამ ვერ ხვდება, გამოშტერებულია, რა.*

დარხეული – ცუდ დღეში მყოფი. *თუ მინისტრი გაუშვეს, მაგას დარხეული აქვს იცოდე.*

დასაშტრაფი (რუს.) – ადამიანი, რომელსაც ფულს ახდეინებენ. *დასაშტრაფია ეგ, მაგ საქციელის გამო.*

დასპაკოინდა (რუს.) – დამშვიდდა. *დასპაკოინდა ფული რომ დაინახა.*

დატორმუზება (რუს.) – კანონიერი ქურდისათვის ამ წოდების ჩამორთმევა. *დატორმუზებული იყო რამდენიმე თვე.*

დაუაბგონა (რუს.) – გაუსწრო. *დაუაბგონა მარქანით.*

დაუადა – მისცა. *მარქანაც კი მისმა ძმამ დაუადა.*

დაუპადაგრევა (რუს.) – აჩუქა. *დაუპადაგრეეე ცოტა და უფრო თავისუფლება გექნება.*

დაურხია – დატუქსა. *დაუძახა და მაგრად დაურხია მაგ საქციელის გამო.*

დაუსატკაცა (რუს.) – ჩაუსაფრდა. *დაუსატკაცა მის ქუჩაზე და გატისკა მაგრად.*

დაუტოკა – ეტკინა. *ამბობენ, გულმა დაუტოკაო.*

დაუტყდა – გაეპარა. *გეერდით ეჯდა, მაგრამ დაუტყდა.*

დაუჭოჭა – საკვედური უთხრა. *თათბირზეე დაუჭოჭაო, ასე თქვეს.*

დაქნეული – თავზსახელაღებული ადამიანი, რომელიც დამკვიდრებულ ნორმებს არ იცავს, გიჟი, სულელი. *ეგეთი დაქნეულების ადგილი ნამდვილად არ არის აქ.*

დაქოთა – გალახა, ეჩხუბა. *დაქოთა იქაურობა, რომ მივიდა.*

დაქოქილი – გაქნილი, გაიძვერა. *შესახედად არის წაშტერო, თორემ მაგარი დაქოქილია ისე.*

დაყენება – ყანაღობა. *დაყენება არ არის სწორი საქციელი მაგის მხრიდან.*

დაჩმორებული – შერცხვენილი ადამიანი. *დაჩმორებულია და მაგისი არ ცხვენია და სხვა რა გიკვირს.*

დაჩკა (რუს.) – პატიმრის ამანათი. *დაჩკა გაუკეთე, ისე არ წამოხვიდე.*

დაცენტრილი – უაზრო ადამიანი. *ისე ჩქარა მიედიოდი, დაცენტრილი მიყურებდა და ხმას ვერ იღებდა.*

დახატა – მოუხდა. *დახატა ამ კაბამ, არა?*

დახურა – ქველას აჯობა. *ჩვენმა ანსამბლმა დახურა, ეგეთი არ ცეროი არ იყო.*

დედიკოს ბიჭი – დედის ზედამხედველობის ქვეშ მყოფი ჭაბუკი. *თეითონ რას გადაწყვეტს, ვერ ხედავ, დედიკოს ბიჭია.*

დეზერტირი (რუს.) – იარაღის სახელწოდება. *დეზერტირი არ აირჩიო, თორემ წაგებ.*

დერსკი (რუს.) – ძლიერი, უშიშარი. *დერსკი იყო ძალიან, ყველა ერიდებოდა მაგის წყენინებას.*

დერსკობა (რუს.) – თავხედობა. *დერსკობა არ უყვარს, იცოდე.*

დეიდა – არაფორმალურად მიმართვა უფროსი ქალისადმი. *დეიდა, ავიღებ რა ასანთს?*

დეფექტური – ჭკუანაკლული. *ეროი დეფექტური შვილი ყავს და არ გადაგეყოლა?*

დეშოვკაა, დეშოვია – მეწერილმანეა. *გაეშვი, ეცრ ხედავ როგორი დეშოვკაა?*

დვიჟენიები (რუს.) – მოქმედება. *დვიჟენიები ევასება და მგონი იმიტომ გვიშვებს აქეთ-იქით.*

დილიხორი (რუს.) – სურვილი. *მაგ გოგოს დილიხორი მაქ, რა.*

დოლია (რუს.) – წილი. *ჩემი დოლია მომეცით და მიედიეარ.*

დომუშნიკი (რუს.) – პირი, რომელიც ძირითადად ბინებს ძარცვავს. *ეგ ყოველთვის დომუშნიკი იყო, სხვა საქმეს ხელს არ კიდებდა.*

დროში იწვება – დრო არ ყოფნის. *რო შეატყო დროში იწვება, მიატოვა და გაიქცა.*

დულა (რუს.) – რევოლვერი. *მაშინაც კი დაქონდათ საქმეზე დურა, მაგრამ ნაკლებად იყენებდნენ.*

დუხზე აიყვანა – დააბნია. *დუხზე აიყვანა და მერე შეჯდა, აგინა და აგინა.*

ე

ებაზრა – ელაპარაკა. *ბევრი ებაზრა, მაგრამ ვერაფერი შეაგნებინა.*

ევასა – ესიამოვნა, მოეწონა. *ევასა ბიჭს ნაყინი.*

ევფემია – ნადირთა ღმერთი. *სანადიროდ რომ ვართ, ევფემიას სადღეგრძელოს ვსვამთ.*

ეკაიფება – ეხუმრება. *აცადე, ეკაიფება, ნახე რა იუმორი აქვს.*

ემცე – ერთლულიანი თოფი, რომელშიც 5 ტყვია იდება. *ემცე ვინათხოვრე და ისე წაველი სანადიროდ.*

ეპადხოდება (რუს.) – ეარშიყება, ცდილობს დაიყოლიოს სასიყვარულო ურთიერთობებზე. *ახლა მაგ გოგოს ეპათხოდება, მერე სხვა გამოჩნდება და გაივიდა ამასობაში ცხოვრება.*

ერბე – ცხხის ქირურგიული საავადმყოფო. *ტუბი ქონდა და ერბეზე გადაიყვანეს.*

ერთიანი – სიაში მითითებული პირველი გუნდის მოგება. *ერთიანი თუ წამოვიდა, დავილუპები.*

ერთი ერთი – როცა პირველი გუნდი პირველ ტაიმს მოიგებს და საბოლოოდ შეიდეგსაც. *ერთი ერთი მიწერია ბილეთში.*

ერთი იქსი – მოიგებს პირველი გუნდი ან ფრე დამთავრდება. *მილანის ერთი იქსი და რომას ერთი ერთი გადაეგბი.*

ერთი ორი – პირველ ტაიმს მოიგებს პირველი გუნდი, საბოლოოდ კი მეორე. *ერთი ორს ნამდვილად არაეინ ელოდა.*

ერთუჯრედიანი – პრიმიტიული, გონებრივად განუვითარებელი ადამიანი. *მაგას რა უნდა გააცებინო, ერთუჯრედიანია.*
ერხევა – ცუდად აქვს საქმე. *თუ ერხევა, ცუდია.*
ესპორება (რუს.) – ეკამათება. *მეტის თავი თუ არ აქვს, რას ესპორება?*
ეტაპი – პატიმრების გადაყვანა. *ეტაპი რომ იქნება, რუსთავში გადავაყვანინო იქნებ.*
ეტენება – გამიზნულად ეახლობლება რაღაცის გამო. *იცის მაგათ ფული აქვთ და ეტენება.*
ეტრიპაჩება (რუს.) – ედიდგულება, ეტრაბახება. *რას ეტრიპაჩება, მაგაზე მეტი გონია თავი?*
ეშუტკავება (რუს.) –ეხუმრება. *ეშუტკაება, რა მოხდა მერე?*

ვ

ვაბშე (რუს.) – საერთოდ. *ვაბშე არ უნდა გამეცა ხმა.*
ვაზვრატი (რუს.) – მოპარულის უკან დაბრუნება. *ვაზვრატი გააკეთეთ-იქო, გადაეცი.*
ვალჩნეპი – გარეული ქათამი. *ვალჩეტი ვინადირეთ.*
ვარკრაფტი – კომპიუტერული თამაშის დასახელება. *ვარკტაფტში ვერაფრით მიგებს.*
ვატყობ რა ჩამოსხმაც არის – ადამიანის ტიპს რომ გამოიცნობ. *უკვე ვხედები რა ჩამოსხმაც არის.*
ვაუ – ემოციის გამოხატვა. *ვაუ, გაკვეთილი ცდება.*
ვერ არი – აფრენს. *ვერ არი, ხომ იცი.*
ვერხი აიღო (რუს.) – აჯობა, მოერია. *მალევე ვერხი აიღო და სათავეში მოექცა.*
ვეცემი – ამბობენ, როცა ძალიან მოსწონთ რაღაცა. ვეცემი შენზე.
ვიბრასიტელი (რუს.) – თოფის სახეობა. *ვიბრასიტელიც მიგეაქვს, რომ დაედიევართ.*
ვილკებს იყრის – დიდ ვინმედ მოაქვს თავი. *ვილკებს იყრის, რომ დამინახავს.*
ვირთხა – პირი, რომელიც თავის თანამოსაქმეებსაც პარავს. *ვირთხა იყო წინა საქმის დროსაც და იმიტო გამოაგდეს.*
ვიშკა (რუს.) – სამეთვალყურეო კოშკი საპატიმროებში. *ვიშკაზე, ძირითადად, სამხედროები დგანან.*
ვიშკიორი (რუს.) – სამეთვალყურეო კოშკზე მდგომი გუშაგი. *ვიშკიორმა ესროლა, რო გარბოდა.*

ვიხოდი (რუს.) – ხელოვნურად დამზადებული ნარკოტიკის ფერი. *ქაი ვიხოდი აქ.*

ზ

ზაგაუნიკი (რუს.) – გადანახული საკვები ან სიგარეტი. *ზაგაუნიკი ქონდათ, კიდევ ქარგი.*

ზადნი არ იცის (რუს.) – არაფრის წინაშე არ იხევს უკან. *ერთგულია და თან ზადნი არ იცის.*

ზადნით (რუს.) – უკან სვლით. *ზადნით რომ გადის, ყოველთვის აფუჭებს რაღაცას.*

ზადნი მიცა (რუს.) – უკან დაიხია. *აქ კი ამბობდა ეგრე, მაგრამ იქ რომ მივიდა ზადნი მიცა.*

ზაკუპორი (რუს.) – გაჭედვა. *ზაკუპორი აქვს, შეხედე.*

ზალოჟნიკი (რუს.) – ტყვე. *ზალოჟნიკები გაათავისუფლა უკვე.*

ზამასკა (რუს.) – ასარტი. *ზამასკაში დარჩა, არ გაუმართლა.*

ზამაშკა (რუს.) – მანერა, ჩვევა. *ცუდი ზამაშკები აქვს მაგ ბიჭს.*

ზაპრეტკა (რუს.) – ადგილი, რომლის იქეთაც გადასვლა არ შეიძლება. *ზაპრეტკა ხონაშიც არის.*

ზაპროსი (რუს.) – შეკითხვა. *ზაპროსი მოვიდა რუსეთიდან მაგაზე.*

ზასაობს – კოცნის. *გავიდნენ იქეთ და ზასაობდნენ.*

ზაუცერტრიკალცა (რუს.) – პრესტიჟული თოფი. *ზაუცერტრიკალცა აქვს, მაგარია.*

ზახოდი (რუს.) – ერთი გაკეთებისთვის საკმარისი ნარკოტიკი. *ერთი ზახოდი მაინც დაახვედრეთ.*

ზედა აქვს – თან აქვს. *მაგას რა ენაღელება, ყველაფერი ზედა აქვს.*

ზელიონკა (რუს.) – ნარკოტიკის დამზადების შედეგად დარჩენილი ჭუჭყი. *ზელიონკები დამიტოვა მხოლოდ.*

ზერო – ნოლი. *ზერო დაჯდა.*

ზეხერი – ბანზე ნათქვამი სიტყვა. *ზეხერი იყო, განა დანამდვილებით ამბობდა.*

ზეხერი გააგორა – მოიტყუა. *ზეხერი გაუგორა და ისიც აყვა.*

ზმანი – ტანსაცმელი. *მაგარი ზმანი ჩამოიტანა იტალიიდან.*

ზონა – კოლონია. *ზონაზე რომ გადაიყვანენ ამოისუნთქავს ცოტას.*

ზუმპა – თოფის წამალი. *ზუმპა ჩატენა და გაამზადა.*

თ

თავანი – მოგებული, ან წაგებული თანხა. *თავანი აქვს ჩასაბარებელი.*
თავზე აზის – ჯაბნის. *ეგ მთელ ოჯახს თავზე აზის.*
თავის მოტორზე ვერ არის – გუნებაზე ვერ არის. *დაანებე ახლა თავი, თავის მოტორზე ვერ არის, ხომ ხედავ.*
თავში ფეხი ხო არ გაქვს – აფრენს. *რაებს ლაპარაკობ, თავში ფეხი ხომ არ გაქვს?*
თაზა – ახალი. *თაზა მერსედესი ჩამოიყვანა.*
თამაშიდან გავიდა – თავი დაანება საქმეს. *თამაშიდან გავიდა, ახლა აღარ მიეკარება.*
თვალში მოუვიდა – მოეწონა. *დაინახა, თვალში მოუვიდა და შეირთო.*
თეთრი – თეთრი ფერის ნარკოტიკული საშუალება, ჰეროინი. *თეთრი აიღე თუ იყოს შესაძლებლობა.*
თერთმეტიანი – ტყვიის სახეობა. *თერთმეტიანი მიდის ამ თოფში?*
თვალი –თამაშის სწდამხედველი. *ეგ ამ საქმეში თვალი იყო, მეტი არაფერი.*
თინეიჯერი – ბავშვობის ასაკიდან გამოსული მოზარდი. *თინეიჯერებს უყვართ ასეთი მაიკები.*
თიში – გამაოგნებელი. *ძალიან მაგარი ტიპია, თიში.*
თომარი – ლაპარაკი, საუბარი. *თომარი კი უყვარს ისე.*
თომარობს – ლაპარაკობს. *თომარობს ბევრს, არ უხდება.*
თოხლი – საჭმელი. *თოხლი უყვარს მაგრად.*
თხა – გამოუცდელი, ცხოვრებას ჩამორჩენილი ადამიანი. *თხა ტიპია ეგ შენი მეცობარი.*

ი

იაზვა (რუს.) – გესლიანი ადამიანი. *იაზვა ადამიანისგან მეტს არც ენდა ელოდე.*
იაზვობა (რუს.) – გესლიანი ლაპარაკი. *იაზვობას ნუ დამიწყებ, გთხოვ.*
იარაღი გააძრო – იარაღი ამოიღო მოულოდნელად. *ამ ლაპარაკში იარაღი გააძრო.*
იბაირამა –კარგი დრო აჩარა. *იბაირამა სანამ ახალგაზრდა იყო და ახლა მე მომადგა.*

იგრიალა – კარგი დრო ატარა. *კარგი ქნა რომ იგრიალა, ეგ შერჩა.*

იდეამ დაარტყა – იდეა გაუჩნდა. *იდეამ დაარტყა და განახორციელა კიდეც.*

იდეინი მასტი (რუს.) – რაღაც რომ აქვს აკვიატებული. *იდეინი მასტია, თავისას გააკეთებს მაინც.*

იზი – თამაშის სიძლიერეები. *იზიზე მქონდა დაყენებული.*

იზმენებშია (რუს.) – ორჭოფობს, ეჭვიანობს. *იზმენებშია მთელი ცხოვრება, ჭკუა ვერ ისწავლა*

იპლეტა – გაიქცა, სწრაფად წავიდა. *რომ დაუძახეს ეისადილოთო, იპლეტა.*

იჟეგტორი – ტყვიის ამოსაგდები. *იჟეგტორი გადახსენი.*

იჟეგტორიანი – თოფი, რომლის გადახსნის დროსაც ტყვია ამოვარდება ავტომატურად. *იჟეგტორიანი თოფი იყიდე ბარემ.*

იჟმოტა – იძუნწა. *კაპიკების გამო ვერ ვიჟმოტებ ნამდვილად.*

ისქესა – მიხვდა, იგრძნო. *ისქესა რატომაც იბარებდა და არ მიეიდა.*

იტასავა – ისეირნა, იხეტიალა. *აბა, იტასავა და მეტი არაფერი?*

იტოგში (რუს.) – საბოლოოდ, ჯამში. *იტოგში მაინც კარგად გამოვიდა.*

იქსი – ფრე. *იქსი წამოვიდა, არ ეელოდი.*

იყიდა – მიხვდა. *იყიდა რაც ხდებოდა და გამეშვა.*

იყნოსა – იგრძნო, მიხვდა. *იყნოსა სიტუაცია.*

იჭრება – ეშლება, შეცდომა მოსდის. *გადაეცი, რომ იჭრება ჩემთან და გამოასწოროს მაგისთვის ასე აჯობებს.*

კ

კაბურა (რუს.) – ხვრელი საკნებს შორის ინფორმაციის გადასაცემად. *კაბურა ქონდათ კამერებს შორის.*

კაზიოლი – საკნიდან ადმინისტრაციაში გაქცეული პატიმარი. *მაგის კაზიოლი ძმის ნამდვილად არ მეშინია.*

კაი ბიჭი – ადამიანი, რომელიც ქურდულად ცხოვრობს. *ამიხსენი, კაი ბიჭია, თუ რატომ არ უნდა მომეპარა?*

კაიფი – 1. ნარკოტიკული ნივთიერებებით გამოწვეული ორობა. *კაიფს დაანება თავი, მაგრამ სმა დაიწყო.* 2. სიამოვნება. *მაგარი კაიფია პარნიო, არა?*

კაიფშია – ადამიანი, რომელსაც ნარკოტიკი აქვს მიღებული. *რა მაგარ კაიფშია, გახედე.*

კალაშა (რუს.) – იარაღის სახელწოდება. *2 კალაშა უპოვეს ჩხრეკისას.*

კალაშნიკოვი (რუს.) – იარაღის სახელწოდება. *კალაშნიკოვი მაინც მაგარია.*

კალპაჩოკი (რუს.) – ნემსის თავსახური. *კალპაჩოკში ჩაასხი წყალი და წამოიღე.*

კამერა (რუს.) – საკანი. *შენს კამერაში რამდენი იყავით?*

კანარეიკა (რუს.) – 1. დამსმენი ადამიანი. *მისმა დამ თუ გაიგო, ხომ იცი, კანარეიკაა და დაგვერხევა* 2. მილიციის მანქანა. *ჩვენ უკვე სამშვიდობოს ვიყავით, კანარეიკები რომ გარბოდნენ.*

კანტროლი (რუს.) – 1. შემოწმება, რომ ნამდვილად ვენაშია. *კანტროლი გავაკეთე და ნამდვილად ვიყავი შესული.* 2. მაკონტროლებელი გასროლა. *ქილერმა კანტროლი გაუკეთა.*

კარმანშიკი (რუს.) – ჯიბგირი. *კარმანშიკობით იშოვა ფული და ახლა კუდი ყავარზე გადო.*

კარმუშკა (რუს.) – საკნის კარების ჩამოსაღები ფანჯარა. *იდი კარმუშკასთან, პური აიღე.*

კაროჩე (რუს.) – მოკლედ. *კაროჩე, შენ ეს საქმე გამიკეთე და მუტი არაფერი მინდა.*

კასპიის იხვი – ყვითელი იხვი შავი ტალებით. *კასპიის იხვზე სანადიროთ მივდივართ.*

კერავს – სურს დაითანხმოს, მოხიბლოს. *კერავს, თუ დაკერა ხომ კარგი.*

კეშერი – ადგილი სადაც პირად ნივთებს და მარაგს ინახავენ, პენიტენციალურ სისტემაში. *ჩემს კეშერში ხელი ვინ ჩაყო?*

კვაჭი - ადამიანი, რომელიც საქმეს აგვარებს ნებისმიერი ხერხით. *ნამდვილი კვაჭია, ამ საქმეს თუ მოაგვარებდა არ მეგონა.*

კვირიკე – ნადირობის ღმერთი. *კვირიკეს სალღეგრძელოც დალეულია გექონდა.*

კილერი – დაქირავებული მკვლელი. *კილერმა კანტროლი როგორ არ გაუკეთა?*

კირუხი – ხმაური. *კირუხი ატეხა, კამერაში რომ შეეყდი.*

კიშკა (რუს.) – საჭმელი. *მაგარი კიშკა გაჩითა ეკამ.*

კიტი – ატომური ბომბის ასაღები ხელსაწყო. *კიტი დაგჭირდება, წინ ატომია.*

კლიენტი (რუს.) – 1. უცნობი ადამიანი. *გაეიხედე, ვილაც კლიენტი მოდიოდა.* 2. მყიდველი. *მანქანის კლიენტი გყავს?*

კლიჩკა (რუს.) – მეტსახელი. *მოიცა, გავიხსენო მაგის კლიჩკა.*

კლუჩნიკი (რუს.) – საპატიმროს თანამშრომელი. *კრუჩნიკს ვინ რას ეკითხება, თუ კაცი ხარ.*

კოკაინი – ნარკოტიკული საშუალება. *კოკაინს იყნოსავდა და თვალები დაკარკლული ქონდა.*

კოკნარი – ნარკოტიკული საშუალება. *კოკნარი მოხარშა.*

კომერსანტი (რუს.) – ბიზნესმენი. *კომერსანტი კაცია და ფულიც აქვს.*

კონდახი – თოფის უკანა ნაწილი. *კონდახი ჩაარტყა თავში.*

კორპუსნოი (რუს.) – იზოლატორში კორპუსის ზედამხედველი პოლიციელი. *კორპუსნოი იყო ჩემს დროს.*

კრახი – საძაგელი, უშნო გოგო. *ეგეთი კრახი თუ იყო, არ მეგონა.*

კრიატივი (ინგლ.) – იდეების მქონე ადამიანი. *მაგარი კრიატივი კაცია ჩემი ლექტორი.*

კრიშა (რუს.) – 1. მფარველი, დამცველი. *ვინ არის მაგის კრიშა?* 2. გარკვეული სომის დამუშავებული ქვის ფილა. *კრიშა რამდენიანი უნდა?*

კრისა (რუს.) – პირი, რომელიც თავის თანამოსაქმეებსაც პარავს. *კრისა იყო და ყველა ცემდა კრისობისთვის.*

კროკო – ტოტალიზატორი. *კროკოში ვიყავი, ბილეთი გავაკეთე.*

კუდზე აზის – ადევნებული ადამიანი. *თურმე კუდზე აზის და ყველგან დაყვება, სადაც მიდის.*

კუდზე შეაჯდა – დაედევნა ფარულად. *კუდზე შეაჯდა და ყველაფერი გაშიფრა.*

კუდი – მოთვალთვალე. *კუდი არ აგყვეს ფრთხილად იყავი.*

კუკლა – მოსატყუებელი ორეული. *ათოხლა, კუკლა გაუკეთა და ოციათასის ნაცვლად, ორასი დოლარი მიცა.*

კურდღელი – მშიშარა ადამიანი. *კარგი კურდღელია ესეც, ჩვენთან არის მაგარი ვითომ.*

კურცხალი – სამონადირეო ძაღლი. *ჩემი კურცხალი გამორჩეულად მიყვარს.*

კუტოკი – საპატიმროში ერთად მაცხოვრებლები. *ერთი კუტოკი ვიყავით.*

კუჭის წვენი ამოუღო – მაგრად აკოცა. *კუჭის წვენი ამოუღე, მაშინ არ უთქვამს არაფერი და ლოყაზე კოცნაზე გაგიყდა?*

ლ

ლაგერი (რუს.) – გამოსასწორებელი კოლონია. *ლაგერში რომ ვიჯექით, არაყი შემოგვიგზავნა.*

ლავერაკი – სამონადირეო ძაღლი. *ლავერაკის ლეკვი ვიყიდე.*

ლაზარეთი – პატიმრების საავადმყოფო. *ლაზარეთში იყო წამოწოლილი და მაგაზეც წუწუნებდა.*

ლამაზო – არაფამილარული მიმართვა უცნობი ქალისადმი. *ლამაზო, ერთი წუთით დამელოდე.*

ლაპარაკი დაამთავრა – კანონიერი ქურდი გახდა. *ლაპარაკი დაამთავრა, გაბლატავდა.*

ლაპატნიკი – საფულე. *ლაპატნიკი გადაშალა, გატენილი ქონდა მწვანეთი.*

ლეტნათ არი (რუს.) – გიჟია. *ლეტნათ ხომ არ ხა, ძმაო.*

ლიანგი დათვი – დიდი დათვი. *ლიანგი დათვი გინადირია ოდეს-მე?*

ლიმონი – მილიონი. *ერთი-ორი მილიონი და აიწყობ საქმეს.*

ლიჩნად (რუს.) – პირადად. *ლიჩნად მე, გავდივარ თამაშიდან.*

ლობი – მფარველი, დამცველი. *ეგეთი ლობი რო მყოლოდა, მეც გავმართავდი ჩემს ბიზნესს.*

ლომების პარადი – ძლიერ ადამიანთა თავშეყრა. *იცი რა ხალხი იყო? – ლომების პარადი.*

ლომკები – კრუნჩხვები, რომელიც ნარკომანს ეწყება, თუ დიდი ხნის განმავლობაში ვერ მიიღო ნარკოტიკი. *ლომკები რომ დაწყო, მაინც შემცცოდა.*

ლულა – თოფის წინა ნაწილი. *ლულა გაებერა ჩემს თოფს.*

მ

მაგარი – ლამაზი, მშვენიერი ადამიანი. *მაგარი გოგო გაიჩითა ფართიზე.*

მაგარი ტიპი – გამოცდილი ადამიანი, რომელსაც იოლად ვერ მოატყუებ. *მაგარი ტიპია ბიძამისი.*

მაგარი უჭირავს – მტკიცედ, ყოჩაღად დგას, არ ეპუება. *ყოჩაღ, ბოლომდე მაგარი უჭირავს.*

მაგნუმი – იარაღის სახელწოდება. *მაგნიუმით ვიბრძოლე ბოლომდე.*

მაზავს – მიზანს აცილებს, ვერ იყენებს შანს. *მაზავს, სიტუაციებს ვერ იყურებს.*

მაზაჭიკი

მაზოლი – ერთ ადგილ'ზე კეთებისგან გაჩენილი შრამი. *მაზოლი გაუჩნდა უკეე, რას ელოდები, დაელაპარაკე.*
მაიაკი მიცა – ანიშნა. *გოგომ მიცა მაიაკი.*
მალულჩახმახიანი – თოფი, რომლის ჩახმახი არ მოჩანს. *მალულჩახმახიანით ნადირობს?*
მალიავა (რუს.) – წერილი. *მალიავა მოვიდა, ამ კაცს მიმიხედეთო.*
მამენტ (რუს.) – ზოგჯერ, საჭიროებისდა მიხედვით. *მამენტ მეც გამირისკავს.*
მანდრაჟი (რუს.) – შიში. *მანდრაჟი არ შეგეპაროს.*
მანი – ფული. *მანი არ მყოფნის, თორემ მეც ვიცი რაც უნდა გაეკეთო.*
მანქანები – ნემსები. *მანქანები წამოილე საკმარისად.*
მარკა აეწია – მისმა პრესტიჟმა იმატა. *ამ ამბის შემდეგ მარკა აეწია.*
მარიაჟი (რუს.) – პრანჭია, ყოყოჩი ადამიანი. *მარიაჟია, მართალია, მაგრამ კიღეც აქვს სამარიაჟოდ საქმე.*
მარიაჟობა (რუს.) – თავმომწონეობა, პრანჭვა-გრეხვა. *მარიაჟობას ნუ დამიწყებ, თუ ღმერთი გწამს.*
მარიხუანა – მოსაწევი ნარკოტიკი. *მარიხუანაზე დაიჭირეს, საცოდავი.*
მასა – დამნაშავეთა შეკრება რაიმე საკითხის გადასაწყვეტად. *მასა შეიკრიბა და გადაუწყვიტეს.*
მასწ – მიმართვა მასწავლებელს სკოლაში. *მასწ, გაკეთილი მოყოლით?*
მაყუთი – ფული. *მაყუთი მინდა და მოერჩები რემონტს.*
მაყუთი გაჭრა – ფული იშოვა. *მაგარი მაყუთი გაჭრა*
მაყუთს ღუნავს – ფულს შოულობს. *მაყუთს ღუნავს კარგად.*
მაყურებელი – საპატიმროში ზედამხედველი პატიმარი, რომელიც ქურდული წესებით ცხოვრობს. *მაყურებელი ვინც იყო, საერთოც იმას ებარა.*
მგელი – უშიშარი ადამიანი. *მგელი უნდა იყო, რომ გაუძლო ასეთ ცხოვრებას.*
მედვეჟადნიკი (რუს.) – სეიფის გამღები. *მედვეჟადნიკია ძეელი, მაგარია მაგ საქმეში.*
მელეხი – მდიდარი ადამიანი. *კაი მელეხი ქმარი იშოვა.*
მეორადები – ნახმარი ტანსაცმელი ევროპიდან. *მეორადებში არაფერს არაფერი არ უნდა იყიდო, რა ვი, მე ასე ვთქვი.*
მესტნი (რუს.) – ადგილობრივი. *ვინმე მესტნი თუ არ გყავს გვერდით, ისე მაგ ქალაქში არ გაგახარებენ.*

მიასუნინეს – მიუშვეს, გააკარეს. *მაგ თანამდებობაზე ვინ მიასუნინებს მაგას?*

მიაწვა – თავისი სათქმელი თქვა, გააკეთა. *რომ დაიწყეს კაჩავი, მიაწვა ბოლომდე თავის სიმართლეს.*

მიმწოლი – მისანსწრაფული ადამიანი. *მიმწოლია, ყველამ იცის და ყველას უყვარს.*

მინუსოვკა (რუს.) – ჩამონათვალის გაკეთებისას, რომელიმე გუნდის შედგების ვერგამოცნობის შემთხვევაში დასჯვევა. *მინუსოვკა გააკეთე, მაინც რამე რომ ჩატყდეს, დაზღვეული იქნები.*

მიქინძა – სქესობრივი ურთიერთობა დაამყარა. *ჯინაზე მიქინძა, მერე აღარც მოუკითხავს.*

მიჯნილლულიანი – ოფი, რომელსაც ღულები ერთმანეთის ზემოთ აქვს. *იუველირიანი არ გინდა, მიჯნილლულიანი წამოიღე.*

მკვდარია – დამთავრებულია, აღარ განმეორდება. *მკვდარია ეგ საქმე, ძმაო, გაიგე.*

მოაკეტინა – გააჩუმა. *ეუნაცვალე, კარგად უთხრა და მოაკეტინა კოლეც.*

მოაყომარა – მოაგვარა. *ეგ საქმე უკვე მოაყომარა, ახლა სხვა რამეზე ვისაუბროთ.*

მოაყუჩეს – დააპატიმრეს, ციხეში ჩასვეს. *მოაყუჩეს კარგ ადგილას.*

მობოლტეს – თანამდებობიდან გადააყენეს. *მაყუთის მოლუნვის გამო მობოლტეს.*

მოგრიალე – ქეიფის მოყვარული ადამიანი. *კაი მოგრიალე ბიჭი ყავს.*

მოგულავე – გართობის მოყვარული ადამიანი. *მოგულავე ეგ არ არის და რაში ხარჯავს ამდენს?*

მოდის – ნებადართულია? შესაძლებელია? *წამიყვანე ნაყინზე, მოდის?*

მოდღლეზილი – ტანად დიდი, ვეებერთელა. *ერთი მოდღლეზილი გოგოა, რა მოგწონთ მაგისი.*

მოეხაზა – ცუდად წაუვიდა საქმე. *ძალიან კარგი რომ მოეხაზა, ეელარ იბლატაეებს.*

მოთხარა – დაუჯერებელი რამ თქვა. *ყველაფერს ეელოდი, მაგრამ ეს რა მოთხარა.*

მოკეტა – გაჩუმდა. *მოკეტა, როგორც იქნა, ჩაიგდო ენა.*

მოკვდა ბაზარი – დაამთავრე ლაპარაკი. *მოკვდა ბაზარი, ამ თემაზე აღარ მსურს საუბარი.*

მოკრი (რუს.) – როცა მკვდარი არის საქმეში. *მოკრი საქმე თუ არის, უნდა უთხრა წინასწარ.*

მომავალი – პირი, რომელიც მალე უნდა გახდეს კანონიერი ქურდი. მომავალია, შენ ასე იოლად ნუ უყურებ მაგასთან ჩხუბს.

მომპარავი – ადამიანი, რომელიც ქურდობს. *რისი ბიზნესმენი, მომპარავი იყო.*

მორდა (რუს.) – ადამიანის სახე. *ჯერ რა მორდა ქონდა, მაშინვე უნდა მიმეხვდარიყავით ვისთან გექონდა საქმე.*

მორიელი ყავს ჯიბეში – ძუნწია. *მორიელი ხომ არ გყავს ჯიბეში, შენც იკისრე რამე.*

მორფინისტი – ადამიანი, რომელიც ნარკოტიკს იკეთებს. *გამოსწორებული მორფინისტი არ მინახავს.*

მორჩა ბაზარი – დაამთავრე ლაპარაკი. *მორჩა ბაზარი, წაეედით, დავიშალეთ.*

მოსაქაჩი – მოსაწევი. *მოსაქაჩი ხომ არ გეშოვება?*

მოსაყომარებელი – მოსაგვარებელი. *დროზეა მოსაყომარებელი ეს საქმე.*

მოსდო – გაარტყა. *ერთი კარგად უნდა მოსდო და მერე ეეღარ გაბედავს ეგეთ პასუხებს.*

მოსვეს – 1. არაფერი არგუნეს. *ნოლზე მოსვეს თანაც.* 2. მიუჩინეს. *თავის ადგილზე მოსვეს, დაისვენებს აწი.*

მოსულა? – თანახმა ხარ? *ეგ საქმე თუ გამოვიდა წავიდეთ ევროპაში, მოსულა?*

მოტეხა – 1. თანამოსაქმეს დაუმალა. *გიამ ეერც შენიშნა, ოსტატურად მოტეხა ამან.* 2. საქმეს ჩამოაშორა. *მაგ საქმიდანაც თუ მოტეხა, არ ვიცოდი.*

მოტვინა – მოისაზრა, მოიფიქრა, მიხვდა. *პატარაა, მაგრამ მოტვინა, ახლა წაელენ ესენიო და ჩამებლაუჭა.*

მოუთხარა – უთხრა. *ისეთი ტყუილი მოუთხარა, მგონი თვითონაც განცვიფრებული დარჩა.*

მოუსვა – გაიქცა. *მოუსვი ახლა აქედან, სანამ კარგ ხასიათზე ვარ.*

მოუხაზეს – თანამდებობიდან გადააყენეს. *მერსაც მოუხაზეს და ვიცემერსაც.*

მოუჯოკრა – აჯობა. *მისმა ძმამ მოუჯოკრა ლადავში.*

მოყნოსა – მიხვდა, იგრძნო. *მოყნოსა სიტუაცია და გაეცალა იქაურობას.*

მოყუჩდა – მყუდროდ მოეწყო. *იბუინა, იბუინა და რომ არ მიაქციეს ყურადღება, მოყუჩდა თავის ადგილზე.*

მოშნად – ძლიერად. *მოშნად არი დაზიანებული სახლი?*
მოშნი – დიდი, ძლიერი ადამიანი. *მოშნი პოლიციელი გაიჩითა უცებ და დაანება თავი ამანაც, გაეშვა.*
მოჩორტა – დაუჯერებელი რამ თქა. *რა მოჩორტა, გაიგეთ რამე?*
მოწვა – დაინახა, წაასწრო. *მოწვა მაგის გასალახად რომ მოდიოდა და მოტყდა იქედან.*
მრგვალი კოტა – პიუების დასაპრესი. *მერე მრგვალ კოტას დავადებთ და თითქმის მზად არის.*
მუდუ – ადამიანი, რომელიც მალულად აშავებს. *მაგიც კაი მუდუა, ნუ გეშინია, მამა აბრამის ბატკანი არ გეკაროს.*
მუჟიკი – მშრომელი ადამიანი, რომელიც ქურდულ მენტალიტეტს ატარებს.. *ორი მუჟიკი ახლდა ლაპარაკისას, ისინიც ისმენდნენ.*
მუსუსი – ქალების მოყვარული კაცი. *კაი მუსუსი არის შენი მეზობელი.*
მუტნი (რუს.) – მღვრიე ნარკოტიკი. *კაი წამალი იყო, მაგრამ მუტნი გამოუვიდა.*
მწვანე – დოლარი. *ორასი მწვანე უნდა თუ ლარი?*

ნ

ნაბიჭვარი – ნაბუშვარი. *მაგასთან არ ვილაპარაკებ, ნაბიჭვარია და თავს გამალახინებს.*
ნავაროჩენი (რუს.) – ავტომატური მოწყობილობები. *მანქანა ნავაროჩენია თუ ხელით იწერა მინები?*
ნადზორი (რუს.) – სასჯელის მოხდის შემდეგ მილიციის ზედამხედველობის ქვეშ ყოფნა. *ნადზორი გამოუცა თუ თავისუფალია?*
ნადზორჩიკი (რუს.) – საპატიმროში ზედამხედველი. *ნადზორჩიკმა დამინახა და ჩამიშვა რეჟიმთან.*
ნაისპუგ აიყვანა (რუს.) – შეაშინა. *ნაისპუგ აიყვანა და ყველაფერი ჩამოაყაჭინა.*
ნაკოლჩიკი (რუს.) – პირი, რომელიც ქურდებს ატყობინებს გასაქურდის მონაცემებს. *ნაკოლჩიკი თვითონაც მიდის ხოლმე საქმეზე.*
ნაკოლის მიცემა – გასაქურდი საქმის მიცემა. *ნაკოლი მიცა, მაყუთი იდებაო და არაფერიც არ დახვდათ.*
ნაპურალი – სანადირო ადგილი. *ნაპურალზე გაველით მეორე დღეს.*

ნარკომანი – პირი, რომელიც ნარკოტიკს მოიხმარს. *მთავარია ნარკომანი არ იყოს და უმუშევარს რა უჭირს.*

ნარკუშა – ადამიანი, რომელიც ნარკოტიკს იკეთებს. *ნარკუშა ბიძაა.*

ნარუშენიები (რუს.) – დარღვევები. *ნარუშენიები თუ არ გექნება, შეღავათები არის.*

ნასტირნი (რუს.) – ამპარტავანი. *იმანაც არ დაუთმო, ისიც ნასტირნი როჟა გამოდგა.*

ნაშა – სექსუალური გარეგნობის ქალი. *ნაშა ტიპების მოყვანა არის ახლა მოდაში.*

ნაჩალიჩარი – წვალებით ნაკეთები, საეჭვო, არაკანონირი ქმედების შედეგი. *რაც ქონდა ნაჩალიჩარი, ყველაფერი წყალში ჩაეყარა.*

ნახალკა შეტენა – ცილი დასწამა. *არ იყო მასე, ნახალკა შეტენა.*

ნახიშტარი – ჭირ-ვარამ გამოელილი. *კაი ნახიშტარია, არ ეტყობა?*

ნემსა – ტყვიას რაც ერტყმის. *ნემსა აქვს გაფუჭებული ჩემს იარაღს.*

ნერვები დაათხლიშა – ანერვიულა, ნერვები დააწყვიტა. *ნერვები დაათხლიშა ისე მოექცა.*

ნიანგი – უშნო, შეუხედავი ადამიანი. *ნილოსი დაშრა თუ ამდენი ნიანგი სად იყო?*

ნუცას სკოლა – სასწავლებელი, სადაც კარგი სწავლება არ არის. *სწავლობს კი არა, ნუცას სკოლაში დადის.*

ო

ოპიუმი – შავი ფერის ნარკოტიკული საშუალება. *ადრე, ანგიდრიდი რო იშოვებოდა, ძირითადად, ოპიუმს იკეთებდნენ.*

ორიანი – ტყვიის სახეობა. *ორიანი ესროლე?*

ორი იქსი – მოიგებს მეორე გუნდი, ან ფრე დამთავრდება. *მილანის ორი იქსი ჩაწერე.*

ორპირიანი – ორლულიანი თოფი. *ორპირიანი გაფუჭებული მაქვს, მეორე წამოიღე.*

ოტიდო – თავიდან ბოლომდე. *ოტიდო მომიყევი ყველაფერი, არაფერი გამოგრჩეს.*

ოქეი – ნებადართულია, კარგი. *შეეთანხმდეთ მაშინ, ხვალ გამოდი, ოქეი?*

ოჯახი – პატიმრები, რომლებიც საპატიმროში ერთად ცხოვრობენ. *ზონაშიც ოჯახებად არიან დაყოფილები.*

პ

პაბეგი (რუს.) – საპატიმროდან გაქცევა. *ციხეზე პაბეგის მოწყობასაც მაგას აბრალებენ?*

პადაგრეევი (რუს.) – საჩუქარი. *პადაგრეევი გაუკეთე თუ უანგაროდ დაგეხმარა?*

პადელნიკი (რუს.) – თანამოსაქმე. *მე და ჩემი პადელნიკი ვიყავით მისული სალაპარაკოდ.*

პადჟიგატელი (რუს.) – წამქეზებელი. *სკოლის პერიოდშიც მაგარი პადჟიგატელი იყო ნუგზარი.*

პადრანკა (რუს.) – დაჭრილი ფრინველი. *პადრანკა აეკრიბეთ და გავიყავით.*

პაზორი (რუს.) – სირცხვილი. *პაზორია მაგის გეერდით სიარული კი.*

პათხალიმი (რუს.) – მლიქვნელი, გაიძვერა ადამიანი. *პათხალიმია იცოდე, შენთან შენია, სხვასთან – სხვისი.*

პაი მიიღო – წილი მიიღო. *გეერდით დგომისთვის დააფასეს და პაი მიიღო.*

პაკა (რუს.) – დამშვიდობება. *პაკა, ხვალამდე.*

პალაჟენია (რუს.) – ქურდული მდგომარეობა საპატიმროში. *მაგარი პალაჟენია მოიყვანა რუსთავში.*

პალუნდრა (რუს.) – გასაფრთხილებელი შეძახილი. *იქ შეიძლებოდა პალუნდრაც, მაგრამ არ შეწუხა თავი.*

პანიკიორი (რუს.) – პანიკის ამტეხი. *ნუ ხარ პანიკიორი, არაფერი მომხდარა, რა გაყვირებს.*

პარაშა – საპატიმროს ტუალეტი. *პარაშას კამერაში თვითონ უყლიან.*

პაროდისტი (რუს.) – კარგი, ჯიშიანი ძაღლი. *პაროდისტი ძაღლები ყავს, ეგ რათ უნდა.*

პასილნოი (რუს.) – გასაგზავნი. *პასილნოი დღეს მანდა და არ მოკიდო ხელი.*

პასტუპკა (რუს.) – საქციელი. *არ არის ჩაშვება კაი პასტუპკა.*

პატკოპი (რუს.) – გვირაბის გათხრა. საპატიმროში. *პატკოპი გათხარეს და ისე მოხიეს პაბეგი.*

პატრონა (რუს.) – ტყეია. *პატრონები წამოიღე ბლომად, მე არ მომაქვს.*

პატრონტაჟი (რუს.) – ტყვიების ჩასაწყობი ქამარი. *პატრონტაჟი საესე მქონდა.*

პელენწუკა – უგემოვნო ადამიანი. *რა პელენწუკაა, ქალაქში ცხოვრებამაც არ უშველა.*

პერელიოტი (რუს.) – გადაფრენის პერიოდი. *პერელიოტზე ბლომად მწყერი მოეკალით.*

პერედაჩი (რუს.) – პატიმრისათვის ამანათის მიტანა. *პერედაჩი მიეუტანეთ ციხეზე და რიგში ეიდექით.*

პეტი – 10 წუთის მანძილზე არ შეუძლია შეუტიოს მოწინააღმდეგეს. *პეტი გაქვს ჩართული, თუ ბეზპეტია?*

პინგვინი – აბიტურიენტი, პირველკურსელი. *პინგვინებს ამეცადინებ?*

პირამიდა – ფრის მოლოდინში თანხის გაზრდა. *პირამიდას ვაგებ და მიმართლებს.*

პირველ ჩვენებას მიაწვა – ნათქვამი აღარ გადათქვა. *ბოლომდე მიაწვა პირველ ჩვენებას.*

პიჟები – ქაღალდი, ფისტონის საცობი. *რომ ისროლა, პიჟები ამოცვივდა.*

პლანი – მოსაწევი ნარკოტიკი. *პლანს ეწევა? – მგონი კი, ისეთი გამოშტერებულია.*

პლანს ქაჩავს – ნარკოტიკს ეწევა. *მთელი დღეები პლანს ქაჩავს და ბირჟაზე დგას.*

პოზა უჭირავს – ცდილობს თავი მოგაჩვენოს. *ისეთი პოზა უჭირავს, თითქოს მაგის ბრალი არაფერი იყოს.*

პოინტერი – სამონადირეო ძაღლი. *პოინტერი მიმყავს სანადიროდ.*

პონტი – საქმე, ამბავი. *არის რამე პონტი, რომ გამოვიდე?*

პონტი არ არის – არ გამოვა. *პონტი არ არის, არ გაეუქეთებ.*

პონტის აგდება – საქეიფოდ წასვლა. *მაგარი პონტი აეგდო, არ მეგონა თუ გამოვიდოდა.*

ოროხი (რუს.) – დენთი. *პოროხი გჭირდება ტყვიის დასამზადებლად.*

პრაევერკა (რუს.) – პატიმრების შემოწმება. *ციხეში პრაევერკა ყოველ დილა-სალამოსაა.*

პრაეი (რუს.) – მართალი, სიმართლის მოყვარული ადამიანი. *მთაეარია, შენ პრაეი ხარ ამ საქმეში და ვინ გაგამტყუნებს?*

პრაკოლი (რუს.) – 1. ნანემსარი. *პრაკოლები შემიმოწმეს და წამიყვანეს ნარკოლოგიურში.* 2. საქმის არ გამოსვლა. *საქმემ პრაკოლი დაარტყა.*

პრასვეტი (რუს.) – გ'სა, საშველი. *სხეა პრასვეტი არ არის არაყური?*

პრიამოი ძმა (რუს.) – ნამდვილი მეგობარი. *მაგასთან ყველაფერს გაგიკეთებ, ჩემი პრიამოი ძმაა.*

პრივეტ, პრივეტები (რუს.) – მისალმების ფორმა მეგობართან. *პრივეტები, გოგოებო, ხომ არ მოიწყინეთ უჩემოდ?*

პრიკოლი (რუს.) – გასართობი სახალისო რამ. *მოდი მაგარი პრიკოლები გაყურებინო.*

პრიკოლობს (რუს.) – სახალისო რამეს ჰყვება. *ნახე, დუტა რას პრიკოლობს.*

პრისტავკა (რუს.) – წაგებული თანხის ჩაბარების დრო. *ხვალისთვის პრისტავკა აქვს და იქნებ დავეხმაროთ.*

პრისტუპნიკი (რუს.) – დამნაშავე. *პრისტუპნიკი ბიჭია და რა ქნას?*

პრიხოდი (რუს.) – ნარკოტიკის მიღების შემდეგ პირველი რეაქცია. *უანგუდრიდოდ რა პრიხოდი ექნება, ვერ გაუძლებ.*

პროგრამა – საპორტული თამაშების ჩამონათვალი. *ტოტალიზატორიდან რომ წამოხვალ, პროგრამა წამომიღე.*

პრომიდოლი – მედიცინაში გამოყენებული ნარკოტიკული ნივთიერება. *პრომიდოლი, მორფი, ყველა სუფთაა, მაგრამ ვერ შოულობ.*

პროსტა (რუს.) – უბრალოდ. *ასე, პროსტა, არ წაეჩხუბებოდა, რაღაცაშია საქმე.*

პუზირი (რუს.) – ნარკოტიკის შესანახი შუშა. *პუზირში ჩაასხი და წაულე, ცოდოა, ლიმკაში კედება.*

პურის მჭამელი – ქეიფის მოყვარული ადამიანი. *მიყვარს კაი პურის მჭამელი ხალხი რომ შეიკრიბება.*

პუტიოვი (რუს.) – პირი, რომელიც მალე უნდა გახდეს კანონიერი ქურდი. *ეგ, რაც მახსოვს, სულ პუტიოვია, არ დაადგა საშველი.*

ჟ

ჟაკანი – ტყვიის სახეობა. *ჟაკანიც წამოიღე, გამოგვადგება.*

ჟმოტი (რუს.) – ძუნწი ადამიანი. *ჟმოტს უფრო მეტი ეხარჯებაო, არ გაგიგია?*

ჟმოტი ბაზარი – სიტყვაძუნწი. *ხო იცი, რა ჟმოტი ბაზარი აქვს, ესეც ძლივს ამოუტყაე.*

ჟოშკა – სიძუნწე, ეკონომიურობა. *ჟოშკა კი უყვარს ისე, არ არის გასაკეთირი კარგი რომ არ იყიდა.*

რ

რაზბორკა (რუს.) – საქმის გარჩევა. *დაიწყება ახლა რაზბორკები და ერთი ამბები.*

რა მასტია – როგორი ტიპია? *რა მასტია, ეინ ჯობია რომ დაეალაპარაკო?*

რამკების მტვრევა – ქურდული კანონების დარღვევა. *ეარდების რევოლუციის მერე მართლა დაიწყო რამკების მტვრევა.*

რამკიანი – კანონიერი ქურდი. *ისე ქურდია, თუ რამკიანია?*

რამსები აერია – თავის ჭკუაზე არ არის. *რამსები აერია და მე მეცა.*

რამსები არ აგერიოს – არაფერი შეგეშალოს. *რამსები არ აგერიოს, შეფს არ ეჩხუბო.*

რასტვორი (რუს.) – ხელოვნურად დამზადებული ნარკოტიკი თხევად მდგომარეობაში. *რასტვორი მაქვს, შენ გამოდი, მე ვერ წამოვიღებ.*

რასტრელი (რუს.) – დახვრეტა. *მაშინ რასტრელი გამოუტანეს, ფულის გაფლანგვისთვის.*

რა ჩამოსხმაა? – როგორი ტიპია? *რა ჩამოსხმაა? – მე დამეკასება?*

რეზბალნიცა – ციხის ქირურგიული საავადმყოფო. *რეზბალნიცაზე დროზე არ გადაიყვანეს და დაღუპეს ოჯახი.*

რეშკა (რუს.) – საკნის ფანჯარა. *რეშკასთან იყო მისი შპონკა.*

რვიანებს ხაზავს – მთვრალია და ბარბაცით დადის. *აქედან რო წაეიდა, რვიანებს ხაზავდა.*

რეჩი (რუს.) – ხანგრძლივი სიტყვა. *მაგარი რეჩი დაარტყა და წაეიდა.*

რიჟა ბაზარი – ტყუილს ლაპარაკობს. *რიჟა ბაზარი არ უყვარს და ეგრევე მიგიხვდება.*

როჟა (რუს.) – სახის გამომეტყველება. *მაგარი როჟაა, არა?*

როჟის შეკერვა – უმაყოფილო სახის მიღება. *ათასჯერ გავაფრთხილე, ნასვამი რომ ვარ როჟას ნუ მიკერავოქო.*

როჭო – ქათმის ჯიშის ფრინველი, რომელიც არ დაფრინავს. *როჭო ვინადირეთ და კმაყოფილი დავრჩი.*

რული (რუს.) – პირი, რომელიც დანაშაულის ჩადენისას საჭესთან სხის. *რული ეინ იყო მაგ საქმეში?*

რქებით აწევება – თავგამოდებით ებრძვის. *ისე მაგიც რქებით აწევება, თორემ შეიძლება მაგ საქმის ჩაფარხვა.*

რქები მოსტეხა – დაიმორჩილა. *მოტეხა რქები თავის ქმარს და ახლა ალარ ჩხუბობენ.*

ს

საბეჭდი – ფისტონის საცობი. *საბეჭდით ჩავტენეთ ფისტონი.*

საგილძე – ტყვიის შესანახი ყუთი. *საგილძეში დევს ტყვიები და ამოიღე.*

საერთო – თანხა, რომელიც იკრიბება დამნაშავეთა სამყაროსათვის. *საერთო ვისაც აბარია, არავინ არ უნდა იცოდეს.*

სათოხლაო – საჭმელი. *სათოხლაო არის რამე?*

საკაიფო – ლამაზი ადამიანი. *საკაიფო გოგოა, მაგრად მომწონს.*

სამსართულიანი – მეტისმეტად უხამსი გინება. *რო გაბრაზდება და გაუშვებს სამსართულიანს, ყურების დახუჭვა მოგინდება.*

სანატორიუმი – ციხე, კოლონია. *სანატორიუმი მოენატრა, დიდი ხანია არ უხვრია.*

სანჩასტი (რუს.) – სამედიცინო პუნქტი საპატიმროში. *სანჩასტში რომ მიიყვანეს, უკვე ბოდავდა იმხელა სიცხე ქონდა.*

საქმე ააგორა – რაღაც წამოიწყო. *ააგორა საქმე და ვნახოთ რა გამოუვა.*

საქმე გასკდა – დაფარული გამომჟღავნდა. *თევზის საქმე რომ გასკდა, მაშინ დააკავეს.*

საღოლ (ა'სერბ.) – ყოჩაღ. *საღოლ, მაგარი ბიჭი ხარ!*

საქმე ნახე – შემეშვი. *საქმე ნახე, რა შუმთვის არა მცალია.*

სასტროგო საქმე – დასაჭერი საქმე. *სასტროგო საქმეს ნუ დამაევალებ და სხვა რაც გინდა მთხოვე.*

საქმოსანი – ბი'სნესმენი. *საქმოსანი კაცია მამამისი, ეკონომიურად კარგად არიან.*

სეკენდ ჰენდი (ინგ.) – მეორადი ტანსაცმელი. *სეკენდ ჰენდში ყიდულობს ამ ბოლო დროს ტანსაცმელსაც, ძალიან უჭირს.*

სვაბოდა (რუს.) – პატიმრობიდან გათავისუფლება. *სვაბოდაზე რომ იქნება, მაშინ გასცემს საკადრისს პასუხს.*

სველი იარაღი – იარაღი, რომლითაც კაცია მოკლული. *სველი იარაღი სახლში რამ დაადებინა, დებილი ყოფილა.*

სველი საქმე –მკელელობა. *მახსოვს, სველი საქმე იყო ეგ.*

სვეტობს (რუს.) – ელიტარული ნაწილის წარმომადგენელივით იქცევა. *თავისი ჭკუით სვეტობს, მაგრამ სინამდვილეში გოიმია.*

სვიდანია (რუს.) – 1. პატიმარის პაემანი. *სვიდანია ქონდა ციხეში, შვილი უნდა ენახა.* 2. ნარკოტიკის აღების მოლოდინში წინასწარ დათქმულ ადგილსე ცდა. *სვიდანია აქვთ აქ ეტყობა, ნახე რამდენი არიან.*

სვიდანჩიკი (რუს.) – საპატიმროს თანამშრომელი, რომელსაც ევალება პატიმრისა და ნათესავების შეხვედრები საპატიმროში. *სვიდანჩიკს ადრე ფულს მიცემდი და ხელად შეგიყვანდა.*

სვოი – საქმის კაცი. *გაეშვი, სვოი ბიჭია, ვერ ხვდები?*

სილამცაღა – მონადირეების მისალმება. *სილამცაღა, დღეს შენც გეცალა გეტყობა.*

სირი – წაშტერო. *რომ შეხედავ არ ეტყობა რა სირია?*

სირისტიანი – ხშირად ვინც ავადმყოფობს. *მე ეგ ჯანმრთელი მეგონა და რა სირისტიანი ყოფილა.*

სიტყვაზეა – პირი, რომელიც მალე უნდა გახდეს კანონიერი ქურდი. *უკვე სიტყვაზეა, ყველაფერი ფინალამდე მიიყვანა.*

სიფათი – ადამიანის სახე. *ისეთი შეშინებული სიფათი ქონდა, მიეხვდი რომ რაღაც შეემთხვა.*

სიცხე აქვს – აფრენს. *ეგ რამ აფიქრებინა, მაგას სიცხე ხომ არა აქვს.*

სმოუგი – ხელყუმბარა, რომელიც ბოლს უშვებს. *სმოუგი იხმარე და ეელარ დაგინახავს.*

სნაიპი – გარეული ქათამი. *სნაიპი ვინადირე და ჩავხოხბოთ.*

სეტერი – სამონადირეო ძაღლი. *სამი სეტერი წავიყვანე სანადიროდ.*

სოროკი (რუს.) – სიგარეტის ნარჩენი. *სოროკი დამიტოვე, არ მინდა ბევრი მოვწიო.*

სპეცკამერა (რუს.) – ადგილი, სადაც ურჩ პატიმრებს ათავსებენ. *ნახევარი სტროგი სპეცკამერაში მოიხადა.*

სპრავედლივი (რუს.) – სიმართლის მოყვარული ადამიანი. *არ მიუდგება, თუგინდ შვილი იყოს, სპრავედლივია.*

სროკი აჰკიდა – ციხეში ჩასვა. *სანამ სროკი არ აჰკიდა არ მოისვენა.*

სტარტმანი – თამაშის დაწყებისას თანხის რაოდენობა. *სტარტმანი მაქვს ხუთასი.*

სტოსი მიყავს – ლიდერობს. *თავის ჯგუფში სტოსი ამას მიყავს.*

სტოიკა დაიყენა – გაიჯიმა, თავმომწონე პოზა მიიღო. *ნახე, რა ლამაზად დაიყენა სტოიკა.*

სტრაიკი – კომპიუტერული თამაშის დასახელება. *სტრაიკი მართლა მომიგო.*

სტრელკა (რუს.) – შეხვედრა დათქმულ ადგილზე. *სტრელკა ქონდა დანიშნული პადელნიკებთან.*

სტროგი (რუს.) – სასჯელი. *სტროგი ბოლომდე მოიხადა, არფერი შეხებია.*

სტუკაჩი (რუს.) – დამსმენი ადამიანი. *სტუკაჩია, პირველი შემოხვევა კი არ არის.*

სუდია (რუს.) – მოსამართლე. *სუდია ქალი იყო და შევიდა მის მდგომარეობაში.*

სუკა (რუს.) – დამსმენი ადამიანი. *სუკაა ჩამოყალიბებული, კანარეიკა ადგას თავზე.*

სუფთად მუშაობს – დანაშაულის ჩადენისას კვალს არ ტოვებს. *მაგარი სუფთად მუშაობს, არაფერი ეშლება.*

სუფთა – მედიცინაში გამოყენებული ნარკოტიკული საშუალება. *ეგ მხოლოდ სუფთას იკეთებს.*

სუხარი – იბრალებს იმას, რაც არ არის. *ზონაში რომ შევიდა ყველამ იცოდა სუხარი რომ იყო.*

სხადნიაკი (რუს.) – კანონიერი ქურდების შეკრება. *სხადნიაკზე იჩხუბეს პირდაპირ.*

სხოტკა (რუს.) – დამნაშავეთა შეკრება რაიმეს გადასაწყვეტად. *სხოტკაზე გამოუტანეს განაჩენი.*

ტ

ტაკოი (რუს.) – კარგი, მოდური, სვეტი. *ძაან ტაკოი გოგოა, უბრალოდ არა.*

ტაიმბოლი – თუ პირველი ტაიმის შედეგსაც გამოიცნობ და საბოლოო შედეგსაც. *ტაიმბოლი გაეარტყი, მოვიგე კარგად.*

ტაპასკვერა – დაბალი, სუსტი გოგო. *ტაპასკვერა პირველი ცოლიც კი ყაიდა, ეგ რაგად უნდოდა.*

ტარიანი – პაპიროსი, რომელსაც ნარკოტიკის მოსაწევად იყენებენ. *ტარიანი დაითრიე და ამოდი ჩემთან.*

ტასაობს – სეირნობს. *თავისთვის ტასაობს, რა შენიშნე საეჭვო მას?*

ტასკა (რუს.) – ნარკოტიკის ხსეგაველენის პერიოდი. *ტასკა მქონდა და ტელევიზორს ვუყურებდი.*

ტექნიკური შედეგი – დარღვევის გამო რომელიმე გუნდისათვის ქულების მინიჭება. *ტექნიკური შედეგი არ იწერება ბილეთში.*

ტეხაეს – განწყობილებას აფუჭებს. *მე რა, შენთვის არ ტეხაეს, იქ რომ მოვიდეს?*

ტვინიკოსი – ძალიან ნიჭიერი. *ტვინიკოსი ნამდვილად არ არის, მაგრამ ბევრითი ბავშვია.*

ტიპი (რუს.) – ადამიანი. *რას ვიფიქრებდი ასე თუ გაბრაზდებოდა, რომ შეეხედე, დებილი ტიპი მეგონა.*

ტიპშა – მდედრობითი სქესის ადამიანი. *ლამაზი არ იოქმის, მაგრამ კარგი ტიპშაა*

ტო (სომხ.) – მიმართვის ფორმა. *არ მინდა ტო, მაგის დარეკვები.*

ტობე (ებრ.) – კარგი. *ტობე ბიჭი ხარ, დაგენაცვლე.*

ტორსოს დაგება – ხაფანგის ნაწილი. *ტორსოს დაგება მინდოდა ხაფანგზე.*

ტოტალიზატორი – ადგილი, სადაც შედიან, ქვითარს ავსებენ და სანაძლეოს დებენ. *ტოტალიზატორში მივდივარ, ბილეთის დასაწერად.*

ტოტალიზატორი დაიგრუზა – ტოტალიზატორში დიდი თანხის დადება რომელიმე თამაშზე. *დაიგრუზა ტოტალიზატორი და ხომ არ დაგეუზღვია?*

ტოფობა – ორაგული რომ შემოდის ზღვიდან მდინარეში ქვირითის დასაყრელად. *ტოფობა და არ შეიძლება თევზაობა.*

ტრიპაჩი (რუს.) – მკვეხარა. *ტრიპაჩი რომ გიყვარს, იმიტომ წაამტერიე ცხვირი.*

ტრუბაში გააძვრინა – ძალიან გააწვალა, დიდი სიძნელეები შეუქმნა. *მე ისე მაწვალა გამოცდაზე, ტრუბაში გამაძვრინა.*

ტრუპი (რუს.) – 1. გარდაცვლილი. *რამდენი ტრუპი ყავს აკიდებული, მაგას ცოდვები არ გაახარებს.* 1. მომაკედავი ადამიანი. *კი ენახე, მაგრამ ტრუპია, რა, დღეს-ხვალ აღარ იქნება.*

ტრუსიკის ძმები – უახლოესი მეგობრები. *ტრუსიკის ძმები არა ვართ, მაგრამ ნამდვილად ვმეგობრობთ.*

ტრუხა (რუს.) – უხარისხო, უვარგისი. *ტრუხა პლანი მომაწევინა, იქნებ შენ გქონდეს რამე*

ტუბი – ტუბერკულოზი. *ტუბი ჭირს, თუ იცი?*

ტუბიკი – ტუბერკულიოზით დაავადებული ადამიანი. *ტუბიკია მაგის ძმა.*

ტუზი დაეცა – ბედმა გაუღიმა, გაუმართლა. *ბიძა გამოუჩნდა მელეხი, ტუზი დაეცა.*

ტულკა (რუს.) – ყველაზე გავრცელებული და იაფიანი თოფი. *ეგ წინა საუკუნეში ჩარჩა, კიდე ტულკათი ნადირობს.*

ტუფტა (რუს.) – ყალბი. *ტუფტა საბუთების დამზადებისთვის დაიჭირეს.*

ტყავი – რომელშიც დევს საერთო თანხა და თანხის მიმტანთა სია. *ტყავი ებარა თურმე და ჩხრეკისას უპოვეს.*

უ

უბედურის ერთი – თავსხელაღებული, გაიძვერა. *ეგ უბედურის ერთია, რაც ცუდი რამ ხდება ამ ჯგუფში მაგის მოფიქრებულია.*

უვერენი (რუს.) – დარწმუნებული. *უვერენი ხარ, რომ ეგ აიღებდა?*

უპლაკუნებს – ეწევა. მთელი *დღე უპლაკუნებს სიგარეტს, ცოტა უნდა?*

უპოდლა (რუს.) – უმუხთლა. *უპოდლა პაღელნიკმა და ჩააცვა პალასატი.*

უპრაგონოდ – დაუდევრად, ანგარიშმიუცემლად. *უპრაგონოდ სიარული იცის და მაზარება მაგასთან ერთად წასვლა.*

უსტვენს – აფრენს, სულელია, გიჟია. *უსტვენს ეგ, კარგა ხანია უკვე ცრეა.*

ფ

ფაიზაღი – მართალი, ნაღდი. *ფაიზახი მითხარი, როდის მოხვალ?*

ფალასკა – წელზე შემოსარტყმელი ტყვიების ჩასაწყობი. *ფალასკა მერტყა, მაგრამ ტყვიები არ მეწყო*

ფანტანმა დაარტყა – სისხლის დენა ტუპერკულოზის დროს. *უკანასკნელ დღეშია, უკვე ფანტანმა დაარტყა.*

ფაქტზე დაწვა – დანაშაულზე წაასწრო. *ფაქტზე დაწვა, არაფერი უშველის.*

ფაქტი – შეძენილი ნარკოტიკი. *ფაქტი მართლა ქონდა თუ გაფაქტეს?*

ფაშისტი – მდიდარი. *ფაშისტი ეგონა და იქით სარჩენი გამოდგა.*

ფაჩიკოს გარმონივით დაიშალა – ადვილად დაიშალა, დაინგრა. *ისეთი ნაშენები იყო, ერთი რომ მიაწვა, ფაჩიკოს გარმონიებით დაიშალა.*

ფეხზე მკიდია – არ მაინტერესებს. *მე სულ ფეხზე მკიდია მაგის აზრი.*

ფეხი – ადამიანი, რომელიც პატიმრებს ემსახურება გასამრჯელოს გამო. *ფეხი არა ყავს, დააბარონ და გაუგებს.*

ფეხი არ ჩაუვიდა – ვერ შეძლო. *კი უნდოდა ევროპაში გაძვრომა, მაგრამ ფეხი არ ჩაუვიდა.*

ფირმენი – უცხოური. *ეს ფირმენი ბლუდაა, მგონი ფრანგული.*

ფისტოლი – ასაფეთქებელი. *ფისტოლი კიდე დაამატე.*

ფლეიოფების სისტემა – ფრეს შემთხვევაში პენალტების სერია. *ფლეიოფების სისტემა არ მგონია რომ გამართლებულია.*

ფლეში – ხელეუმბარა, რომელიც ეკრანს ათეთრებს. *ფლეში თუ იხმარა, ეელარ შეხედაე იქით რა ხდება.*

ფომარი – იარაღის სახელწოდება. *ფომარი აიღე, ემცე არ გინდა.*

ფორტოჩნიკი (რუს.) – პირი, რომელიც ძირითადად ბინებს ძარცვავს. *ფორტოჩნიკი იყო, თუ დაყენებაც შეეძლო?*

ფორცი – პოლიციელი. *ფორცები არ არიან ამ თამაშში, რომ არ ჩანან?*

ფორხილობს – ცდილობს რაიმე გააკეთოს. *რას იზამს, ფორხილობს რაგაცეებს, თუ გამოუვიდა.*

ფრაერი (რუს.) – ადვილად მოსატყუებელი ადამიანი. *მე ვიგაც ფრაერი ვეგონე ეტყობა.*

ფრეზე გაყრით – ფრე თუ დამთავრდა გიბრუნდება თანხა. *ფრეზე გაყრით დაწერე და დაზღეულიც იქნები.*

ფრიზტაიმი – რამდენიმე წუთი გაუნძრეველ მდგომარეობაში ყოფნა. *ფრიზტაიმი აქვს, თუ რატომ არის გაშეშებული?*

ფსონი – თანხა. *ფსონი რეალზე დადე?*

ფუმფლი, ფუმფლოჭიკი – ადამიანი, რომელიც თანხას წააგებს და დათქმულ დროს ვერ მიიტანს. *ახლა კიდეც რომ გადაიხადოს, მაინც ფუმფლია.*

ფუმფლოში გადახტა – წაგებული თანხა ვერ გადაიხადა. *გაეიგე, შენი მეზობელი ფუმფლოში გადახტა, ვერ გადაიხადა?*

ფუმფლო დააკატავა – წაგებული თანხა ვერ გადაიხადა. *ფუმფლო თუ დააკატავა ჩემი სახელი აღარ ახსენოს.*

ფუქსი (რუს.) – მცირე ზომის სპეცკამერა, რომელშიც ფეხზე უნდა იდგე. *ეტაპის დროს ფუქსში ჩასვეს.*

ფხეკიანი ქაშნარი – ირმის საცხოვრებელი ადგილი. *ირმები ფხეკიან ქაშნარში უფრო ცხოვრობენ.*

ქ

ქალანი – ფულიანი ადამიანი. *ქალანია მამამისი.*

ქაუნთერი – კომპიუტერული თამაში. *ქაუნთერი მაგრად დაეამუღამე.*

ქაუნთერ სტრაიკი – კომპიუტერული თამაში. *ქაუნთერ სტრაიკს ვთამაშობდით.*

ქაჯურად – უგემოვნოდ. *ქაჯურად ეცვა ყოველთვის.*

ქეთინო – ქალურად ნაზი მამაკაცი. *როგორი ქეთინო ყოფილა ეგ ბიჭი.*

ქეში – ნარკოტიკის მწეველი. *კაი ტიპია, მაგრამ უბედური ქეშია.*

ქვავი – კომპიუტერული თამაშის სახეობა.

ქვაზე დახატულ ეშმაკს გავს – უშნოა. *შემიწუხდა გული რომ ვუყურებდიო, ასე თქვა ქვაზე დახატულ ეშმაკს გავსო.*

ქვეშიდან გამოვიდა – დაძერა. *თვითონ ატეხეს ამბავი და მერე ქვეშიდან გამოვიდნენ.*

ქილორი – ხოხობი. *მამალი ქილორი იყო და ვერ გავიმეტე მოსაკლავად.*

ქლიავი – წაშტერო. *მეცოდება, ქლიავია და რა ქნას?*

ქსივა – 1. საპატიმროდან გაგზავნილი შეტყობინება. *ქსივა გააგზავნა ზონიდან კრიტში.* 2. მოწმობა, საბუთი. *მაშინ მხედრიონის ქსივა ქონდა და მაგრად ჭრიდა.*

ქოქავს – აქეზებს. *ეგ სულ ქოქავს თავის ქმარს, რომ მაჩხუბოს, მაგრამ არ გამოუვიდის არაფერი.*

ქურდად მოინათლა – კანონიერი ქურდი გახდა. *ამბობენ, ქურდად მოინათლაო, შენც გაიგე?*

ღ

ღადაობს – ხუმრობს. *რას ღადაობს, რომ იჩოცებით სიცილით?*

ღადო – იუმორის გრძნობით დაჯილდოვებული ადამიანი. *კაი ღადო ხარ შენც*

ყ

ყანა – სოფლელი. *სულყოთა ყანაა მაგის ქმარი.*

ყელი გამოიგლიჯა – ძალიან სთხოვა, შეეხვეწა. *ყელი გამოიგლიჯა, შემეცოდა და გავუკეთე.*

ყელის მოკეტვა – ნადირს წინ რომ დაუხვდები. *ყელი მოეუკეტეთ და მაინც მოვკალით.*

ყელში ჩანგლებს იყრის – დიდ ვინმედ მოაქვს თავი. *ყელში ჩანგლებს იყრის, როცა ძმა უდგას გვერდით.*

ყველამ თავის მამიდას მოუაროს – ყველამ თავის საქმეს მიხედოს. *იცი, ყველამ თავის მამიდას მოუაროს, ჩემი საქმის მე ვიცი.*

ყისმათი – იღბალი. *ყისმათიანები არიან ებრაელები ვაჭრობაში.*

ყომარბაზი – პირი, რომელიც თანხაზე თამაშობს. *ძველათ მაგათ ყომარბაზები ერქვათ.*

ყომარი – აზარტული თამაში. *ყომარი აქეთ გორაზე, ავიდეთ.*

ყომარობს – თამაშობს. *ყომარობს ტოტალიზატორში?*

ყოფა ეტირა – შავ დღეში ჩავარდა, ცუდად წაუვიდა საქმე. *ასე უღმერთოთ რომ ექცეოდა ყველას, იმიტომაც ეტირა ყოფა.*

შ

შავი გაგება – ქურდული აზროვნება. *შავი გაგების კაცი იყო, ახლა წითელი გახდა.*

შავი მასტი – დამნაშავეთა სამყაროს წარმომადგენელი. *შავი მასტები უფრო დაგეხმარებიან უფრო მაგ საქმეში.*

შავი ფული – უკანონო თანხა. *შავი ფული აქვს, ვერ ახერხებს.*

შაკალი (რუს.) – ადამიანი, რომელიც განგებ გიშავებს რამეს. *შაკალი ბიჭია, მაგას ყველაფრისთვის პასუხს ვაგებინებ.*

შამპო – შამპანური. *შამპო გახსენი ჩემი პატივისცემა თუ გინდა.*

შანსაიკი – მოხერხებული, მარჯვე. *ეგ დაიყენე გვერდით, შანსაიკია და შენც გაგიმართლებს.*

შანსმაისტერი – ადამიანი, რომელიც საქმეს აგვარებს ნებისმიერი ხერხით. *შანსმაისტერი არის, ხედავ ეგ საქმეც კი მოაგვარა.*

შანსპეპელა – ადამიანი, რომელიც საქმეს აგვარებს ნებისმიერი ხერხით. *შანსპეპელაა ნამდვილი, ნახე, რა საქმე მოაგვარა?*

შარაფი – ქეიფი. *შარაფი გვეასება?*

შარაფისტი – ალკოჰოლური სასმელების მოყვარული ადამიანი. *შარაფისტი ნუ იქნება, თორემ თავს მოგაბეზრებს.*

შატალოზე წასვლა – გაკვეთილების უნებართვოდ გაცდენა. *შატალოზე დადიოდი სკოლაში?*

შაყირი – ხუმრობა, მასხრობა. *მაგარი შაყირი იყო, ძაან ვიხალისეთ.*

შაყირისტი – ვისაც მასხრობა, ხუმრობა უყვარს. *შეიყარენ შაყირისტები და დაგვხოცეს სიცილით.*

შეაბა – მოხიბლა, დაითანხმა. *იმდენი ექადანა, შეაბა ბოლოს.*

შეაწერა – ძალით გადაახდევინა. *შეაწერა ფული და მანქანა.*

შეაჭრა – სწრაფად შეიცდა. *რომ გაიგო რაც ხდებოდა, პირდაპირ შეაჭრა დირექტორთან.*

შებერტყილი – მლიქვნელი, ჭკვიანი ადამიანი. *შებერტყილი კაცია, ეგრე იოლად ვერ მოატყუებ.*

შეეკრა – დაუკავშირდა. *ახლა მოწინააღმდეგე ჯგუფს შეეკრა.*

შეეტენა – იძულებული გახადა დაქორწინებულიყვნენ. *შეაშინა და შეეტენა, მაგრამ მერე მშვენივრად შეეწყვნენ.*

შეკეთებული – პაპიროსი, რომლის თუთუნში ნარკოტიკია გარეული. *შეკეთებული თუ გაქვს უცებ გადმომეცი.*

შეკრული – დამსმენი ადამიანი. *შეკრულია ძალლებთან, მგონი.*

შემობრუნდა თამაში – იგებს გუნდი, მაგრამ მოულოდნელად ბოლოს წააგებს. *ცოცხალზე დადე, მაგრამ რომ შემობრუნდეს თამაში?*

შესტიორკა (რუს.) – ადამიანი, რომელიც სხვას ემსახურება. *შენ სულ ვილაცის შესტიორკა იყავი ხონაში.*

შეტენა – ერთის მიერ ჩადენილი დანაშაული სხვას გადააბრალა. *არ იყო მაგის ბრალი, მაგრამ შეტენეს.*

შეტოპა – სჯობია. *მაგან ძალიან შეტოპა, თავი არ დაიღუპოს.*

შეუცურა – შეაპარა. *მეორედ რომ გადაუთვალა, თან შეუცურა ყალბი მწვანეები.*

შეუძერა – გამიზნულად დაუახლოვდა. *შეუძერა, როგორც წინა დირექტორს და იმანაც დააწინაურა.*

შეჭამა – თავი მოაბეზრა. *შეჭამა კაცი, ოგონდ ეგ არ დაენახა და ანუქა საერთოდ.*

შიგა აქვს – აფრენს. *მაგას შიგა აქვს, არც დაველაპარაკებოდი შენს ადგილზე.*

შიკარნად (რუს.) – მდიდრულად. *შიკარნად ცხოვრება ყველას უნდა, მაგრამ უნდა დაიმსახურო.*

შიკი – ბრწყინვალება, დიდებულება, ფუფუნება. *შიკ მოდაა, აიღე, ყველა მოგიწონებს.*

შიპიტი – ჩხუბი. *შიპიტი აიწიადა წამოეყიდი.*

შიშკა – მაღალი თანამდებობის პირი. *შიშკა ხალხი იქნება მაგის დაკრძალვაზე.*

შკაფი – დიდი ტანის ადამიანი. *თუ ვინმე შკაფია, ყველა წამოიყვანე, ჩხუბი იქნება.*

შკოდნიკი (რუს.) – პირი, რომელიც თავის თანამოსაქმეებსაც პარავს. *კაი ბიჭი მეგონა, თურმე შკოდნიკი ყოფილა.*

შმონავს (რუს.) – ჩხრეკს. *ყოველ გარეცხვაზე შმონავს შარვლის ჯიბეებს.*

შმონი (რუს.) – ჩხრეკა. *შმონი რომ ჩაატარონ, დაერხევა.*
შმოტკა (რუს.) – ტანსაცმელი. *იყიდე შმოტკა და დამასვენე.*
შნიაგა (რუს.) – ტყუილის თქმა. *შნიაგა არ უტყდება?*
შნირი (რუს.) – პატიმრის მოსამსახურე. *შნირი იმისთვის არის, თორემ ვისაც მოესურვება, ყველას კი არ ემსახურება.*
შოკო – შოკოლადი. *შოკო არ არის დარჩენილი?*
შპანა (რუს.) – ახალგაზრდა ბიჭები ერთად. *გახედე, შპანა დგას და ჩანთას მიხედე.*
შპარგალკა (რუს.) – ჩანაწერი, რომელსაც მალულად იყენებენ გამოცდაზე. *შპარგალკა წაართვა ზედამხედველმა და გამოაგდო გამოცდიდან.*
შპილკები (რუს.) – გესლიანი შენიშვნები, რეპლიკები. *შპილკებს მიყრის.*
შპიონი (რუს.) – დამსმენი ადამიანი. *შპიონია და მასწავლებელს უთხრა იწერსო.*
შპონკა (რუს.) – ციხის ორსართულიანი საწოლი. *ზედა შპონკაზე იწექი.*
შტირი (რუს.) – დანა. *შტირი გაუყარეს და ვერ გადარჩა.*
შტუკა გააძრო – ოინი ჩაიდინა. *ისეთი შტუკა გააძრო, ირგვლივ მყოფნი გაოცებულნი დარჩნენ.*
შურთხი – გარეული ფრინველი. *შურთხი თუ ინადირო, მეც გამიხსენე.*
შუშაბანდებიანი – სათვალეებიანი. *შუშაბანდებიანი ხარო, ასე ვეძახდი ბავშვობაში.*
შუშუ – სულელი. *შუშუა აბა ნორმალური ეგრე მოიქცეოდა?*
შუხერი (რუს.) – პირი, რომელიც გაქურდვისას გარეთ რჩება. *შუხერზე სულ მაგას აყენებდნენ, ქარგი თვალი ქონდა.*
შუხური – ჩხუბი. *ატყდა იქ შუხური, გაიჩითნენ ძალლები.*
შხვართი – სუსტი, მაღალი გოგო. *რომ შეხედა, კი იყო შხვართი და ხასიათი რა იცოდა.*

ჩ

ჩააელო – დაიჭირა, გამოიჭირა. *სწორედ მაშინ ჩააელო, როცა არ ელოდა.*
ჩააპარკოვკა – მანქანა დააყენა. *ჩააპარკოვკე მანქანა და შემოდი, ფოიეში გელოდები.*
ჩააწყო – ნაცნობობით ან გარიგებით მოახდინა საქმის გაკეთება. *ჩააწყო მაგ თანამდებობაზე მოხვედრა, ფაქტია.*

ჩაბარება – დათქმულ დროს თანხის მიტანა. *წაგებულს ჩაბარება უნდა.*

ჩაგეთვალა – კარგად გამოგივიდა. *ჩაგეთვალა, კარგი ბიჭი ხარ, ყოჩაღ.*

ჩათლახი (ა'ხერბ.) – მლიქვნელი, ბოროტი, გაიძვერა. *ჩათლახი კაცია, ყველას ეზარება.*

ჩაიგდო ენა მუცელში – გაჩუმდა. *რა ალაპარაკებდა, ვერ ჩაიგდო ენა მუცელში?*

ჩაისვარა – თავი შეირცხვინა. *ისეთი რეკომენდაციით მოვიდა და როგორ ჩაისვარა.*

ჩაიშმოტკა – ლამაზად, მოდურად ჩაიცვა. *ჩაიშმოტკა და ქორწილში წავიდა.*

ჩაიციკლა – რაღაც აიჩემა, დაიჟინა. *ჩაიციკლა, მოტოციკლეტი უნდა ვიყიდოო.*

ჩალიჩობს – 1. ცდილობს რამე გააკეთოს. *ჩალიჩობს, მაგრამ არაფერი გამოდის.* 2. მუშაობს. *ჩალიჩობს ცოტ-ცოტას და შოულობს ფულს. უპონტო პონტის პონტად ქცევა არის ჩალიჩი.*

ჩამშვები – დამსმენი ადამიანი. *ჩამშვებია და ერიდე.*

ჩანგალზე წაყვანა – დაუპატიჟებლად წაყვანა. *ჩანგალზე წაიყვანე, თუ არ დაპატიჟებენ.*

ჩაო – დამშვიდობება. *ჩაო, ხვალამდე.*

ჩართო – ბევრი ილაპარაკა. *რო ჩართო, ვეღარ გამოვრთეთ.*

ჩასასტავდა – სასტავის წევრი გახდა. *იმდენი იჩალიჩა, ჩასასტავდა მაგათთან.*

ჩატყდა – მოსალოდნელი შედეგი არ გამართლდა. *ჩატყდა თამაში და დარჩა წაგებული.*

ჩანგალისტი – სუფრასთან მოსული დაუპატიჟებელი ადამიანი. *ჩანგალისტები იყვნენ ბლომად და ადგილები არ ეყოთ.*

ჩაუწყო – შექმნა ხელოვნურად სიტუაცია ვიღაცის სასარგებლოდ ან საწინააღმდეგოდ. *საქმე ჩაუწყო და მიარებინა სამსახურში.*

ჩაქცეული – ძალიან მდიდარი. *კომუნისტების დროს ჩაქცეულები იყვნენ.*

ჩერესჩურ (რუს.) – მეტისმეტად, ძალიან. *ჩერესჩურ გადააჭარბა და ყველამ მიაქცია ყურადღება.*

ჩერეზ ძმა – ძმაკაცის ძმაკაცი. *თუ რამე დაგჭირდეს, ჩერე'ზ ძმაა და შეაწუხე.*

ჩერნიაშკა (რუს.) – ოპიუმი. *ჩერნიაშკა მაგრად მეყასებოდა, მაგრამ გაწყეტეს.*

ჩესტნი (რუს.) – მართალი, სიმართლის მოყვარული ადამიანი. *ჩესტნი კაცია ეგ, ტყუილს არ იტყვის.*

ჩეტერები – პროგრამა, რომლითაც იოლად კლავ მოწინააღმდეგეს. *ჩეტერებში თუ თამაშობ, მოგებას რა უნდა.*

ჩვენებური – ქურდული კანონებით მცხოვრები ადამიანი. *ჩვენებურია მაგი და ეუჯერებ კიდეც მაგის სიტყვას.*

ჩმორი (რუს.) – უხეირო, მშიშარა. *ჩმორია და იმიტომაც აჩმორებენ, სულ უკან იხევს ხოლმე.*

ჩორტის ჩაგდება – განზრახ ისეთი რამის გაკეთება, რაც ადამიანებს ერთმანეთს წაკიდებს. *ჩორტის ჩაგდება ეხერხება და მერე სეირს უყურებს.*

ც

ცარსკოე (რუს.) – იხვის სახეობა. *ცარსკოე ვერ ვინადირეთ, შაი იყო.*

ცვენაა – ბევრია. *ლამაზი გოგოების ცვენა იყო, ვერ წამოდი?*

ცვეტნოი ამბავი – ნამდვილი ამბავი. *ცვეტნოი ამბავს გიყვები, კი არ ვგლახაობ.*

ცრუპენტელა – მატყუარა. *ცრუპენტელა ბავშვია, სულ ეჩხუბება დედა.*

ცხენი – ძალიან მაღალი გოგო. *ცხენია, ქალურობის არაფერი აქვს.*

ცხრა მთავრობის აფერისტი – გაქნილი ადამიანი. *მაგისი არ დაიჯერო, ცხრა მთავრობის აფერისტია.*

ცხრა ნომერი გლეხი – ჩამორჩენილი ადამიანი. *დედამისც ცხრა ნომერი გლეხია და მამამისიც, ეგ სეტი საიდან გამოეიდოდა?*

ძ

ძაან ეგეთი – ლამაზად, მოდაზე ჩაცმული ადამიანი. *ძაან ეგეთი ტიპია, მაგარია.*

ძაან ნიტო – შეუსაბამო, არასასურველი. *ძაან ნიტო ბიჭია, თორემ კიდე დავხუჭავდი თვალს.*

ძაღლი – პოლიციელი. *ძაღლები გაეცინათ და გაეიქცა.*

ძველბიჭური – ძველი ბიჭისთვის დამახასიათებელი. *ძველბიჭური ქცევები ქალისთვის აუტანელია.*

ძველი ბიჭი – კანონიერი ქურდი. *ძველი ბიჭია, უბანს კარგს ხელავს.*

ძონძები – ნახმარი ტანსაცმელი. *ძონძებშია გაჭრდილი და ახლა გაეხსნა მადა.*

წ

წაამსევა – წაიყვანა. *მამამისმა წაამსევა, მთერალი იყო.*
წააყარა – ცემა. *წააყარა თავზე გემრიელად.*
წაეიაზვა – გესლიანად გადაუკრა სიტყვა. *წაეიაზვე შენც, როგორც თვითონ იცის.*
წაენასტირნა – გესლიანად გადაუკრა სიტყვა. *წაენასტირნა და გაალახინა თავი.*
წაიპაკაზუხა – სხვის დასანახად, თავის გამოსაჩენად გააკეთა რაღაც. *წაიპაკაზუხა და შამპანურებიც მაგას მოატანინეს, ფულიანი ეგონათ.*
წაიძველბიჭებს – ცდილობს ძველ ბიჭებს მიბაძოს. *ვითომ წაიძველბიჭებს.*
წაკლა – საძაგელი გოგო. *წაკლაა, არ მიყვარს.*
წამალი – ნარკოტიკული საშუალება. *წამალი ქონდა გაკეთებული და ცუდად იყო.*
წამალზე ზის – ნარკოტიკ'სეა დამოკიდებული. *წამალზე ზის უკვე ათი წელია.*
წამალზე შეჯდა – ნარკოტიკ'სე დამოკიდებული გახდა. *იმ ამბის მერე შეჯდა წამალზე.*
წამლის საწყავი – დენთის საწყავი. *წამლის საწყავში დარწყე.*
წამოყენება – კანონიერი ქურდობის კანდიდატად დასახელება. *ნეტა ვინ წამოაყენა ეგ რეგვენი?*
წაუზასა – ტუჩებში აკოცა. *ისე წაუზასა, კუჭის წვენი ამოჰყლო.*
წეპა – დაარტყა, წაუთაქა. *ერთი კარგად წეპა თავში.*
წილში ჩაუჯდა – მოწილე გახდა. *საქმეც მოუგვარა და წილშიც ჩაუჯდა, რა წააგო?*
წიწკეი – სუსტი, ლამაზი გოგო. *ახლა გასუქდა, თორემ ადრე წიწკეი გოგო იყო.*
წყალი – ანჰიდრიდი. *ორი წვეთი წყალი მაინც შემახვედრე.*

ჭ

ჭამა – მოტყვილდა. *არ მეგონა თუ დამიჯერებდა, მაგრამ ჭამა.*
ჭაში ნახათქუნები ვედრო – უშნოა. *ჭაში ნახათქუნები ვედრო მეგონა რომ შევხედე.*
ჭილები – სანადირო ადგილი. *ჭილებზე გავედით სანადიროთ.*

ჭიპზე გასკდა – მეტისმეტად მოინდომა, ძალიან ეცადა, ბევრი იწვალა. *ჭიპზე გასკდა და მაინც გააკეთა.*
ჭკუა ეკეტება – ძალიან მოსწონს. *ჭკუა ეკეტება მაგ გოგოზე.*
ჭკუიდან აიწია – 1. გაბრაზდა. *ჭკუიდან აიწია გაკეთილი რომ ვერ მიყვა.* 2. გაუხარდა. *რო დამინახა, ჭკუიდან აიწია.*
ჭრელი ბაზარი – ორჭოფულად საუბარი. *რა ეი, ჭრელი ბაზარი იყო, აზრი ვერ გამოვიტანე.*

ჯ

ჯაგა – გამოუცდელი, ცხოვრებას ჩამორჩენილი ადამიანი. *წარმოიდგინე, ჯაგას ეძახიან, რა კაცი უნდა იყოს.*
ჯართი – ძველი ავტომობილი. *ეგ ალარ გაკეთდება, ჯართია, ჯობს ახალი იყიდო.*
ჯიბგირი – ადამიანი, რომელიც იპარავს ჯიბიდან. *სადგურზე ჯიბგირები არიან და ფულს მიაქციე ყურადღება.*
ჯიბის გოგო – დაბალი, სუსტი გოგო. *ჯიბის გოგო ითხოვა ცოლად, წელამდე ძლივს წვდება.*
ჯიგარი (სომხ.) – კარგი. *ჯიგარი ხარ!*
ჯიგარი მასტი – კარგი, მაგარი, გულიანი ტიპი. *აი, იცი, როგორი ჯიგარი მასტი იყო ჩემი ძმა?*
ჯიგარო – მიმართვა ბიჭს. *როგორ ხარ, ჯიგარო?*
ჯინსავიკი – ჯინსების მოყვარული. *შოთიკო ყოველთვის ჯინსავიკი იყო.*
ჯიხვი – თავშეუკავებელი, თავგასული ადამიანი. *ჩამოიყვანა სოფლიდან ეიღაც ჯიხვი და ეგონა შემაშინებდა.*
ჯორივით შველი – დიდი შველი. *ჯორივით შველი პირადად მე, არასოდეს მინადირია.*
ჯოჯოხეთის მაშხალა –ძალიან უშნო. *უშნო მინახავს, მაგრამ ეს ჯოჯოხეთის მაშხალა იყო ნამდვილი.*

ხ

ხავერა (ებრ.) – მყუდრო ბინა. *ავიღოთ ერთი ხავერა გარეუბანში.*
ხატა (რუს.) – მყუდრო ბინა. *ერთი კარგი ხატა მოაწყეს და კარგა ხანს იცხოვრეს იქ.*
ხეხა – ციხეშია ნაჯდომი ხანგრძლივად. *კაი ხანს ხეხა მაცანაც მაგ საქმისთვის.*
ხვოსტი (რუს.) – ადვენებული ადამიანი. *ხვოსტი გააყოლე, მაინტერესებს სად მიდა.*

ხია – დაარტყა. *რო გაბრაზდა, იმანაც კი ხია მერე.*

ხიპიში (რუს.) – ჩხუბი, სკანდალი. *რა კაცია, თავის ქორწილშიც ხიპიში ატეხა.*

ხიპიშნოი (რუს.) – ადამიანი, რომელიც ხშირად ჩხუბობს. *რა ხიპიშნოია, რამეს თავი მაინც ქონდეს.*

ხისთავიანი – რეგვენი. *რომ შეატყობ ხისთავიანია, უნდა გაეშვა.*

ხიხო – უგემოვნო, შეუგნებელი ადამიანი. *არაფერმა არ უშველა, ბოლომდე ხიხო დარჩა.*

ხოდშია (რუს.) – დიდი გასავალი აქვს, მოდაშია. *კაბაჩოკები ისე ხოდშია, ხედავ?*

ხოშიანი – ძალიან კარგი. *ხოშიანი გოგოა, ყველაფერი ლამაზი აქვს.*

ხოში გაისწორა – გულის წადილი აისრულა. *მაგან თავისი ხოში გაისწორა და მეტი რა უნდა.*

ხოხმა (რუს.) – სეირი, სასაცილო რამ. *ხოხმა ტიპია, მაგარი მოყოლა იცის.*

ხრეშები – ხელოვნურად მოხარშული ნარკოტიკის ნარჩენები. *ხრეშები არ გადაყარო, გამოგვადგება გაჭირვების დროს.*

ხტუნავს – საჩხუბრად არის განწყობილი. *რას ხტუნავს ერთი, გაჩერდეს, სანამ კარგ ხასიათზე ვარ.*

ხურავს – ყველას ჯობნის. *ხურავს სუხიშვილები, მაგრები არიან.*

ჰ

ჰარდი – თამაშის სიძლიერე. *ჰარდი ჩავრთო თუ იზი?*

ჰარფლაიფი – კომპიუტერული თამაშის დასახელება. *კომპიუტერებში წავიდეთ და ჰარფლაიფი ვითამაშოთ.*

ჰეჩოტი – თავშ. *ნახე, ჰეჩოტში გავარტყი.*

ჰოპ სტოპზე შეყენება – ქუჩაში ვინმეს გაძარცვა. *ადრე მაგას ოპ სტოპზე შეყენებას ეძახდნენ.*

ჰორიზონტალური – თოფი, რომელსაც ლულები ერთმანეთის გვერდით აქვს. *ჰორიზონტალურით ვნადირობდი, ზუსტად მახსოვს.*

ჰორიზონტალური მიიღო – დაწვა, დაიძინა. *როგორც მოვიდა სამსახურიდან, მაშინვე ჰორიზონტალური მიიღო.*

ჰორიზონტალურში იყო – საწოლში იწვა. *რომ შევიდა შინ, კი იყო დედამისი ჰორიზონტალურში.*

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ნ. ამაღლობელი, ნ. ფუტკარაძე, არავერბალური და ვერბალური ხატულების მორფო-სემანტიკური ანალიზი, საერთაშორისო კონფერენცია "ქართული ენა და თანამედროვე ტექნოლოგიები", თბ., 2009.
2. ა. არაბული, ქართული მეტყველების კულტურა, თბ., 2005.
3. ც. ახვლედიანი, სოციოლინგვისტურ კვლევათა მნიშვნელობა ენის ევოლუციის ნიშანთა გამოსავლენად (ფრანგული ენის მასალაზე), საენათმეცნიერო ძიებანი, თბ., 2009.
4. ლ. ბრეგაძე, ქართული ჟარგონის ლექსიკონი თბ., 1999; თბ., 2005
5. თ. გამყრელიძე, ინდოევროპელები, ქართველები, სემიტები: საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია"თბილისი-იერუსალიმი-2", თბ., 1996.
6. თ. გამყრელიძე, ზ. კიკნაძე, ი შადური, ნ. შენგელაია, თეორიული ენათმეცნიერების კურსი, თბ., 2003.
7. გ. გოგოლაშვილი, ლაპარაკობს კლდიაშვილის პერსონაჟები, ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში, №1, თბ., 1981.
8. მ. გობიანი, თ. მებურიშვილი, ქალთა ორატორული ხელოვნების სოციოლინგვისტური და ფსიქოლოგიური ანალიზი, ქართველური მემკვიდრეობა, XI, ქუთ., 2007.
9. კ. დუმბაძე, ლექსიკური ებრაიზმები ქართულ ქალაქურ ჟარგონში, ჯევანმარდი, II, თბ., 1979.
10. ნ. კაპანაძე, დარგობრივი უცხოენოვანი ტექსტის აღქმის თავისებურებანი, საენათმეცნიერო ძიებანი, XVIII, თბ., 2005.
11. ზ. კიკვიძე, ქალთა და მამაკაცთა მეტყველების თავისებურებათა შესახებ, საიუბილეო კრებული გიორგი როგავას, თბ., 1997.
12. ი. კიკვიძე, სიტუაციური კლიშე როგორც თარგმანის ერთეული, საენათმეცნიერო ძიებანი, XXVI, თბ., 2008.
13. ნ. ლადარია, სოციოლინგვისტიკა, თბ., 2002.
14. თ. ლომთაძე, ქუთაისური ჟარგონი, ქუთ., 2005.
15. თ ლომთაძე, ქუთაისური ქართული, ქუთ., 2005.
16. თ. ლომთაძე, ქართული სასკოლო ჟარგონი, საენათმეცნიერო ძიებანი XXIV, თბ., 2006.
17. კ. ლომიძე, ანგლიციზმების ორთოგრაფიული, ფონოლოგიური, მორფოლოგიური და სემანტიკური ადაპტაციის ტიპები ქართულ ენაში, საენათმეცნიერო ძიებანი, XVIII, თბ., 2005.

18. გ. ნადარეიშვილი, ძველი ქართული საოჯახო სამართალი, თბ., 1996.
19. გ. ნებიერიძე, ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 2003.
20. ს. ომიაძე, უცხო სიტყვა – უცხო მენტალობა ეროვნულ დისკურსში, საენათმეცნიერო ძიებანი, XXIII, თბ., 2006.
21. პაპისმედოვი, საქართველოს ებრაელთა აღებმიცემის ისტორიისათვის, საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული სახელმწიფო მუზეუმის შრომები, ტ. III, თბ., 1945.
22. ი. ჟორდანია, სქესის ფაქტორი ენობრივი და მუსიკალური მოვლენის კვლევაში. არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის 51-ე სამეცნიერო კონფერენცია. მოხსენებათა თეზისები, თბ., 1993
23. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, თბ., 2007.
24. ნ. საყვარელიძე, თარგმანის თეორიის საკითხები (ლინგვისტური და ექსტრალინგვისტური ასპექტები), თბ., 2001.
25. მ. სიორიძე, ახალგაზრდული სლენგი თანამედროვე ფრანგულ ენაში, საენათმეცნიერო ძიებანი, XXVI, თბ., 2008.
26. ლ. სულამანიძე, სიტყვა ურია და მისი ეტიმოლოგია, ჟურნალი "განთიადი," 3-4, ქუთ., 1996.
27. ბ. ფოჩხუა, ქართული ენის ლექსიკოლოგია, თბ., 1974.
28. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია.
29. ა. ღლონტი, ქართული ლექსიკოლოგიის საფუძვლები, თბ., 1971.
30. თ. შალვაძე, ვერბალური წყევლა-კრულვის ლექსიკური, სტრუქტურული და სტილისტური თავისებურებანი ინგლისურ და ქართულ კულტურებში, საენათმეცნიერო ძიებანი, XXVI, თბ., 2007.
31. გ. წიბახაშვილი, თარგმანის თეორიისა და პრაქტიკის საკითხები, თბ., 2000.
32. ნ. წიკლაური, უცხო წარმოშობის ლექსიკა თანამედროვე ქართულ პრესაში, სამეცნიერო ძიებანი, XXII, თბ., 2006.
33. ზ. ჭიჭინაძე, ქართველი ებრაელები საქართველოში, თბ., 1990.
34. არნ. ჩიქობავა, ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1952.
35. არნ. ჩიქობავა, ქართული დიალექტოლოგია და მისი სოგი საკრუნავი, II რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სესიის მოხსენებათა თეზისები, თბ., 1980.
36. ქ. ჯაში, არგოს სოგადი ტიპოლოგია, ენა, თარგმანი, ლიტერატურა, ი. ჭავჭავაძის სახელობის ენისა და კულტურის ინსტიტუტის შრომათა კრებული, ტ. II – III, თბ., 1999.

37. ქ. ჯაში, თანამედროვე ფრანგული სასკოლო არგო და მისი ადგილი ფრანგულ არგოთა სისტემაში, ენა, თარგმანი, ლიტერატურა, ი. ჭავჭავაძის სახელობის ენისა და კულტურის ინსტიტუტის შრომათა კრებული, ტ. II – III, თბ., 1999.
38. ბ. ჯორბენაძე, ქართული დიალექტოლოგია, თბ., 1989.
39. ბ. ჯორბენაძე, ენა, ერი, საზოგადოება: ლიტერატურა და ხელოვნება, №1, თბ., 1991.
40. ბ. ჯორბენაძე, ენა და კულტურა, თბ., 1997.
41. **Ахманова О. С.,** Словарь лингвистических терминов. Москва, 1966.
42. **Блумфилд Л.,** Язык, Москва, 1968.
43. **Блумфилд Л.,** социолингвистика, Москва, 1975.
44. **Бондалетов В. Д.,** Социальная лингвистика, Москва, 1987.
45. **Борисова Е.,** О некоторых особенностях современного жаргона молодежи: Русский язык в школе, №3, 1981.
46. **Вайнрах У.,** Одноязычие и многоязычие, Новое в лингвистике, VI, 1972.
47. **Гамперц Дж.,** Типы языковых обществ, Новое в лингвистике, Вып. VII, Социолонгвисткика, Москва, 1975.
48. **Касаткин Л. Л., Клобков Е. В., Лекант П. А.,** Краткий справочник по современному русскому языку, Москва, 1991.
49. **Жирмунский В.,** Национальный язык и социальные диалекты, Ленинград, 1964.
50. **Лабов У.,** Отражение социальных процессов в языковых структурах: Новое лингвистике, Вып.VII. Москва, 1975.
51. **Ларин Б.А.,** Исотрия русского языка и общее языкознание. Москва, 1977 .
52. Лингвистический энциклопедический словарь. Москва,1990.
53. **Макдэвид. Р. Мл.,** Диалектные и социальные различия в городском обществе, Новое в лингвистике, выпуск VII, Социолингвитска, Москва, 1975.
54. **Марр Н. Я.,** Яфетическая теория, общий курс учения об языке, избранные работы, Москва-Ленинград, 1934.
55. **Миньяр-Белоручев Р. К.,** Теория и методы перевода М., 2001.
56. **Ожегов. С. И.,** Словарь русского языка. Москва, 1963.
57. Русский язык Энциклопедия, (главнопред. Ф.П.Филин), Москва, 1979
58. **Сепир Э.,** Мужской и женский варианты речи в языке яна. В кн.: Избранные труды по языкознанию и культурологии. Москва, 1993.
59. **Скворцов Л. И.,** Об оценках языка молодёжей. Вопросы культуры речи. Москва, 1964.

60. Словарь социолингвистических терминов. Отв. ред. В. Ю. Михальченко. Москва, 2006.
61. Словарь иностранных слов, Москва, 2004.
62. **Рудь Л. Г., Кудреватых И. П., Стариченок В. Д.**, Культура Речи, Минск, 2005.
63. **Фишер Д.**, Синтаксис и социальная структура, Трук и понапе, Москва, 1975.
64. **Чемоданов Н.С.**, Проблемы социальной лингвистики в современной языкознании, Новое в лингвистике, вип VII, социолингвистика, Москва, 1975.
65. **Швейцер А.Д., Никольский Л.Б.**, Ведение в социолингвистику, Москва, 1978.
66. **Шведцер А. Д.**, Перевод и лингвистика, Москва, 1973.
67. **Шор Р.**, Язык и общество, Москва, 1926.
68. **Шухардт Г.**, Избранные статьи по языкознанию. Перевод с немецкого, Москва, 1950.
69. **Argyle M.**, The Psychology of Interpersonal Behawiour, Harmondsworth. Penguin 1967.
70. **Auwärter M.**, Sprachgebrauch in Abhängigkeit von Merkmalen der Sprecher und der Sprechsituation. Eine soziolinguistische Untersuchung. Berlin. 1982.
71. **Bausinger H.**, Deuatsch für Deutsche. Dialekte-sprachbarrieren _ Sondersprachen. Aktualis Neuausg. Frankfurt/M. (fischer Taschenbuch), 1984.
72. **Chambers J., Trudgill P.**, Dialectology. Cambridge, 1980.
73. Dictionary of the Prague School of Linguistics Josef Vachek
74. **Dittmar N.**, "Soziolinguistik – Teil I" In: Studium Linguistik 12, Düsseldorf, 1982.
75. **Dittmar N., Schlieben-Lange B., Schlobinski P.**, "Teilkommentiere Bibliographie zur Soziolinguistik von Stadsprachen". In:K.-H.Bausch (ed.): Mehsprachigkeit in der Stadtregion. Düsseldorf, 1982.
76. **Konrad E., Rebein J.**, Sprache in Institutionen. Althaus, 1980.
77. **Fasold R.**, The Sociolinguistics of Society. Oxford. 1984.
78. **Fromkin V., Rodman R.**, An Introduction to Language, 1988.
79. **Coudailler Jean-Pieree**, Comment tu tchatches! Maisonneuve et Larose, Paris, 1997.
80. **Henne H.**, jugend und ihre Sprache. Darstellung _ Materialen _ Kritik. Berlin, New York, 1986.
81. **Hachette**, nouvelle edition, 1994.
82. **Hudson R. A.**, Sociolinguistics. Cambridge, 1980.
83. **Labov W.**, Sociolinguistics Patterns. Pennsylvania, 1972.

84. **lariuese**, nouvelle edition, 1994.
85. **Lavandera B.**, "Sociolinguistics". In: Posner, R./J. N. Green (eds.): Trends in Romane Linguistics and Philologi, Vol.2, Synchronic Romane Linguistics, 1981.
86. **Mattheier K.**, Pragmatik und Soziologie der Dialekte. Heidelberg, 1980.
87. Mertzler lexikon Sprache, Cluck, 2005.
88. **Partridge E.**, Slang Today and Yesterday. London: George Routledge & Sons, 1979.
89. **Reimann H.**, Institutionen, 1991.
90. **Romaine S.**, "A Critical Overview of the Methodology of Urban British Sociolinguistics". In: Görlach, M. (ed.): English World-Wide. Heidelberg 1980.
91. **Romaine S.**, Socio-historical Linguistics. Its Status and Methodology. London, 1982.
92. **Romaine S.**, Language in Society. Oxford: University Press, 1994.
93. **Schlobinski P.**, Jugendsprache. Fiktion und Wirklichkeit. Opladen, 1993.
94. **Stockwell P.**, Sociolinguistics: A resourse book for students. London and New York: Routledge, 2005.
95. **Trudgill P.**, A clossary of Sociolinguistics, Edinburg University Press. 2003.
96. **Werner H/Veith**, Soziolinguistik, 2002.
97. **Verdoodt A.**, The Demography of Language, Oxford: Blackwell Publishers, 1997.
98. Wahrig Deutsche Worterbuch, 2002.
99. **Wentworth H., Flexner S. B.**, The Dictionary of American Slang. New York: Thomas Y. Crowell, 1998.
100. **Weinreich U.**, Languages in Contact, New York, 1953.

სარჩევი

წინასიტყვაობა 5
შესავალი 6
სოციოლექტების შესწავლის ისტორიიდან 7
სოციოლექტებში შემაჟალ ერთეულთა დეფინიციისათვის 18
თანამედროვე ქართული სოციოლექტიზმების სტრუქტურა 34
თანამედროვე ქართული სოციოლექტების სემანტიკა 40
სოციოლექტების თარგმნისათვის 90
სოციალური დიალექტები, რომორც ენაზე საზოგადოების
გაჟლენის გამოჟლინება 94
გენდერული მეტყველება თანამედროვე ქართული
სოციოლექტების მიხედვით 106
ენობრივი კონტაქტები სოციოლექტებში 110
ეთნოსოციოლექტი – ქართველ ებრაელთა მეტყველება 119
დასკვნა 136
Modern Georgian Sociolects 148
ახალი ლექსიკური ერთეულები 156
თანამედროვე ქართული სოციოლექტიზმების სიტყვარი 197
გამოყენებული ლიტერატურა 245

თამარ ლომთაძე

თანამედროვე ქართული სოციოლექტები

Tamar Lomtadze

MODERN GEORGIAN SOCIOLECTS

გამომცემლობა „მერიდიანი“
თბილისი 2010

Publishing house "Meridiani"
Tbilisi - 2010

რედაქტორი *ნელი ელიზბარაშვილი*
ტექ. რედაქტორი *დავით კუტუბიძე*
კორექტორი *მარინე კილაძე*

დაიბეჭდა: გამომცემლობა „მერიდიანი“,
თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ., №47.
☎ 39-15-22
E-mail: info@meridianpub.com